

ଅତ୍ୟାକାଶ

ତଥିଜୀବି କୁର୍ଣ୍ଣାଲୋ

ପ୍ରକାଶନ ଦିନାଂକ

№ VI

୦୩୬୦୬୦, 1903

ପ୍ରକାଶନ

ବ୍ୟାଙ୍ଗନ ପ୍ରକାଶନ ମେଳେ, କୁର୍ଣ୍ଣାଲୋ, ପ୍ରଦୀପନାଥ ମହାରାଜା, ପ୍ରଦୀପନାଥ ମହାରାଜା, ପ୍ରଦୀପନାଥ ମହାରାଜା,

1903



ՇՈՒԽԱՌ ՆՈ

53

- | | |
|---|----|
| I.— ԿՈՑՈՒԹ ՃԱ ԱՏԵԱ ՑԽՈՑԱԾՈՒԹՅԱ ՀՅԱՀՈ.— յոհեն քու-
լուն, տարգմանո յիշ. մշ— ևս | 1 |
| II.— ԵԱԼԵԿՈՍ ՑՈՒԽՈ ՃԵՇ ԵՐՈՅՈ ՑԺՈՎՅՑՈ.— եղատ թովից-
լցը ծանո լրամա կայնուե ոնեցնուս, տա զմանո օդ. շո-
ջամուռ լցոնացնուս (ձագին պայմանական) | 25 |
| III.— ՍԵԹԵՅՈ.— թ. ջարշուս, տարգմանո ռ. նուլյումուռ լցոնու-
ցնուս. (բացի մելլեցնա) | 52 |
| IV.— ՔԱԿՈՅԵԼՈՒՄ ԲԱԳՈԱՅՈ.— մաւյ քանչ վայուացնուս | 1 |
| V.— ՇՈՅԵԿՈՒՄ ՑՈՅՆԵՈՂՅԱ.— 1. ծյուղհանուս լրամա.— 2. ցյու-
նուս սամարլամյունը առեցնենո.— 3. յուղա ուղուրուշնունո | 56 |



ა მ ს ა გ ბ

თვითური კურნალი

წელიწადი მეოთე

№ VI

0 3 6 0 6 0, 1908



ტყილისი

ენა და მუსიკა ასახული გრუს ხელი 1908

1908

ԵՐԵՎԱՆԻ
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆ

ԱՐԱՐԱՏ ՊՐԵՄԻ

ՀԱՅԱՍՏԱՆ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆ

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Июня 1903 г.

ପଦନୀଳିଙ୍ଗ

୫୩

I—	ଖରଥରୁଳ ଡାକ୍ସେନ୍ଦ୍ର ବଲପଠାରୀରମା ଜୀବନୀ.—ଜନ୍ମନାନ୍ଦ ପଣ୍ଡିତ, ଫଳିତ, ତାର୍କଗମାନୀ ପତ୍ନୀ.	1
II—	କାଲ୍ୟକ୍ଷେତ୍ରର ପତ୍ରକାରୀ ଆଚ୍ଚେ ପତ୍ରପତ୍ର ପତ୍ରକାରୀ.—ଶ୍ରୀତ ମନ୍ଦିର- ଦେବତାନୀ ପରାମା କୃତ୍ତବ୍ୟାକାରୀ ପତ୍ରକାରୀ, ତାର୍କଗମାନୀ ପତ୍ନୀ. ଶ୍ରୀ- ଦ୍ୱାରା ପାଇଥାରେ ପତ୍ରକାରୀ (ପାଗରମ୍ଭେଲେବା)	25
III—	ସାମନ୍ଦରି—ମ. ପରିଷକ୍ଷାକାରୀ, ତାର୍କଗମାନୀ ପତ୍ନୀ. ଶ୍ରୀଦୂଷମାର୍ତ୍ତଦ୍ୱାରାନ୍ତର- ଗାରୀକା. (ପାଗରମ୍ଭେଲେବା)	52
IIV—	ଶାକତପଥିଲାତା ପାତରାରୀ.—ମହାଶ୍ରୀ ଜୀବନୀଶ୍ଵରାଲୋକା	1
V—	ଶୁଦ୍ଧିକାରୀ ପତ୍ରପତ୍ରକାରୀ—1. ଶ୍ରୀଲଙ୍ଘନାଥାଦୀପି ପରାମା.—2. ଶ୍ରୀ- ମାନାନୀ ପାତରାରୀ ପତ୍ରକାରୀ (ପାଗରମ୍ଭେଲେବା).—3. ପିଲାଙ୍ଗ ପାତରାରୀ ପତ୍ରକାରୀ	56



როგორ დაისხა პრიგედერმა ქვარა

(ეტიენ უერარის თავგადასავალიდან)

კონან დოილის.

მე მიამშნია კიდეც, ჩემო მეგობრებო, თუ როგორ გვყავ-
 და ექვსი თვის განმავლობაში—1810 ოქტომბრიდან მარტამ-
 დე 1811 წლისა შეკავებული ინგლისელები თავიანთ თხრილ-
 შივე ტორტეს-ვედრას იქით. სწორეთ ამ ხანებში მე ვნადი-
 რობდი მელაზე იმათ საზოგადოებაში და დავუმტკიცე, რომ
 არც ერთი მათი მონადირეთაგანი ვერ შეედრება და ვერ აჯო-
 ბებდა კონფლანის ჰუსარს. როდესაც სისხლში გასვრილი ხმლით
 დავბრუნდი ისევ ფრანგების ბანაკში, მოწინავე დარაჯები,
 რომელნიც მოწმენი იყვნენ ჩემის საქციელისა, სიხარულით მო-
 მებსალმენ, ინგლისელი მონადირენიც უკანიდან მიყვიროდნენ
 ისე, რომ ორივე მხარე აღტაცებაში მოვიყვანე. ინგლისელები
 —სულ გრძელი მეტოქეები არიან. იმ საღამოსვე მე მივიღე
 შეხვეული ამანათი, რომელზედაც თეთრი დროშა ერქო ზედ
 წარწერით: ჰუსსარის ოფიცერს, რომელმაც მელა მოჰკლა. ქა-
 ლალდში ჩემგან შეუაში გაპიბილი მელა ეხვია. აქვე პატარა
 წრფელი ბარათი იყო, რომელშიაც ეწერა, რომ, რადგან მე მოვ-
 კალი მელია, მე თითონვე უნდა შევქამო. იმათ, რასაკვირველია,
 არ იცოდენ, რომ ფრანგები მელიას არა სჭამენ. ამ გვარისა-
 ქციელი მარტო იმას ამტკიცებდა, რომ მოკლულ ნადირით
 იმან უნდა ისარგებლოს, ვინც გაიმარჯვა. რადგან ფრანგი ზრ-
 დილობაში არავის არ ჩამორჩება, მელია ისევ უკან გავუგზა-

ვნე პატივცემულ მონალირებს და ვსოხოვე, რომ შემდეგი წელი
დირობისთვის დამატებითი საუზმე მოემზადებინათ. აი, როგორ
იბრძვიან ნამდვილი რაინდები!

ამ ჩემს ნაეარდობის დროს კარგა შევისწავლე და დავა-
თვალიერე ინგლისელების თხრილები და საღვამი ადგილები
და ჩემი აზრი გამოვუცხადე მასენენს.

მე სრული იმედი მქონდა, რომ ჩემი ნაამბობი მასსენეს
გააბეჭვინებს თავს დაესხას მტერს, მაგრამ ამ ხანში ყველა მარ-
შლები ერთმანერთსა სკამდნენ, ჰყეფავდნენ და ულრინავდნენ
მშიერი ძალებივით: ნეის ეჯავრებოდა მასსენე, მასსენეს უიუ-
ნო, სუს-კი—ყველანი ერთიანად,—ამის გამო არც ერთი არა-
ფერს არ იწყობდა. ჯარს სურსათი ელეონდა. ჩეენი მშვენიერი
ცხენოსანი ჯარი შიმშილისაგან წყდებოდა. ზამთრის დამლევს
მთელი მხარე სიგრძლივ-სიგანით შემოვიარეთ და საჭმელი ვერ
სად ვიშოვნეთ. ყველანი, თოთონ უმამაცესნიც-კი, გრძნობ-
დნენ, რომ უკან დახევის დრო დადგა.

მაგრამ უკან დახევა ისე ადვილი არ იყო. არა თუ მარ-
ტო ჩეენი ჯარი შიმშილისაგან დასუსტებული იყო. მტერი
უფრო მხნევდებოდა, როდესაც ჩეენს უმოქმედობას ჰქოდავდა.
ველინგტონისა ჩეენ, მართალია, არ გვეშინოდა; თუმცა ის
მამაცი და ფრთხილი კაცი იყო, მაგრამ გამბეჭიობა: აკლდა;
ამას გარდა ამ ოხრებულ ქვეყანაში ისე ადვილი არ იყო უკან
დევნა. მაგივრად ორივ მხრივ და უკანიდან პორტუგალიის მი
ლიცია გვეხვია, რომელიც შეიიარაღებულ სოფლელებისაგან
და გვერილიასებისაგან შესდგებოდა. ყველა ეს ხალხი ზამთარ-
ში კარგა მოშორებით იყვნენ და ახლო მოსვლის ვერ ბედავ-
დნენ, მაგრამ ეხლა კი, როდესაც ჩეენი ცხენები ისე დასუსტებული
იყვნენ, როგორც ბუზები ისე ესეოდნენ ჩეენს მოწინავე
რაზმს და თუ ვისმეს ხელში ჩაიგდებდნენ, ვით იმისი ბრალი.
მე შემიძლია დაგისახელოთ მრავალი ჩემი ნაცნობი ოფიცერი,
რომელიც შეუში გააპეს. დიდი ბედნიერება იყო, თუ რომელიმეს
თოფი მოჰქმდებოდა თავში ან გულში და ისე მოჰქმდე-
ბოდა. ზოგი იმისთანა მხეცური და სასტიკი სასჯელით დახო-

ცეს, რომ ვცდილობდით ნათესავებს არ შეეტყოთ. ამ გვარის ტრაგედიები ხშირად ხდებოდა და ამიტომ ჩვენი ჯარის კაცი ბანაკიდან გასვლას ვერა ჰქონდავდა. გვერილიასებში იყო ერთი ყოვლად მხეცი და სულმდაბალი კაცი, მათი წინამძღოლი, სახელად მანუელი „მოლიმარი“, რომლის საქციელი და მოქმედება შიშის ზარსა სცემდა ჩვენს მეომრებს. ეს იყო ტან-მალი მსხვილი კაცი, მუდამ მხიარულის სახით. ეს ყოველთვის თავის ბრძოს თავში უდგა. თუმცა მართლა სასტიკი და მხეცი იყო, მაგრამ თავისი ბრძო ისე წესიერად და რიგზე ჰყავდა დაყენებული, რომ შეუძლებელი იყო იმათ დაჭერილ აღგილში ვისმეს შესვლა ან გავლა. იმის სისასტიკეს წინააღმდეგი შედეგიც ჰქონდა, როგორც შემდეგში შეიტყობთ. ამას რომ თავისი ლეიტენანტი არ გაელახა... მაგრამ შემდეგში შეიტყობთ.

უკან დახვევას ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზებიცა ჰქონდა, თუმცა მეტი გზა აღარ იყო. მანსენეუ ნელ-ნელა შეუდგა ავადყოფების და სხვა-და სხვა ნივთების გადაზიდვას ტორარესნოვასიდან, სადაც მისი უმთავრესი ბანაკი იყო, კარმბრაში, მახლობელ სიმაგრეში... ეს ჩვენი მოქმედება არ გამოეპარათ გვერილიასებს და ხშირად შემოსევა დაიწყეს. ერთი ჩვენი დივიზია, რომელსაც კლოზელი უფროსობდა, და ერთი ცხენოსანი ბრიგადა მონბრენისა ტაგოზე სამხრეთით იდგა და იმათვეის რომ არ შეგვეტყობინებინა ჩვენი უკან დახვევის ამბავი, სულ უშემწეოდ მტრებ შეა დარჩებოდნენ. მე ვერ წარმომედგინა, თუ როგორ შეასრულებდა მასსენ ამ საქმეს. შიკრიკები ვერ მიახწევდნენ, პატარა რაზმებს ამოსწყვეტლნენ. ერთი სიტყვით, თუცილებელი იყო უკან დახვევის ამბავი გვერილებინა კლოზელისათვის, რომ საფრანგეთს თოთხმეტი ათასი კაცი არ დაპლუვოდა. მე აზრად არ მომივიდოდა, რომ ეს ბეღნიერება ძე, პოლკოვნიკ უერარს, შემხვდებოდა და ამგვარი საქციელით სამუდამოდ გავითქვამდი სახელს.

ამ დროს მე მასსენეს შტაბში ვემსახურებოდი, სადაც ჩემს გარდა კიდევ სხვა ორი მამაცი და ჭკვიანი აღიუტანტი იყო:

კორტეგისი და დიუპლესი. ისინი ხნით ჩემზე უფროსები იყვნენ, სხვა ფრივ კი ბევრად უმცროსები. კორტეგისი იყო დაბალი ტანისა, შავგვრემანი, ცოცხალი და ფიცხი კაცი. ნამეტანმა თავის თავის ჩრდენამ დაღუპა. იმისთვის რომ ყური დაგეგდო, ის იყო თურმე უპირველესი კაცი მთელს ჯარში. დიუპლესი გასკონელი, როგორც მე, იყო მშეგნიერი შეხედულებისა, როგორც ყველა გასკონელი. ჩვენ რიგ-რიგად ვდარაჯობდით. იმ დილას, რომელზედაც მე ვლაპარაკობ, მორიგედ იყო კორტეგისი. მე ის საუზმის დროს ვნახე, მერე კი თავის ცხენით საღლაც გაჰქირდა. იმ დღეს მასსენ ძალიან მოუსვენრად იყო და სულ თავის დურბინდს ჩასცემროდა. იყურებოდა იქით, საცა ინგლისელების თხრილები იყო, უყურებდა ტაგოზე მოსიარულე ხომალდებს. ის ხმას არ იღებდა და ჩვენ კი როგორ გავგებდა გვეკითხა თუ სად გაძგზვნა კორტეგისი. იმ ღამეს, როდესაც მე ამის სადგომს ვდარაჯობდი, სწორედ შეუა ღამისას მასსენ თავის კარივიდან გამოვიდა და გაუნძრევლივ ერთ წერტილს შესცემროდა. მე ვერ გმეგო, თუ რას უყურებდა; ბოლოს, მოთმინებიდან გამოსულმა, გაჯავრებული რაღაც წიობუტბუტა და შეტრიალდა ისევ სახლში.

მეორე დღეს მასსენესა და იმის მეორე ადიუტანტის დიუპლესის შეუა რაღაც მოლაპარაკება იყო და მას შემდეგ დიუპლესიც თავისი ცხენით გაჰქირდა სამუდამოდ. იმ ღამეს მე დერეფანში ვიჯექი. მასსენ კიდევ გარეთ გამოვიდა და იმავე წერტილს ცქერა დაუწყო. მთელი ნახევარსათი დადიოდა, ილანძლებოდა. საზოგადოდ მასსენ ძალიან ჯავრიანი კაცი იყო. როცა ოთახში შემოტრიალდა, მთელი ღამე არ ეძინა, დადიოდა ჯავრობდა. ჩემ თავთ მირახუნებდა, მაგრამ მეკი არ მეძახდა. მეც სულ-განაბული ვიყავი, რადგან ვიცოდი, რომ მინამ არ დამიძახებდა, იმასთან მისვლა შეუძლებელია.

მეორე დღეს ჩემი რიგიც დადგა, რადგან სამს ადიუტინში მე-ღა დავრჩი. მასსენეს მე ძალიან ვუყვარდი, საზოგადოდ, მამაც მეომრებს ყურადღებას იქცევდა. იმ წამს, როდესაც მე მიმიხმო, თვალებში ცრემლი ერეოდა.

— უერარ,—მითხრა მან,—აქ მოღი!

იმან მკლავში ხელი მომკიდა, სარკმელთან მიმიყვანა და აღმოსავლეთისკენ მიმითითა.

ჩვენ წინ ქვეითა ჯარის ბანაკი იყო, მერე ცხენოსანისა, გარკვევით ირჩეოდა, რომ ეს იყო ფრანგების ჯარის მოწინავე რაზმი. მერე დიდი შარა მინდორი იშლებოდა, საცა აქა-იქ ვენახები მოჩანდა. შემდეგ რამდენიმე გორაკი ჩნდა. ერთ იმათვანი უფრო მაღალი იყო, გორაკების ძირს ტყეები ეხვია. შემდეგ დიდი შარა გზა მოჩანდა, რომელიც ხეობაში იკარგებოდა.

ესა სთქვა მასსენებ და მიმითითა მაღალ გორაზე, სიერრა დე-მეროდალიაზე:—ხედავთ იმის წვერზე რასმეს?

მე ვუპასუხე, რომ არა.

— ეხლა?—მკითხა მან და დურბინი მომაწოდა. დურბინ-დის შემწეობით დავინახე, რომ წვერზე იყო ამაღლებული რაღაც გროვა საფლავისავით, არ ვიცი ქვისა, თუ ხეებისა.

რასაც ხედავ,—გააგრძელა მარშალმა,—ეს ხეებია. ჩვენ ისინი იქ მაშინ მოვაგროვეთ, როცა ეს ადგილები ჩვენს ხელთ იყო. თუმცა ეხლა ჩვენი აღარ არის, მაგრამ ეს ნიშანი ისევ ისე დარჩა. უერარ, იციდე, რომ ამ ხეებს ამაღამ უნდა ცეცხლი წაეკიდოს,—ეს საჭიროა საფრანგეთისთვის, იმპერატორისთვის და ჯარისთვის. ორი თქვენი ამხანაგები ამის შესასრულებლათ წავიდნენ, მაგრამ, როგორც ეტყობათ, ვერ მიახწიეს. ეხლა შენი რიგია და ღმერთს ვევედრები, რომ შენ უფრო ბედნიერ ვარსკლავზე იყო დაბადებული.

მეომარმა თავის დღეში არ უნდა იკითხოს მიზანი ამგვარის ბრძანებისა. მე საჩქაროთ გამოვტრიალდი და დავაპირეოთანიდან გამოსვლა

— ეხლავე შეიტყობ რამდენად სასარგებლო და საჭიროა ამ საქმის შესრულება, რომელსაც იქნება სიცოცხლესაც. შესწირავ,—სთქვა მან. ორმოცდა ათ მილის მანძილზე ტავის იქითა მხარეს, სდგას კლოზელის ჯარი, რომელიც სიერა-დ-ოსსას სიმაღლეზე დაბანაკებული. იქ მაღლობზე ნიშანია—კანდელი— და ნიშანთან დარაჯი სდგას. ჩვენ პირობა გვაქვს, რომ, როდესაც



ის ნაშუალამეცვისას მეროდელის მთაზე ცეცხლს შეამჩნევს, სსია-
ვის მხრივ გვაიშინებს და უფროსს ჯარს შეუერთდება. თუ
ამას არ შეასრულებს, მე უიმისოთ წავალ იქედან. ორი დღეა
მოველი ამ დაპირებულ ნიშანს და ვერაფერს ვერ მივაღწიე,
ამაღამ კი უეჭველად უნდა შესრულდეს ეს, ან თუ არა და—
მთელი მისი ჯარი დაიღუპება.

ოჲ, მეგობრებო, რომ იცოდეთ, როგორის სიამაყით გაივ-
სო ჩემი გული, როდესაც გვივე, რომ ბედმა ამისთანა მო
ვალეობა მარგვნა. თუ ცოცხალი დაერჩი, ჩემს დანის გვირ-
გვინს ერთი ფურცელი კიდევ მოემატება! თუ მოვკვდი, ეს
იქნება ღირსეული სიკვდილი. მე, რასაკვირველია, არაფერი არა
ესთქვა და, როგორც ეტყობა, ეს ფიქრები სახეზე გამომეხსატა.
მასენემ ხელი მაგრა ჩამომართვა.

— აი, გორაკი და იმაზე ნიშანი იმის და ჩვენ შუა მარ-
ტო გვერილიასია თავისი ბრძოლი. მე ამ საქმის შესრულებას
დიდ რაზმს ვერ მივანდობ, პატარას შეამჩნევენ და დახოცა-
ვენ. ამიტომ მარტო შენთვის მომინდვია ეს საქმე. როგორც
გინდა, ისე მოახერხე, ეცადე მარტო, რომ შუალამისას ცეცხ-
ლი დავინახო იმ გორაზე.

— თუ ვერ მოვახერხე, გთხოვთ, ბატონო მარშალო, ჩე-
მი ნიკეთები გააყიდებინოთ და ფული დედა-ჩემს მიაწოდოთ.

შუბლთან ხელი მივიტანე, ქუსლებზე მოვტრიალდი და
სიამაყით სავსე გულით, რომ ამისთანა ღვაწლი უნდა გავუწიო
სამშობლოს, კარში გამოვედი.

შევედი ჩემს ოთახში და ვფიქრობდი, როგორ შევუდგე
საქმის შესრულებას. ის გარემოება, რომ არც კორტეკსი და
არც დიუბლესი, რომელნიც ძალიან გამჭრიახე და მამაცი თფი-
ცრები იყვნენ, სიერროდე მორედალის მთის წვერამდინ ვერ
მივიღნენ, ამტკიცებდა გვერლიერები ძალიან ფრთხილად
არიან. მე გამოვიანგარიშე მანძილი, რომელიც ჩვენ და იმ მთის
შუა იყო: ათი მილი გაშლილი მინდორი, მერე იწყებოდა
მთის ფერდოებზე ტყე სამი მილის მანძილზე. თითონ მთა მა-
ლალი არ იყო, მაგრამ ხე არსადა ჩნდა, რომ გაჭირვების დროს

მიიმალოს კაცი. ისე სამ ნაწილად იყო დაყოფილი ჩემი მგზავრი რობა: მე მეგონა, რომ თუ მშვიდობით გავიარე გაშლილი მინდორი და ტყემდინ მივაღწიე, მერე ადვილია მეთქი.

ბინდამდინ ტყეში მივიშალებოდი და ბინდისას შევუდევ-ბოდი მთის ფერდობებს. რვა საათიდან თორმეტამდინ კარგი დიდი დროა, დანიშნულ ადგილამდინ მოვასწრებდი მი-სვლას. ყველაზე საშიშარი იყო ტრიალ მინდორის გავლა, ამასთანავე მომავონდა, რომ ჩემი ამხანაგები ცხენით წავიდნენ და, რასაკვირველია, რომ ავაზაკების ბრძოს არ გამოეპარებოდათ და შეამჩნევდნენ. ცხენით გარბენა ძნელი არ იყო, რად-გან საუკეთესო ცხენები მყვანდა, მაგრამ, ბევრი ფიქრის შემ-დეგ, ქვეითად წასვლა გადავწყვიტე. რაც შეეხება ტანისამოსს, ჩემ ჰუსარის მუნდირზე მოვიხურე გრძელი ნაცრის ფერი მო-სახურავი და თავზე ქუდი დავიხურე. იქნება იკითხოთ, რომ რატომ გლეხის ტანისამოსი არ ჩაიცვი? ამაზე გიპასუხებთ, რომ არც ერთი პატიოსანი ადამიანი არ მოინდომებს ჯაშუ-შის სიკვდილით დაღუპვას. თუ მოგვეს, რა გაეწყობა, მაგრამ დახვრეტა კი სამხედრო კანონით სულ სხვაა. სწორედ რომ არ მინდოდა ამ რიგად ბოლო მომელო ჩემი სიცოცხლისათვის.

შეა დღე გადაცილებული იყო, რომ ბანაკიდან ჩუმათ გამოვიპარე, თან მქონდა დურბინი, ჯიბის დამბაჩა, აბედი და ტალკვესი.

ორი-სამი მილის მანძილზე ძალიან ჩქარა მივდიოდი. ვენა-ხებში ვიფარავდი თავს და ვფიქრობდი, რომ კაცს თუ ცატა-ოდენი მოსაზრება და სიფრთხილე აქვს, მალე მიაღწევს თავის მიზანს. კორტექსს ან დიუპლესის ცხენზე ადვილად შეამჩნევ-დნენ, მაგრამ სულ სხვა არის გაფრთხილებული ქერარი: ის ვენახებ შეა მიიპარებოდა. მე დაბეჯითებით შემიძლია ესთქვა, რომ ხუთი მილი ისე გავიარე, არავის შეუმჩნევივარ. აქ დავი-ნახე პატარა სახლი, გაზით შემოვლებული, რომლის წინ რამ-დენიმე ურემი იდგა. რადგან მე ჩვენ სამზღვარს გადაცილე-ბული ვიყვავი, ვინც კი შემხვდებოდა, მტერი იქნებოდა და არა იყვარე. მე უფრო დაეილუნე დედა მიწასთან და ისე მივდი-

ოდი იმ ადგილთან, რომ უკეთ დამენახა, რას აკეთებდღნენ. ესენი იყვნენ გლეხები. რომელნიც ცარიელ ბოჭკებს უდებდნენ ურმებს. გადავწყვიტე, რომ ეს ხალხი არც არაფერს მიშველიდა და არც დამიშლიდა, ამიტომ გზა გავაგრძე. თან და თან ვრწმუნდებოდი, რომ ჩემი მიზნის შესრულება ისე აღვილი არ იყო. რამდენიც უფრო ვუახლოვდებოდა აღმართს, ვენახ ბი უფრო იშვიათათ იყო. ერთ თხრილში მივიმალე და იქიდან დურბინით ვათვარიელებდი: — ყველა გორაკზე ყარაულები იდგნენ, ყველგან ნიშნები იყო ამართული რამდენიმე ჯგუფი მოწინავე რაზმისა იდგნენ. მე ვიცოდი იმ „მომლიმარის“ წესი. გორაკებ შუა გადაბმული ყარაულები იყვნენ. თუმცა სულ გარს ვუვლიდი, მაგრამ მაინც მტერი პირდაპირ მედგა. არ ვიცოდი რა მექნა, ისეთი გაშლილი ადგილი იყო, რომ თაგვიც კი შეუმჩნევლად ვერ გაირჩენდა. ბინდი რომ ყოფილიყო, შევიარებოდი როგორც ინგლისელებთან ტორჩეს-ვედრასთან. მთა კარგად მოშორებით იყო და ბინდამინ რომ მომეცადნა, დანიშნულ დროს ცეცხლის წაკიდებას ვერ მოვასწრობდი. თხრილში ვიწერი და ათასნაირ საშუალებას, ერთი მეორეზე საშიშარს, ვარჩევდი. ბოლოს ერთმა ფიქრმა, რომელიც მარტო მამაც კაცს გაჭირვებაში მოუვა, გამიელვა თავში. უთუოდ გახსოვთ, რომ დუქნის წინ ორი ურემი ცარიელ ბოჭკებით სავსე იდგა. ხარებს აღმოსავლეთისკენ ჰქონდათ პირი და, როგორც ეტყობა, ესენიც იქით მიდიოდნენ, საცა მე. ამ ურბებში რომ დავმალულიყოვა, უშეველია, გვერელიესების შეუმჩნევლად გავივლიდი. ამ ჩემმა აზრმა ისე აღტაცებაში მომიყვანა, რომ კინალამ სიამოვნებით წამოვიყვირე. საჩქაროდ დუქნისაკენ გავეშურე და იქ ბუჩქებში მივიმალე. სამი წითელ ქუდიანი გლეხი ურემზე ბოჭკებს უდებდნენ. ერთი ურემი კიდეც სავსე იყო და მეორეს შეუდგნენ. სახლის წინ ბოჭკები ბლობად ელიგა. ბედი მწყვილობდა (მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ბედი მდედობრითი სქესია და როგორ შეიძლება, რომ ამ მშვენიერი ახალგაზდა ჰქსარის თვიცრის ხილვით აღტაცებაში არ მოსულიყო). სწორედ ამ დროს სამივე გლეხი დუქანში შევი-

დანართი. ძალიან ცხელოდა და უნდოდათ წყურეილი მოეკლადი სტრაფად ბუჩქებიდან გამოვვარდი შეეხტი ურეშე და ერთ ცარიელ ბოჭკაში ჩავძვერი. ბოჭკას ძირი ჰქონდა და თავი კი არა. რადგან ბოჭკა პატარა იყო და მე კი—მოზრდილი კაცი, ამიტომ ძალლივით მოვიკუნტე; ამასობაში გლეხებიც გამოვიდნენ და მალე თავზე საშინელი ხრიალი მომესმა. თურმე მეორე ბოჭკა დამადვეს ზედ. ურემი ისე გაავსეს, რომ არ ვიცოდი, როგორ გამოვძვრებოდი იქიდან. მაგრამ რა დროს ამაზე ფიქრი იყო. მე დარწმუნებული ვიყავ, რომ, თუ კი ბედმა და ჩემმა გამჭრიახობამ აქამდინ მომახწევინა, შემდეგშიაც არაფერი არ გამიტირდება.

როცა ყველაფერი გაათავეს, გზას გაუდგნენ. მე ჩემ გუნებაში ვიცინდი, რადგან ყოველი გადადგმული ნაბიჯი მიზანს მაახლოვებდა. მეურმეები ჩემ ახლოს მოდიოდნენ. როგორც ეტყობოდათ, მხიარული ბიჭები იყვნენ, რადგან სულ იცინდნენ და ხუმრიბდნენ. ხუმრიბისა და სიცილის მიზეზი ვერ გავარჩიო. თუმცა იმათი ენა თავისუფლად მესმოდა, მაინც იმათ ნაწყვეტნაწყვეტ სიტყვებში სასაცილო ვერაფერი ვერ გავიგე.

საათში ორ მილს მივდიოდით. ორ საათ ნახევარმა კიდეც გაიარა. რა ძნელი საათები იყო, ჩემო მეგობრებო! მოკუნტულს სუნთქვა მიღუბდებოდა და ღვინის სუნმა სრულიად გამაბრუა. მე მეგონა, რომ საშიშარი ადგილები კიდეც გავიარეთ, ეხლა ტყე იწყობოდა. ფფიქრობდი, თუ როგორ გამოვძრე ამ ბოჭკიდან.

უცბად რაღამაც საშინლად წამკრა. ურემი შესდგა და რამდენიმე აღელვებული ხმა მომესმა. ყველანი ერთად ლაპარაკობდნენ:

— სად არის, სადა?— ჰყვიროდა ერთი.

— ჩეენ ურეშე,— უპასუხა მეორემ.

— ვინ არის?— ჰყითხა მესამემ.

— ფრანგის ოფიცერი, მე იმისი ქუდი და წალები დავინახე. ყველანი ხმა მაღლა იცინოდნენ.

— მე დუქნის სარკმლიდან ვუყურებდი, როცა ის ბოჭქაში ჩახტა.

— რომელი ბოჭქა?

— აი, ეს,—უპასუხა კაცმა და იმისთანა მუშტი გაარტყა ბოჭქას, რომ კინალამ დავრეტიანდი.

აბა ჩემთვის, სახელოვან კაცისთვის — რა მდგომარეობაა. ეხლაც, მას აქეთ ორმოცი წელიწადია, რომ მომაგონდება, ვწითლდები. კუტი ქათამივით ვეგდე და მოთმინებით ვისმენდი ამ მხეცების დაცინვას და შეურაცხყოფას. ერთი ვინმე ქრისტიანი კაცი რომ გამოჩენილიყო და შუბლში ტყვია მოერტყმია, ძალიან დავუმადლებდი, ამდენ დაცინვას მაინც აღარ გავიგონებდი. მკლავში ხელი მომკიდეს და ისე ამომათრიეს. თავზე თრი წვერიანი მხეცი ავაზაკი მადგა და ორი თოთვის ლულა მოღერებული ჰქონდათ. უთუოდ ძალიან საკოდავი შესახედავი ვიყავი, მზის სხივებისაგან თვალებს ძლიეს ვაღებდი. მეტის მეტი მოკუნტვისაგან დავიხუთე, სხეული ველარ გამებართა. ჩემი მუნდირი ღვინისაგან წელზე წითლათ იყო შეღებილი, როგორც ინგლისელ მეომარისა. ეს უსვინიდისო ავაზაკები დამკინოდნენ. ვცდილობდი სახეზე ზიზლი გამომეხატა, მაგრამ ყოველ ჩემ სახის დამანჭვაზე უფრო მეტს სიცილს ვიწვევდი. მე ღირსეულათ მექირა თავი მაინც, ყველანი ვერ ბედავდნენ პირდაპირ ყურებას.

ერთი გადახედვა საჭირო იყო, რომ მეგრძნო ჩემი საქმის გარემოება. გლეხებმა გადამცეს გვერელიესების მოწინავე დარაჯებს. ისინი იყვნენ რვანი, ველური შეხედულებისა, გრძელ-თმიანი, თავზე ბაბის ბალდათ გადაკრული და განიერი ქუდებით. ყველას სათითაოთ თოფი ეჭირა და ერთი ან ორი დამბაჩა. მათმა უფროსმა უურთან თოფი მომადო და მეორეები ჯიბეებს მიჩრევედნენ. რაც მებადა, ყველაფერი წაბართვეს, აბედი და ტალკვესიც არ შემარჩინეს. ეხლა კი სრულიად დალუპულათ ვთვლიდი კიდეც ჩემს თავს. რომ მიმეღწია იმ ნიშნამდე, რითი გავაჩენდი ცეცხლს. ისინი იყვნენ რვანი და სამი გლეხი—თერთმეტი კაცი ერთი უიარალო კაცის

წინააღმდეგ. სასოწარკვეთილებაში ჩაგრძელდა ეტიენ უერარი⁷ დაიბნა? თქვენ კარგად მიცნობთ, მაგრამ ისინი რას მიცნობ-დნენ. ყოველი ძალი და ღონე მოვიკრიბე, რომ თავი დამეხტია. ყური დამიგდეთ; ეხლავე გიამბობთ.

როცა ამომათრიეს, ყველანი გარს მეხვივნენ. მალე მუხ-ლებში ღონე და ენერგია მომეცა. ვეძებდი თავდასახწევ საშუალებას. დარაჯების სადგომი ორ მთის შუა იყო, იქით მხარეს დიდი ფერდობია და ბუჩქნარებიან მინდორი იწყებოდა. ეს კაცები მთიულები იყვნენ, რასაკირკველია, რომ ჩემზე ბევ-რად უკეთ დარბოლენენ, ქალამნებიც ძალიან შეველოდათ. სიმხ-ნევეს მოკლებული კაცი სასოწარკვეთილებას მიეცემოდა, მაგ-რამ მე უცხათ მოვიაზრე და კიდეც ვისარგებლე შემთხვევით. ფერდობის პირათ ბოჭკები ეწყო; ვეფხვივით ვისკუპე, ბოჭ-კაში ჩაგრძი, ფეხი ვკარი და შურდულივით ჩავექანე ძირს.

თავის დღეში არ დამავიწყდება ეს საშინელი მოგზაურობა. ხრიალით მივეროდი ამ საშინელ ქვა-ლრიან ფერდობზე, ჯერ რბილი დაღმართი იყო, მერე დაიწყო ბუჩქნარი და ჩემი ბოჭკა ბურთივით ხტოდა. ხანდისბან თავსაც გამოვყოფი ხოლმე. გასაკირკველია, ძვალი და რბილი როგორ შემჩრა. ამ საშინ-ელმა ხრიალმა თავბრუ დამახვია; კინალამ გული შემიწუხდა. ბოლოს მომესმა ფოთლების შრიალი. ბოჭკა დაეჯახა ერთ ხეს და ნაკუწ-ნაკუწათ იქცა. გამოვედი ბოჭკიდან დამტვრეული და დაბეჭილი, მაგრამ ის აზრი, რომ ეხლა კი უთუოთ მივაღ-წევ მიზანს—მამხნევებდა.

თავბრუ მეხვეოდა, თითქოს ზღვაში ვმოგზაურობდი. ერთ ბუჩქ ძვეშ დავჯექი. როცა ცოტა ღონეზე მოვედი, ისევ გზას შევუდექი, ბუჩქებს-და ბუჩქებ შუა ფრთხილად მივდიოდი. ხან წყალს გავრობავდი, მეშინოდა, რომ ძალები არ გამო-ესიათ, ისე არ მოეგნოთ ჩემი კვალისთვის. ჩემდა საბეღნიე-როდ, შორს არ გადამეხვია, მორედალის მთა ახლოს მოჩანდა. იმის ტიტველი და წვეტიანი წვერო ჯუჯა მუხის ჭალიდან გამოიჭროტებოდა. მე ეხლა იმ მუხის ჭალაში ვიყავი, სრული დარწმუნებული, რომ მეორე ტყის პირამდინ შიში არ იყო.

ამავ დროს კარგა მახსოვდა, რომ გარშემო მტერი მესია მეტად იმათ არ ვხედავდი, მაგრამ მათი სტენა და ერთი ორი თოფის ხმაც მესმოდა.

ჭალაში სიარული ძალიან მინელდებოდა. როცა ტყეში შევედი და ბილიკი დავინახე, ძალიან გამეხარდა. ჩასაკვირველია, რომ ამ ბილიკით არ მივდიოდი, შორი-ახლოს ხევბ შუა მივდევდი ბილიკის კვალს. კარგა მანძილი რომ გავიარე და მთის წვერს თითქმის ვუახლოვდებოდი, მომესმა საშინელი გულ-საკლავი კვნესა. ჯერ პირუტყვის ღრიალი მეგონა, მერე ფრან-გული სატყვები მომესმა: „ოჰ, ღმერთო ჩემოო!“ ფრთხილად გავემართე იქითკენ, საითაც ეს კვნესა მომესმა, და აი რა ენახე: გამხმარ ფოთლების გროვზე იწვა კაცი, რომელსაც ჩემნაირი ნაცრის ფერი ტანისამოსი ეცვა. ის მძიმედ დაკოდილი იყო. გულთან მიფარებული ცხვირ-სახოცა სისხლში იყო ამოსერი-ლი, გარშემო სისხლის მორევი ედგა და აუარებელი ბუზი ესია. პირველ წუთში ახლოს მისვლა შემეშინდა, მეგონა რამე მახეა დაგებული მეთქი, მაგრამ შემდეგ სიბრალულმა გამიტაცა, გა-მოვგარდი სიჩქაროდ ტყიდან და დაჭრილის წინ დავიჩოქე. იმან თავისი მომაკვდავი სახე ჩემკენ მოიბრუნა. მე მაშინათვე დიუპლესი ვიცანი, სწორედ ის კაცი, რომელიც ჩემ წინ იყო გამოგზავნილი. იმის გაციებულ, უსხივო თვალებზე და ჩა-ვინულ ლოცვებზე ეტყობოდა, რომ მომაკვდავი იყო.

— უერარ,—ძლიერ წარმოსთქვა მან,—უერარ!

მე თანაგრძნობით შევხედე. როგორც ნამდვილი აზნაური, სიკვდილის უმსაც კი ახსოვდა თავის მოვალეობა.

— ნიშანი, უერარ! ხომ წაუკიდებ ცეცხლს?

— აბედი და ტალკვესი გაქვს?

— აი.

— მაშ უმცველად, ამაღამვე წაუკიდებ ცეცხლს.

— ეხლა კი დამშვიდებული მოვკვდები. იმ მხეცებმა დამ-კოდეს, უერარ. ხომ ეტყვითმარშალს, რომ მე ჩემი ვალი, რაც შემეძლო, სვინიდისიერად შევასრულევ?

— კორტექსი?

— ის ჩემზე უფრო უბედური იყო. მტრების ხელში აჩვინდა და საშინელი სიკვდილით დასაჯეს. თუ ვინიცობაა, უერარ, დარწმუნდები, რომ იმათ ხელიდან ვერ გამოსხლტები, სჯობია შუბლში ტყვია იკარი. არ გისურვებ კორტეკსიით სიკვდილს... ვხედავდი, რომ ძლიერი ლაპარაკობდა, ძირს დავიხარე, რომ მისი სიტყვები გამეგო.

— არ შეგიძლიათ შემატყობინოთ ზოგიერთი ცნობა, რომ ჩემი მიზნის შესრულება შემიმსუბუქოს? — ვკითხე მე.

— ჰო, ჰო, დე-პომბალი... ის გიშველით. ენდეთ დე-პომბალს... ამ სიტყვებზე თავი უკან გადაიხარი და სული განუტევა.

— ენდე დე-პომბალი. ეს კარგი რჩევაა.

ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ჩემ გვერდით ვიღაც კაცი დავინახე. მე ისე გატაცებული ვიყავი მომაკვდავის სიტყვებით და იმის რჩევით, რომ ვერც-კი შევამჩნიე ამ კაცის მოახლოვება. უტბად ზეზე წამოვტები და მისკენ მივბრუნდი. ეს იყო ტან-მაღალი, შავგვრემანი, შავ თმიანი, შავ-თვალა, შავ-წვერა, მოგრძო სახის ყმაწვილი კაცი. ხელში ბოთლით ღვინო ეჭირა და მხარზე მუშკეტონი (ძველებური თოფი) ჰქონდა გადაკიდებული. რა-კი თოფს ხელი არ ახლო, მივხვდი, რომ ეს სწორედ ის კაცია, რომელსაც ჩემმა მომაკვდავმა ამხანაგმა მიმანდო.

— საწყალი კიდეც მოჰკვდა! — სთქვა მან და დაიღუნა დიუპლესისკენ — როდესაც თოფი ესროლეს, ის ტყეში შევარდა. როგორც იყო, მოვქებნე და სიკვდილის უკანასკნელი წამები შევუშსუბუქე. ეს საწოლი გავუმართე, ღვინო ვუშოვნე, რომ იმის წყურვილი მომექლა.

— ბატონო, — ვუთხარი მე, — დიდათ გმადლობთ მთელი საფრანგეთის სახელით. მე მარტო კავალერიის ბრიგადირი ვარ, მაგრამ ეტიენ უერარი მქვიან; ამ სახელს ცოტა მნიშვნელობა კი არა აქვს საფრანგეთის ჯარში. შემიძლია ვიკითხო...

— დიახ, ბატონო, მე — ალიოზუს დე-პომბალი ვარ. უმცროსი მმა განთქმულ აზნაურის დე-პომბალისა. ეხლა მე ვარ



უფროსი ლეიტენანტი გვერელიესების ბრძოს წინამდობლის არმანი რომელსაც მანუელი „მომიმარი“ ჰქვიან.

გარშმუნებთ, რომ მე მაშინათვე ვეტაკე იმ ადგილს, საცა დამბაჩა უნდა მქონოდა, მაგრამ დეპომბალმა გაიღიმა. — მე იმისი უფროსი ლეიტენანტი ვარ და ამასთანვე მოსისხლე მტერიც — სთქვა მან, გაიძრო ტანისამოსი და დაკაწრული და ლურჯათ დასერილი ზურგი მიჩვენა. — უყურეთ, დაიყვირა მან, ის რა მიყო „მოლიმარემ“ მე, რომლის ძარღვებში საუკეთესო პორტუგალიის აზნაურის სისხლი მიმდინარეობს! რითი გადაუხდი მე ამას „მომლიმარეს“, თქვენ ნახავთ.

იმის თვალებში და თეთრ დაკრეჭილ კბილებში იმოდენა ზიზლი და სიბრაზე იხატებოდა, რომ სრულებით ეჭვი გამეფანტა და მისი სიტყვების სიმართლეზე დავრშმუნდი.

— მე ათი კაცი მომხრე მყავს, — სთქვა მან... ამ რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ჩემს საქმეებს გავათავებ აქ, მინდა თქვენს ჯარს შეეუერთდე. მანამდინ კი... — უცბად სახე შეეცვალა, მუშკეტონს ხელი წავლო. — ხელები მაღლა, შე საზიზლარო ფრანგო ძალლო! — დაიყვირა მან, — ხელები მაღლა, თორუებ თავს აგაგლევ.

თქვენ გიკვირთ, ჩემთ მეგობრებო, თქვენ არა გჯერათ განა? წარმოიდგინეთ თუ როგორ გამაკვირვა და გამაშრერა ამ უეცარმა ცვლილებამ. მარტო იმის გაბრაზებულ თვალებს და თოფებს შავს ლულას ვხედავდი: რა უნდა მექნა? სრულიად უშემწეოდ ვიყავი. ხელები მაღლა ავწიე. ამასობაში ყოველ მხრივ ფეხის ხმა და ყვირილი მოისმა. ხეებ შეუა რამდენიმე შეიარაღებული საშიშარი კაცი გამოჩნდა, თორმეტიოდე ხელებმა მტაცეს ერთბაშად და მე უბედური, უშემწეო, ერთხელ კიდევ ტყვედ ჩავვარდი. ჩემდა ბედათ, დამბაჩა არა მქონდა. რომ მქონოდა, უეპეველია, ეხლა ამ სასადილოში არ ვიჯდებოდი და ესე დამშვიდებული ჩემს თავგადასავალს ვერ გიამბობდით. ჭუკუიანმა, ბაჯღლვლიანმა ხელებმა შემბოჭეს და ბილიკით ტყე ში შემათრიეს; ის უსეინიდისო ლაწირაკი დეპომბალი კი ბრძანებლობდა. ოთხმა ავაზაკმა დიუპლესის გვამი წაიღო და თითქმის

ბინდუდებოდა, როდესაც ტყიდან გამოვედით. მთაზე ამათრიცხუანული მაგრამ გვერელიესების ბანაკს არ მივახლოვდით. იმათ ბანაკი მთის წვერთან ახლო ხეობაში იყო. იქიდან კარგა მოჩანდა ნიშანი, რომელიც ასე ძვირად მიღირდა; თოხუოთხად ხეები იყო დაწყობილი, ცოტა დაბლა რამდენიმე ქოხი, რომელიც უთუოდ წინად მწყემსების სადგომი იყო. ებლა კი ამ ავაზაკებს ეჭირათ... ერთი ამ ქოხში შემიყვანეს მე შებოჭვილი და ჩემი მეგობრის უსულო გვამი გვერდით მომიწვინეს.

ვიწერ და სულ იმას ვფიქრობდი, როგორ გავინთავისუფლო თავი და დანიშნულ დროს ნიშანს ცეცხლი წაეუკიდო მეთქი. ამ დროს სწორედ ჩემი საპყრობილის კარი გაიღო და კაცი შემოვიდა. თავისუფალი ხელები რომ მქონდა, უთუოდ ყელში ვეტაკებოდი ამ კაცს, რადგან ეს იყო დე-პომბალი. უკან ორი ავაზაკი ახლდა. იმათ უკან დახევა უბრძანა და კარგბი მოიხურა.

— უსვინიდისო! მივაყვირე მე.

— ჩუმათ! — მიპასუხა მან. — ნელა ილაპარაკეთ, იმიტომ რომ გაიგებენ, მეც მომკლავენ. რამდენიმე სიტყვა უნდა გითხრათ, პოლკოვნიკ უერარ. მე თქვენთვის, როგორც თქვენის მეგობრისთვის, სიკეთე მინდა. იქ ამის გვამთან ლაპარაკის დროს ისინი შევამწნიე და თქვენი დატყვევება აუცილებელი იყო. სხვანაირათ რომ მოვქცეულვიყავ, მეც გამაუბედურებდნენ. იმიტომ დაგატყვევეთ, რომ ბრბოს ნდობა ამ დამეკარგა. თქვენ თითონ გაიგებთ ჩემს მდგომარეობას, მეტი ძალა არ იყო. არ ვიცი, შევძლებ თქვენს დახსნას თუ არა, მაგრამ ვეცდები...

ეხლა საქმე სულ სხვანაირად იყო. მე უუპასუხე, რომ არ ვიცი, რამდენად წრფელია და მართალი იმისი სიტყვები, მაგრამ ამას მისი შემდეგი მოქმედება დამტკიცებს.

— მე მეტს არაფერს გთხოვთ, მიპასუხა მან. ერთი რჩევა კიდევ მიიღეთ ჩემგან. ეხლა თქვენ წინამდობლთან დაგიბარებენ, ნუ გაუინიანდებით, თორემ შუაში გადაგხერხავსთ. ნუ ეწინააღმდეგებით, უპასუხეთ მართალი და ყველა ცნობები, რომელსაც მოგთხოვს, მიეცით, — ეს იქნება ერთად-ერთი სა-

შუალება, რომ თავი დაახტიოთ. თუ როგორმე დროს გააგრძელებთ, თქვენი საშველი იქნება. ეხლა მეტი აღარ მცალიან. გამომყევით, რომ ეჭვი არავინ შეიტანოს.

ადგომა მიშველა, კარები გააღო და უტიფრათ გამომათრია ქოხიდან. იმან და მისმა ამხანაგებმა პანლურით მიმათრიეს იმ ადგილს, საცა მათი წინამძლოლი თავისი ამაღლით იჯდა.

მანუელი „მომლიმარი“ გასაკვირველი კაცი იყო: მსუქანი, წითური, გულ-დაჯერებული. იმისი გაპარსული განიერი სახე და მელოტი თავი მშვიდობიან და კეთილ კაცის შეხედულებას აძლევდნენ. როდესაც იმის ლიმილს უყურებდა კაცი, ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ეს ის უსვინიდისო და მხეცია, რომელიც იმისთანა შიშის ზარსა სცემდა როგორც ინგლისელთა ისე ჩვენს ჯარს. ყველამ იყის, რომ შემდეგში ინგლისის ოფიციერმა ტრენტმა ეს მხეცი თავისი ავაზაკობისათვის ჩამოახჩიო. ის ქვაზე იჯდა და ლიმილით შემხვდა, თითქო დიდი ხნის ნაცნობიაო. შევამჩნიე, რომ ერთ იქ მდგომს ეჭირა უშველებელი ხერხი. ამის დანახვა კმაროდა, რომ გონზე მოვსულიყავი.

— სალამი მშვიდობისა, პოლკოვნიკ უერარ, — სოქვაჭან. — ჩვენ დიდად ვამაყობთ იმ ყურადღებით, რომელიც ღენერალ მასენეს ამალამ მოგვაქცია: ჯერ გამოგვეცხადა მაიორი კორტეკსი, გერე პოლკოვნიკი დიუპლესი, დღეს პოლკოვნიკი უერარი. შესაძლებელია, რომ თითონ მარშალიც ისურვებს მალე ჩვენს გაბედნიერებას. როგორც გავიგი, თქვენ დიუპლესი კიდეც ნახეთ, კორტეკსი ცოტა მოშორებით ხეზეა მიქედილი. ეხლა თქვენ-და დაგვრჩით და ვფიქრობთ როგორ გცეთ პატივი.

არაფერი დამამშვიდებელი სიტყვა არ იყო. მინამ ლაპარაკობდა, იმის სახეს ლიმილი არ მოშორებია, სიტყვებსაც ნაზად და ზრდილობიანად წარმოსთქვამდა. შემდეგ ცოტათი დაიღუნა და იმის სახეზე შევამჩნიე რაღაც გადაწყვეტილება.

— პოლკოვნიკ უერარ, — სოქვა მან, — მე თქვენ სიცოცხლის მონიჭებას ვერ შეგბირდებით, რაღაც წესათ არა გვაჭვს მიღებული, მიგრამ შემიძლია სუბუქიდ ან სასტიკად დასჯა. რომელს ირჩევთ?



— მე სამაგიეროს რასა მოხვევთ?

— თუ სუბუქი სასჯელი გნებავთ, უნდა სწორედ და წრფელად მიპასუხოთ ყველა იმ კითხვებზე, რომელსაც მე დავალევნ.

უცბად ერთმა აზრმა გამიელვა თავში.

— გინდათ მომკლათ — ვუპასუხე მე, — თქვენთვინ სულ ერთი არ არის, რა სიკვდილითაც დამსჯით. თუ თქვენ კითხვებზე მე სიმართლეს გიპასუხებთ, თქვენ ნებას მომცემთ, მე თითონ ამოვირჩიო სასჯელი?

— კარგი, — მიპასუხა მან — მხოლოდ იმ პირობით, რომ ამაღამვე შეუა ღმერდინ უნდა შესრულდეს.

— დაიფიცეთ! — მივაყვირე მე.

— მე მგონია, რომ თქვენთვის პორტუგალელი აზნაურის სიტყვა სრულიად საკმარისი უნდა იყოს.

— მაშ მეც არაფერს გიპასუხებთ, მანამ არ დაიფიცებთ. სახეზე სიბრაზე გამოეხატა და სასტიკათ ხერხს გადახედა. ჩემი ხმის კილოს შეატყო, რომ მე არ ვხუმრობდი და ჩემი დათანხმება ისე ადვილი არ იყო. გულიდან მოიძრო ჯვარი და სთქვა:

— ვფიცავ!

ოჂ რა ნაირათ გამახარა ამ სიტყვამ! რა სასჯელი იქნებოდა სასურველი კარგი მამულის შეკილისთვის და ფრანგისათვის. მე აღტაცებით მზათ ვიყავ გამეცინა.

— ესლა მკითხეთ, რაც გნებავთ, — ვუთხარი მე.

— თქვენ კი პფიცავთ, რომ სრულ სიმართლეს მეტყვით!

— ვფიცავ აზნაურის და მეომარის პატიოსნების!

როგორც ხედავთ, საშინელ პირობას ვაძლევდი, მაგრამ ეს რა არის იმასთან შედარებით, რომ სხვაფრივ მოვქცეულვიყავ....

— ეს ძალიან პატიოსნური და საკვირველი პირობაა, — შენიშნა მან და ჯიბიდან უბის წიგნი ამოიღო. — კეთილ ინებეთ და მიაპყარით თქვენი უყრადლება ფრანგების ბანაკს.

მეც მივიხედე იქითკენ, სადაც ზანუელომ მიმითითა, და შევხედე ბანაკს, რომელიც ჩვენ ძირ მინდორში იყო. თუმცა



თხუთმეტი მილის სიშორეზე ვიყავით ერთი ერთმანერთისაგან, გრამატიკის მისათანა სუფთა და წმინდა იყო, რომ ცველაფერი ირჩეოდა. მე გარკვევით ვარჩევდი ოთხუთხათ გამლილ კარვებს, ჩენ ქოხებს, კავალერიის თხრილებს და შე წერტილებს, რომელიც ათი არტილერიის ზარბაზანი იყო. რა მწარე ფიქრები გამეღვიძა გულში, როდესაც დავინახე ეს მამაცი ჯარი, რომელიც მოუთმენლათ მიმეღლოდა და რომელიც თავის საყვარელ პოლკოვნიკს ვეღარ ნახავდა. ერთი ჩემი ესკადრონი მეყოფოდა, რომ ეს ავაზაკების ბრძო მიწასთან გამესწორებინა და ამომეჯლიტა. თვალები ცრემლით ამეცსო, როდესაც დავინახე ის კუთხე, სადაც რეაბი კაცი იყო დაბანაკებული, რომელიც თავიანთ პოლკოვნიკისთვის სიცოცხლეს არ დაზოგავდნენ. მაგრამ ჩემი მწარე ფიქრები უცბად გაიფანტნენ, როდესაც ბოლი დავინახე უფროსის სასახლიდან, ტორტეს-ვედრასში. იქ იყო მასსენე, რომლის მინდობილობა უნდ შემესრულებინა და ღვთის შემწეობით ამაღამვე ასრულდებოდა. აღტაცებამ და სიამაყემ გული გამიმაგრა. მე ვინატრე გოლიათის ხმა, რომ დამეყვირა: აბა შეხედეთ, როგორ მოჰკვდება ეტიენ უერარი, რომ დაიხსნას კლოზელის ჯარი! მწყინდა, რომ ამისთანა ჩემ მიერ თავგანწირულებას ვერც კი გაიგებენ და ვერც ვერავინ უაშშობს იმათ.

— ეხლა,— მითხრა ავაზაკების წინამძღოლმა, — ხომ ხედავთ ბანაკა და გზას, რომელიც კამბბრაში მიდის; ის სულ ფრანგების ჯარით და ვაღმყოფების ურმებით არის სავსე. ეს განაიმას არ ნიშნავს, რომ მასსენე უკან დახევას აპირებს? მართლაც დავინახე მოძრავი ხაზი და ხანდისხან ცეცხლიც, ეს უთუოთ ჯარის კაცნი ხანდისხან თოფებსა სცლილნენ. პირობაც რომ არ მიმეტა, მაშინაც კი არა ლირდა ამის დამალვა.

— უკან დახევას აპირებს, — ვუპასუხე მე.

— კამბბრათან?

— მე მგონია.

— მაშ კლოზელის ჯარი რაღას იზამს?

მე მხრები ავიწიე.



— ყველა გზები დაკავებულია, არსაიდან არა აქვთ საშუალება მისამართოს. ლება, რომ აცნობონ. მასსენე თუ უკან დაიხევს, კლოზელის ჯარი ერთიანად დაიღუპება.

— უნდა თავის ბედს დაემორჩილოს,—ვუპასუხე მე.

— რამდენი კაცი ჰყავს?

— მე მგონია, თოთხმეტი ათასი.

— კავალერია?

— ერთი ბრიგადა მონპრენის დივიზიისა.

— რომელი სპა?

— მეოთხე მონადირეთა სპა, მეცხრე ჰუსარისა და კირასირისა.

— მართალია,—სთქვა მან და ჩაიხედა უბის წიგნში.—გირჩევთ კიდევ მართალი სთქვათ, განგებამ შეგვეწიოსთ თუ არ შეასრულეთ.

შერე ყოველი ჯარის ნაწილი გამომყითხა, მერე მთელი ჯარის ამბავიც.

მეტი იქნება დაგარწმუნოთ, რომ ენის ამოგოლეჯას ვამჯობინებდი ყველა ზემოხსენებულების თქმას, რომ სრულად დამედებული არ ყოფილიყავ უფრო დიდებულ მიზანს შევასრულებდი. მე მზად ვიყავ ყველაფერი მეამბნა, რომ ჯარი და-მესნა.

ბოლოს თავისი უბის წიგნი დახურა და ისევ ჯიბეში ჩაიდო.

— დიდ მაღლობას მოგახსენებთ ყველა ამ ცნობებისათვის. ხელვე ლორდ ველინგტონს შევატყობინებ. — სთქვა მან, — თქვენ თქვენი პირობა შევასრულეთ, ეხლა ჩემი ჯერია. როგორ სიკედილს ირჩევთ? როგორც მეომარი, უთუოდ დახვრეტას ამჯობინებთ, მაგრამ ზოგი კი მოროდალის კლდიდან გადავარდნას უფრო ადვილ სასჯელათა სთვლის. ძალიან ბევრმა უკანასკნელი ამჯობინა, ჩვენ ვერ გავსჯით რამდენათ იმათი აზრი მართალია. ი, კიდევ ხერხი, ეს კი მგონი, არავის ან მოსწონს. ჩამოხრითბაც შეგვიძლია, მაგრამ ეს ცოტა ძნელია,



ამისთვის ტყეში უნდა ჩავიღეთ. ჩვენი პირობათ პირობათ გამოცდილი ბა. არაფერ შრომას არ დავიშურებთ და თქვენ სურვილს შევასრულებთ.

— თქვენა სთქვით, — კუთხარი მე, — რომ შუალამებინ უნდა მოვკვდე. ამიტომ მე მსურს, რომ შუალამებინ ერთი წუთის წინად შესრულდეს.

— ჩინებულია — მიპასუხა მან, — მაგვარი სიცოცხლის სურვილი ცოტა ბავშვურია, მაგრამ თქვენი ნება მაინც აღსრულდება.

— რაც შეეხება საშუალებას, თუ როგორ დამსაჯოთ, — დავუმატე მე, — მე მინდა ისე მოვკვდე, რომ მთელმა ქვეყანამ ნახოს. დამდევით, აი, იმ გროვა ხეებზე და ისე ცოცხალი და მწვით, როგორც ოდესმე წმინდანებს და ქრისტიანებს აწამებდნენ. ეს იმისთანა სიკვდილი იქნება, რომ თვით იმპერატორსაც კი შეეხარბება.

ჩემმა მოგონილმა აზრმა ძალიან ასიამოვნა ავაზაკი.

— რატომ არა, — მიპასუხა მან. — თუ მასსენემ ჯაშუშათ გამოგვზავნათ, ის უთუოთ, როცა ცეცხლს დაინახავს მთაზე, მიხვდება, რასაც ნიშნავს.

— დიახ, — კუთხარი მე, — თქვენ ნამდვილათ მიხვდით. ის მიხვდება და უკელანი გაიგებენ, რომ მე ისე მოვკვდი, როგორც მამაც მხედარს შეჰვერის.

— მე წინალმდევი არაფერი მაქვს, — მიპასუხა მან, თავისი საზიზლარი ლიმილით — მე ლვინოსა და თხის ხორცს გამოგიგზავნით.. აგერ მზე კიდეც ჩადის, მალე რვა საათი იქნება. ოთხი საათის შემდეგ თქვენი სიკვდილის უამი დადგება, მოემზადეთ.

მე საუკუნოთ ვსტოვებდი წუთი-სოფელს. ძირს გადავიხედე, მთელი ველი ჩამაგალი მზის სხივებით იყო შემოსილი. მდინარე ტაგოს ტისფერ წყალში განათებული იყო ინგლისურ ხომალდების იალქნები.

ყველა ეს მშვენიერი იყო და ამათი მიტოვება გულს მიმღვრევდა, მაგრამ არის კიდევ ქვეყანაზე უფრო უმშვენიერე-

სი ნივთები: სხვისთვის სიკვდილი, მოვალეობა და ღიღება, კეთილშობილება და სიყვარული—აი, სიმშვენიერე უფრო ბრწყინვალე, ვიდრე ის, რასაც თვალითა ვხედავდი. მე თითონ ალტაცებაში მოვდილი ჩემის კეთილშობილურ მოქმედებით და დავფიქრდი იმაზე, რომ თუ დესმე ვინმე გაიგებს, რომ მე იმ ნიშანში დავწექი, რომელმაც მთელი ჯარი დაიხსნა. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ შეიტყობნენ უეპველად და რამდენად დაამშვიდებს ჩემი რაინდული საქციელი დედაჩემს, მთელი ჯარისთვის მაგალითი იქნება. როდესაც დე-პომბალი შემოვიდა ჩემ ქოხში, ღვინო და ხორცი მომიტანა, ჩემი პირველი თხოვნა ის იყო, რომ ჩერი სიკვდილის ამბავი დაეწერა და ფრანგების ბანაქში გაეგზავნა. იმან არაფერი არ მიპასუხა. მაგრამ იმ აზრმა, რომ ჩემი მოქმედება უმნიშვნელოთ არ დარჩება, იმისთანა მაღა გამიღვიძა, რომ ვახშამი სიამოვნებით გიახელით.

ორმა საათმა კიდეც გაიარა, რომ ბრძოს ჭინამძლოლმა ჩემი ქოხის კარები გააღო და შემოიხედა. ჩემ გარშემო ბნელოდა. იმას სანთლით კაცი მოსდევდა და დავინახე, როგორ უბრწყინვდა მანუელს თვალები და კბილები, როდესაც მე მიყურებდა.

— მზათ ხართ? მკითხა მან.

— ჯერ დრო არ არის.

— თქვენ მაინც გინდათ, რომ უთუოთ თორმეტის უკანასკნელ წუთში მოხდეს?

— პირობა პირობათა რჩება.

— ძალიან კარგი. ეგრე იყოს. ჩეენ უნდა გავარჩიოთ ერთი ჰატურა საქმე, რაღვან ერთმა ჩემმა ხელქვეითთავანმა ცოტა რამ დააშავა. ჩეენ ძალიან სასტიკი წესები გვაქვს, რომელიც არავისთვის არ შეიცვლება, თითონ დე-პომბალიც დამემოწმება თქვენ, დე-პომბალ, შეკარით მაგრადა და კოცონზე დაძეთ მე კი მოვალ სანახავათ, როგორ მოკვდება.

დე-პომბალი და სანთლიანი კაცი ქოხში შემოვიდნენ, რო-
დესაც ამათი უფროსის ფეხის ხმა შესწყდა, დე-პომბალმა კარე-
ბი დახურა.

— პოლკოვნიკ უერარ, — სთქვა მან, — თქვენ ამ კაცს უნდა
ენდოთ, ესეც ჩემი მომხრეა. ჩვენ საქმეს ან მოვიგებთ ან დავი-
ღუპებით; თქვენი დახსნა კიდევ შეიძლება, ძალიან ძნელი გა-
საბედია და უნდა პირობა მოგვცეთ, რომ თუ დაგიხსენით, თავ-
დებათ დაგვიდგებით, რომ ფრანგების ჯარში მიგვიღონ.

— გაძლევ სიტყვას.

— მე შენი სიტყვა მჯერა. აბა, ჩქარა, დროს ნუ ვკარ-
გავთ. თუ ის მოჩვენება მოვიდა და სამივე ერთად გვნახა, და-
ვიღუპებით.

მე გაკვირვებული ვუყურებდი რას აკეთებდა. აიღო გრძე-
ლი თკაცი, ჩემს მკვდარ ამხანაგს შემოახვია, პირი ცხვირსახო-
ცით შეუხვია ისე, რომ სახე თითქმის არ უჩინდა.

— აქ დაწეჭით, — მითხრა მან. და მკვდრის ადგილს მიმითი-
თა. — ოთხი ჩემი კაცი მელის, რომ კოცონზე წაიღონ. კარი
გააღო და უბრძანა. ოთხმა ავაზაკმა დიუპლესის გვამი გაიტა-
ნეს, მე კი გაოცებული და იმედებით აღელვებული ვიწერი მი-
წაზე. ხუთი წუთის შემდეგ დე-პომბალი თავისი კაცებით უკან
დაბრუნდა.

— თქვენ კოცონზე წევხართ, — მითხრა მან. — მე ვისთანაც
ვინდა, ნიძლავს დავსდებ, რომ თქვენ ხართ ისე მაგრა შებოჭი-
ლი და შეხვეული, რომ ხმის ამოლების ძალაც არა გაქვსთ. ეხ-
ლა დიუპლესის გვამი მოროცხლის უფსკრულში უნდა
გადავაგდოთ. ორმა თავში მომკიდა ხელი, ორმა ფეხებით ამ-
წიეს და ქოხიდან გამომიყვანეს. როდესაც ჰაერზე ვიგრძენ თა-
ვი, კინაღამ დავიყვირე. მოვარე ზედ ნიშანს ადგა და ზედ მწო-
ლარე გვამს ანათებდა. ყველა ავაზაკები ზოგი თავიანთ ბანა-
კში იყვნენ და ზოგი კი ნიშანს გარშემო ეხვივნენ. გზაზე არა-
ვინ შეგვაჩერა. დე-პომბალს ისინი უფსკრულისკენ მიჰყავდა.
როდესაც სულ ზემოთ წვერზე ავედით, ვეღარავინ ვერ გვხე-

დავდა და ნება მომცეს, რომ ფეხზე წამომდგარვიყავი. დეპომ-
 ბალმა ბილიკი მიჩვენა.

— ი, გზა,— მითხრა მან და დაუმატა: — ლმერთო ჩემო,
 ეს რა არის?..

ტყიდან საშინელი ყვირილი მოისმა. მე ვნახე რომ დე-
 პომბალი შეშინებულ ცხენივით კანკალებდა.

ეს ის ეშმაკია, — წაიბუტბუტა მან. — იმასაც ესე ექცევა
 როგორც მე. — წავიდეთ ჩქარა, ლმერთი იყოს ჩვენი შემწე, თუ
 ჩაუვარდით ხელში?

ჩვენ ცალ-ცალკე ჩამოვდიოდით ამ ბილიკზე, რომელზე-
 დაც მარტო თხებს შეეძლოთ ხტუნვა, მთის ძირას ისევ ტყე
 ში შევედით.. უცბათ რაღამაც გაანათა ტყე და ხეები გამო-
 ჩნდნენ. იმათ ჩვენ შემდეგ წაუკიდეს ნიშანს ცეცხლი და ჩნდა,
 რომ მკვდარს გარშემო ცეცხლი ეკიდებოდა. გვერელიესების
 შავი აჩრდილი მოჩანდა, რომლებიც ცეცხლის გარშემო და-
 ხტოლნენ და ყვიროლნენ, როგორც ნამდევილი კაცის ჭამ-
 ლები. ოჲ, რა გაბრაზებული ვუღერებდი ამ მხეცებს მე მუშ-
 რებს. ვუღერებდი და ვემუქრებოდი, რომ ჰუსარების შემწეო-
 ბით ამოვწყვეტავ ოდესე იმათ დედამიწის ზურგიდან.

დეპომბალმა კარგად იცოდა ყველა სადარაჯოები და ბი-
 ლიკები, რომელიც ტყეში იყო. ჩვენ მთებს სულ გარშემო
 ვუხვევდით და ბევრი მეტი გზაც გაფიარეთ. ერთი ორათ უფრო
 მეტს გზას გავივლიდი, რომ მენახა ის, რაც ეხლა ჩემს თვალს
 წარმოუდგა! იქნებოდა დილის ორი საათი, როდესაც ჩვენ ერთ
 ტიტველ გორაკზე, საცა ჩვენი ბილიკი მიდიოდა, შევდეგით.
 უკან მივიხედე და დავინახე წითლათ განათებული ნიშანი.
 ევონებოდა კაცს, რომ ცეცხლის მფრქვეველი მთა გადაშლილა
 მეროდალის წვერზე. როცა კარგად დავაცქერდი, დავინახე ისე-
 თი რამ, რომლისაგანაც სიხარულით ძირს დავეცი და აღტა-
 ცებისაგან ვეღარ დაემშვიდდი. შორს, შორს სამხრეთისაკენ
 მოყვითანო სინათლე ბუუტავდა, ინძრეოდა, ფეოქავდა. ეს ფან-



ଜୁର୍ଗବିଦାନ ଗାମନାଟେବୁଲ ସିନାଟଲ୍ଲେସ ଏବଂ ବାରସ୍କ୍ରାଵଣ୍ୟେବେ ଏହା କିମ୍ବା
ବାନ୍ଦା. ଏହି ପ୍ରେମର୍ଗ୍ରେ ବିଶାଙ୍କିଳି କାଶୁକୋ, ଖରମଳିତାପ କ୍ଷେତ୍ରେ-
ଲୋ ଏତୁପଦିନେବୁଦ୍ଧା, ଖରମ ଜାରିମା ଏହିର ରାତ୍ରି ଯୁଦ୍ଧରାମା ଏବଂ
ବନ୍ଦା ଥାଏ.

ପତ୍ର. ମେ—ସା.

«ხალხის მტერი»

აცე

ეპიზო უცოკვანი

(ხუთ-მოქმედებაზე დრამა ჭერიას ბესენისა*)

მოძრავილი მისამი.

(რედაქციის კანტორა. უგანა პეტელში, მარცხნივ უბრალო კა-
 რებია, და შარჯვინი შეშეძლანდიანი, საიდანაც სტამბა მოსჩანს. შეგ
 შეა თახში ღიდი მაგიდა სდგრა წიგნებით, ქადალდებით და
 გაზეთებით საკისე; მარცხნივ ფანჯარა, ფანჯარასთან კანტორება,
 მაღალი სკაში. მაგიდასთან თრი საკარძელი. კედლის ძროში რამ-
 დენიშე სკაში. თახში დაზურეშილად გამოიყურება: ავეჯი ძეელია.
 საკარძლები მისცრილი და გაცემილები. სტამბაში რამდე-
 ნიშე კაცი შეშებას, მოშინებით სპეციდი მანქანა მოსჩანს. გო-
 ვისტადი კანტორებასთან ზის და რაღასაც სწერს. შარჯვენა
 შესრით ბიჭლინგი შემოდის, ხელში ექ. შტაკშინის ხელთნაწე-
 რო უჭირავს).

ბაღლიანგი. მართალი უნდა სთქვას კაცმა, მშვენიერი რამ კი
 არის ეს წერილი...

გოფსტადი (წერას განაგრძობს). სულ წაიკითხეთ?
 ბაღლიანგი (სელთნაწერს კანტორებაზედ დასდებს). ღიალ, სულ,—
 თავიდან ბოლოომდის.

*) იხ. „მოამბის“ გვ-4 №-რი 1903 წ.

გოფსტადი. ძლიერი რამ არის, არა?

ბილინგი. მეტის მეტი! სწორედ საკვირველი წერილია! ყოველი სიტყვა მძიმე ჩაქუჩისავით ეცემა და ანადგურებს მოწინააღმდეგებს.

გოფსტადი. ჰო, მაგრამ ის ვაჟბატონები მაინც პირდაპირ არ ჩაგვივარდებინ ხელში.

ბილინგი. ეგ კი ეგრე იქნება, მაგრამ ჩვენსას ნუ მოუშლით. სანამ სრულიად არ დამირცხდებიან, ამისთანა სილაქებს ნუ გამოულევთ. ამ წერილს — რომ ვკითხულობდი, ასე მეგონა ჭექა-ჭუხილი და თოფ-ზარბაზნის ხმა მესმის კიდევა მეტე.

გოფსტადი (მობრუნდება). ტს... ასლაკსენმა არ გაიგონოს.

ბილინგი (ჩმას დაიმდაბლებს). ასლაკსენი საზიზლარი ლაბარია და მე მგონი მაგასთან ვერაფერს გააკეთებს კაცი. ეცადეთ თქვენი გაიყვანოთ და უსათუოდ დაპირდოთ შტოკმანის წერილი.

გოფსტადი. დავბეჭდავ, თუ ბურგომისტრმა წინააღმდეგობა არ გამიშვია...

ბილინგი. ეგ თუ მოხდა, ძალიან მეწყინება!

გოფსტადი. რაც უნდა იყვეს, ამ შემთხვევით მაინც შეგვიძლიან ვისარგებლოთ — თუ ვინიცობაა ბურგომოსტრი ექიმს არ დაეთანხმა, მაშინ იმის წინააღმდეგ დაბალი და საშუალო წოდება აღსდგება, მათ მესაკუთრეთა ასსოციაციაც მიემხრობა; თუ დასთანხმდა და მაშინ ხმა აბანოების აქციონერები სულ მთლიად ჩიმოეცლებიან და ვინ არ იცის, რომ ისინი თუ აძლევენ მას ძალას, თორემ სხვა არაფერი...

ბილინგი. როგორ არ ჩამოეცლებიან, როცა გაიგებენ, რომ იმოდენა ფულის ამოყავვა დასჭირდებათ კადევ...

გოფსტად. რასაკვირველია! იმის შემდეგ კი, როცა დაიშლება იმათი პარტია, ჩვენ შეგვიძლიან ხალხს ჩაგაონოთ, რომ ბურგომისტრი ამ ადგილის ღირსი არ არის და საჭიროა მთელი აღმინისტრაციის ადგილები, ე.

ი. მთლიად ქალაქის მართველობა ლიბერალური მი-
მართულების ხალხს გადაცეს თქმ.

ბილანგი. ღმერთი გამიწყრეს, თუ სრულს კეშმარიტებას არ
ამბობდეთ. დიალ, ეხლა კი ნათლადა ვხედავ, რომ
ჩვენ რევოლუციის წინა დღეს ვსცხოვრობთ! (კარგის
არაკუნებენ)

გთავსტადი. ტს! (ხმა მადლა) მობრძანდით! (შემოდის მარცხენა)
გრებადგან ექ. შტოჭმანი, გთავსტადი მიეგებება) აა, თო-
თონ ექიმიც გვეწვია! აბა რას გვეტყვით ახალს?

ექ. შტოჭმ. დაპბეჭდეთ ჩემი წერილი, გოფსტად!

გთავსტადი. მაშ მივიდა აქამდის საქმე?

ბელანგი. ვაშა, ვაშა! (ტაშს შემოჰკრავს).

ექ. შტოჭმ. გეუბნებით დაპბეჭდეთ მეტქი. რახან მიმიყვანეს
აქამდინ, იყოს ეგრე! ომი გამოცხადებულია, ბილ-
ლინგ!

ბილანგი. დიალ, ბ. ექიმო, ომი გამოცხადოთ, მაგრამ ისე-
თი კია, რომ ან სიკვდილით და ან გამარჯვებით
გავათავოთ საქმე.

ექ. შტოჭმ. ეს ჯერ დასაწყისია ომისა. მე ამ უამად თოხი თუ
ხუთი წერილის გეგმა მაქვს შედგენილი. ასლაკსენი
სად არის?

ბილანგი (სტამაში შეიხედავს და ეძნის). ასლაკსენ, ერთი წუ-
თით მობრძანდით აქა!

გთავსტადი. თოხი თუ ხუთი წერილის გეგმა მაქვს შედგენი-
ლიო? ნუთუ სუსყველი ამ საგანზეა?

ექ. შტოჭმ. არა, ჩემო მეგობარო! ისინი სულ სხვა საგანს შეე-
ხებიან, თუმცა ყოველი მათგანი კი იმ კითხვით არის
გამოწვეული.

ბილანგი. ღმერთი გამიწყრეს, თუ თქვენ სტუოდეთ! დიალ,
საქმე ბოლომდის უნდა მივიყვანოთ და ჩვენი საზო-
გადოებრივი ცხოვრების საზიზლარი შენობა საძირ-
კვლიანათ უნდა დავაქციოთ!



ასლაგესენი (სტამბილგან გაშოდის). დავაკუიოთო?.. იქნება ექიმი
მთელი აბანოების დაქცევა უნდა?

გთხოსტადი. არა, ნუ გეშინიანთ!

ეჭ. შტოგმ. ჩვენ სულ სხვა საგანზედ ვლაპარაკობდით. ჩემს
წერილზედ რასა ჰფიქრობთ, გოფსტად, ჲა?

გთხოსტადი. რას უნდა ვფიქრობდე? მე იმ აზრისა ვარ, რომ
წერილი საბუთიანია და უეჭველად უნდა დაიბეჭდოს.

ეჭ. შტოგმ. ოქვენც მაგ აზრისა ხართ? რა მოხარული ვარ,
რომ საქმე ასე მოეწყო!

გთხოსტადი. საქმე ისე ნათლად არის დასურათებული რომ, მე
მგონია მის გასაგებათ სრულიად საჭირო არ არის,
რომ კაცი სპეციალისტი იყოს. მე თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ყველა განათლებული და
ცოტათი მაინც შეგნებული კაცი ოქვენ მხარს დაიკრეს უეჭველად.

ასლაგესენი. იჩედი მაქვს, ზომიერების მოყვარულნიც დაეთან-
ხმებიან?

სიღლოანგი. ზომიერნიცა და სხვა როგორი ხალხიც გინდათ,
ერთი სიტყვით მთელი ქალაქი.

ასლაგესენი. მაშ რაღას ვიგვიანებთ, მე მგონი, შეიძლება შეუდ-
გეთ კიდეც წერილის ბეჭდვას.

ეჭ. შტოგმ. მეც მაგ აზრისა ვარ.

გთხოსტადი. ხეალინდელ ნომერში უეჭველად უნდა გამოვიდეს.

ეჭ. შტოგმ. არც ერთი დღე არ უნდა დავკარგოთ. დრო ეხლა
ძვირად უნდა გვიღირდეს. მართლა, ასლაკასნ, მე
მინდოდა თქვენთვის მეთხოვნა, იქნება თქვენ თითონ
ადევნოთ ამ წერილის აწყობას თვალი?

ასლაგესენი. დიდის სიამოქნებით!

ეჭ. შტოგმ. გაუფთხილდით, შეცდომები არ მოიყვანონ. ყო-
ველი სიტყვა ძვირფასია და მეტად საჭირო. ცოტა
ხანს უკან მეც უმოვივლი—იქნება კორრექტურა
მაინც იყვეს მზათ... ოთ, რომ იცოდეთ, რა მოუთ-



მენლად ველი იმ წუთს, როცა დაბეჭდილს დავი-
ნახავ ამ წერილს!..

ბილებინგი. როგორ მეხივით დაეცემათ თავზედ!

ექ. შტოქმ. მე კიდე ის მიხარიან, რომ ყველა გონიერ კაცს
შეძლება ექნება თითონვე დააფასოს მისი შინაგანი
ღირსება. ოთ, თქვენ არ იცით, რა ტანჯვა გამოვია-
რე დღეს. ძალითა ნებავდათ ჩემი კანონიერი უფ-
ლებების ჩამორთმევა.

ბილებინგი. როგორ თუ ჩამორთმევა?

ექ. შტოქმ. ძალით უნდოდათ შეებლალათ ჩემში ჩემი პირადი
ღირსებანი; სცდილობდნენ სინიდისზე და პატივს-
ნებაზე აეღებინებინათ ხელი. ეგონათ მე ჩემ პირად
ინტერესებს საზოგადო საქმეზედ მალლა დავაყენებდი
და ჩემ წრფელ აზრზე უარს ვიტყოდი...

ბილებინგი. ღმერთი გამიშურეს, თუ მაგის მოთმენა შეიძლე-
ბოდეს!

გრაფეტადი. იმათგან ყველას უნდა მოელოდეს კაცი.

ექ. შტოქმ. მაგრამ მე ბევრი ლაპარაკი აღარ მინდა. დღეის
იქით „სახალხო მომბის“ ყოველ ნომერში ჩემი წე-
რილი იქნება დაბეჭდილი. აი, სწორედ ამ პატივ-
ცემულ გაზეთის ფურცლებიდან ჩავანგრევ და ჩაინა-
დგურებ ყველას, რაზედაც კი მათი ძალა და მომა-
ვალია დამყარებული.

ასლაქენი. ეგ კი ეგრე, მაგრამ ისიც იფიქრეთ...

ბილებინგი. ვაშა, ვაშა! ბრძოლაა, ეხლა კი ბრძოლა გამო-
ცხადებული!

ექ. შტოქმ. მე იმათ შევარცხვენ, გაესრისავ და ყველა გონი-
ერი კაცის თვალში სამუდამოდ გავანადგურებ! დიალ,
მე მოვახერხებ ყველა ამას!

ასლაქენი. არ დაგავიშუდეთ კი, ექიმო, რომ ზომიერების
დაცვა გმართებთ, ფრთხილად უნდა იყვეთ, რომ...



ბილებინგი. არა, სრულიადაც არა! რაც შეიძლება, მეტი უნდა გიხმაროთ, რომ ძირიანად აღმოვფხვრათ მათი სისაძალე!

ექ. შტოქმ. (განაგრძობს) იმიტომ, რომ ეხლა საქმე მიღებს აღარ შეეხება მარტო. არა, ბატონები, მთელი საზოგა-დოება უნდა გაიწმინდოს და გასუფთავდეს. დეზინ-ფუქცია იმათთვის საჭირო, დეზინფუქცია!

ბილებინგი. ისმის დაფი და ნალარა! ვხედავ და ვგრძნობ სას-ტიკი ბრძოლის მოახლოვებას!

ექ. შტოქმ. ეს ძველი, მიხრწნილი მეთაურნი ყველანი გადა- ყენებულ უნდა იქმნენ! ღმერთო, რაები არ წარ- მოუდგა ჩემ გონებითი თვალს! ჯერ ცხადათ ვერა ვხედავ ყველაფერს, მაგრამ მალე გაიბნევა ბურუსი. ძმები, ჩვენ ახლა მეთაურნი უნდა ვიშოვნოთ!

ბილებინგი. ყური უგდეთ, ყური!

ექ. შტოქმ. თუ მმურად და მეგობრულად შევუდგებით საქმეს, სუყველაფერი აღვილად გაკეთდება.

გოფსტადი. მე მგონი, ეხლა კი მოვიდა დრო, რომ ქალაქის მმართველობა ლირსეულ პირებს გადავცეთ.

ასლაგსენი. და თუ ყოველ ნაბიჯზე ზომიერებას დავიცავთ, არა მგონია, რომ საშიში რამე მოგვევლოდეს.

ექ. შტოქმ. რა ჩვენი საქმეა, საშიში იქნება რამე თუ არა? ჩვენ ის კარგად გვეციდინება, რომ ყველაფერს, რა- საც კი ჩვენ გავაკეთებთ, სიმართლე და კეშმარიტე- ბა საფუძვლად ექნება და მეთაურად სინიდისი!

გოფსტადი. დიალ, ბ. ექიმო, თქვენ ისეთი კაცი ხართ, რომ ყველა პატიოსანი კაცი მოვალეა მხარი დაგიჭიროთ.

ასლაგსენი. ეჭვი არ არის ბ. ექიმი ნამდვილი მოქალაქეა და საზოგადოებისათვის კეთილის მსურველი.

ბილებინგი. მარტო საზოგადოებისა კი არა, ხალხისაც, ხალხი- საც!

ასლაგსენი. მესაკუთრეთა ასსოციაცია, მე მგონი, მალე შეითვი- სებს მაგ აზრს.

ექ. შტოგმ. (გრძნობაში მცხუდი ხელი ჩამოართმევეს) გადლო ბჟობილი
გმადლობთ, ძვირფასო და ერთგულო მეგობრებო.
რა სასიამოენოა, რომ იკოდეთ, ჩემთვის ყველა ამის
გავონება!.. ჩემმა ძვირფასმა ძმამ კი სულ სხვა სახე-
ლი მიწოდა, მაგრამ მე ერთს ათად და ოცად გადა-
ვუხდი, არაფერს შევარჩენ, ნუ გეშინიანთ!.. მე კიდევ
შემოვირდენ ცოტა ხნის შემდეგ. თუ ღმერთი გწამთ,
ასლაქენ, არ დაგვიწყდეთ, თვალი კარგად აღევნეთ,
და არას გზით არც ერთი გაკვირვებითი ნიშანი არ
გამოსტოვოთ, პირიქით, თუ გინდათ, მოუმატეთ!.
ეხლა კი მშეიღობით, ნახვამდის (თავს უკრავენ ერთმა-
ნეთს, სუვერენი კარგბამდის მაცილებენ, ექ. შტოგმანი
გადის).

გოფსტადი. დღეს ეგ ძალიან საჭირო კაცია ჩვენთვის.

ასლაქენი. კი, სანამ აბანოების კითხვას არ გადასცდება. თუ
გადატოპა კია იმის იქითო, მაშინ სწორედ დიდი
სისულელე იქნებოდა ჩვენი მხრივ, რომ მაგას აყყო-
ლოდით.

გოფსტადი. ეგ იმაზედ იქნება დამოკიდებული, თუ...

ბილლინგი. რა ლაჩარი რამა ყოფილხართ, ასლაქენ, რა და-
გემართათ?

ასლაქენი. ლაჩარიო? დიალ, ბ. ბილლინგ, როცა საქმე აღვი-
ლობრივ მთავრობას შეეხება, მართალია, მე მშიშარა
ვარ. რა ვქნა, ჩემთ ძმათ, გამოცდილებამ მიმაჩინა
სიფრთხილეს. აბა ახლა პოლიტიკაში მიყურეთ — თვით
ხელმწიფელსთანაც კი არ შევდროკები.

ბილლინგი. მჯერა და კიდეც ეგ მაკვირვებს და! ერთი მეო-
რესთვის ვერ შემითანხმებია!

ასლაქენი. მე სინიღისი მაქეს და მითი ვხელმძღვანელობ — აი,
რაშია საქმე: როცა მთავრობას ეხები და ებრძვი, იმას,
სულ ერთია, ვერაფერს დააკლებ და მეორეც ისა,
რომ ამითი საზოგადოებას ხელს არ შეუშლი. აღვი-
ლობრივ მთავრობას კი თუ შეებრძოლე, სულ სხვაა —



აქ შეიძლება შენ გაიმარჯვო და მმართველობა საუკუნეების ხალხს ჩაუგდო ხელში, რომლებიც მავნებელნი იქნებიან მესაკუთრეთათვის...

გრაფსტადი. თვითმმართველობას როგორდა უყურებთ? ასდაგსენი. კაცი როცა სხვა-და-სხვა პრაქტიკულ ინტერესებისაგან არის დამოკიდებული, მას არ შეუძლიან სუსველაფერზედ იფიქროს და ყოველ საგანზე თავისი აზრი იქონიოს.

გრაფსტადი. მაში იმედი მაქეს, მე არასოდეს არ ვიქნები პრაქტიკული ინტერესებისაგან დამოკიდებული.

ასდაგსენი (იდიმება). ჰმ!.. მაგას რადა ბრძანებთ... (განტორჭა-ზედ უჩვენებს) ერთს დროს სტენსგარდიც მაგ სკამზედ იჯდა ხოლმე, მაგრამ ეხლა კი გუბერნიის უფროსია.

ბილდინგი (გააფერთხებს). ფუ, დასწყვევლოს ღმერთშა ის უსინდისო მოლალატე!..

გრაფსტადი. მე კი რაც შემეხება, ქარის წისქვილი არც არასოდეს გყოფილვარ და არც ეხლა ვიქნები.

ასდაგსენი. პოლიტიკური მოღვაწე გადაწყვეტით ვერაფერს იტყვის, გოვსტად! რაც კი თქვენ შეგეხებათ, ბილ-ლინგ, თქვენ მაინც ხომ გმართებთ სირფოთხილე. განა ქალაქის მმართველობაში მდივნის ადგილზედ ოცნებას თავი დაანებეთ?

ბილდინგი. მე?..

გრაფსტადი. ეს რა მესმის, მართალია, ბილლინგ?

ბილდინგი. რა არის მეტე, ეგრეც რომ იყვეს?.. მე თუ მინდა მაგ ადგილის ხელში ჩაგდება, ეგ მხოლოდ იმიტომ, რომ მერმე, იმათვე ვუმტრო.

ასდაგსენი. ეგ მე არ შემეხება და თუ მე მიკიცინებ მშიშარა და ლაჩარი ხარო, ერთს ვიტყვი — ჩემი პოლიტიკური შეხედულება კველამ იცის. მე არ გამოვცვლილვარ, ეს თუა მხოლოდ, რომ ზომიერებას შევეჩიიე სუსველაფერში. ჩემი სული და გული წინანდებუ-



ლათ ხალხს ეკუთვნის, მაგრამ ამასაც არ დავმალავ—
გონება კი ადგილობრივი მმართველობის წინააღმ-
დევობას მაინც ვერა ჰქედავს (მიღის სტაშისში).

ბილაინგი. ოქვენ როგორა გვინიათ, გოფსტად, კარგი არ
იქნებოდა, რომ ასლაკსენი როგორმე თავიდან მო-
გვეშორებინა?

გოფსტადი. მერე სხვა ვინმე გეგულებათ ისეთი, რომ სტაშის
ხარჯს გვენდობოდეს?

ბილაინგი. დასწყევლოს ღმერთმა, რა ძნელია უფულოთ
საქმის გაძლილია?

გოფსტადი. (კანტორეს მიუჯდება). ეჭ, ფული რომ გვქონოდა.
ბილაინგი. მოდი ექიმს მივმართოთ, იქნება იმან როგორმე
გვიშოვნოს?

გოფსტადი (ქადაღდებს ჭიურცდავს). რა ჭკუაა მერე? საწყალს
თავისათვისაც არა იქცს-რა.

ბილაინგი. ეგეც კი მართალია, მაგრამ მდიდარი ნათესავი რომ
ჰყავს—მორტენ კალი?

გოფსტადი. (სწერავს) მერე დარწმუნებული ხართ, რომ მორ-
ტენ კალს ფული ბევრი აქვს?

ბილაინგი. ღმერთი გამიწყრეს, თუ არა! ამასთანავე მთელი
სიმდიდრის ერთი დიდი ნაწილი შრომიანის ოჯახში
გადავა. ექიმის შვილებს მაინც რამეს დაუტოვებს.

გოფსტადი (ნახვრად მიიხიას თავსა). მაშ იმედი გაქვთ, ჰა?

ბილაინგი. იმედიო? მე რის იმედი უნდა მქონდეს?

გოფსტადი. ისევ გირჩევნიათ ეგეც ისრევე დაივიწყოთ, რო-
გორც მდივნის ადგილი; გარწმუნებთ, ვერც ერთს
ვერ მიიღებთ!..

ბილაინგი. ოქვენა გვინიათ, მეკი არ ვიცი, რომ ვერ მივი-
ღებ? მე სწორედ ის მინდა, რომ უარი მითხრან.
მაგისთანა უარი კაცს გესლსა და შხამს მოპევრის და
სწორედ ეგ დაპირი დავა ხოლმე ოპპოზიციას, ეს უკა-
ნასკნელი კი ამისთანა მიყრუებულ მხარეში, საღაც
ცოტაა ისეთი ცოცხალი ინტერესები, რომ სულ



მთლად მოიცეან შენი არსება, აუცილებელ საჭიროობას
ების შეადგენს.

გოფსტადი. ლიალ, დიალ, რასაკვირველია, ეგრეა!..

ბილუინგი. თუ ეგრეა და მე მალე ვაჩვენებთ იმათ სეირს! ეხ-
ლა კი წავალ და მესაკუთრეთა ასსოციაციისთვის
პროკლამაციას შევადგენ (გადის მარცხენა თთახში).

გოფსტადი. (ზის, რაღასც ბურტეუნებს და კალაშია ჭირდნის) ავმ!..
მაშ ეგრე ყოფილა?.. (აკაგუნებენ). მობრძანდით! (შე-
მოდის პეტრა მარცხენა გარებიდან. გთქისტად წამოდ-
გება) როგორ, თქვენ აქ, რედაქტიაში ხართ?

შეტრა. მაპატიეთ თუ დაგიშალეთ...

გოფსტადი (საფარძელს მიუდგას). რასა ბრძანებთ, ბატონო,
რის დაშლაო... დაბრძანდით!..

შეტრა. არა, გმადლობთ. მე ერთი წუთით შემოვიარე მხო-
ლოდ.

გოფსტადი. უსათუოდ მამა დაგაბარებდათ რასმეს?

შეტრა. არა, მე ჩემი საკუთარი საქმე მაქვს. (პალტრის ჭიბი-
დან წიგნს ამთავრებს) აი, ის ინგლისური წიგნი, გადა-
სათარგმნათ, რომ მომეცით.

გოფსტადი. მერე რაღათ მიბრუნებთ?

შეტრა. იმიტომ, რომ მე არ შემიძლიან მაგის გადათარგმნა.

გოფსტადი. დაპირებული რომ იყავით?

შეტრა. დავირდით, მაგრამ მაშინ ჯერ არ ვიცოდი ამის
შინაარსი. უსათუოდ არც თქვენ გექნებათ წაკით-
ხული?

გოფსტადი. მე საიდან მექნება წაკითხული, როცა ინგლისუ-
რიც არ ვიცი...

შეტრა. აი, კიდევ ეგ არის. მე იმისთვის შემოვიარე სწორედ,
რომ სხვა წიგნის გადათარგმნა მერჩია თქვენთვის (წიგნს
მაგიდაზე დასდებს), ეს კი „სახილხო მოამბეჭი“ არ
დაიბეჭდება.

გოფსტადი. რათა მითომ, რატომ არ დაიბეჭდება?

შეტრა. იმიტომ რომ ეს მოთხოვბა სრულიად ეწინააღმდევად გება თქვენ შეხედულობებს და იდეებს.

გოფსტადი. ომ, მაგას კი რაც შეეხება...

შეტრა. თქვენ ვერ გაიგეთ უსათუოდ, რას გეუბნებით... აქ, ამ მოთხოვბაში, რაღაც ფანტასტიურ მთავრობაზე არის ლაპარაკი, რომელიც კეთილ-სინდისიერ ხალხს უსათუოდ და ყოველთვის აჯილდოვებს, აბედნიერებს და ცუდებს კი სჯის...

გოფსტადი. კარგი და მშვენიერი! მაგისთანა აზრები ბრძოს ძალიან მოსწონს.

შეტრა. მერე რა, რომ მოსწონს? თქვენთვის ხომ ერთი სიტყვაც არ არის აქ სარწმუნო? თქვენ ხომ მშვენიერად იცით, რომ ცხოვრებაში სულ სხვა ნაირად არის ხოლმე საქმე მოწყობილი?

გოფსტადი. მართალის ბრძანებთ, მაგრამ რედაქტორს ყოველთვის არ შეუძლიან ისე მოიქცეს, როგორც თითონ უნდა. წვრილმან კითხვებში ის მუდამ მკითხველ საზოგადოებას უნდა ადევნებდეს თვალსა და იმათ გემოვნებაზე უნდა სწერდეს. ამას გარდა სუსელიანერში და მით უმეტესად გაზეთის გამოცემაშიაც, რასაკვირველია, პოლიტიკა საჭირო; თუ მინდა მე, რომ საზოგადოება პროგრესისა და თავისუფლების გზაზედ გავიყვანო, კი არ უნდა ვაფრთხობდე! — უელეტონში რამე მორალურ ზღაპარს მივაწვდი, ამ გვარად ნდობას მოვიპოვებ და მოწინავე წერილში გამოთქმულ აზრებს შეუმინევლად ჩავუნერგავ გულსა და თავში. ამას დიდი გამოცდილება უნდა, თქვენ რა იცით!

შეტრა. კარგით, გეყოფათ ხუმრობა. თქვენ ხომ ისეთი უსინიღისო კაცი არა ხართ, რომ მახებს უდგამდეთ საზოგადოებას. ობობა ხომ არა ხართ, რომ ქსელს აგებდეთ!



გოფსტადი (დიმილით). გმაღლობთ კაი აზრისთვის. რომ გამოფინული
ტყდე, ეს აზრი უფრო ბილლინგს ეკუთნოდა, ვიდ-
რე მე.

შეტრა. ბილლინგსა?

გოფსტადი. დიალ. ამას მაინც ვიტყვი, რომ ამას წინათ ასე
ლაპარაკობდა. მაგ მოთხრობის დაბეჭდვაც იმან მირ-
ჩია; თორემ მე რა ვიცოდი თუ ეგ წიგნი არსებობ-
და ქვეყნიერობაზე.

შეტრა. ბილლინგი, თვისი მოწინავე აზრებით...

გოფსტადი. ჰმ!.. ბილლინგი მრავალ მხროვანი კაცია. მე მით-
ხრეს, ქალაქის მმართველობაში უნდა შესვლაო.

შეტრა. მაგას კი ვერ დაგიჯერებთ, გოფსტად. ბილლინგი
მანდამდის ვერ დაიმდაბლებდა თავსა.

გოფსტადი. თუ არა გჯერათ, თითონ ბილლინგს დაეკითხეთ.

შეტრა. ბილლინგისაგან კი მაგას, სწორედ გითხრათ, არ
მოველოდი.

გოფსტადი (დაცქერდება). ჰოო? მაშ ეს იმბავი მოულოდნელი
იყო თქვენთვის, ჰა?

შეტრა. რასაკვირველია! მაგრამ... ვინ იცის? — არა, არ
ვიცი...

გოფსტადი. ეჭ, მართალი რომ ვსოქვათ, ჩვენ, უურნალისტები
ბეჭრად კი არა ვლირვართ.

შეტრა. არა ხუმრობთ?

გოფსტადი. ხანდახან მაინც მგონია ასე.

შეტრა. ჰო, შესაძლებელია. როცა ყოველდღიურ წვრილ-
მან საქმეებილან ვერ დაგიხტვიათ თავი; მაგრამ ეხლა
კი, როცა თქვენ ასეთი დიალი საქმე გიდვიათ თავზედ.

გოფსტადი. თქვენ მამაოქვენის საქმეზედ ბრძანებთ?..

შეტრა. დიალ, იმაზედ მოგახსენებთ... მე მგონია თქვენ, ეხლა
დიდს ნეტარებას უნდა ჰერნინბეჭეთ და ბრბოზედ
მაღლა უნდა აყენებდეთ თქვენ თავს.

გოფსტადი. არა სუდებით, დღეს სწორედ ეგრე ვგრძნობ თავსა.

შეტრა. აკი გითხარით! ოჭ, რა საუცხოვო ასპარეზი გაქვთ
ამორჩეული! ყოველი ახალი აზრის და იდეის პიო-
ნერი იყო საზოგადოებაში! დაჩაგრულს და სუსტს
უშიშრად ამოუდეგ მხარში და მასთან ერთად მოწი-
ნავე განათლებული კაცისა.. მძიმე უღელი, გას-
წიო.. ღმერთო, ღმერთო, რა ბედნიერებაა!

გრაფსტადი. მით უმეტესად, როცა ის კაცი... ჰმ... არ ვიცი
როგორ გამოისთვევა...

შეტრა. როცა ის კაცი მართალი და პატიოსანია, არა?
გრაფსტადი (ხმას დაიმდაბუქებს). ნამტნავად მაშინ, როცა ის
კაცი მამა თქვენისთანა მშვენიერის არსებისა...

შეტრა (გაჭვირვებული). როგორ?

გრაფსტადი. ჰო, პეტრა...

შეტრა. მაშ ეგ უფრო მნიშვნელოვანი ყოფილა თქვენთვის
ვიდრე თითონ საქმე, სიმართლე და მამიჩემის დია-
ლი, პატიოსანი გული?

გრაფსტადი. რასაკიორველია, ეგეცა, მაგრამ...

შეტრა. კმარა! წამოგცდათ რაცა ბრძანებულხართ. მე დღეის
იქით ველარც გენდობით და ვერც რამეს დაგი-
ჯერებთ.

გრაფსტადი. ნუ თუ საწყენად მიგაჩნიათ ის, რომ მე თქვენი
გულისთვისი?..

შეტრა. მე იმაზედ გკიცხავთ, ბ. გრაფსტად, რომ მამაჩემს
თურმე უპატიოსნოდ ატყუილებდით. თქვენი ლაპა-
რაკი საზოგადო ინტერესების და სარგებლობის მო-
ტანის შესახებ მარტო თვალთმაქცობა ყოფილა.
თქვენ ის კაცი თურმე არა ყოფილხართ, როგორიც
გვეჩვენებოდით და ამას კი არასოდეს არ გაპატიებთ,
არასოდეს!

გრაფსტადი. თქვენ, ქალბატონო, ნუ დაივიწყებთ, რომ ეგრე
შკვაზედ ლაპარაკი ჯერ საზოგადოთ არ შეგზვენით
და მით უმეტესად ეპლა...

შეტრა. ეგ რალა ამბავია? ვითომ რათაო?



გოფსტადი. იმიტომ, რომ მამათქვენი უჩემოდ ვერაფერს გვაძლევა, კეთებს და, მაშასადამე, მე საჭირო ვყოფილვარ იმის-
თვის.

შეტრა. (უურებს ზაზდით). მაშ ეგრეა საქმე? გრცხვენოდეთ,
გრცხვენოდეთ!..

გოფსტადი. არა, არა,—ვსტუკი; ეს ყველაფერი ისე მოულოდ-
ნელად მოხდა!.. ცუდს ნუ იფიქრებთ ჩემზედ...

შეტრა. ეხლა კი ვიცი, რაც უნდა ვითიქრო თქვენზედ. ქშვი-
ლობით!

(ასლაგსენი აჩქარებული შემთდის სტამბიდან, ეტუთბა,
რიდაცის თქმა ეჩქარება)

ასლაგსენი. ღასწყვევლის ღმერთმა! (შეტრას დაინახავს) უჰ, უკაც-
რავად!..

შეტრა. აი, თქვენი წიგნი. სხვას ვისმეს გადაეცით გადასა-
თარგმნად (გასავალ კარებისაგენ შიდის).

გოფსტადი (მისდევს). ერთი სიტყვაც...

შეტრა. მშვიდობით! (გადის)

ასლაგსენი. გამიგონეთ, რა ვქნა?

გოფსტადი. რა იყო, რა მოხდა?

ასლაგსენი. ბურგომისტრი აქ არის, სტამბაში...

გოფსტადი. ბურგომისტრი?

ასლაგსენი. ჰო, თქვენთან მოლაპარაკება უნდა; სტამბის უკანა
კარებილან შემოვიდა, არ უნდა, რომ ვინმემ შენიშ-
ნოს, გესმით?

გოფსტადი. ეს რალას უნდა ნიშნავდეს? მოიცადეთ, მე
თითონ წავალ (მივა სტამბასთან, კარებს გაადებს, თავს
დაუკრაგს და იწვევს) თქვენ თვალი ადევნეთ, ასლაგ-
სენ, რომ ვინმემ...

ასლაგსენი. ვიცი, ვიცი!.. (მიღის სტამბაში).

ბურგ. არ მელოდით განა, ბ. გოფსტად?

გოფსტად. მართალსა ბრძანებთ, მე სრულიად არ მოგელო-
დით...

ბურგ. (მიიხედ-მოიხედავს). რა მშვენივრადა გაქვთ აქაური რობა მოწყობილი.

გოფსტადი. რასა ბრძანებთ?..

ბურგ. მე არ კი დაგეკითხეთ ისე შემოველი და ახლა კიდევ ძვირფასს დროს გართმევთ.

გოფსტადი. რასა ბრძანებთ. მე ყოველთვის მზათა ვარ, რითაც კი შემიძლიან, გემსახუროთ. მიბოძეთ თუ შეიძლება, (ქუდისა და ჭოხს გამოართმევს და იქვე სქაშზედ დასდებს) დაბრძანდით!

ბურგ. (მაგიდასთან ჯდება) გმადლობთ! (გოფსტადიც ჯდება მაგიდასთან) დღეს დღიდი უსიამოვნება მქონდა...

გოფსტადი. მართლა? მაგრამ არც საკეთოველია, —თქვენ იმო-დენა საქმეები გაწევთ ზურგზე, რომ...

ბურგ. არა, დღეს საქმეებს არ შეუწუხებივართ. ჩვენმა უქიმ. მა გამომიყენა მოთმინებილან.

გოფსტადი. ჰომ? შტოქმანმა?

ბურგ. რა ვიცი, რაღაც ფანტაზია მოსცლია — აბანოებს გადა-კეთება უნდაო და ამის შესახებ წერილიც დაუწერია მმართველობაში წარსაღვენად.

გოფსტადი მართლა?

ბურგ. განა თქვენთვის ჯერ არაფერი უთქვაშს? მე კი მე-გონა, თქვენ უკვე იცით-მეთქი ეს საქმე...

გოფსტადი. მაგონდება... რაღასაც მელაპარაკებოდა, მაგრამ მე ყური არ ვათხოვე, სწორედ გითხრათ.

სსლაქსენი (სტამბიდინ). გოფსტად, მომეცით ის რაღაც ხელთ-ნაწერია...

გოფსტადი (ნაწერი). ჰმ!.. იქ არის, კანტორკაზეც.

სსლაქსენი (ეძებს). აჲა, გიპოვნე.

ბურგ. აგერ ის წერილი, რომელზედაც ეხლა გელაპარა კებოდით.

სსლაქსენი. დიალ, ბ. ბურგამისტრო, ეს წერილი ექიმისა გახ-ლივთ.

გოფსტადი. მაგ წერილზე მელაპარაკებოდით ეხლა?



ბურგ. რასაკვირველია, მაგაზე. რა აზრისა ხართ მაგ საგანძველოდა. ჯერ ერთი, მე სპეციალისტი არ გახლავართ და მეორეც ისა, რომ, სწორედ გითხრათ, არც კი წამიკითხავს—ისე გადავალე მხოლოდ თვალი.

ბურგ. არ წაგიკითხავთ და ბეჭდავთ კია?

გოფსტადი. მაშ უარს ხომ ვერ ვეტყული ისეთს ცნობილს პირს, როგორც თქვენი...

ასლაგსენი. მე კი რაც შეძეხება, ბ. ბურგი., მე ხომ არაფერსა ვწერ გაზეთში.

ბურგ. რასაკვირველია, ეგ ვიცი.

ასლაგსენი. მე ვბეჭდავ მხოლოდ იმას, რასაც გადმომცემენ.

ბურგ. ეგ ცხადია.

ასლაგსენი. ამიტომ მე მოვალე ვარ .. (სტამბისკენ მიდის).

ბურგ. მოითმინეთ ერთი წუთი. თუ ნებას მიბოძებთ, ბ. გოფსტად...

გოფსტადი. თუ ღმერთი გწამთ!.. რა ბოლიშები გინდათ, ბატონი!

ბურგ. თქვენ, ბ. ასლაგსენ, გონიერი კაცი ხართ...
ასლაგსენი. დიღს მაღლობას მოგახსენებთ კაი აზრისთვის.

ბურგ. და გავლენანიცა, რასაკვირველია.

ასლაგსენი. ნამეტნავათ დაბალ წოდებაში.

ბურგ. ჩვენშიაც, როგორც ყველგან, ხარჯს უფრო დაბალი წოდების ხალხი იხდის, რაღაც ისინი უმეტესობას შეაღენენ ხოლმე.

ასლაგსენი. დიღი, მართალსა ბრძანებით.

ბურგ. ეპვი არა მაქეს, მათი აზრი და შეხედულობა ამ საგნის შესახებ თქვენ უფრო კარგათ გეცოდინებათ, ვიდრე სხვას.

ასლაგსენი. ვიცი, ბატონი, მაგაზედ უარს ვერ ვიტყვი.

ბურგ. თუ ჩვენ ლარიბ მოქალაქეებს მართლა სურთ და შეუძლიანთ კიდევც მაგოდენი მსხვერპლის მოტანა...

ასლაგსენი. რაზედა ბრძანებით?

გოფსტადი. მსხვერპლის მოტანაო?



ბურგ ეს ჩვენთვისაც დიდად სასიხარულო და სასიამოვნო ამბავი იქნება. გაგიტყდებით, მე არ კი მოველლოდი იმათვან ამ გვარ პატიოსნურ ვაკეაცობას. რასაკვირ-გელია, თქვენ უფრო კარგათ უნდა იცოდეთ უმე-ტესობის აზრი.

ასლაგსენი. ცოდნით კი ვიცი, მაგრამ...

ბურგ. ის მსხვერპლი კი, რომლის მოტანაც ქალაქს დას-ჭირდება, მე წინდაშინვე გეტყვით, პატარა არ იქმნება.

გოფსტადი. როგორ თუ ქალაქს?

ასლაგსენი. მე არ მესმის... აბანოებით ხომ...

ბურგ. დახლოვებული ხარჯ აღრიცხვით იმის გაკეთებას, რასაც ექიმი გვირჩევს, სულ ცოტა, ცოტა ორასი ათასი ტალერი დასჭირდება.

ასლაგსენი. თანხა კი დიდია, მაგრამ...

ბურგ. ლაპარაკი არ უნდა, ქალაქს ამ ფულის აღება ვალად დასჭირდება.

გოფსტადი. როგორ, თქვენა გვონით, რომ ქალაქმა უნდა?..

ასლაგსენი (წამოდგება). ნუთუ ლარიბ მოქალაქეთა ჯიბილან უნდა შესდგეს ეს თანხა?

ბურგ. მაშ საიდან უნდა იშოვნოს, ძვირფასო ასლაქსენ, ქალაქმა ამოდენა ფული?

ასლაგსენი. ეგ აქციონერების საქმეა...

ბურგ. აქციონერებს გამოულეველი კი არა აქვთ ფული, იმათ მეტი ხარჯის გაწევა აღარ შეუძლიანთ.

ასლაგსენი. თქვენ დარწმუნებული ხართ მაგაში, ბ. ბურგ-მის-ტრო?

ბურგ. სრულიად. ამიტომ, თუ ვინცობაა, ქალაქმა წყლის მილების შეკეთება მოისურვა, ხარჯი თითონ უნდა აიღოს თავის თავზედ.

ასლაგსენი. დასწყევლოს ღმერთმა!.. უკაცრავათ, ბ. გოფსტად, და ეს სრულიადა სცვლის საქმის ვითარებას და სულ სხვა ხასიათს აძლევს.

გოფსტადი. რასაკვირველია!..

ბურგ. ყველაზედ ცუდი კი ის იქნება, რომ აბანოების დაუქ-
მება დაგვჭირდება ორის წლით.

გოფსტადი. როგორ თუ დაუქმება?

ასლაგსენი. ორის წლითა?

ბურგ. იქნება ვერც კი მოვასწროთ ორ წელიწადში ყვე-
ლაფრის შეკეთება და!

ასლაგსენი. ეგ შეუძლებელია, ბ. ბურგ. ქალაქის მესაკუთრე-
ებმა რილათი უნდა ვიცხოვროთ ამ ორის წლის
განმავლობაში?

ბურგ. ძნელი სათქმელია, ასლაკის, მაგრამ რას იზამ? ნუ
თუ თქვენა გვონიათ, რომ ერთი ავადმყოფი მაინც
გაიკავნებს აქა, თუ ხმა დავარდა, რომ ჩვენი წყა-
ლი მოწამლულ მოშხამულია და კაცს არა თუ არა
რგებს, პირიქით, სწყენს კიდევა და ათასნაირ ავად-
მყოფობას უჩენსო?

ასლაგსენი. თქვენ წელანა ბრძანებდით წყლის მოშხამვა ექიმის
ფანტაზია მხოლოდო, ჰა?

ბურგ. სამწუხაროთ, მე სხვა დასკვნას ვერ დავადევი.

ასლაგსენი. თუ ეგრეა, ექიმ შტოკმანის მხრივ ეს კარგი საქ-
ციელი ვერ არის, უკაცრავათ კი თქვენთან, ბურგო-
მისტრო!

ბურგ. არ შეიძლება არ გავტყდე და არა ვსთქვა, რომ
თქვენ ბ. ასლაკის, სრულს ჭეშმარიტებას ბრძანებთ.
საუბედუროთ ჩემი ძმა ბავშვობიდანვე ეგრეთი დაუ-
ყენებელი იყო.

ასლაგსენი (გოფსტადი). თქვენ კი ამისთანა კაცს მხარს უჭირ-
დით და მეც კინაღამ მაცდინეთ.

გოფსტადი. მე საიდან ვიცოდი, თუ?...

ბურგ. მე პატარა წერილი დავწერე, რომლითაც მინდა სა-
ზოგადოებას საქმის ნამდვილი ვითარება ვაუწყო; ამ
წერილში მე გაკვრით ვეხები იმასაც, რომ თუ ვინი-
ცობაა რამენაკლულევანება გამოჩნდა, მმართველობა

ეცდება დროზედ შეასწოროს-მეთქი, რასაკვირველი და გადასაცემის მიზანის მიზანი.

გოფსტად. ეგ წერილი თანა გაქვთ, ბ. ბურგომისტრო?

ბურგ. (ჯიბეში ეძებს). დიალ, თან წამოვიდე...

ასლაგსენი (აჩქარებული). აა, იგერ თითონაც მობრძანდება.

ბურგ. ვინ? ჩემი ძმა?

გოფსტად. აბა სად არის?

ასლაგსენი. იგერ საცაა სტამპაში შემოვა.

ბურგ. რა ვქნა?.. არ მინდა, აქა მნახოს და თქვენთან კი მოსალაპარაკებელი მაქვს.

გოფსტადი (უჩენებს მარჯვნივ კარებზედ). მაში ცოტა ხნით იმ ოთაში მიბრძანდით.

ბურგ. მერე—როგორ?

გოფსტად. არა უშავს-რა, იქ მარტო ბილლინგია, სხვა არა-ვინ.

ასლაგსენი. ჩქარა, თორემ საცაა შემოვა.

ბურგ. კარგი, კარგი. თუ ღმერთი გწამთ, ჩქარა კი მოიშორეთ თავიდან (გადის მარჯვნივ კარებში, რომელსაც ასლაგსენი გაუდებს და მერე მიხურავს).

გოფსტადი. ასლაკენ, თქვენ ისე აჩვენეთ თავი, ვითომ ძალიანა ხროთ საქმეში გართული (თითონ დაჭდება და სწერავს, ასლაგსენი სკამზედ გაზეთებს არჩევს).

ექ. შტოგმ. (სტამბიდან შემოდი) აპა, კიდევ შემოვიარე. (მაგიდაზე ქვედს და ჭრეს დასდებს).

გოფსტადი (წერს განაგრძობს). ეგრე რა მოგაჩქარებდათ, ექიმი?

ასლაკენ, უჩქარეთ, თუ ღმერდი გწამთ, ხომ იცით, ის საქმე, მე რომ გითხარით, რა საჩქაროა. დღეს ერთი წუთიც არ უნდა დავკარგოთ.

ექ. შტოგმ (ასლაგსენს). კორრექტურა ხომ ჯერ მზათ არ არის?

ასლაგსენი (არ უურებს). არა ჯერა. ეგრე ჩქარი ვის გაუგონია.

ექ. შტოგმ. რასაკვირველია, მაგრამ თქვენ, მე მგონი, უნდა გესმოდეთ, რა მოუთმენლად ველი ჩემი წერილის

დაბეჭდვის. სანამ იმას დაბრჭდილს არა ვნახავ, ერთს
წუთსაც ვეღარ მოვისცენებ.

გთხსტადი. ჰმ... ლოდინი კი ღილი დაგჭირდებათ. არა, ას-
ლაქენ?

ასლაქსენი. მეც ეგრე მგონია.

ექ. შტოჭმ. კარგით, გარგით, ჩემო მეგობრებო; მე ერთს
კიდევ შემოვივლი, თუ დასჭირდა, ორჯელ, სამჯე-
რაც არ დავიზარებ. როდესაც მთელი ქილაქის და
საზოგადოების საკეთილდღეოთ იღწვი, ზარმაცობა
ალარ გეპატიება. (წასვლას დააპირებს, მაგრამ რადაც
მთავრდება, განერდება და მერე დაბრუნდ ბა) მართლია,
მე ერთს საგანზე მინღოლა კიდევ მომელაპარაკნა.

გთხსტადი. უკაცრავათ კი და არ შეიძლება შემდეგისათვის
გადავსდოთ?

ექ. შტოჭმ. სულ ორის სიტყვით გეტუვით ყველაფერს, ორის
სიტყვით. აი, საქმე რაშია: ხვალ რომ წიკითხავენ
ამ ამბავს ვაზეთში და გაიგებენ, რომ მთელი ზამ-
თარი ქალაქის ერთგულ სამსახურში გამიტარებია...

გთხსტადი. ჰო, მაგრამ.

ექ. შტოჭმ. ვიცი, ვიცი რის თქმაც გინდათ. თქვენ ის გინ-
დათ სთქვათ, რომ მე მხოლოდ ჩემი მოვალეობა
შევასრულე. რასაკვირველია, ეგ მეც ისე კარგად
ვიცი, როგორც თქვენა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ
მოქალაქებს ისე ძალიან უყვარვართ, რომ...

ასლაქსენი. დიაღ, ბ. ექიმო, დღევანდლამდის ძალიან მიღე-
ბული იყავით ქალაქში.

ექ. შტოჭმ. აი, კიდეც მაგისი მეშინიან... როცა ღარიბნი
ყველაფერს გაიგებენ მეთქი და როცა მმართველობა-
საც ჩაიგდებენ ხელში...

გთხსტადი. (წამოდგება) ჰმ!.. ბ. ექიმო, არ დაგიმალავთ, რომ...

ექ. შტოჭმ. აა! მე წინდაწინვე ვიცოდი, რომ უსათუოდ
რამეს დაპირებდნენ! მაგრამ, გთხოვთ, ნურც კი გა-
მაგონებთ, თუ რამეს აპირებენ...

გთვალისწინები. ესე იგი რასა?

ქ. შტოკმ. რა ვიცი, პროცესის, ან სადილის გამართვას ან რამე საჩუქრის მორთმევას, — ერთი სიტყვით, რაც უნდა იყვეს მომეცით სიტყვა, რომ თქვენ ყოველ ამისთანა დაწყებას ხელს შეუშლით, აგრეთვე თქვენა, ასლაქენ, გესმით?

გთვალისწინები. უკაცრავად ბ. ექიმო, მე მგონია, ისევ ეჯობინება მართალი გითხრათ.

(შარტხენა ჭარებიდან გამოდის ქ. შტოკმანისა, შლია-
 შია და ჰავდტოთი).

ქ. შტოკმ. (ექიმის რჩე დაინისხეს) განა არა იმ საათში მივხვდი, რომ აქ უნდა ყოფილიყავ.

გთვალისწინები. (ძიებებება) ქალბ. შტოკმანისას...

ქ. შტოკმ. უჰ, ეს კი მეტის-მეტია, — აბა, რა გინდა აქ, კატო? გთვალისწინები. ხომ არ დაბრძანდებით? ან იქნება?...

ქ. შტოკმ. გმადლობთ, ნუ სწუხართ. ნურც გამკიცხავთ, რომ ქმარს აქაც კი მოვყევი, — ხომ იცით, სამი შვილის პატრონი ვარ.

ქ. შტოკმ. ეს რაღა სისულელეა! ეგ ყველამ კარგად ვიცით, დედაკაცო. მაგას რაღა ლაპარაკი უნდა?

ქ. შტოკმ. რა ვიცი, მე კი ვერ გატყობ მაგ ცოდნასა და! შენ რომ ეგ კარგად გცოდნოდა, ჩვენს გაუბედუ-
 რებას ეგრე ადვილად ვერ გადასწყვეტავდი.

ქ. შტოკმ. შენ მგონი ჭეუაზედ შემცდარხარ, კატერინა! ნუ თუ შენა გგონია, რომ ცოლშვილიან კაცს ნება არა აქვს გულ ახლილიად აღვიაროს სიმართლე და თავისს სამშობლო ქვეყნის სასაჩვებლოთ და სადლეგრძე-
 ლოდ იღვწოდეს!

ქ. შტოკმ. ჰო, მაგრამ ზომიერებას უნდა იცვავდე, ტომას... ასლაგენი. ი, მეც სწორედ მაგას ვამბობ ხოლმე: ზომიერე-
 ბა და ზომიერება ყველაფერში!

ქ. შტოკმ. ამიტომ არ შეგფერით თქვენ, ბ. გოფსტიდ, რომ ცოლისა და შვილზედ ხელს აღებინებთ და რაღაც საქმეებში ითრევთ.

გოფეტადი. მე ვითრევ თქვენს ქმარსა?

ექ. შტოკმ. ვისა? მე, მე მითრევენ სხვანი? მაშ კარგათ ვერ გუნიბებივარ, კატერინა! ნუ თუ შენა გვინისა, რომ მე ვისმეს ნებას მივცემ ჩემთვის არა სასურველ საქმე-ში ჩამითრიონ?

ქ. შტოკმ. დიალ. შენ მიეცი კიდეც მაგის ნება. მე ვიცი, ტომას, რომ შენ აქ, ამ ქალაქში ყველაზედ ჭკვიანი კაცი ხარ! მაგრამ ისიც კარგათ ვიცი რომ შენი მოტყუილება ადვილია. (მიჭმართავს გოფეტადს) აბა, კარგათ ჩაუკვირდით—ის წერილი რომ დაპეტეჭდოთ, ტომასი ხომ თავისს ადგილს დაპკარგავს?

ასლაქენი. მართლა?

გოფეტადი. მართლა, ექიმო და...

ექ. შტოკმ. (იცინის) ხა, ხა, ხა! აბა ერთი სცადონ! არა, ჩემო კარგო, სანამ ჩემ დათხოვნას გაპატედავდნენ, ჯერ კიდევ ბევრჯერ დაპტიქტდებიან. ის ხომ იცი, რომ უმეტე-სობას ჩემი მხარე უჭირავს?

ქ. შტოკმ. კიდეც ეგ არის სავალიალო და სატიროლი, რომ იმ რაღაც შეერთებულ უმეტესობას გადაპკიდებიხარ.

ექ. შტოკმ. ე, გეყოფა, კატერინა, წალი შინა და შენ საქმეს მოუარე, მე კი თავი მომანებე, რომ თავისუფლად ვიმუშავო საზოგადო ასპარეზზედ. შენ ეგრე ძრიელ რად გეშინიან, როცა მე ესეთ დამშეციდებულს და ბელიერსა მხედავ? (სეჭების ფშვნელით დაიწუებს ოთახში სიარულს) საცაა მოვა დრო, დაპკრიავს ისეთი წუ-თი, როცა გამარჯვება სიმართლეს და ხალხს დარ-ჩებათ, ამის თავდებათ მე დაგიდგებით. დიალ, დღეს მე ნათლადა გხედავ დემოკრატიის გამარჯვებას და მის სიხარულს!.. (სკამთან გაჩერდება) ეს რა ამბავია?

ასლაქენი (თვალს ადგენებდა). ლმერთო ჩემო!..

გოფეტადი. (ერთს დროს) ჰმ!

ექ. შტოკმ. ეს ხომ აღმინისტრაციის თავია! (ფრთხილად თითის წევებით აღდებს ბურგომისტრის ქუდს)

ქ. შტოკმ. ბურგომისტრის ქუდი!..

ექ. შტოქმ. აი, ოფიციალური კვართიც! ყველა ეს აქ როგორ გაჩნდა, რომ არ მესმის?

გთხოსტად. მოითმინეთ, მე სუსველაფერს გეტივით.

ექ. შტოქმ. აა, მივხვდი, მივხვდი, თქვენი ჭიუის სასწავლებლად მოვიდა განა? ხა, ხა, ხა! კაი დროს მოსულა! და როცა მე სტამბაში დამინახა (ხალხარებს)... ლიარ-სავით გაიქცა, ჰა? არა, ასლაკეცნ?

ასდაჭსენი (აჩქარებელი). ჰო, ჰო—თქვენ რო დაგინახათ, გაი ქცა.

ექ. შტოქმ. აჩქარებულს ჯოხი და ქუდი აქ დაავიწყდა... არა, ეგ შეუძლებელია! პეტრეს არასოდეს არ დაუტოვებია თავისს შემდეგ ნიშნები. მაშ სად უნდა გყავდეთ? რასაკვირველია, იქ უნდა იყვეს. აი, ეხლავე გაჩვენებ, კატერინა!

ქ. შტოქმ. ტომას, გვვეღრები!..

ასდაჭსენი. ფრთხილად, ექიმო...
(ექიმი ბურგომისტრის ქუდს დაიხურავს და ხელში იმის ჭახით მივა კარგითან, თრთავე ნასევარს გააღებს და ჩესტს გაუჭირებს. ბურგომისტრი ბრაზისაგან გაწითლებ ბური გამოვა. უკან ბიჭლინგი მოსდევს);

ბურგ. ეს რაღა სისულელეა!

ექ. შტოქმ. პატივი და ადგილი ეხლა მე მეკუთვნის, ძეირფასო პეტრე! პირველ ძალის ქალაქში ეხლა მე შევადგენ, მე! (გაბაინძუდი დაიწევებს თაახში სიარულს).

ქ. შტოქმ. (თოთქმის ტირილით) ტომას!..

ექ. შტოქმ. (ისევ ისე, როგორც წინათ) თუ შენ პოლიცმეისტერი ხარ, მე ბურგომისტრი ვარ. გეუბნები, მე ვარ მეთქი მბრძანებელი!

ბურგ. მომეცი მეთქი ეხლავე ქუდი! ნუ დაივიწყებ, რომ ეგ ქუდი ოფიციალურია და კანონის ძალით...

ექ. შტოქმ. ეგ სულ ერთია. იქნება შენა გგონია, ახლად გამოვიმებულს ხალხს შენი ოფიციალური ქუდი შეა-შინებს და შეაკრთობს? მაშ, იცოდე, —ხვალ სუსველაფერი შეიცვლება. შენ მემუქრებოდი ადგილიდან



დაგითხოვო და ეხლა მე გითხოვ შენ ყველა შეგებრი
თანამდებობიდან. შენა გვინია, არ შემიძლიან?
სცდები! ჩემს მხარეს მოელი საზოგადოებაა. გოფსტადი
და ბილლინგი „სახალხო მოამბის“ ფურცლებიდან
ისეთ სასტიკ ომს გამოგიცხადებენ, რომ თმა ყალყზედ
გიდგებოდეს. ასლაკენი მესაკუთრეთა ასსოციაციას
ჩაუდება სთავეში და ისიც შენა და შენ პარტიას
შეგებრძოლებათ...

ასლაკენი. მე ვეღარ ვიკისრებ მაგ საქმეს, ბ. ექიმო.

ექ. შტოჭმ. როგორ? ნუ თუ თქვენ...

ბურგ. რა გიშავს, გოფსტადი ხომ მაინც შენ მხარეს იქნება.

გოფსტადი. რასა ბრძანებთ, ბ ბურგომისტრო?

ასლაკენი. გოფსტადი იმოდენად სულელი არ არის, რომ ექი-
მის რაღაც ფანტაზიების გულისათვის თავისს თავიც
დაპლუპოს და გაზეთიცა.

ექ. შტოჭმ. (აქეთ იქათ იუურებ) რას ნიშავს ყველა ეს?

გოფსტადი. თქვენ შემცდარი ხართ, ბ. ექიმო, და ამიტომ მე
მხარს ვეღარ დაგიჭერთ.

ბილლინგი. იმის შემდეგ, რაც ბ. ბურგომისტრმა ინება და
ამისხნა საქმის ვითარება, აღარც მე შემიძლიან...

ექ. შტოჭმ. შემცდარიო? თქვენ რა გინდათ მერე? პასუხს მე
ვაგებ, მე! თქვენ ოლონც ჩემი წერილი დაპლეჭდეთ
და ყოველ სიტყვის დავამტკიცებ.

გოფსტადი. თქვენ წერილს ვერ დაპლეჭდავ, ექიმო, მე არ შემი-
ძლიან, არ მინდა და ვერც ვავპედავ იმის დაპლეჭდეს.

ექ. შტოჭმ. თქვენ ვერ გაპლედავთ? რა სისულელეა, გოფსტად,
თქვენ რედაქტორი ხართ და ხომ რედაქტორი აძ-
ლევს გაზეთს მიმართულებას!

ასლაკენი. სცდებით, ბატონო, რედაქტორი კი არა, მკითხვე-
ლი საზოგადოება აძლევს გაზეთს მიმართულებას.

ბილლინგი. დიალ საბედნიეროთ, ეგრეა სწორედ!

ასლაკენი. საზოგადო აზრი, ინტელიგენტნი, მესაკუთრენი
და სხვანი—აი, ვინ აძლევენ გაზეთს მიმართულებას.

ექ. შტოკმ. (თავ დაწერილი) მერე ყველა ეგენი ჩემ წინააღმ-
დებ არიან?

ასლაქესენი. ეპვს გარეშეა. თქვენი წერილის დაბეჭდვა და მოე-
ლი ქალაქის გალატაკება ერთი იქნებოდა.

ექ. შტოკმ. ჰორ? მაშ გადაწყვეტილია ეგა?

ბურგ. აქ მომე ქუდი და ჯოხი!

(ექიმი მოისიდა ქუდისა და ჭირობის ერთად მაგიდაზე
დასდებს. ბურგომისტრი ერთსაც და შეორესაც აიღებს).

ბურგ. როგორც ჰერდავ, შენი როლი მალე გათავდა.

ექ. შტოკმ. ენახოთ (გოფსტატს) მაშ ეგრე, ჩემი წერილი „სა-
ხალხო მოამბეში“ არ დაიბეჭდება?

გოფსტატი. არასგზით. არ დაიბეჭდება კიდევ იმიტომ, რომ
თქვენი ოჯახიც მებრალება.

ქად. შტოკმ. გეველრებით, ბ. გოფსტატ, ოჯახზედ ნუ შეს-
წუხდებით.

ბურგ. (ამიდებს ჭიბიდან თავისს წერილს) ყველაფერს ამ წე-
რილიდგან გაიგებს საზოგადოება; ფაქტები ის იქ
არიან სიმართლით გადაცემულნი. მიირთვით!

გოფსტატი. (ხელთნაწერს გამოითმუშევ). თქვენი წერილი, რასა-
კვირველია, დაიბეჭდება.

ექ. შტოკმ. მე კი უარს მეუბნებით, ჰა? თქვენ გგონიათ შესძ-
ლებთ მაგითი სიმართლის დაღრიჩაბას და გათახსირებას?
არა, ეგ ეგრე აღვილი არ არის! ბ ასლაქესნ, ცალ
კე ბროშურათ დაპერავდეთ ჩემი წერილი, მე ჩემის
ხარჯით გამოვცემ. ოთხასი, ექვსასი ეგზემპლიარი
დამიბეჭდეთ.

ასლაქესენი. აარა! იმ ექვსასი ცალის წონა ოქროც რომ მო-
მცეთ, მაშინაც კი ვერ დაგიბეჭდავთ. მე საზოგადო
აზრის წინააღმდეგ წასვლას ვერ გავბედავ და არც
თუ სხვა ვინშე დაგიბეჭდავთ.

ექ. შტოკმ. მაშ დამიბრუნეთ ჩემი წერილი!

გოფსტატი (ხელთნაწერს მიაწოდებს). მიირთვით!

ექ. შტოკმ. (ქუდისა და ჭირის აიღებს) სულ ერთია, საზოგადო-
ება მაინც მიაღწევს თავისს მიზანს. ხალხი მაინც გა-



იგებს რაც აქ სწერია. ყრილობას გავაკეთებთ და მიზნის დომას დაგნიშნავ და იქ წავიკითხავ.

ბურგ. არც ერთი საზოგადოებთ და არც კერძო პირი სახლს არ გათხოვებს მაგ მიზნისთვის.

ასლაგესენი. გიური ვინ იქნება, ვინ დაუთმობს?

ბილადინგი. ღმერთი გამიშურეს, თუ ვინმეტ დაუთმოს!

ქ. შტოჭმ. ეს ხომ საზიზლრობაა! რავქნა, ტომას, ყველანი შენ წინააღმდეგ ადა არიან?

ექ. შტოჭმ. (გაშმაგებული) რადა? მე გეტუვი რადაცა! იმიტომ რომ ამ დაწყევლილ ქალაქში ყოველი ვაჟკაცი შენ-სავით ბებერ დიაცად გადაქცეულა—ისინი თავიანთ თავზედ და ოჯაზედ უფრო მეტსა ჰფიქრობენ, ვიდრე საზოგადოებაზედ და მის კეთილდღეობაზედ, ამ რადა!

ქ. შტოჭმ. (ხელს დაუჭქნს) მაშ მე დაუუმტკიცებ მაგათ, რომ ხშირად დიაცსაც შესძლებია ვაჟკაცობა. წამო, ტომას, მე დაგიჭერ მხარსა!

ექ. შტოჭმ. ეგ კარგადა სთქვი, კატერინა, მედა ჩემმა ღმერთმა. გეფიცები, სიმარჯვებს. თუ სახლს არ დამითობენ, დოლის კვრით ჩავივლი მთელ ქუჩებს და ყველგან. საკა სამი თუ ოთხი კაცი შეიკრიბება, ყველგან წავიკითხავ ჩემს წერილს.

ბურგ. იმედი მაქვს, ჯერ სრულიად არ შეშლილხარ ჭკუაზედ.

ქქ. შტოჭმ. დიალ, მე ვიზამ მაგას, ვიზამ.

ასლაგესენი. დარწმუნებული იყავით, რომ ერთი კაციც კი არ გამოგყვებათ.

ბილადინგი. ღმერთი გამიშურეს, თუ ვინმე გაპყვეს!

ქ. შტოჭმ. ნუ შედრები, ტომას, ჩვენ ბავშვებსაც თან გამოგატან.

ექ. შტოჭმ. აი მშვენიერი აზრი!

ქ. შტოჭმ. მარტენი სიხარულით გამოგყვება. ეილიფიც, რა-საკეირველია.



ქ. შტოკმ. პეტრაც უარს არ იტყვის; შენტა განა, კატერინა! ქ. შტოკმ. არა, ჩემი ადგილი იქ არ იქნება; მე შინ დავრჩები და ფანჯრიდან თვალს გადევნებ.

ქ. შტოკმ. (ეხვევა და ჭილადის) გმაღლობ, გმაღლობ, ჩემო კატერინა! მოწყალეო ხელმწიფენო, ეხლა კი მზათა ვარ საბრძოლველად. ეხლა დავინახავთ და გავიგებთ უკელანი ადამიანის სილაშრეს და უსინიდისობას მართ-ლა შესძლებია ნამდვილი პატრიოტის ჩამომავა. ჩამომავა მება იმ პატრიოტის, რომელსაც განუზრახავს საზოგა-დოების განუშენდა და გასპერაკება!

(ექიმი თავისი ცოდვით გადამ მარცხენა გარებში).

ბურგ. (ეჭვით თავს იქნევს) ეხლა კი ცოლიც გადარია!

o. პოლუმორდვინიავი

(შემდეგი იქნება)



„ს ა გ ნ ი“*)

მ. გორგისა.

თარგმნილი ივ. პოლუმორდვინოვის მიერ

მაგრამ აგერ ილიას ცხოვრებაშიაც რაღაც არა ჩვეულებრივი და მოუსვენარი გამოჩნდა. გაბრიკოს და თითქმის ყოველ დღეზე შემოღიოდა ღუქანში. ყოველთვის რილათიც გატაცებული, მუდამ მზრუნავი, როცა ილიას ესალმებოდა, ხელს მაგრა მოუკერდა და რამდენიმე სიტყვის შემდეგ გაჭრებოდა და თითქმის ყოველთვის ილიას გონებაში რაღაც ახალ ფიქრს და აზრებს სტოვებდა. ერთხელ დაეკითხა ქალი:

— თქვენ ვაჭრობა ძალიან მოგწონთ?

— არც ისე ძლიერ,—მხრების შეშმუშვნით მიუგო ლუნევმა,—მაგრამ რას იზამ, ხომ რამეთი უნდა იცხოვროს ადამიანმა...

ქალმა ყურადღებით გადახედა და სახე თითქოს უფრო დაუგრძელდა.

— რამეს უნდა ადგეს ადამიანი...—იგივე აზრი სხვა სიტყვებით გაიმეორა ილიამ და მწარედ ამოიოხრა.

— მერე, თქვენ არ გიცდიათ რაიმე შრომით ცხოვრება?—დაეკითხა ქალი.

— როგორა ბრძანეთ?

*.) იხ. „მოამბე“ მე-5 №-რი.

— თქვენ არასოდეს არ გიმუშავნიათ, არ გიშრომნიათ, მეფქი?

— ყოველთვის. მთელი ჩემი ცხოვრება. აგრე ვვაჭრობ...—
მიუგო მიუხველრელად ლუნევმა.

ქალმა გაიღიმა,—და ამ ლიმილში რაღაც საწყენი გამო-
იხატა ილიასთვის.

— თქვენა გგონიათ—ვაჭრობა შრომაა? მაშ მათ შორის
განსხვავებას ვერა ჰქედავთ, ჰა?—დაეკითხა აჩქარებით ქალი.

— არ მესმის! მაშ რად ვიღლები თუ შრომა არ არის?

მოსაუბრის სახესა და ოვალებს რომ უკვირდებოდა, ცხადათა
ჰქედავდა ლუნევი, რომ გაბრიკოს და არა ხუმრობდა.

— არა—განაგრძო მოწყალე ლიმილით ქალმა.—შრომის
იმას ეძახიან, როცა აღამიანი თავისი ძალ-ღონის დახარჯვით
რამე საგანს აჩნის, ჰქმის... როდესაც.. სკამებს, მაგიდებს, ან
რამე ქსოვილებს აკეთებს, გესმით?

ლუნევმა ხმა ამოუღებლივ დაუქნია თავი და გაწითლდა:
მას რცხვენდა და ვერ გამოტეხილიყო, რომ ქალის ლაპარა-
კი არ ესმოდა.

— ვაჭრობა რა შრომა? ის არაფერს აძლევს ხალხს!—
სთქვა რწმენით ქალმა და ცნობის მოყვარეობით ჩაატერდა
ილიას სახეში.

— რასაკვირველია,—ფრთხილად დაიწყო ლუნევა,—თქვენ
მართალსა ბრძანებთ... ვაჭრობა ძნელი შრომა არ არის... მით
უმეტესად იმისთვის, ვინც დაჩვეულია... მაგრამ ვაჭრობაც იძ-
ლევა... მოგებას რომ არ იძლეოდეს, ხომ არც არავინ ივაჭ-
რებდა?!

ქალი გაჩუმდა, მიბრუნდა და მას გამოელაპარაკა; ცოტა
ხნის შემდეგ თავი დაუკრა ილიას და წავიდა. ეხლა მას სიხ
ისეთივე სასტიკი და ამაყი ჰქონდა, როგორც უწინ, მაშოს გაც-
ნობამდის. ილია ჩაჰუქრდა: რაიმე მოუფიქრებელი სიტყვით
ხომ არ ვაწყეინეო? მან ყოველი სიტყვა, ყოველი თავისი
მიხერა მოხვრა მოიგონა, მაგრამ საწყენი ვერსად ვერაფერი
დაინახა. მერე ქალის სიტყვებსაც დაუკვირდა, მაგრამ რასაც

შეტს უფიქრდებოდა, ქალის საქციელი და სიტყვები უზროვან შეტს ყურადღებას იზიდავდნენ თვისკენ. ნეტა რა განსხვავდებას პხედას ვაჭრობასა და შრომას შორის? — მეონი, მეათედ ეკითხებოდა ილია თავისს თვის.

ქალი თითქმის მთლიად დაგპატრონა ვაჟის აზრ-გონების, შხოლოდ ერთი ვერ გაეგო და ვერ აესხნა ილიას: რათა აქვს გაბრიკოს დას ასეთი სასტიკი და ამაყი სახე, როცა არამც თუ ხალხის შეგრძალება იცის, შველის და დახმარების სურვილიცა აქვს და უნარიცამ? პავლე ქალიანთსა ხშირად დაირებოდა და ყოველთვის გატაცებით აქებდა იმასაც და იმათ ოჯახის წესსა და რიგსაც.

— მიხედვა... იმ საათში: აა, გამარჯობათ! სადილსა სჭამენ — დაჯექ და მიირთვი, ჩინსა სვამენ — დაჯექ დალიო! ხალხია, რომ სული! სტუმარი, სტუმარი, ღმერთო, რომ გამოულეველი! სიმხიარულე, სიცილ-ხარხარი, სიმღერა... ლაპარაკობენ რაღაც წიგნების და გაზეთების შესახებ... წიგნები ხომ, ნულარ მეტყველები! სავსეა მაგიდები თუ თახჩები. სივიწროე, მაგრამ სიმხიარულე გამოულეველი. ყველანი განათლებულნი... ერთი ვექილია, მეორე საცაა ექიმი გახდება, გრძნაზიელები და სხვა. სულ დაგაფიტყდება ვინა ხარ, შენც იმათი ტოლი გგონია შენი თავი, იცინი, თუთუნს ეწევი... კარგი ხალხია, მე და ჩემმა ღმერთმა! მხიარული და კკვითნი...

— მე კი ერთხელ არ დაგპატიუებს და... — სთქვა დალვრუმილიად ლუნეებმა. — ამპარტავანი...

— ისა? — შეჰკივლა პავლემ. — მე შენ გეუბნები, იმისთანა გულ-ჩილის და თავ დაბალ ადამიანს სხვას ველარსად შეცვდები! რას იცდი, რომ დაგპატიუონ? წადი პირდაპირ... მიხვალ და გათავდება! იმათი სახლი როგორც სამიკიტნო ისეა, — ღმერთმნი! თავისუფლება... მე გეკიოხები — აბა მე რა ვარ იმათთან შედარებით? მაგრამ ორი შეხვედრის შემდეგ — გავშინაურდი კიდეც... ოჟ, რა კარგია! ხმაურობა, ღრიანცელი... სიტყვების სხაპა-სხუპი. მხიარულიად სკეოვრებენ, მხიარულიად ...

— მაშო რაღას სჩაღის? — დაეკითხა ილია.

— არაფერს.. ცოტა გული მოიოხა... ზის და იღიმება. სწამლობენ... რძეს ასმევენ... ხრენოვს მოხვდება... ვექილი ემუქრება — ცუდ დღეს დავაყენებო... გამომძიებელთან დაპ-ყავთ... ვერკასაც რაღასაც უპირებენ... საქმის დაჩქარება უნ-დათ... არა, კი ხალხია, მე და ჩემმა ღმერთმა!.. სახლი პა-ტარა და ხალხი, როგორც ბუხარში შელაგებული შეშა — ბევ-რი და ცეცხლ წაჟიდებული...

— თითონ? — აცივდებოდა ლუნევი.

ქალზე პავლე ისევე ლაპარაკობდა, როგორც ბავშვობაში იმ ტუსაღებზე მოუთხრობდა ხოლმე ილიას, რომლებმაც წერა-კითხვა ასწავლეს საპყრობილები — ძალას დაიტანდა და მოკლე წინადადებით აუწყებდა:

— ისა, ჩემმა ძმაო, ოპ, ოპ, პო! ტყუილად კი არ სწავ-ლობს! ყველას მზრდანებელია, თუ ვინმემ ისე არა სთქვა, რო-გორც უნდა, ის ოპ!... გააფთრდება, როგორც კატა...

— ეგ ვიცი... — მიუგო ილიამ და ჩაიცინა.

ილიას შურდა პავლეს ბედნიერება: იმასაც უნდოდა გაბ-რიკოონთსა მისევლა, მაგრამ თავ — მოყვარეობა ნებას არ აძ-ლევდა, რომ დაუპატიუებლივ მოსულიყო.

სანამ კი დახლს უჯდა და ჯიუტად ჰეთიქრობდა:

— ხალხი ბევრია, მაგრამ ყველა სცდილობს თავისი მოძ-მით როგორმე ისარგებლოს. უსარგებლოდ და უაზროდ არა-ზონ არაფერს აკეთებს... იმას რაღა სარგებლობა უნდა ჰქონ-დეს მაშინაა ან ვერსაგან... თითონ ღარიბ-ღატაკი. მგონი, პუ-რის ნაჭრებსა სთვლიან, როცა სჭამენ... მაშინადამე, ძალიან გულკეთილი ყოფილა... მე კი ესე მებყრობა... რითი ვარ მე პავლეზედ ნაკლები, ან უვარებისი?

ამ ფიქრებმა ისე მოცუვეს ილიას აზრი და გონება, რომ ყველაფერზედ გული აიცრუა. მის ბნელ ცხოვრებაში რაღაც იღუმალი ნაპრალი გამოჩნდა, რომელშიაც ილია უფრო ჰერიძნობ-და ვიდრე ჰედავდა ისეთ რაღაცის, რასაც ჯერ არსად შე-ხვედროდა ცხოვრებაში.

— ჩემო კარგო, — დარიგების კილოთი ეუბნებოდა ტა-
ტიანა ცლისოფენა, — ზონარი საყიდელი გვაქვს, შევი ძაფიც გა-
მოგველია, ორმოცდა მეტთ ნომერი... ერთი ფირმის წარმო-
მადგენელი იყო გუშინ ჩემთან, სადაფის ლილებსა ჰყიდის...
მე აქეთ გამოვამგზავრე, ხომ არ მოსულა?

— არავინ ყოფილა, — მოკლეთ მოუჭრა სიტუაცია ლუნევშა.
ტატიანა იმას არამცუ აღარ მოსწონდა, სხაგდა კიდეც. იღიას
ეჭვი ჰქონდა, ტატიანამ ახლად დანიშნული ბოქაული კორსა-
კოვი გაიხადა ქხლა საყვარლადათ. რაც დრო და ემი გადიო-
და, ტატიანაუფრო იშვიათად ჰქვდებოდა ლუნევს და თუმცა
შეხვედრის დროს უწინდებურად ალერსიანად და მხიარულად
ექცეუდა, მაინც ილია ამ კანტი-კუნტათ შეხვედრასაც ერი-
დებოდა. ტატიანა გულცივობას ატყობდა თავისს მეგობარს,
მაგრამ არა სჯავრობდა და ახალ ცვლილების ყურადღების
ლირსადაც არა სთვლიდა. ილიას არც ეს მოსწონდა და გულში
ლიანძლავდა საყვარელს.

— საძაგელი, როსკიპი...

ტატიანა უფრო საზიზრად შაშინ ეჩვენებოდა ხოლმე
იღიას, როცა საანგარიშოდ მოვიდოდა მაღაზიაში. შემომჟყოფ-
და თუ არა თავს მაღაზიაში, ბზრიალისავით დატრიალდებო-
და, შეხტებოდა თახჩებზედ, ხან ერთ კოლოფს ჩამოიდებ-
და და გასინჯავდა, ხან მეორეს; იქაურობას ააფორიაქებდა,
აამტკერებდა, მტვრისგან ცხვირის ცემა აუტყდებოდა და გაბ-
რიკოს ებუზლუნებოდა.

— მაღაზიაში მოსამსახურე ბიჭი მარდი და მიხვედრილი
უნდა იყვეს! იმიტომ კი არ აქმევენ პურსა, რომ მაღაზიის კა-
რებზედ იჯდეს და ცხვირს იქექავდეს. ქალბატონი როცა ელა-
პარაკება, გულმოდგინედ და პატივის ცემით უნდა უგლებდეს
ყურსა, კი არ უნდა გამოყენებდეს...

მაგრამ გაბრიკოს თავისი ხასიათი ჰქონდა. როცა ქალბა-
ტონი ბუზლუნს მოჰყვებოდა, ის დინჯად და გულგრილად
ბრძანდებოდა და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე
კოლოფის ან სხვა საქონლის ჩამოსაღებად ქალბატონი სულ



მაღლა თახჩის შეეპოტინებოდა და კაბას მაღლა აიწევდა, გაბრიელი რიკო ეშმაკურის ლიმილით ბატონს გადაჰედავდა და თვალს ჩაუქნევდა ხოლმე. თუ გამოელიაპარაკებოდა არც კილოს და არც სიტყვებს პატივისცემა და მოკრძალება არ ეტყობოდათ. წავიდოდა თუ არა ქალბატონი, გაბრიკო ეტყოდა ხოლმე ლუნებს:

— განფრინდა კაჭკაჭი...

— როგორ იქნება ქალბატონზედ ეგრეთი ლაპარაკი? — ეტყოდა ხოლმე დარიგებით ლუნევი და სცდილობდა არ გაეღიმა.

— რის ქალბატონია მერე? — დაეკითხებოდა გაბრიკო. — მოვა, იკავანებს, იკავანებს და წავა... ბატონიცა და პატრონიც თქვენა ხართ.

— ისიც ბატონია... — ცივად ეტყოდა ხოლმე ლუნევი.

— ბატონი კი არა, კაჭკაჭია... — არა სცხრებოდა გაბრიკო.

— თქვენ არც არიგებთ და აღარც უჯავრდებით ბიჭა, — უსაყველურებდა ხოლმე ილიას ტატიანა, — და საზოგადოთ... უნდა მოგდისენოთ, კარგათ ვეღარ მიდის ჩვენი ვაჭრობა... საქმეს აღარც სიყვარული, აღარც გატაცება ეტყობა...

ლუნევი ხმა-გაქმენდილი ყურს უგდებდა და, ზიზლითა და სიმძულვარით სავსე, ჰიფიქრობდა გულში.

„ნერა ფეხი მიინც მოიტეხო, შე წყეულო, ან იღრძო რამე, ემანდ რომ დაძვრები“...

ილიამ ბიძისაგან წერილი მიიღო და გაიგო, რომ ტერენ ტი კიევში ყოფილიყო სალოცავად, სერგეის ლავრაშიც შეეცლო და ცოტა გაშედა სოლოვეკიშიც კინაღამ თურმე თავი ამოჰყო, მაგრამ ვალაამის მონასტერში მისულიყო და ეხლა სახლისკენ თურმე მოემგზავრებოდა.

„აი, ერთი სიამოვნება კიდევ, — გაიფიქრა ილიამ: — ის უსათუოდ ჩემთან მოინდომებს ცხოვრებას“...

ამ წერილმა ძალიან დააფიქრა ილია — როგორ მოვახერხო, რომ ბიძამ ცალკე იცხოვროსო. მაგრამ დიდი ხანი ვეღარ

მოიცალა საფიქრელად, რადგან ჯერ იყო და მუშტრები ეწვივ-ნენ და მერე გაბრიკოს დაც შემოვიდა. ქალი დაღლილ-დაქან-ცული და სუნთქვა შეკრული შემოვიდა და მიესალმა თუ არა ილიას, დაეკითხა.

— იქ,—მეორე ოთახზედ ანიშნა თავით,—წყალი ხომ არ არის?

— ამ წუთსვე მოგართმევთ!—უთხრა ილიამ.

— არა, მე თითონ...

ქალი შევიდა ოთახში და აღარ გამოვიდა; ლუნევმა, მც-შტარი რომ გაისტუმრა, თითონაც ოთახისკენ გასწია. სოფია ნიკონოვნა „ცხოვრების საფეხურების“ წინ გაჩერებულიყო და სურათს სინჯავდა. ილია რომ შევიდა, ქალმა თავი მოაბრუნა, თვალებით სურათზედ ანიშნა და სთქვა:

— რა სისაძგლეა და უგვანობა!..

ლუნევს შერცხვა და გაწითლდა.

— ბრრ!—რა მდაბალი და უგვანი გემოვნებაა!—ზიზლით გაიმეორა ქალმა და სანამ ილია რამეს ეტყოდა, წავიდა კიდეც...

ქალმა რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ შემოირა, ძმას საცვლები მოუტანა და უსაყველურა—მალე სვრი და ტანზედ იგლეჯავო.

— ჰო, კარგი, კარგი,—ურჩად მიუგო გაბომ,—დაიწყო... ისედაც ქალბატონისაგან არა მაქვს მოსვენება, ეხლა შენ-ლა მაკლიხარ სწორედ!

— რა, ძალიან გიერობს?—დაეკითხა ილიას ქალი.

— რამდენიც შეუძლიან გიერობს...—მიუგო ლუნევმა.

— მე ძალიან კვითიანი გახლივიარ,—გამოემცნაურა ბავ შეი.

— ცოტა ენა აქვს გრძელი,—უთხრა ილიამ.

— გესმის?—დაეკითხა ქალი გაბრიკოს და შუბლის კოპები შეიკრა.

— ჰო, მესმის, რა იყო მერე?—მიახალა გაბრაზებულმა გაბომ.

— ემაგას რა უშევს...—ტკბილის ხმით განაგრძო ილიამ.

— ეგ კარგიც არის, რომ პასუხის მიცემა შეუძლიან. სხვასა სცე-

მენ და ის მაინც გატრუნულია... კუბომდის მიიყვანენ უსი-
ტყვო არსებას...

ქალი ყურს უგდებდა და სახეზედ სიამოვნება ეტყობოდა.
ილიამ ეს კარგათ შეამჩნია.

— რა უნდა მეკითხნა თქვენთვის,—დაიწყო ილიამ და
სირცვილით გაწითლდა.

— რა?

ქალი მიუჟახლოვდა, რამდენათაც კი შეეძლო, და თვალებ-
ში ჩაატერდა. ქალის თვალების გასწორებას ილიამ ვეღარ
გაუძლო, თავი დაბლა დაჭხარა და განაგრძო:

— როგორც მიგხვდი, თქვენ ვაჭრები არ უნდა გიყვარ-
დეთ?

— მართალია...

— რისთვის?

— იმიტომ, რომ ვაჭრები სხვისი შრომით სარგებლობენ.
— მკაფიოდ წარმოსთქვა ქალმა.

ილიამ მაღლა ასწია თავი და შუბლი გაისხნა. ეს სიტყვე-
ბი არამც თუ აკვირვებდნენ, შეურაცხებასაც აყენებდნენ. ქა-
ლმა კი ისე უბრალოთ და აშკარად გამოხატა თავისი აზრი.

— ევ... მართალი არ გახლავთ,—ცოტა ხნის სიჩუმის შემ-
დეგ, ხმა — მაღლა წარმოსთქვა ლუნევმა.

ეხლა ქალის სახე შეიცვალა და გაწითლდა.

— რა გილირთ თქვენ აის ზონარი? — სასტიკათ დაეკითხა
ქალი.

— ზონარი? აისა?.. ჩვიდმეტი კაპიკი.

— თქვენ როგორ და ჰყიდით?

— აბაზათ...

— ჰო და... ის სამი კაპიკი, რომელსაც თქვენ იღებთ,
თქვენ კი არა, იმას ეკუთვნის, ვინც გააკეთა, გესმით?

— არა! — გულ-ახლით გამოუტყდა ლუნევი.

აქ კი რაღაც მტრულმა გრძნობამ გაუჩინინა ქალს გულ-
ში და თვალებშიაც გამოეხატა. ილიამ ცხადათ შეამჩნია ეს



ცვლილება და, ცოტა არ იყოს, შეეშინდა, მაგრამ იმ წუთს ვე
შეუტია თავისს თავს.

— მე მგონია, თქვენ ეგრე ადვილად ვერ გაიგებთ ამის-
თანა ლიტონ სიმართლეს და უბრალო აზრებს, — უთხრა ქალ-
მა და დახლს ჩამოშორდა. — აი, მაგალითად... წარმოიდგინეთ
იქვენი თავი მუშათ, ყველაფერს თქვენ აკეთებთ...

ხელის გაქნევით ქალმა მაღაზიის მთელი საქონელი აჩვე-
ნა და მოუყვა იმის ამბავს, თუ უბრალო მუშის შრომა ყვე-
ლის როგორ ამდიდრებს, მუშისვე გარდა. ჯერ ჩვეულებრივ
სასტიკათ, მკაფიოდ ლაპარაკობდა და მისი ულამაზო სახე არ
იცვლებოდა, მაგრამ შემდევ კი წარბები შეერჩნენ, სახე მოე-
ლუშა, ცხვირის ნესტოები და ეგრძელებოდა და თავაწეული, გრძემ-
ლისავით არტყამდა ილიას მაგარს და სიმართლის რწმენით გა-
ულენთილ სიტყვებს.

— ვაკარი მუშასა და მყიდველს შორის გაჩირულა...
თითონ არაფერს აკეთებს და საქონელს კი აძვირებს... ვაჭ-
რობა დაკანონებული ქურდობაა...

ილია თავს შეურაცხყოფილად ჰერმობდა, მაგრამ სიტყვა
ვერ ეპოვნა შესაბრუნებლად, თუმცა პირში მუქთახორისა და
ქურდს ეძახოდნენ. ის კრიჭა მოჰქონდილი ყურს უგდებდა ქალის
ლაპარაკს, არც სჯეროდა და არც თუ შეეძლო მათი დაჯერე-
ბა. ილია გატაცებული ეძებდა იმისთანა სიტყვას, რომელიც
უცბათ დაარღვევდა და დაამსხვრევდა ქალის აზრებს, მაგრამ
იმავე დროს სიამოვნებით შეჰყურებდა ქალის კაღნიერებას...
საწყენი სიტყვები თან აკვირებდნენ და თან მოუსვენარ და
მშფოთვარ კითხვას ულვიძებდნენ — რისთვის?

— ეგ ყველაფერი... ეგრე არ გახლავთ! — შეაწყვეტინა
ილიამ მაღალის ხმით, რადგან იგრძნო, რომ მეტის მოთმენა
ალარ შეეძლო. — არა, მე ვერ დაგეთანხმებით!

ილიას გულში ბრაზი და სიმკაცრე უბობოქრებდნენ და
სახე წითელი ლაქებით ავსებოდა.

— არ მეთანხმებით და აბა რას იტყვით ჩემს წინააღმ-
დეგ? — დინჯათ დაეკითხა ქალი, ჩამოჯდა სკამზედ, გადმოი-

წიგ გრძელი და სქელი ნაწნავი და ხელში თამაშობა დაუწყო.

ლუნევი ხან ერთ მხარეს მიბრუნდებოდა, ხან მეორეს, რომ ქალის მტრულ სახეს არ შენვეღროდა.

— ვიტყვი მაშ! — ვეღარ დაიჭირა თავი და შეპყვირა ლუნევია. — მე მთელის ჩემის ცხოვრებით წინ აღვუღები თქვენს სიტყვებს! იქნება მე დიდი ცოდვაც ჩავიდინე სანამ, ამას მივაღწევდი...

— ეგ უფრო ცუდი თქვენთვის... მაგრამ მაგას მოწინააღმდეგეს აზრის დარღვევა როდი ჰქვიან... — თითქოს ცივი წყალი შეასხეს სახეშიო, მკაფიოდ და დაუნდობლად მიახოლა ქალმა. ილია წაიკუზა, დახლს დაეყრდნო, თითქოს გადახტომას აპირებსო და შეურაცხოფილი, ქალის სიმშვიდით გაკვირვებული, რამდენსამე წუთს ხმი ამოუღებლივ შეპყურებდა ქალს. ნიკანოვნას დაუნდობელი თვალები, უძრავი და რწმენით სახსე სახე არცხვენდნენ და თან აყუჩებდნენ ილიას. ის რაღასაც ჰქედავდა ქალში, რაღაც კაჯავით მაგარს, შეუდრეველს და სათქმელი სიტყვა პირზედ ეყინებოდა.

— მერე, რატო არაფერს იტყვით? — დინჯათ აგულისებდა ქალი. ცოტა ხნის შემდეგ ქალმა გაიცინა და გამარჯვებულის კილოთი დაუმატა:

— ვერაფერსაც ვერ იტყვით ჩემს წინააღმდეგ, იმიტომ რომ მე ჰქეშმარიტებას მოგახსენებთ!

— ვერაფერს? — ყრუდ დაეკითხა ლუნევი.

— დიალ, ვერაფერს! აბა, რის თქმა შეგიძლიანთ? აქ ისევ გაიღიმა ქალმა.

მშვიდობითო დაუმატა, კვლავინდელზედ უფრო მაღლა ასწია თავი და გავიდა.

— ეგ ფუჭი აზრები გახლავთ! — მიაძახა მიმავალ ქალს ლუნევმა, მაგრამ ქალმა არც კი მოხედა.

თითქოს მუხლთ ჩაეკეცაო, ილია უცბად ჩაჯდა სკამზედ, გაბრიკო კარებში გახიდულიყო და, როგორც ეტყობოდა, კმა-



ყოფილი უნდა ყოფილიყო დის ქცევით, რაღაც იძასაც დამსჭავალი გამარჯვებული და სასტიკი სახე ჰქონდა.

— რას იყურები? — დაუყვირა გაბრაზებულმა ლუნევმა, როცა შენიშნა, რომ ბავშვის ცქერა ბრაზსა ჰგვრიდა და მოთმინებას ულევდა.

— არაფერს! — მიუგო ბიჭმა.

— პო და ჯან! .. — მუქარის კილოთი წაიბუტბუტა ლუნევმა და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა:

— წადი... ისეირნე სადმე!

ილიას მარტოდ დარჩიმა უნდოდა. მაგრამ მარტოობამაც ველარ უშველა, რაღაც ვერ იქნა და აზრი ვერ მოიკრიფა. ილია ქალის სიტყვებს არც კი უკვირდებოდა, რაღაც დაუკვირვებლადაც საწყენნი და შეურაცხმყოფელნი იყვნენ მის-თვის. დახლზე დაყრდნობილი ილია გულ~ ამღვრეული ჰყიქ-რობდა:

— რისთვის გამლანძლა? .. რა დაუშავე? .. კეთილს კი ვეძახდი... მოვიდა, გამომშუშპრა და წავიდა... ყოვლად უსა-მართლოდ და უმიზეზოთ... არც კი მკითხა რამე... განათლე-ბული... აბა, ერთი კიდევ მობრძანდი! ისეთს პასუხს მოგარ-თმევ, რომ...

ილია ემუქრებოდა კი, მაგრამ მაინც დანაშაულს ეძებდა თავისს საქციელში თუ სიტყვა-პასუხში. აქ პავლეს სიტყვები მოაგონდა ქალის ქუცისა და უბრალო ხასიათის შესახებ.

— იგრ პაშვას არ აწყინებს ხოლმე... — გაითიქრა, ას-წია თავი და სარკეში ჩაიხედა. ის ისე ჩააშტერდა თავისს სახეს, თითქოს რაღასაც ეკითხება და ციფ შუშისაგან პასუხს მოელისო. ახლათ ათქორებული შავი უღვაშები ზედა ტუჩედ უთამაშებდნენ, დიდრონი თვალები მოქანცულად გამოიყრე-ბოდნენ და ლოყის თავები დასწიოთლებოდა. მაგრამ ეხლაც კი მისი შეწუხებული და მიღებულ შეურაცხმყისაგან მოღუშუ-ლი, მაგრამ მაინც ლამაზი და სათნოიანი სახე, ბევრით უფრო უკეთესი იყო პავლეს გამხდარ და ჩაყვითლებულ სახეზედ.



— ნუ თუ პაშეკა გრაჩქვი მოსწონს და მე კი არა? — გაიც
ლო გულში ილიამ. მაგრამ იმ წუთსვე თითონვე მისცა თავისს
თავს პასუხი:

— მერე რაში ეკნაჭება იმას ჩემი სახე! ნეფე ვარ, თუ
რა?.. ის ან ექიმს მისთხოვდება... ან ვექილს... ან მოხელეს...
აბა, საჩვენკბილო რომ არ არის, ეს ხომ ცხადია!..

აქ მწარეთ გაიღიმა და კვლავ დაეკითხა თავისს თავს:

— მაშ პაშეკა რად დაჭყავს თავიანთსა? მე რად მამცირებს
და მათასსირებს? ვაჭარი და ქურდი სულ ერთიაო... არა
შრომობსო... ჰმ! თურმე მე სხვის ოფლითა და შრომით ვსკოვე-
რობ! მაშ ვინ არჭვია აქ, ერთს ადგილის, დილიდან საღამოშ
დის განუწყვეტლივ?

ეხლა, მარტოკა რომ დარჩა ილია, საპასუხო სიტყვაც ბევრი
იპოვნა და თავისს ცხოვრების გასამართლებელი საბუთებიც ბევ-
რი მოაგონდა, მაგრამ, სამწუხაროთ, ქალი აქ არ იყო და ეს
სიტყვები და საბუთები უფრო უმღვრევდნენ გულსა და სულს
და მოსვენებას აღარ აძლევდნენ. ილია გავიდა მეორე ოთახში,
ერთი ჭიქა წყალი დალია და მიიხედ მოიხედა. დაბალ და ვიწ-
რო ოთახში, თითქოს რაღაც ჯანყი სდგასო, ბნელოდა და ფან-
ჯრის რკინის მოაჯირი ხომ სულსა და გულს უხუთავდა ადა-
მიანს. უცბათ კედელზე მიკრული სურათის ღია ფერმა მიიპყ-
რო ილიას უურადღება. მაღაზიის კარებში გაჩერებული შეკ-
ურებდა ფრთხილად გაზომილ და გასაზღვრულ „საფეხურებს“
და ჰეიქრობდა:

— სიცრუეა... განა ესრე ცხოვრობენ?

დიდნანს უყურა ილიამ სურათს და თვისი ცხოვრებაც
ამავე საზომით ზმონა.

— განა ასრეა? — იმეორებდა გულში ილია, და უცბათ
დასძინა უიმედოთ:

— ესრეც რომ იყვეს — ისიც მოსწყინდებოდა ადამიანს...
სუფთა, მაგრამ უსიცოცხლო, მხიარულებასა და სიამოვნებას
მოკლებული ცხოვრება...



ილია დინჯის ნაბიჯით მიუახლოვდა კედელს, ჩამოვა-
ლიჯა სურათი, მაღაზიაში გაიტანა, დახლზე გაშალა და ხელახ-
ლად ჩაუკვირდა ლია ფერებით დახატულ ცხოველების, მაგრამ
ეხლა კი დაცინვით სინჯავდა. სურათს დაჰყურებდა, მაგრამ
მაინც გაბრიკოს დაზედ ჰფიქრობდა.

„თითქო იცის, რომ მოხუცი დავალრჩე... არ უყვარვარ,—
რეები მომახალია!..“

აზრები მძიმეთ და დინჯათ უტრიილებდნენ თავში და
სურათის ცეკვით თვალები აუქრიალდა. მაშინ უცბათ წელში
გაიშალა, სურათი დასჭმუქნა და დახლს ქვეშ შეიგდო; მაგრამ
დასჭმუქვნილი ქალალდი ისევ გამოვირდა და ფეხ-ქვეშ გაუჩნ-
და. გაჯავრებული ილია დასწვდა, უფრო მაგრა და გამეტებით
დასჭმუქნა და ქუჩაში გასტყორცნა...“

ქუჩაში დიდი ხმაურობა და მოძრაობა იყო: ქუჩის იქითა
მხარეზე ვიღაც, ჯოხიანი კაცი, მიდიოდა, ჯოხი ფეხთან ერთად
არ ხვდებოდა ფილაქანს და ისეთი ხმაურობა ისმოდა, თითქოს
მგზავრს ორი კი არა, სამი ფეხი აქვსო. შუაში მტრედები
გუგუნებდნენ. სადღაც რკინას არახუნებდნენ,—ალბათ, ბუხრე-
ბის მწმენდავი თუ დადიოდა რკინით წახურულს კერზედ.
მაღაზიის წინ ეტლი მიიზლაზნებოდა და მეეტლე სთვლემდა,
თუმცა თავს საშინლად აქანდურებდა. ილიას გარშემო ყველა-
ფერი ირხეოდა. უცბათ ილიამ საანგარიშო „შეოთხ“ აიღო და
რიღაცისთვის ერთი აბაზი ჩაგდო. შეხედა კიდევ და ჩვიდმეტი
კაპეიკი გამოაკლო. „შეოთხ“ სამი კაპეიკი-ლა დარჩა. მერე
გაპერა ძვლებს ფრჩხილი და დააბროჭიალი.

ილიამ ამოიხსრა, „შეოთხ“ განზე გასწია, გულით დახლს
დაეყრინო და თავისივე გულის ცემას უური წაუეგდო.

მეორე დღეს გაბრიკოს და ისევ მოვიდა. ძველს და გახუ-
ნებულს კაბაში ქალი უწინდებურად გამოიყურებოდა.

— ერთი დამიხედეთ!..—გაიფიქრა ილიამ გულში, როცა
ქალს თვალი მოჰკრა.

ქალის სალამზედ ილიამ უგულოთ მოიხარა კისერი. თუმცა
ქალმა კი კეთილად გაულიმა და ალერსიანად დაეკითხა:

— რამ გადაგაფითრათ? ავად ხომ არა ხართ?

— არა მტკიცა-რა,—მოკლეთ მოუჭრა ილიამ სიტყვა და სცდილობდა ქალის ღიმილით და ოლერსიანის სიტყვით გამოწვეული ახალი გრძნობა როგორმე დაეფარა. ეს ახალი გრძნობა კი კეთილი და გასხარელი იყო: ქალის ღიმილი და სიტყვები ილიას დაკადილ გულს ისე ლბილათ შეეხნენ და ისრე დაუსალმუნეს გული, რომ ილიამ ბედნიერად იგრძნო თავი, თუმცა იმ წუთსვე კი გადასწყვიტა თავი ნაწყენად და შეურაცხყოფილად ეჩვენებინა, რომ კვლავ კიდევ გაეგონა ტკბილი სიტყვა და ქალის სახეზედ სანეტარო ღიმი კიდევ დაენახნა. გადასწყვიტა და გაბუტული რაღასაც ელოდა.

— თქვენ მგონი... მე მიწყრებით? — გაისმი ქალის მკაფიო ხმა. ეს ხმა ისე აშკარათ განსხვავდებოდა იმ ხმისგან, რომლითაც პირველი სიტყვები ითქვა, რომ შეშინებულმა ილიამ ნება უნებურად ქილს გადახედა და შეამჩნია, რომ ის უწინდებურად ამაყათ და მედიდურად გამოიყურებოდა.

— მე დამცირებას და წყენას დაჩვეული გახლავართ, — უთხრა ილიამ, გაიცინა და იგრძნო, რომ გულს გაცრუებულ იმედების სიომ დაპერა.

„ჰოო, მეთამაშები?.. — გაიფიქრა გულში ილიამ. — ჯერ მომილაქუცებ და მერე მიმშევავ, ჰა? ვერ მოგართვით...“

— მე სრულიად არ მინდოდა თქვენი წყენა...

სიტყვა „თქვენი“, როგორც ილიას ეჩვენა, რაღაც მნიშვნელობით, სულ სხეულად წარმოსთქვა ქალმა.

— ვერც მაწყენინებთ, ძალიანაც რომ გინდოდეთ! — მკვანეთ დაიწყო ილიამ. — მე თქვენი ფასი ვიცი. რა ფრინველიც ბრძანდებით, იმასაც კარგათ ვხედავ!

ამ სიტყვებზედ ქალი წელში გაიშალა და გაკვირვებით თვალები დააჭყარა, მაგრამ ილია ვეღარის ჰერდავდა: სამაგიეროს გადახდის სურვილი ცეცხლსავით მოედო იმის არსებას და საწყენ სიტყვებს აუჩქარებლივ, დალაგებით ახლიდა:

— ეგ ბატონობა და სიმაყე — ძვირად არ გიზით... გემნაზიებში ყველა შეიძენს მაგ განძა. უგემნაზიოთ-კი რა ხართ?



მკერვალი, უბრალო მოახლე და მეტი არაფერი!.. თქვენი და ლარიბის გამოისცით სხვა არაფერში გამოდგებოდით. დიალ, მართალს მოგახსენებთ!

— რას ლაპარაკობთ? — ნელის ხმით შესძინა ქალმა.

ილია შეჰყურებდა და სიამოვნებით ამჩნევდა — ქალს ნესტოები როგორ ებერებოდნენ და სახე როგორ უჭირხლდებოდა.

— მე ვლაპარაკობ იმას, რასაც ვფიქრობ! ვფიქრობ კი იმას, რომ თქვენი ბატონობა და ღიღყაცობა გროშად, კაბიკათაც კი არა ღირს.

— ჩემში ბატონური არაფერია! — გაჯავრებით შეჰყივლა ქალმა. დას ძმა მიუახლოვდა, ხელი სტაცა, ბოროტის თვალით გადახედა ილიას და იმანაც ხმა-მაღლა შეჰყვირა:

— წამო, სონა!

ლუნევება თვალი გადაავლი და ცივად წარმოსთვა:

— დიალ... მიბრძანდით! არც მე თქვენთვის და არც თქვენა ხართ ჩემთვის საჭირო.

და-ძმამ რაღაც უცნაურათ გაულვეს თვალში და გაჭირნენ. ილიამ სიც-ლ ხარხარი მიაყარა. მერე, როცა მარტოკა დარჩა, ილია რამდენსამე წუთს უნდრევლივ იდგა და სამაგიეროს გადახდის სიტყბოთი ნეტარებდა. ქალის აღელვებულ-გაკვირვებული და, ცოტა არ იყოს, შეშინებული სახე ეხლაც ცხადათ ედგა თვალწინ და კმაყოფილების გრძნობით გამსჭვალული ილია თავისს თავისაც და შემთხვევისაც მაღლიერი იყო.

„ბიჭს უყურე, ბიჭსა, და...“ — უაზროთ უელავდა ილიას თავში: გაბრიკოს საქციელი, ცოტა არ იყოს, ხელს უშლიდა და გუნებას უფუჭებდა.

„ეგეც შენი მედიდურობა!.. — ჭფიქრობდა ილია და გულში იცინოდა. — ტასო მოსულიყო ეხლა, ვაჩვენებდი იმასაც სეირსა...“

ილია ეხლა მზათ იყო უველა, ვინც კი გარს ეხვია, შეუბრალებლად, წყენით და შეურაცხებით მიერეკ-მოერეკნა,



ილია ჰერქნობდა ამას და ჰედავდა, რომ სამისო ძალაც მო-
სდევდა.

მაგრამ ტატიანა იმ დღეს სრულიად არ მოსულა,—მთ-
ლი დღე ილიამ მარტოობაში გაატარა და ეს დღე მეტად
გრძლათაც ეჩვენა. დასაძინებლად რომ წვებოდა, ქალის სიტ-
ყვებზედ ძლიერ მარტოობის გრძნობა უფრო ოწუხებდა. აქ
ოლიმპიადა მოაგონდა და გაიფიქრა, ოლიმპიადა მაინც ყვე-
ლასა სჯობდა და ჩემთვის ყველაზედ უკეთესი იყო. თვალებ
დახუჭულს ღამის დღმილისთვის წაეგდო ყური და რაღაც ხმაუ-
რობას ელოდა: თუ შეამაურდებოდა რამე, ილია შეკრობოდა,
თავს მოაშორებდა ბალიშს და ღამის წყვდიად ჩაშტრდებო-
და ხოლმე. ასრე ამ რიგად რიგაცის მოლოდინში გაათენა და
ისრე ეწვალებოდა, თთოქო სარდაფში გამოუმწყვრევით და ჰაე-
რის უქონლობისა გამო სულთ ეხუთებაო. არც თუ უთავბოლო
და შეუსაბამი აზრები აძლევდნენ მოსვენებას. ლოგინიდან როცა
ადგა, თავი ლოდისავით მძიმე ჰქონდა, სამოვრის დადგმა დაა-
პირა, მაგრამ მაღლ გადიფიქრა, პირი დაიბანა, ერთი სურა
წყალი დალია და დუქნი გააღო.

შუადღისას გაჯავრებულმა და წარბებ შეკრულმა პავლემ
შემოიარა. მოვიდა თუ არა, უსალმოთ მიუბრუნდა ილიას:

— შენ რას იბლინძები ნეტა?

ილია იმ წუთსვე მიხვდა რაზეც ელაპარაკებოდა ამხანა-
გი, მაგრამ ხმა არ გასუა, მხოლოდ გულში გაიფიქრა:

„ესეც იმის მხარეს ბრძანებულა!“...

— რისთვის გიწყენინებია სოფია ნიკონოვნასთვის? — სას-
ტიკათ დაეკითხა პავლე. მის გაბერილ სახეში და საყვედურით
სავსე თვალებში ილია თავისს გაკიცხვის მეტს ვერაფერსა ჰქე-
დავდა, მაგრამ მაინც გულ-გრილათ ეპყრობოდა ამხანაგს.

პასუხად მან დინჯათ, ქანც-გაწყვეტილსავით წაილაპარაკა
მხოლოდ:

— ჯერ სალაში მაინც მომცემდი... ან ქუდს მოიხდიდი...
ჰედავ ხატი ასვენია?..

მაგრამ პავლემ უფრო ძლიერ ჩამოიფხატა ქუდი, ცურა
ბი ქიშპათ მოილრიცა და აჩქარებულის, აცახცახებულის ხმით
მიჰმართა:

— იპრანჭე! გამდიდრდი, პა? გასძეხი? მოიგონე მაინც,
რომ სჩიოდი—ადამიანი არ არის, რომ შეგვიბრალოს! აგრე
გამოჩნდა მაგისთანა ადამიანი? მერე რიღასთვის აგდებ, რად
იშორებდე?.. ვაჭარო!..

სიზარმაცე თუ სხვა რაღაც ჩლუნგი გრძნობა წებას არ
აძლევდა ილიას, რომ ამხანაგისთვის პასუხი მიეცა. ის გულ-
გრილად შეჭყურებდა ამხანაგის ატკეცილ და დამცინავ სახეს
და ჰგრძნობდა, რომ მისი საყველურები სრულიად არ აწუხებ-
დნენ და გულში არა ჰხვდებოდნენ. პავლეს ტუჩზედ და ნი-
კაპზედ ამოსული ყვითელი ბურძგლი ხავსს წააგვდა. ლუნევი
გულ-გრილად შეჭყურებდა და ჰფიქრობდა:

„რილანძლება... უჩივლია, როგორც ეტყობა... განა ისე
ძლიერ ვაწყენინე? ხომ მეტის თქმაც შემეძლო...“

— იმას ყველაფერი ესმის, ყველაფრის ახსნა და განმარ-
ტება შეუძლაან... შენ კი ეგრე ექცევი... ექც!—ეუბნებოდა
პავლე და, ჩვეულებრივ, სახეში ოც კი უყურებდა —ისეთი
კარგი ხალხი... ჭკვიანი... მოელი კანონები ზეპირად იციან...
იმის მაგიერ, რომ აღარ მოშორებოდი... შენ...

— დამანებე თავი, პაშა!..— დინჯათ შეაწყვეტინა ლუ-
ნევმა.—რას მარიგებ? რასაც მინდა, იმას ვჩადი და როგორც
მინდა, ისრე ვიქცევი...

— მერე რას სჩადი? სისაძაგლეს...

— როგორც მინდა, ისრე ვცხოვრობ... მომაბეზრეთ ყვე-
ლამ თავი... მოდიხართ, ლაპარაკომთ...

თახჩებს მიყრდნობილმა და ჩაფიქრებულმა ლუნევმა გა-
ნაგრძო:

— მერე რის თქმა შეგიძლიანთ?

— იმას ყველაფერი შეუძლიან!—ლრმა რწმენით შესძახა
პავლემ და ხელიც კი შეიშვირა მაღლა, თითქოს ფიცის მიღე-
ბას აპირებსო. —იმათ ყველაფერი იციან!

— ჴო და წაბრძანდი იმათთან, ვინ გიჲერსი? — გულგრის ლად ურჩია ილიამ. პავლეს ლაპარაკიც და ოღელვებაც ილიას ეზიზლებოდა, მაგრამ პასუხის მიცემის სურვილი კი ვერ ეპოვნა გულში. მძიმე და წებოვანი სევდა გულს უგმირავდა და ლაპარაკის და მოძრაობის ნებას არ აძლევდა. ილიას უნდოდა მარტო დარჩომილიყო, რომ არაფერი გაეგონა და არც არავინ დაენახა.

— წავალ კიდეც, მაშ! — მუქარით ეუბნებოდა პავლე. — წავალ იმიტომ, რომ მესმის, მესმის, რომ მხოლოდ იმათთან, იმათ გვერდით თუ შემიძლიან ცხოვრება... იმათ გვერდით ყველაფერს იპოვნი, ყველაფერს მიაგნებ! იმათ იციან რა არის სიმართლე და როგორ უნდა მას სამსახური!.. არასოდეს არ მიცხოვრნია მე ასე... ადამიანურად... სხვა ვინ იყო, რომ პატივსა მცემდა და ჩემში ადამიანურ ღირსებას ჰქედავდა?..

— ნუ ჰლრიალებ! — მიუგო დაბალის და სუსტის ხმით ილიამ.

— რევენო!.. — დაუყვირა პავლემ.

მაგრამ ამ დროს ვიღაც გოგო შემოვიდა დუქანში და საცვლებისთვის ღილები მოითხოვა. ილიამ აუჩქარებლივ მიაწოდა რასაც სთხოვდნენ, აბაზიანი გამოართვა, გადააბრუნვადმოაბრუნა, უკან გადუგდო და უთხრა:

— ხურდა არა მაქეს — მერჩე შემოიტანე...

ხურდა დახლში ჰქონდა, მაგრამ დახლის გასაღები მეორე ოთახში იყო და იქ გასვლა კი ეზარებოდა. გოგოს წასვლის შემდეგ პავლეს ლაპარაკი იღარ დაუწყია. ის მხოლოდ დახლს მიკურდნობოდა, ქუდის აცოდილებდა ხელებით და ისე შესცემ-როდა ამხანაგს, თითქოს რიღაცის მოლოდინშიაო. ილიას კი ზურგი შეექცია და ჩუმად რაღასაც უსტვენდა. ქუჩიდან ეტლების რახა-რუხი, მგზავრების აჩქარებული ფეხის ხმა და მტვერი თავისუფლად მოსცურავდნენ ოთახში...

— ეხლა, რას იტყვი? — დაეკითხა მეაცრად პავლე.

— არაფერს, — ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მიუგო ილიამ.

— ვერაფერს, ვერაფერს, ჰა?

— ეჭ, თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამს! — შესძახა შოთაშინ-ნებილან გამოსულმა ილიამ.

გრაქევმა ქული ჩამოიტხატა თავზედ და ხმა ამოუღებლივ კარებისკენ გასწია. ილიამ თვალებით გააცილა, თუმცა თავი არც-კი მიუბრუნებია.

„ავათა გარ, თუ რა დამემართა?“ — დაეკითხა ილია თავის-თავს.

კარებში დიდმა ქოფაკმა ძალმა შემოჰყო თავი, კუდი გააქნ-გამოაქნია და ისევ უკან გაბრუნდა. მერე მათხვარა დედაკაცი გამოჩნდა, ისედაც წელში მოსრილი, ის უფრო იკა-კვებოდა და ნახევარის ხმით ჰპურტყუნებდა:

— გამიკითხეთ, თქვენი ღვთის გულისთვის! ღმერთი შე-გეწევათ!..

ლუნევმა ხმა ამოუღებლივ ანიშნა — ღმერთმა მოგცესო. ქუჩაზედ გახურებულ და დაბულ ჰაერში მუშა დღის ხმაუ-რობა ისმოდა, კაცს ეგონებოდა ვეგებრთელა ბუხარი ჰეიზგი-ზებს, დაუნდობელ ცეცხლის ბრჭყალებში ჩაცვინული კუნძები ლაშუნებენ და ჯოჯონებურის ალით სუნთქავენო. ურმებზედ გრძელი რკინები დაეწყოთ და ქანკ-გაწყვეტილი ცხენები ძლივს მიათრევდნენ ქუჩაში. როცა ერთის წვერით რკინები მიწას ან ქუჩის ქვაფენილს მოედებოდნენ, საშინლად ჰლრიალე-ბდნენ, თითქო სტკივათ რამე და რაღასაც გაპკივიანო. დანების მჩარხავი რაღასაც ჰლესავდა ჩარხზედ და გესლიანი, გველისე-ბური სისინი საზარლად არღვევდა ჰაერის სიჩუმეს...

— ვლადიმირული ალუმბალი! — თითქოს მღერისო, გააგრ-ძელა ვაჭარმა.

ყოველი წუთი რაღაც ახალს და მოულოდნელს ჰბადავდა და ცხოვრება ათასნაირი ხმებით ადამიანს აკვირვებდა და დაუშ-რეტელი შემოქმედებითი ძალით განცვიფრებაში მოჰყავდა. ლუნევის სულსა და გულში კი სიჩუმე და მყუდრობა იყო, თითქოს ყველაფერი შეჩერებულა და გაყინული, — აღარც ფიქრი, აღარც სურვილი აღარ მოიძებნებოდა მასში, თითქოს ჟველა ამის ადგილი მძიმე და აუტანელ დაქანცულობას დაუ-



ქერიაო. მისთანა მდგომარეობაში გაატარა ილიამ ჯერ დღე და მერე დამეც... და კიდევ ბევრი სხვა დღე და დამე. მოდიოდა ხალხი, ყიდულობდა რაც უნდოდა და ბრუნდებოდა, ილია კი უგულოდ, ცივი ფიქრით აცილებდა ყველას:

„არც მე ვარ ამათვის საჭირო და არც თუ ესენი ჩემთვის... ეს მხოლოდ პირველი და... თორემ პატარა ხანს შემდეგ კი შევჩევი და შარტო ვიცხოვდება!..“

გაბრიელის მაგიერ ეხლა სახლის პატრონის დედაკაცი უდგამდა სამოვარს. მუდამ დალვრემილს და გამხდარ დედაკაცს სახე როგორლაც არაჩეულებრივ დასწილებოდა და თვალები უძრავი და უფერული ჰქონდა. ხანდისხან, დედაკაცს რომ შექედავდა ხოლმე ლუნევი, გაშმაგებით გაიფიქრებდა:

„ნუ თუ ისე უნდა მოვკვდე, რომ კარგი ვერაფერი ვნახო ქვეყნად?“

და პირმქუშად, უიმედოთ დაუმატებდა:

„უაზროთ გარბის ცხოვრება...“

ილია შეეჩირა კიდეც სხვა-და-სხვა შთაბეჭდილებას და თუმცა ისინი ხან აბრაზებდნენ, ხან ალელვებდნენ, მაინც ჰედავდა, რომ უმათოთ ცხოვრება უფრო გაუძნელდებოდა. ეს შთაბეჭდილებანი ხალხს მოჰქონდა. ამ ბოლოს დროს ხომ ხალხი სადღაც გაპქრა და მთ ნაცვლად მუშტრები-ლა შერჩნენ ილიას. მერმე მარტოობის მძიმე და გულის დამღრღნელი გრძნობა და უკეთესი ცხოვრების სურვილ-წუხილი გულგრილობაში და უგემურ ფიქრებში ჩაეჭლებოდნენ და დღენი ისევ გრძლად და შემაწუხებლად ეჩვენებოდნენ ხოლმე...

ერთხელ, საღამო ხანს, ილიამ პატარა ადრე დაპკეტა მაღაზია, ეზოში გავიდა და თელის ხეს ქვეშ წამოუწვა. დარბისი იქითა მხარეს ილიას ხმაურობა შემოესმა. ვიღაც ენას აწკლა-პუნებდა და ჩუმის ალერსიანის ხმით ჰბუტბუტებდა.

— ოო, ჩემო ძალლო! ჩემო კარგო ძალლო!

დარბის ფიცრებსა და ფიცრებ შუა დარჩომილ ნაცვრეტში ილიამ მაღალი ტანის, გამხდარი და გრძელ ცხვირა დედაკაცი დაინახა. ქალი სკამზედ ჩამომჯდარიყო და მის წინ

ჩამჯდარ დიდ, ვეებერთელა ძალის წინაფეხები ქალისთვის შუ-
ხლებზედ შეეწყო და სცდილობდა სახეში მისწდომოდა, რომ
სასურველი სახე ენით გაელოკნა. ქლი თავს არიდებდა, ძალის
თავზედ ხელს უსვამდა და ნეტარად ილიმებოდა...

„ძალებს უალერსებენ... ალბათ, საალერსო სხვა აღარა-
ვინ ყოფილა“, — გაიფიქრა ილიამ და მწარე ლიმილით მოი-
გონა ჯერ გაბრიუ, მერე მისი სასტიკი და... პაშკა, მაშო...
და სხვანი...

„სანამ საჭირო ვიყავ, — დაირებოდნენ... ეშმაკმა წაილოს
თქვენი თავი და კისერი!.. ხეალ იაკობისკენ მაინც გავიარო...“

— ჩემო კარგო, ჩემო მშენიერო ძალლო! — ჰბურტუ-
ნებდა დარაბის იქით დედაკაცი.

„ტანკა მაინც მოვიდეს! — ჰფიქრობდა დანაღვლიანებუ-
ლი იღია. მაგრამ ტატიანა ვლასოვნა იმ დროს სააგარაკოთ
იყო გასული და სიღრმ მოვიდოდა? იაკობთან წასვლაც არ
მოუხდა, რადგან იმ დღეს ბიძა ტერენტი დაუბრუნდა. დილით,
ილიამ ის იყო გაიღვიძა, ჯერ ისევ ლოგინში იჯდა და ჰფი-
ქრობდა — აგერ დღე მოვიდა და როგორც იყოს, უნდა გავა-
ტაროო...“

„სცხოვრობ, თითქოს შემოდგომის ჭაობებში დასტოპავ,
გცივა, დამპალ მიწაში იფლობი... იღალები და ვერც შორს
წასულხარ...“ თ, რომ...

ეზოს კარი ვიღაცამ დაარახუნა.

იღია წამოხტა — ეგონა მოსამსახურე თუ მოვიდა სამო-
გარის დასაღმელათაო, გააღო კარი და ბიძას კი შეეხება.

— ეჲ, ჰე, ჰე! — შესძახა დაცინვით კუზიანმა. — მეცხრე სა-
ათია და დუქანიც კი ჯერ არ გაგიღია, ვაჭარო?

იღია კარებში განიდულიყო, ისიც იღიმებოდა და ბიძას
გზის არ აძლევდა. ტერენტის მზე მოჰკიდებოდა, მაგრამ, თით-
ქოს განახლებულიყო, რაღაც ახალი ელფერი დასდებოდა და
თვალები სიხარულის და კმაყოფილების გრძნობით აღზნებ-
დნენ. ბირს, ფეხებში კუზიანს რაღაც ბოლჩები და ტომჩები
დაეწყო და თითონაც იმათ შორის ტომარს წააგავდა.

— გამარჯობა, ძმისწულო! გამატარე რაღა, შემოვიდე! იმის მიზანი ჩიდვა დაუწყო. ტერენტიმ კი ხატი მოსექტნა, პირჯვარი გადისახა და წარმოსთქვა, წელში მოხრით:

— გმადლობ, შენ უფალო — აგერ სახლშიც მოველი! აბა, ეხლა მოღი, ილია, გაკოცო!.. გამარჯობა შენი, გამარჯობა!

კოცნა-ხვევნის დროს ილიამ შენიშნა, რომ კუზიანს ხორცი გაჰმაგრებოდა და გაჰლონივრებოდა.

— ერთი პირი დავიბანო, — ხმა-მაღლა ლაპარაკობდა ტერენტი და თან თთახს ათვალიერებდა ის ეხლა ისე აღარ იკაკვებოდა წელში, როგორც უწინ; ტომრით სიარულს თითქოს უფრო უკან გადაეწია კუზი. — ტერენტი გასწორებულიყო და თავი მაღლა აეწია.

— სხვა, როგორა სცხოვრობ? — ეკითხებოდა ლუნევს ბიძა და თან ცივ წყალს მუქა მუქა ისხამდა სახეზედ.

ილიას ესიამოვნებოდა ბიძას ასე განახლებულს და მხია რულს რომ ჰქედავდა. ის მისდგომოდა მაგიდას, ჩაის თუ სხვა საჭმელებს უმზადებდა და ბიძის კითხვებზედ ჯეროვან პასუხებს აძლევდა, თუმცა ყოველ სიტყვას ფრთხილად და დაფიქტებით წარმოსთქვამდა ხოლმე.

— შენ, შენ როგორ-და ხარ? — დაეკითხა ეხლა ილია.

— მე? მშვენიერათ — ტერენტიმ თვალები დახუჭა და კმაყოფილების ღიმილით თავი გააქნია. — ისე კარგათ მოვიარე, რომ უკეთესი აღარ იქნებოდა. სიცოცხლის წყაროს დავეწაფე სწორედ...

ტერენტი მაგიდას მიუჯდა, წვერი თითხე დაიხვია, თავი გვერდზე დაღიწია და დაიწყო:

— ათანასე მჯდომარესთან ვიყავ, ვენაცვალე იმის მადლსა, პერიასლავის სასწაულ მომქმედები ვილოცე, ვორონეჟის მიტროფონესკენაც შევიარე, დონის ტიხონსაც ვემთხვიე... ვალაამის კუნძულზედაც ვიყავ... ბევრი ქვეყანა მოვიარე. ბევრს წმინდანს ვეცი თაყვანი და ბოლოს მურომშიაც შევიარე პეტრე-ფაბრინის სალოცავათ...



როგორც ეტყობოდა, წმინდანების და სხვა-და-სხვა ცუდალისათვეში ქების ჩამოთვლა ტერენტის მეტად ესიამოვნებოდა — რადგან ჩამოთვლის დროს სახე შესანიშნავთ გამოეცვალა, თვალები დაუკრემლიანდა, გაუბრეშყინდა და სიამაყე მიემატა. სიტყვებს ისე აქიანურებდა, როგორც კარგი გამოცდილი მეზღაპრე ან და რომელიმე წმინდანის ცხოვრების მომყოლი.

უცბათ წვიმამ წამოერინელა. მისი წვეთები ჯერ ფრთხილად და აუჩქარებლივ ეცემოდნენ ფანჯრის შუშებს, მაგრამ მალე მოუხეშირეს და შუშებს ზანზარი დააწყებინეს.

— მონასტრის მღვიმეებში დაურღვეველი სიჩუმეა, მის სიბნელეში დანთებული კანდელი ბავშვის თვალებსავით ბრწყინავს, და მირონის მშვენიერი სუნი სდგას... — აგრძელებდა ტერენტი. წვიმა-კი უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ეხლა ფანჯრის იქით საშინელი ღრიანცელი, და რკინების რახა-რუხი ისმოდა; სახურავებიდან წყალი დაუშრეტლიად მოსჩუხხებდა... საერთოთ-კი ისეთი ხმაურობა ისმოდა, თითქოს ჰაერში ფოლადის ძაფებია დაჭიმული და ვიღაც დაუნდობელათ არხევსო.

— მირონი იქვე სდულს წმიდა ადგილებში...

— კარგი, — გააჭიანურა ილიამ. — შენ ის მითხარი, განთავისუფლდი?

ტერენტიმ ერთი წუთით ხმა ჩატვირთდა, მერე გასწორდა წელში, ილიასკენ დაიხარა და დაბალის ხმით უთხრა:

— ე. ი... მაგალითით გეტყვი: როგორც წილა უკერდეს ადამიანის ფეხს, ისე აწუხებდა ის უნებლიერი ცოდვა ჩემ სულ-სა და გულს... უნებლიერი, რადგან ჩემ ხელთ არ იყო იმ დროს ცოდვისგან თავის დახწევა: — არ გამეგონა, პეტრე კარში გამაგდებდა! მერწმუნე, არ დამინდობდა და გამაგდებდა, არა?

— მართალია! — დაეთანხმა ილია.

— მაგრამ... წაველ და ვილოცე... უცბათ ისეთი შელავათი მიეცა ჩემ სულს, რომ ვერ აგიწერ... მივდიოდი და ვფიქ-რობდი: ღმერთო, ჰედავ? შენ წმინდანებთან მივდივარ... ვგრძნობ და ვხედავ, რომ ცოდვილი ვარ...

- მაშ გაუსწორდი ეხლა, ჰა? — დაეკითხა ილია ღიმილით ჭარბობა
 — იმის ნება! როგორ მიიღებს ჩემ ლოცვას — არ ვუშეი!
 — წარმოსთქვა კუზიანშა და თვალები ზეცას მიატყრო.
 — სინიდისი?
 — რა, სინიდისი?
 — აღარ გაწუხებს, აღარა გქენჯნის?
 ტერენტი ცოტა ხანს ჩატვიქრდა, თითქოს რაღასაც ყური
 წაუგდოო, და წარმოსთქვა:
 — ჯერ ჩუმათ არის...
 ლუნევმა ჩუმათ ჩაიცინა.
 — ლოცვა როცა წმიდის გულით შეიწირება, ყოველ-
 თვის მოუტნს ადამიანს შეებას და შლავათს მისცემს, — ჩუმის,
 წარიგების კილოთი ეუბნებოდა კუზიანი.
 ილია წამოდგა სკამიდან და ფანჯარის მიუხელოვდა. ფი-
 ლაქნების გვერდზე ნიაღვარი განიერ ტოტებათ მისჩუხჩუბებ-
 და; ქუჩის შუა ნაწილზე წყალი აქა-იქ გუბეებათ გაჩერე-
 ბულიყო და წვიმის წვეთები როცა ეცემოდნენ, გაყუჩებული
 წყალი შეცხცახდებოდა და თითქოს მთელი ქაფენილი ირ-
 ხევაო, შეინძრეოდა ხოლმე. ილიას დუქნის პირდაპირ ამარ-
 თული, მთლად გაწუწული და დასველებული სახლი, მოიღრუ-
 ბლა და მოიღუშა, კვლავ მობრუკვიალე შუშებს ეხლა ბერან-
 გი ფერი დაპკრავდათ და ფანჯრებში შეწყობილი ყვავილები
 აღარ მოსჩანდნენ. ქუჩაში აღარავინ მოსჩანდა, არც სად მო-
 ძრაობა და არც ხმაურობა, მხოლოდ წვიმას გაუდიოდა შხუ-
 ლი და წყლის ნაკადულები სადღაც მიეჩარებოდნენ. მარტოდ
 დარჩომილი მტრედი სცდილობდა კედელში გადმოშვერილ
 აგურს ამოჭარებოდა; სუყველა მხრიდან ნესტის სუნი და
 მძიმე ნაღველი მოჭერავდა.
- „შემოდგომა იწყება“, — გაუელვა ლუნევს თავში.
- მაშ სხვა რითი უნდა გამართლდეს ადამიანი, თუ არა
 ლოცვით? — ამბობდა ტერენტი და თან რაღაც ბაღჩას სხნიდა.
- მსუბუქი და ადვილი, — შენიშნა დაღვრემილათ ილიაშ
 და პირიც კი არ მოიბრუნა ბიძისკენ. — შესცოდე? ილოცვი

და განიწმინდები! გაუსვი და ისევ სცოდე რამდენიც გინდა...

— რადა? მართლად იცხოვრო...

— რის გულისთვის?

— როგორ?

— ისრე...

— სინიდისი?

— რაში მეკითხება სინიდისი?

— როგორ იქნება... — უგემურად გააჭიანურა სიტყვა ტერენტიმ. — როგორ ლაპარაკობ...

— როგორც გესმის, — დაბეჯითებით და მკვახედ განაგრძო ლუნევმა.

— ცოდვაა!

— იყოს ცოდვა, რა?..

— დასჯილი იქნები!

— არ ვიქნები, ნუ გეშინიან...

იღლიამ ეხლია კი მოიბრუნა პირი და შიგ სახეში ჩაუტერდა. ტერენტის. კუზიანმაც ეჭვის თვალით დაუწყო ძმის-წულს ცქერა. ტუჩების წკლაპუნით ტერენტი დილი ხანი ეძებდა საპასუხო სიტყვას და როცა იპოვნა, წარმოსთქვა დარბაი-სლორად:

— როგორ თუ არა? დაისჯები!.. აგერ, ჩემი მაგალითი თვალ წინ არა გაქვს?

— რითი? რითი იყავ დასჯილი? — მკვახეთ დაეკითხა ლუნევი.

— შიშით? ჩემი ყოფნა რაღა ყოფნა იყო? დღე და ღამ სულ იმის ფიქრში ვიყავ — ერთიც ვნახოთ გამიგონ, რა ვქნა მაშინა მეთქი?

— მეც შევცოდე, მაგრამ აგრე არ მეშინიან, — გამოაცხდა უკმერი ლიმილით ლუნევმა.

— მისქარავ, — შევაჩრა სასტიკის ხმით ტერენტიმ.

— დიალ, არ მეშინიან! მაგრამ ცხოვრება კი მიძნელდება.

— ჰოო! — შესძახა ტერენტიმ და აღფრთვეანებული ია-ტაკიდან წამოხტა. — გიძნელდება, ჰა?



— დიაღ! ყველამ თავი გამანება... თითქოს ჭირიანი ვიყო...
— ევეც შენი სასჯელი! მაშ რაღას ამბობდი—არ დავის-

ჯებიო?

— რისთვის?—კოფიანსავით შეჭრიალა ილიამ. აღელ-
ვებულ ილიას ნიკაპი უცახცახებდა და ზურგზედ შეწყობილი
ხელებით კედელს ჰფხოტნიდა. ტერენტი შიშით და კრძალვით
შეწყურებდა და ხელში რაღაც თოქს ატრიალებდა.

— ნუ ჰყვირი, ნუ ჰყვირი!—ეუბნებოდა ნახევარის ხმით
შემკრთალი კუზიანი.

მაგრამ ილია არა სცხრებოდა. კაი ხანი იყო, რაც ილიას
ალარ ელაპარაკნა ხალხთან და ეხლა რაც კი რამ მოძგროვე-
ბოდა ამ მარტოობის დროს, სცდილობდა გულიდან ამოქნთხია.
გატაცებით და გესლით ეუბნებოდა ბიძას:

— ტყუილად შესწუხდი... ტყუილად ეთრიე სალოცა-
ვად... სულ ერთია, არაფერი გადაგხდებოდა! არამც თუ სახა-
ცვე, — მოჰკალ, წაახრჩე, სული ამოართვი: არა გადაგხდება-რა!
ვინ წნდა დაგხსჯოს? დამსჯელი არავინ არის!.. სჯიან მხო-
ლოდ გამოუცდელებს და უხერხულებს. მაგრამ ვინც იცის და
მოხერხებულია: — იმას ყველაფრის ჩადენა შეუძლიან!

— ილია! — ეუბნებოდა ტერენტი და ფრთხილად იწევდა
ძმისწულისკენ.— მოიცა, ნუ კი ცხარობ!.. დაჯექ!.. მოდი,
დალაგებით მოვილაპარაკოთ.

უცბად კარებს იქით რაღაცამ დაიგრიალა, ხრიალით წა-
მოვიდა კარებისკენ და იქვე, სადღაც ახლოს გაჩერდა. პიდა
ძმისწული ორთავენი შეკრთნენ და გაჩუმდნენ. მაგრამ ხმაუ-
რობა მალე შესწყდა, მხოლოდ წვიმის შხაპა-შხუპი-ღა ისმოდა.

— რა იყო? — ჩუმად დაეკითხა შეშინებული კუზიანი.

— ილია ხმა ამოუღებლივ მივიდა კარებთან, გააღო და გაი-
ხედა. ოთხში უცებ ჩუმი სისინი, ხრიალი, ჩურჩული და ერთ-
მანეთში გადახლართულ-გადაკვანძულ ხმათა ტალღა შემოიჭრა.

— ყუთები ჩამოცვინულან, — სთქვა ლუნევმა, კარები. მიჰ-
კეტა და ისევ ძველ აღგილისკენ გასწია.



ტერენტი ისევ ჩაჯდა იატაკზედ და თავისს ბარგი-ბრძოლის ნის გადარჩევას შეუდგა. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ისევ დაიწყო:

— არა, ჩემთ ძმათ... ცოტას დაპფიქრდი! შენ ისეთ სიტყვებს ჰყვირი, რომ... ურწმუნობით ღმერთს კი ვერ გაა-რისხებ და შენ თავს კი დაპლუპავ... აბა დაუფიქრდი ამ სიტყვებს... ჰკვიანი კაცის ნათქვამია. მგზავრობის ღროს გავი-გონე ერთი კაცისაგან.. . რამდენი ბრძნული სიტყვა მოვისმინე!

კუჭიანი ხელახლად მოჰყვა თავისს მგზავრობის ამბავს და თან კი ცერად შესცემოდა ილიას. ილია ბიძის ლაპარაკსაც ისრევე უგდებდა ყურს, როგორც წყიმის შხულს და თან ჰფიქრობდა—როგორ უნდა ვიცხოვორ ეხლა ბიძასთანაო?..

ბიძა-ძმისწული ცუდათ არ მოეწყვნენ. ტერენტიმ ყუთე-ბის საწოლი გაიმართა ბუხარსა და კარებს შეუა იმ კუნძულ-ში, სადაც სიბნელე უფრო მაღლ იპოვნიდა ხოლმე ბინას. ლუნევის ცხოვრებას რომ დაუკეირდა ბიძა, გაბრიკას მოვა-ლეობანი თითონვე იკისრა — სამოვარს ადგამდა, მაღაზიასა და ოთახს უვლიდა, დუქნიდან სადილი დაპქონდა და მუდამ, ცხვირ ქვეშ რაღაც ლოცვებს ჰბუზღუნებდა. საღამოობით მოუყვებოდა ილიას ალლილუს, ცოლმა ქრისტე როგორ და-ისხნა სიკედილისაგან, როცა გახურებულ თორნეში თავისი საკუთარი შვილი ჩაგდო და იმის ნაცვლად ქრისტე დაიკირა ხელში. უამბობდა ბერის ამბავს, რომელიც სამასი წელიწადი ფრინვლის გალობას ისმენდა; კირიქა და ივლიტას ამბავს და ბევრ კიდევ სხვა რამეს. ლუნევი ყურს უგდებდა და თითქმის ყოველთვის თავისს ფიქრებში იყო ხოლმე გართული... ილიაშ ეხლა საღამოობით სასეირნოთაც დაიწყო სიარული და თითქ-მის ყოველთვის ქალაქს გარედ გადიოდა, რადგან იქ ისეთი რაღაც მოიპოვებოდა, რაც უძლევლად იზიდავდა ხოლმე მას თავისკენ. მინდორში ღამე ბნელოდა და სიცოცხლე ისევე იყო შეჩერებული, როგორც ილიას სულში გრძნობანი და სურ-ვილნი.

ერთი კვირის შემდეგ ტერენტი პეტრუხა ფილიმონოვთან

წავიდა, მაგრამ ნაშენი და იმედ გაცრუებული დაბრუნდა. როცა ილია დაეკითხა — რა დაგემართაო? — კუზიანშა აჩქარებით მიუგო:

— არაფერი, არაფერი! ისე... ვიყავ, ვნახე ყველაფერი... მოვილაპარაკეთ... დიალ!

— იაკობი რასა სჩადის? — დაეკითხა ილია.

— იაკობი? იაკობი... სიკვდილს აპირებს... შენ გახსენებდა... გაყვითლებულა, ახველებს...

ტერენტი გაჩუმდა, კუნჭულს ჩაცეცა თვალები და დალონებულ-დამარებულმა ტუჩებს ცმაცუნი აუტეხა.

ცხოვრება ერთფერად და შეურყევლად მიღიოდა; დღე დღეს წააგავდა და ლამე ლამეს, ისევე როგორც ერთსა და იმავე წელიწადს გამოჭედილი თითბრის შაურიანები ჰევანან ხოლმე ერთმანეთს. ილიას გულში ცივი და გესლიანი ბრაზი იმალებოდა და ამ ერთფეროვან და ერთგვარ დღეების შთაბეჭდილებას ანადგურებდა და ძეარწყლებდა. ძველი ნაცნობი აღარავინ დაიარებოდა ილიასთან: პავლემა და მაშომ თითქოს სხვა გზა იპოვნებს ცხოვრებაშიო, ისრე ჩამოშორდნენ; მატიუა ცენება გაიტანა და საავადმყოფოში მოკვდა უბატრონოდ; პერფიუკაც გაჟერა, თითქოს დედამიწამ პირი უყო და ჩაჷყლაპაო. ილია თითქმის ყოველ დღე აპირებდა იაკობთან წასვლის, მაგრამ როგორლაც ვერ ახერხებდა, რადგან კარგათა ჰერძნობდა, რომ მომაკვდავ ამხანაგთან სალაპარაკო საგანს ვერ იშოვნიდა. დილაობით ილია გაზეთს ჰერთხულობდა და დანარჩენ დროს მაღაზიაში იჯდა და უყურებდა — შემოდგომის ქარი გაყვითლებულ და სიცოცხლე გამოლეულ ფოთლებს ჰაერში როგორ ატიალებდა. ხანდისხან ამისთანა ფოთოლს მაღაზიაშიაც შემოაგდებდა ხოლო ქარი...

— მოციქულთა სწორო ტიხონ, ევედრე უფალს ჩვენთვის... — ჩახრინწებულის ხმით ღილინებდა მეორე ოთახში ტერენტი და თან რაღასაც ჰუსტფუსებდა.

ერთხელ, კვირა დღეს ილიამ გაშალა თუ არა გაზეთი პ. გრაჩევის ხელ მოწერილი ლექსი ეცა თვალში. ლექსს სათაურათ „უწინ და ეხლა“ — ეწერა.

„უწინ ეთველთვის შავ ეფრანსავით,
 უთავს დამჩხადნენ შავი ფიქრები.
 „გადალეულს, იმედ დაგარგულს
 „ბევრჯერ შინახავს მწარე დღეები“.

სწერავდა პავლე ლუნევი ჰკითხულობდა პავლეს ლექსა
 და თვალ წინ სულ მისი მოუსევნარი და ცვალებადი სახე ეხა-
 ტებოდა—ნათელ და ფხიზელ თვალებიანი ის მხოლოდ ერთ
 აზრზედ შეჩერებულიყო და ჯიუტად მხოლოდ. იმაზედ ჰიფიქ-
 რობდა. პავლე თავისს ლექსში მოუთხრობდა მკითხველს, ვი-
 თომ დაგლეჯილ-დაფლეთილი და დაობლებული დასწორივდა
 უცხო ქვეყანაში და ვერავისაგან ვერც ალერსს ჰხედავდა და
 არც თბილი, თანაგრძნობითი სიტყვა ესმოდა. მაგრამ, აგრე,
 თითქმის სიკვდილის პირზედ მიღწეული კეთილ ხალხს შეხვდა,
 რომელთაც გაათბეს, მიუალერსეს და „სიყვარულითა და თანა-
 გრძნობით გაღვიებული სიტყვით გამოაფხიზლეს და სიცოცხლის
 სურვილი კიდევ გაულვიძეს გამთბარ გულში“. ეს „აღთოური
 სიტყვა“ ცეცხლის ნაპერწკლად ჩაუვარდა გულში და.

„აღმეგზნა გული თბილ იმედებით,
 აზრთ შემთხვევას გვდავ სიმღერები“...

ათავებდა პავლე თავისს ლექსსა.

ლუნევმა ბოლომდის ჩაიკითხა და ბრაზმორეულშა გაზეთი
 გვერდზედ გადასდო.

„სთხზე! გამოიგონე! დაიცა: ეგ კეთილი ხალხი ისე უც-
 ბათ გამოგაცლის ფეხქვეშ ნიადაგსა, რომ... აღარ დაგავიწყდეს...
 კეთილი ხალხი?“—აქ რაღაც უგემურათ გაიღიმა, მაგრამ უც-
 ბათ თითქოს სხვა გულით და სხვა თავით გაიფიქრა:

„რა იქნება, რომ ავდგე და მეც იქ წავიდე? მივალ და
 ვიტყვი... აი, მოველ! მაპატიეთ...“

რა უნდა მაპატიონ, რა?—დაეკითხა იმ წუთსე ილია
 თავისს თავსა და გადაწყვეტით მთელი თავისი აზრები ერთი
 სიტყვით დააბოლოვა:

„გამომაგდებს...“

მერმე შურითა და გესლით ერთხელ კიდევ გადიკითხა
ლექსი და კვლავ ქალზედ დაჰფიქრდა.

„ამაყია... გადმოგხედავს ესრე ... და რითიც მიხველ, იმი-
თვე წამოხვალ...“

ამავე გაზეთში, მეოთხე გვერდზე, ილიამ ამოიკითხა, რომ
ოც და სამ ენკენისთვეს სასამართლოში ვერა კაპიტნოვის საქმე
უნდა გარჩეულიყო, რომელსაც ქურდობა ჰიბრილფებოდა. ილიამ
ნიშნის მოვებით გაიფიქრა გულში:

„შენი ვერა სატუსალოში ზის, შენ კი ლექსებსა სთხზავ!!

— ღმერთო, შემიბრალე მე ცოდვილი,—ოხვრით წაი-
ჩურჩულა ტერენტიმდა ნალვლიანად თავი გაიქნია. მერე ძმის-
წულს გადახედა, რომელიც იმ დროს გაზეთს აშრიალებდა
ხელში, და დაუძია:

— ილია...

— რა იყო?

— ჰეტრუხამ...

კუზიანმა საცოდავათ გაიღიმა და გაჩუმდა.

— რა იყო, რა ჰენა?—დაეკითხა ლუნევი.

— გამძარცვა, რაღა რა ჰენა?—ჩუმი, დამნაშავეს კილოთი
წაილულლულა ტერენტიმ. ილიამ გულცივათ გადახედა ბიძას
და არაფერი უთხრა პასუხათ, თუმცა გულში კი გაიფიქრა:

„ახია შენზედ“...

— ეგრე! გამძარცვა კია...

— სულ რამდენი მოიპარეთ მაშინ?—მშვიდათ დაეკითხა
ილია. კუზიანმა სკამიანად გაიწია იქით, თავი ჩაჰლუნა და
მუხლებზედ დაწყობილი თითები აათამაშა.

— ათი ათასი იქნებოდა?—კვლავ დაეკითხა ლუნევი.

კუზიანმა ამაღლა თავი და გაკვირვებით გააგრძელა სიტყვა.

— ათივი?

მერმე ხელი ჩაიქნია და განაგრძო:

— რას ამბობ? ხელ სამი ათას ექვსასი და რაღაც წვრი-
ლი ფული იყო და შენ კი იძახი—ათიო?

— მოხუცს ათი ათასზედ შეტი ჰქონდა,—აუშკა ილიამ
სიცილით.

— ღმერთმანი?

— გეუბნები... თითონ მითხრა...

— მერე, თვლა კი იცოდა?

— შენ და პეტრეს კი არ დავივარდებოდათ და!..

ტერენტი დაჭიუქრდა და თავი კვლავ ჩაჭლუნა.

— რამდენი დაგიკლო პეტრეხამ? — დაეკითხა ილია,

— სამოც და ათ თუმნამდის... ოხვრით უპასუხა ტერენტიმ. — მაშ შენ იძახი ათი ათასზედ მეტი ჰქონდაო?

ლუნევმა არა უთხრა-რა. იმას არ ესიამოვნებოდა ბიძის დანალვლიანეულ და იმედ გაცრუებულ სახის ცეკვა.

— მერე სად უნდა ჰქონოდა მაგოდენა ფული დამილული? — წარმოსოქვა დაფიქრებით კუზიანშა. — მგონი, სულ წამოვიღეთ, რაც იყო... ან, იქნება პეტრეხამ მაშინვე მომატყუილა?

— ნუ ლაპარაკობ მაინც მაგაზედ! — სასტიკათ უთხრა ლუნევმა.

— მაინც რომ ეხლა აღარა ლირს მაგაზედ ლაპარაკი! — დაეთანხმა ტერენტი და მწარედ ამოიხრა.

ლუნევი ადამიანის გაუმაძლრობაზედ ფიქრმა გაიტაცა და გაიფიქრა, რამდენი სისაძალის და ბოროტების ჩადენა შეუძლია ადამიანს ფულის გულისთვისაო. მაგრამ რამდენიმე წუთს შემდეგ გაუელვა თავში: თუ ბევრი ფული მექნებოდა — ეს რამდენიმე ასი ათასი მანათი — მე ვაჩვენებდი იმათ სეირსაო: სულ მუტლის თავებზედ ვატარებდი... — შურის ძიებით ვატაცებულმა ილიამ საშინლათ დასცხო მაგიდას მუშტი, მაგრამ გამოწვეული ხმაურობის თითონვე შეეშინდა და ბიძას გადახედა. ტერენტისაც შიშით თვალები დაეჭყიტა და პირ-დალებული ილიას შესცეროდა.

— ფიქრებმა გამიტაცეს, — პირმქუშათ წაილაპარაკა ილიამ და ფეხზედ წამოდგა.

— მოხდება ხოლმე, — ურწმუნოდ დაეთანხმა ტერენტი.

ილიამ რომ მაღაზიისკენ გასწია, კუზიანშა ეჭვით თვალი გააყოლა და თან ტუჩების ცმაცუნს მოუწმირა... თუმცა ილია

ვერა ჰედავდა, რაც მის ზურგს უკან ჰედებოდა, მაგრამ ბიძის ეჭვით ცეკრის კი ცხადათა ჰერმობდა: ილიამ კაი ხანი იყო რაც შენიშნა, რომ ბიძა მის ყოველ ნაბიჯს თვალს აღევნებდა, სკდილობდა რაღაც გაეგო და რიღაცის გამოკითხვას აპირებდა. ეს იყო სწორედ, რომ ბიძასთან ლაპარაკს უშლიდა და პარიდების, თავის დახტევის სურვილს უბადავდა. დღითი-დღე ილია ცხადათა ჰერმობდა, რომ ბიძა ცხოვრებას უშლიდა და რაც დრო და უძირ გადიოდა თან-და-თან უფრო ხშირად ეკითხებოდა თავისს თავს:

„როდემდის, როდემდის უნდა გაქიანურდეს ასე?“

ილიას სულში იარა მწიფდებოდა; სიკოცხლე თან-და-თან სძაგლებოდა და ყველაზედ ცუდი კი ის იყო, რომ აღარაფრის გაკეთება აღარ უნდოდა: აღარაფერი ესიამოვნებოდა, აღარაფერი იზიდავდა, არა აინტერესებდა-რა და მხოლოდ ერთს-და ჰერმობდა, რომ რაღაც უძირო და ბნელ ორმოში იფლობოდა და გაჩერებაც ველარ მოეხერხებინა. ილია ხალხისაგან თავს ნაწყენად ჰერმობდა და დღე მუდამ ამ ახალ გრძნობას ულირლიტებდა, სულ იმაზედ ჰფიქრობდა და თავისს ყოველ კუდ საქციელს ამ წყენითა ხსნიდა.

ტერენტის ჩამოსკლის შემდეგ ბევრმა დრომ აღარ გაიარა, რომ ტატიანაც ჩამოვიდა სოფლიდან. მოჰკრა თუ არა ქალმა მიხაკის ფერ ბლუზაში გამოწყობილ კუზიან გლეხს თვალი, ზიზლით ცხვირი მაღლა აიბზიკა და მედიდურად დაკითხა ილიას:

— ეს არის ბიძა თქვენი?

— ეე არის! — მოკლეთ მოუჭრა ილიამ სიტყვა.

— თქვენთან იცხოვრებს?

— უსათუოდ...

ტატიანამ ილიას სიტყვებში საწყენი იგრძნო რაღაც, შეატყო რომ ამხანაგი კაი გუნებაზედ არ იყო და კუზიანს თავი გაანება. ტერენტი კარებში გაბრიკოს ადგილზე გაჩერებულიყო, გაყვითლებულ წვერს საოცარის გატაცებით იგრძხავდა და ქალის კოპტია სხეულს ცნობის-მოყვარეობით თვალს ადევნებდა. ლუნევიც ჩიტავით მაღხაზ და მარდ ტატიანას შეჰყურებდა

და ახალ კითხვებს მოულოდნელად ელოდა, რომ მმიმე და შეურაცხმყვი სიტყვებით ჩაექვავებინა. მაგრამ ტატიანა გაბრაზებულ ილიას ცერად თვალს ადევნებდა და კითხვების მიცემას ვეღარ უბედავდა. დახლში მდგარი დღის ნავაჭრის დაფთარს სინჯავდა და ლაპარაკობდა — რა კარგია ორი-სამი კვირა სოფელში ცხოვრება, რა იაფია და თან კი რამდენად სასარგებლოა ჯანსაღობისთვისაო.

— ერთი პატარა მდინარე იყო, — ჩუმი, ჩუმი! ძლიერ ისმოდა იმის ჩუხჩუხი!.. მხიარული საზოგადოება... ერთი ტელეგრაფის მოხელე მშვენივრად უკრავდა სკრიპკაზედ... ნავში ჩიგსხდებოდით... მე ნიჩის მოსქმა ვისწავლე... უველა კარგი... მაგრამ გლეხის პატარა ბიჭები კი ჩემ სასჯელად იყვნენ სწორედ მოვლენილნი! ზუზუნებენ კოლოებსავით და სულ მომე, მომეს გაიძახიან. სულ დედ-მამის ბრალია, უსათუოდ ისინი ასწავლიან ამ საძაგელ მათხოვრობას...

— არავინაც არ ასწავლის, — მკვახედ მიახალა ლუნევმა. — დედ-მამა მუშაობაში აღამებენ დღესა და ბავშვები კი უპატრონოდ ჰყრიან... დიალ, თქვენ ტყუილსა ბრძანებთ...

გაკირვებულმა ტატიანამ თვალები დააჭირა ილიას, პირი დააღო, ის იყო რილკის თქმის პირებდა, რომ ამ დროს ტერენტიმ პატივისცემით გაიღომა და გამოაცხადა:

— ბატონები ამ ბოლოს დროს იშვიათად თუ გაჩნდებიან ხოლმე სოფელში. უწინ კი ყოველ სოფელში ბატონი სცხოვრობდა და მთელ თავისს სიცოცხლეს იქ დააღამებდა ხოლმე... ებლა კი შემთხვევით თუ მივლენ და ისიც მოკლე ხნით...

ავტონომოვისამ ახლა ტერენტის გადახედა, მერე ისევ ილიას გააყოლა თვალი და ხმა ამოულებლივ ისევ წიგნს ჩა-ცეცა თვალები... დარცხვენილმა ტერენტიმ ბლუზას დაუწყო ძიგნა. ერთი წუთით ყველანი გაჩუმდნენ, — ოთახში ფურულების შრიალი და კიდევ რაღაც ფხაკუნი ისმოდა. ეს ტერენტი ეხახუნებოდა კედელს კუჭითა.

— შენ კი, — უცბად გაისმა ილიას შეკავებული ხმა, — სანამ ბატონებთან ლაპარაკს გაპედავდე, ჯერ დაეკითხე: ნებას მომცემთ გელაპარაკოთ-თქო?.. თან არ დაგავიწყდეს — დაიჩო-

ქედა კარგად შეეველრე, რომ გიყადრონ და პასუხი მოგცენ...

ტატიანას დავთარი დაუცურდა ხელიდან, მაგრამ დრო-ზედ დასტაცა ხელი და გადიხარხარა. ტერენტიმ თავი დალუ-ნა და ქუჩაში გავიდა.. . მაშინ კი ტატიანამ ეშმაკურად გადა-ხედა ლუჩევს და ნახევარის ხმით დაეკითხა:

— მე მიჯავრდები? რისთვის?

სახე და თვალები რაღაც ეშმაკურად უბრწყინავდნენ და ალექსითა და ეშით უელავდნენ. . ლუჩევმა მხარში ჩაავლო ხელი და თავისკენ მიიზიდა... ვაჟის გულში სიმძულვარემ იფეთქა და მხეცური სურვილი დაებადა, სურვილი, რომ ქალი გულში ჩაეკრა, მაგრამ ისე მძლავრათ კი მოეჭირა მკლავები, რომ მისი სუსტი ძვლების ლაწა-ლუწი თითონვე თავის ყუ-რით გაეგონა. კბილებ დაღრკენილი ილია თავისკენ იზიდავდა, მაგრამ ტატიანა სცდილობდა როგორმე გაენთავისუფლებინა თავი და ჩუმად ეჩურჩულებოდა:

— გამიშვი, ძვლები დამეტვრა!.. ხომ არ გაგიუდი? და-გვინახავენ, რას შვრები?.. გესმის? არც ბიძის დატოვება შეიძლება აქა... კუზიანია—მაგის შიშით მუშტარი ველარ შემოვა... გამიშვი-მეტქი! სადმე უნდა უშოვნოთ ადგილი.

მაგრამ ილიამ მოჰევია კიდეც ხელები და თვალებ გად-მოკარკლული იხრებოდა კიდეც ქალისკენ.

— რას შვრები? აქ როგორ შეიძლება?.. გამიშვი!

ქალი უცებ დაიხარა და ოვეზსავით გაუსხლტდა ხელი-ლან. ლუნევმა ბინდით მოცული თვალებით ძლივსლა დაი-ნახა ტატიანა გასავალ კარგბთან. ქალი აცხცახებულის ხე-ლებით ტანთსაცმელს ისწორებდა და უსაყველურებდა:

— რა მოუხეშავი და უზრდელი რამა ხარ; ვერ მოიცდი ჰატარა ხანს?

ილიას ისეთი ხმაურობა ესმოდა ყურებში, თითქოს თავ-ში მთის ნაკადულები მოუდიანო და თითებ გადახლართული ისრე შემცურებდა ტატიანას, თითქოს ყოველ ბოროტების და უბდელურების მიზეზს იმაში ჰედავსო.

— კარგი კი არის, რომ ვნებითა ხარ სავსე, მაგრამ, ჩე-მო კარგო, თავის დაჭირაც უნდა იცოდე...

— წადი! — უთხრა ბრძანების კილოთი ილიამ.

— აგერ მივდივარ... დღეს ვერ მიგიღებ... მაგრამ მაზეგ კი დიდის სიამოვნებით.. მაზეგ ოცდა სამია — ჩემი დაბადების დღე... მოხვალ?

ლაპარაკის დროს გულში გარკობილ ქინძისთავს ისინჯაფ-და და ილიას არც კი უყურებდა.

— წადი! — გაუმეორა ილიამ და შისი წვალების სურვილით გატაცებული მთელის სხეულით აცახცახდა.

ქალი წავიდა. იმ წუთსვე ტერენტი გაჩნდა დუქანში და მოკრძალებით დაეკითხა.

— ეგ არის შენი ამხანაგი?

ლუნევმა თავი დაუქნია და თავისუფლად ამოისუნთქა.

— დიდი ვინმე ყოფილი! .. უყურებ შაგასა? რა კოპტია არის! ..

— სახაგელია! — დაუმატა ბოხის ხმით ლუნევმა.

— ჰმ... — ურწმუნოთ წაიზმუქუნა ტერენტიმ. ილიამ კვლავ იგრძნო ბიძის ეჭვის თვალით ცქერა და გაჯავრებული დაეკითხა:

— რა იყო, რას იყურები?

— მე? ღმერთო ჩემო, არაფერს...

— მე ვიცი რასაც ვამბობ... სახაგელია-მეთქი ვსთქვი და გავათავე! უარესიც რომა ვსთქვა, ისიც მართალი იქნება...

— ჰოო? ეხლა კი მესმის, რაშიაც ყოფილი საქმე. — თანაგრძნობით გააგრძელა სიტყვა კუზიანშა.

— რა ისუ? — მკაცრად დაეკითხა ილია.

— ალბად, რომ! ..

— რა, ალბათ?

ტერენტი შექრთალი იდგა ძმისწულის წინ და ფეხიდან ფეხზე გადადიოდა. გაბრაზებულს და თან შეურაცხყოფილს სახე გაბეჩავებოდა და თვალები ხშირად უხამხამებდნენ.

— ალბათ, რომ... შენ უფრო კარგად იცი — დაუმატა ცოტა ზნის სიჩუმის შემდეგ.

— საქმეც ეგ გახლავთ! — შესძიხა ილიამ. — მე კარგად ვიცნობ — გარედან გასპეტაკებულებს და სუფთებს...

— მე მექოეს ველაყბებოდი, — შერიგებულის ხმით და-
იწყო კუზიანში და სკამზე ჩამოჯდა. — თავისს ძმაზე მელაპა-
რა კებოდა... შეიდი დღით დაპატიმრება მიუსაჯიათ... მექოე
ამბობს ჩუმი და ფხიზელი ყმაწვილი იყოო... უცბად მოუვიდა...
თითქმ კეკუზე შეიშალათ. ერთს დღეს დავვრა და ყველა-
ფერი მიამტკრ-მოამტკრია, თავის ბატონსაც ჩაუნაყა ცხვირ-
პირი და ნოქარსაც... უწინ კი თურმე ბატონი სულს არ
უდგამდა — სკემდა, აწვალებდა, მაგრამ არასოდეს ხმისაც კი
თურმე არ ამოიღებდა...

ლუნევი ყურს უგდებდა ბიძას და თან ჰეთიქრობდა:

— უნდა დავანებო ყველაფერს თავი და წავიდე... ეშმა-
კმა წაილოს ეს სუფთა ცხოვრება... ყველაფერს თავს დავანე-
ბებ... ისევ ვიწოდიალებ... თორემ აქ სულ დავიღუბები...

— ითმინა, ითმინა, მაგრამ ბოლოს მოთმინება გაუწყდა...
— ამბობდა ტერენტი.

— ვისა?

— ი, მექოვეს ძმაზედ ვლაპარაკობ... შეიდი დღით დაუ-
პატიმრებიათ..

— ჰოო!

— ვეიდი დღით, მაშ... მე ვამბობ: ბევრი რამ ითმინა...
მოუგროვდა გულში ნალველი, როგორც ბუხარში მჭვარტლი
და ერთ დღეს უცბათ ცეცხლი წაეკიდა...

— პატარა ხანს შენ მოუდექ დახლს!.. მე სხვაგან მიეღი-
ვარ... — გააწყვეტინა ილიმ სიტყვა.

ტერენტის ერთფეროვანი, მომაბეზრებელი ხმა, ღიღმარ-
ხვის ზარის რეკვასავით უგემურად უგუგუნებდა ილის ყურში.
და მაღაზის სივიწროე და ნესტიანი ჰაერი ხომ სულსა და
გულს უხუთავდა; არც თუ ქუჩაში იყო მხიარულება. რამდე-
ნიმე დღე ზედი ზედ წვიმდა ქუჩის გარეცხილი ლეგა ქვები
უნძრევლივ და ნაღვლიანად შეჰყურებდნენ შუბლ შეკრულ
და დანაღვლიანებულ ზეცას და ადამიანის სახეს წააგავდნენ.
აქა-იქ, ჩაღრმავებული აღგილები ტლაპოთი და წუმპით ამსი-
ლიყვნენ და ქვების ცივ, უგემურ სისუფთავეს უფრო აშეა
რათ აჩენდნენ... ჰაერი მძიმე ნესტით გაუღენთილიყო და შე-

ნობებიც დამძიმებულიყვნენ სისეკლით. გაყვითლებული და სიცოცხლე გამოცლილი ფოთოლი ხის ტოტზედ სულსა ლევ-
და და სიკვდილს ებრძოდა. საღლაც კეტებით საფენებს თუ
ზამთრის ქურქებს ჰერტუველნენ, —ამით გამოწვეული ხმები
საფანტსავით ცვიოდნენ პაერში და წყალში გადაგდებულ
ქვასავით ისევ ჰქებოდნენ. ქუჩის ბოლოში სახლების სახურა-
ვებიდან ზღაზვნით თეთრი ღრუბლები ამოდიოდნენ, მძიმეთ,
დარბაისლურათ მიდიოდნენ ერთი მეორეზედ და ათას ნაირ
ფორმებს იღებდნენ —ხან ბოლს წააგავდნენ, ხან ზეცისკენ
ამაყათ ამართულ მთებს მოგაგონებდნენ და ხან მდინარის
მღვრიე ტალღებს დაემსგავსებოდნენ. აგერ თეთრი ღრუბელი
გამოვიდა საიდანლაც და ამაყათ ზეცისკენ გასწია, მაგრამ იმას
მალე მიჰყა უკან მეორე მუქი ცისფერი ღრუბელი, წა-
მოეწია, მოიყოლა ქვეშ და გასრისა. კაცს ეგონებოდა მხო-
ლოდ იმიტომ მიიწვენ ზეცისკენ ღრუბლები, რომ უფრო
მძლავრათ დაეცნენ ძირს სახლებს, ხეებს და მიწასაო. ლურევს
მოპერებრდა მათი ცქერა და სიცივისა და ნაღვლით აძაგაგე-
ბული მაღაზიაში შებრუნდა.

— ყველაუერს უნდა დავანებო თავი. . ვაჭრობასაც და
ყველას... ბიძამა და ტანკამ ივაჭრონ... მე კი წავალ, გადა-
ვიკარგები...

ილიას თვალ წინ დიდი, სველი მინდორი, ლეგა ღრუბლე-
ბით დაფარული ზეცა და ორყის ხეებით შემოზღუდული, განი-
ერთ შეარა გზა დაეხატა. მიღის თოთონ, ზურგზედ ბოლჩა შემოგ-
დებული, ფეხები მუხლებამდის ტალახსა და წუმპეში ეფლობა
და სახეში დაუნდობლად წვიმა უშხაპუნებს; არც მინდორში
და არც გზაზედ ჭაჭანებათ არავინ მოსჩანს... ხეებზედ ჭილ-
ყვავებიც კი არსად მოსჩან...

— თავს ჩამოვიხრჩობ, — გულგრილად გაიფიქრა ილიამ,
როცა დაინახა, რომ აღარსაით გზა აღარ ჰქონდა და ვერც
თუ საღმე წავიღოდა...

(დასარული იქნება)

ქართველთა მატიანე

„ქართლის ცხოვრების“ ღგებენდები. საქართველოს
ისტორიის დასაწყისი.

II

1. საქართველოს დამარსებელი

(მამასახლისნი).

შველა ერის ისტორიის დასაწყისს ხანას პფარავს გავლილ
საუკუნეთა წყვდიადი. ისტორია ერისა, ვიდრე გაჩნდებოდეს
დაწერილი მატიანე, ზეპირად გადმოიცემის. თაობანი და მო-
დგმანი ამკობენ მას თავის წინაპრების საგმირო მოთხრობითა
და ამბებით, წარმოიდგენენ მათ უძლეველ გმირებად, რომელ-
ნიც ადვილად ჰმუსრავენ დევებს, მრავალთავიან ვეშაპებს,
უამრავ ალქაჯებს, ისე კისეისად ამარცხებენ დევებს, ვით
ლომი კატას. როდესაც ეს გადმოცემანი და მოთხრობანი ეფი-
ნება მთელს ერს და ხდება მის საერთო საკუთრებად და მასში
იღებიძებს საერთო თვითცნობიერება, მაშინ იბადება მოთხოვ-
ნილება: ყველა ეს გადმოცემანი დაიწეროს, შესდგეს წერი-
ლობითი მატიანე საგულისხმიეროდ შთამომავლობისა.

შველამ ვიცით, გადმოცემა-ლეგენდები დაედვა საფუძვე-
ლად ომიროსისა, ცეროდოტესი, ფირდაუსისა, ნეტორისა და
მაგვარ შექრლების თხზულებებს. ამ გვარს ნაწარმოებში ბევ-
რია იგავი, თხრობა საპოლიტიკო, სარწმუნოებრივი. ქვეყნის
რომელიმე მარჯვე ადგილი თანდათან სახლდება, კაც-მრავალ

^{*)} იხ. «მოაშე» № 5, 1903 წლისა.



ქალაქედ ხდება, იქნეს ძალას, ძლიერებას. ერს ეძლევა მიუწვდიოდა შეჰქმნას „მითი“ მის დამაარსებლის შესახებ, რომელიც, იქნება, არც კი ცხოვრობდა ამ ქალაქში და არც კი არსებობდა. ამ გვარია, მაგალ., მითები შესახებ რომის დამაარსებელ რომულისა და რემისა, შესახებ ელლინთა წინაპრის ელლინისა, შესახებ ეოლის, დორის, იონის და აქეისა, რომელთაც, ვითომ, დაეარსებინოთ ქვეყნები ეოლია, დორია, იონია, აქეია.

ასრე ინასკვება ყოველი ერის ისტორია, მისი დასაწყისი, დასაბამი.

ჩვენი მატიანეც ამ საკაცობრიო წესს ვერ ასცილდა. საჭირო შეიქმნა ეპოვნათ პირველი მარცვალი, რომელიც ქართლად აღივდა, და ჰპოვეს გმირი ქართლოსი, ხე თარგმოსისა. მარტოხელა კაცი, რაც უნდა ღიღი ვაშკაცი იყოს, არა თუ ომში, ჭამაშიაც ბრალია, და მას, ქართლოსს, გვერდს ამოუყენეს ძმები—ეგროსი, წინაპრი ეგრთა, ცეროსი, მოვაკნი, ბარდოსი, ლეკოსი, კავკაზოსი, ჰაოსი. ყველა ამათ, გარდა კავკაზოსისა, ჰაოსისა და ლეკოსისა, შეჰქმნეს თითო ქალაქი—ქართლი, ეგროსი, ბარდოსი, ჰეროსი და მოვაკნ—და მათში დასახლდნენ.

შემდეგ ოცნებაშ შეჰქმნა შეორე თაობა გმირებისა. ესენი იყვნენ ქართლისძენი—მცხეთოსი, გარდაბოსი, კახოსი და გაჩიოსი. ამათაც ააშენეს თითო ქალაქი და უწოდეს თავის სახელი.

ამასობაში ქართლოსი გარდაიცვალა. იგი დაიტირეს და დამარხეს მისივე ქალაქ ქართლში; მისი საფლავი აღიარეს წმიდა აღგილად და ქართველთა საფიცრად; თვით ქვეყნას უწოდეს მისი სახელი—ქართლი, საქართლო (სვან. ქართ=ქართლი).


ქმრის (ქართლოსის) გარდაცვალების შემდეგ მისმა ქვრივმა ააშენა ბოსტან-ქალაქი (მერმენდელი რუსთავი) და დედაციხე. კახოსმა ააშენა ქალაქი ბერ (ჩელეთი). გაჩიოსი დაესახლა ორბისციხეში, რომელიც ააშენა მისმა მამამ.

შათ მოჰყენა მესამე თაობა: უფლოსი, ოძრხოსი, ჯავახოსი. ამათ შექმეს უფლისციხე, ოძრახე, თუხარისი, ჯავახეთი, წუნდა, არტანისი. უფლოსმა ააშენა აგრეთვე ურბნისი, კასპი.

შველა ამათ დაიპყრეს ქართლი, რომლის საზღვარი იყო: ზღვა სპერისა (კოროხის მხარე შავის ზღვისა), ალაზნის შესართავი, მდ. ბერდუჯი (დებედა) და ტავრისკენ მიმავალი მთები.

ამას გარდა, ყველა იგინი მამასახლისები იყვნენ და მათი უფროსიკი იყო მცხეთის მამასახლისი, რაღაც თვით მცხეთა ითვლებოდა თავადად ყოველთა ქალაქთა ზედა.

დრო, როდესაც ეს გმირები და საქართველოს დამარსებელნი ცხოვრობდნენ, შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ ამავე წინაპრების საშთამომავლო შტოთი. ასე:



განმარტება ამ სახელებისა.

ამ სახელების დაბოლებანი გვიჩვენებენ, რომ იგინი არიან ჯუთვნილებითნი და არა საქუთრებითნი და, ამას გარდა, თუ



უკელა ამ სახელებს დაბოლოებად ჰქონიდათ „ოსი“, მაგრამ უფლოსის ქალაქს უნდა ჰრქმეოდა უფლოსისცის და არა უფლის ცის ე. მდრახოს ქალაქს— თმრახოს ქალაქი და არა მდრახ და სხვ. ჩვენს ამგვარს ნათქვამს ცხადად აჩენს შემდეგი შედარება.

საგუთრებითი სახელები

ქართლი	ეგური (აფხაზ. აგრუა)
გარდაბანი	გაჩი (=გაცი)
უფალი	უფალი
ოძრახე	ოძრახე
ჯავახი	ჯავახი
კუხი	კუხი
კახი	კახი
ცხეთი	ცხეთი
ტერი	ტერი

ვაკე
ვაკენი }

ბარდი (ბერდი)

გუთგნილებითი სახელი

ქართლისი	ეგრი-სი
გარდაბნი-სი	გაჩი-სი=გაჩიანი
უფლის-ციხე	ოძრახე-სი
ჯავახი-სი	კუხი-სი
კახი-სი	ცხეთი-სი
ტერი-სი (ტრეთი)	მოვაკენი-სი
	მოვაკენი } მოვაკენ-ეთი
ბარდი-სი } ბერდი-სი	ბარდავი
	ბერდა.

მის მთელი თემი, მაზრა ანუ ქალაქი გაუპიროვნებია, გაუხორციელებია. თვით „დაბადებაშიაც“ ასრეა: თობელი (ტაბალი) ერთი კაცი კი არ არის, არამედ მთელი თემი, მთელი მოსახლეობა თობელთა, აგრეთვე მესხი, თარგამოსი, ღამერი და სხ. თითო კაცს კი არ წარმოადგენენ, არამედ მთელს მოდგმას, ტომს, გვარს, ნათესაობას.

ამავე წესით ქართველებს შეუქმნიათ ეპონიმები.

ქვეყნის სახელა	ეპთნიმები:
ქართ	ქართ-ოს
(ქართლ-ოს)	
ეგურ	ეგურ-ოს
	ეგრ-ოს
კახ	კახ-ოს
ტერ	ტერ-ოს
ჯავახ	ჯავახ-ოს
ცხეთ	ცხეთ-ოს

ხევს. ას=არს=არის = შეგრ. თუ. ამიტომ შეიძლება, სახელებში ქართლ-ოს, ეგრ-ოს, კახ-ოს და სხ. ეს თს იყოს იგივე ას არის და შემდეგ მიეღოს ნათესაობით ბრუნვის დაბოლოება (კითარუა შამასი=მამისი).

ამათგან საკუთრებით სახელებად დღესაც იხმარებიან:

ა) უფლისა (საყვარელი სახელია მთელს იმერეთში).

ბ) ტერისი (ასრე ერქვა, სხვათა შორის, იოანეს, წმ. ეფთვიმეს შამას)

გ) ბერდა. ამავე სახელითგან წარმოსდგა სახელწოდება—ბერდუჯი (აწ დებედა). ბერდუჯი უდრის ბერდუჭს, ვითარუა არტანუჯი—არტანურს: შეგრ. ჯი=ქართ. რი: ხო-ჯი—ხა-რი, ყუ-ჯი=ყური და მრ. სხ. (არტანუჯი=არტანური, ბერდუჯი=ბერდური, ეს იგი რომელიც ეკუთვნის არტანს (არდაგანს), ბერდას (განჯას).

დ) გაჩი. ეს მიგვაჩნია სახელად ღმერთის გაჩისა (=გა-ცისა), რომელიც აღმართულ იყო ქალაქ ქართლს (არმაზი). რომ ქართველები თავის ღმერთების სახელს არქმევდნენ თვით ამ ღმერთების სამფლობელოსაც, ეს მტკიცდება სახელწოდებით მთებისა — არმაზი, ზადენი (ზადენ - გორა, ზედა - ზადენი). თვით ბოკო-ხევი და აბოცი, გვვონია, სახელია ქართველთ უპირველეს ღმერთის ბოჩისი.

ე) ქახა. ეს სახელი გვხვდება მე-VII საუკუნითგანვე: იხ. ზემო ჯიბისძის „დავითნი“ და აგრეთვე 653 წლის ატენის წარწერა და ქორენელის თქმით კი კახის ეჭირა (არამის დროს) ორ ზღვას შუა მდებარე ქვეყანა (იხ. ქვემო).

3) ოძრხეს სიხელი გვიჩვენებს, რომ ამ „გმირის“ ხელობა იყო მეძროხეობა, ვინაითგან ოძრხე ნიშნავს საძროხეს (მეგრ-თ-სა: ო-ფეთქელი=სა-ფეთქელი, ო-ღეჯე=სა-ღორე, ო-ზომალი=სა-ზომი (სა-ზომელი)). გარნა ეს ა ქართულში გამა-გრებულია, ფესტივალი მიჰკვრია: ქართული ოხითა და ოხვა იმავე ფესვისაა, რომლიდანაც წარმოსლგა მეგრ. ო-ხვამე=სვან-ლა-კვამ (საყდარი) და ძევლი ქართ. ოხვამერიანი (ქუთაისში არქელის გორა").

4) მოვაკნისი ეპონიმია ვაკე აღვილისა, როგორიც, მართლაც, არის განჯის ქვემოთი მტკვრის მარტენა კიდე ბაქოსკენ-ვაკედ იწოდებოდა და იწოდება აგრეთვე იმერეთის ერთი ნა-წილი, ხონიდგან მოკიდებული ცხენისწყლისკენ.

თვით „ფაზიანიდების“ „საშთამომავლო შტოში“ ჩვენ ვპო-ვებთ ეპონიმებს, რომელთაგან ზოგიერთი დაუსახელებია ქარ-თლისცხოვრებას. აქვე მომყავს ეს „შტოც“.

ფაზიანიდების საშთამომავლო შტო.

ფაზის I



კოლხ



ჰელიოს (მზე)



ეეტ ჰერსე ცირცეა I პასიფაი

(მინოსის მეუღლე)

ცეკატა (ეეტის მეუღლე)



ეგიალ(ა) აბსირტ მედეა ცირცე II ხალკიოპე

(აბსარ) (მედია) (სკვითის

მეფის მეუღლე)



(იაზონისაგან)
მერმერ. ფერეტ

(ეგეასაგან)
მიდი

არგ ფრონტის მელას ციტიზორ (კიტიზორ)

აფხაზები თავის თავს უწოდებენ აბსუა, ხოლო ქართლის ცხოვრებით იგინი არიან აბსარ-ები და აბსარი კი, როგორც სხანს ფაზიანიდების „შტოდმ“, ყოფილა აյ ეკტისა.

სახელები ეგაძღი და არგი უახლოვდებიან ქართლის ცხოვრების არგვეთს, ეგურ-ს (აფხაზურად აგურა—გურია, აგრუა სამეგრელო; აგრუა სტრაბონი ასრევე იხსენიებს—agri). დაბოლოება ამ სახელებისა გვიჩვენებს კუთვნილებას: ეგ-ური=აგური, ე. ი. ის, ვინც ეკუთვნის ეგს, აგს, ხოლო ქართლის ცხოვრებით აგ იგივეა, რაც დაბადების გოგ, და კიბერტის Atlas antiquus-ი კი გვიჩვენებს, რომ გოგარენები იყვნენ მესხეთის (ჯავახეთის) მცხოვრებნი და ის ადგილი, საცა იყო გუგარექი, გუჯარეთი და საცა ეხლაც არის გოგაშენი (შეადარე თამარა-შენი და სხ.).

მს აგ-ები, აგოგ-მაგოგები ჯუანშერის ქრონიკით თვით ნებროთის შეილველნი იყვნენ და ცხოვრობდნენ ბაბილონს (ნებროთი 2716 წ. ქრ. უწინარეს).

ზოგი, მართლაც, მესხის მეზობელია „დაბადებითაც“. იქ-ზეკიელი ამბობს:

ა) „ძეო კაცისაო, განიმტკიცე პირი შენი გოგსა ზედა და ქვეყანასა ზედა მაგოგთასა, მთავარსა როსს (=როშს), მოსოხს (=მესხეს) და ოთბელსა“. (იქზ., 38, 1).

ბ) „აპა, მე შენზედა გოგ, მთავარსა როსისსა (=როშისა), მოსოხს და ოთბელს“ (მისივე, 39, 1).

მს სახელები მეზობლიდ მოსახლე ერის სახელია, ალბად—გოგარენების (გოგაშნელების), მესხის, ერუშის (ერუშეთი) და ტბელის=ტობელის (თობელს სწერენ ტაბალადაც, ხოლო ტობა, ტვიბ, ტობი ნიშნავს ტბას, ტბორეს (შეადარე ტაბა-ხმელა).

გ) დაბადება (10, 2-3) იაფეტის შვილებად იხსენიებს ღა-მერს, მაგოგს, მაღაიმს, იოვანს, ელისას, თობელს, მოსოხს და თირასს, ხოლო თარგამოსს—შვილად ღამერისა. თარგამოსს რაიმე დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა ქართველებთან: იმე-რეთში არის მთელი საზოგადოება თუ სოფელი, თარგამაული.



ამას გარდა, იეზეკიელის წიგნში (ლტ, 3) მოხსენებულია: „სახლით თარგამისი დასასრულისაგან ჩრდილოისა.“

საქართველოს ჩვენი მწერლები სულ მუდამ ჩრდილოეთის ქვეყანად უწოდებენ.

„სადაც არს ჩრდილოეთსა იგი ქუეყანად ანუ სადა არს სამოსელი იგი ოკულისა ჩუენისად (შატბ. ქრ., 11).

„სამოსელსა ზედა წილ ითხინეს და წილით ჰნუდა ჩრდილოეთა მცხეთელთა კუართი“ (იქვე 10).

„ჩრდილოეთ (საქართველო) ბლუარსა (სამხრეთს) თანა იხარებდეს“ (იქვე, 23).

„მოხედა ღმერთან ქუეყანასა ჩრდილოეთსასა კავკასიათა, რომელსა სახელი ერქვა სამართლად ჩრდილოეთ“ (იქვე, 29).

ც. მედეა, მადი. ცერილოტე ამბობს (VII, 62): მიღიერებს წინად არიები ერქვათო, ხოლო როდესაც იქ მივიღა კოლხიდის მეფის ასული მედეა, მაშინ ამ ქვეყანას მედა დაერქვაო. მედეასთან მისულა ავრეთვე მისი შეილი მედი, რომელსაც ბევრი ქვეყნები დაუპყრია და თვისის სამულობელოსთვის დაურქმევია მიღია—=მედია.

საქართველოს დასაწყის—ისტორიის ერთი წვერი სწვდება მიღიას. ასრე.

2. საგართია მიდისად: ქადუსნი, გურგანი, ქასნი
და მათნი მეზობელნი.

ა) ქართული წეართს ცნობები.

შეს დაიბეჭდა „დილარიანი“, დადი წიგნი (800 ბგ. შეტი), რომლის ენა იგივე მოსე სონელის ენაა. გადაჭრით ვერ ვატევით, რომ იგი კვალ-წმინდათ იყოს ის თხზულება, რომელიც რესთველის წინად დასწერა სარგის თმოგველმა, „უცმა სწავლულმა და ფილო სიფოსმა“ (ქ. ცხ., 362), და შე-XVIII საუკ. შეწრებს ზოგი რამ თავისიც არ შეეტანთ შაგ. გარნა „დილარიანი“ ისეთი თხზულებაა

და ისეთის ენით დაწერილია, რომ მე-XVIII საუკ. უგება შეწერდება მას ცერტიფიკატის ერთად მას ცერტიფიკატის ერთად მას ცერტიფიკატის.

„დიდარიანი“ იგივე „შაჟნაშეა“, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ფინანსურის ქმნილებაში წარმოდგენილია ცხოვრება ერანის მხრის გმირებისა, ხოლო სარგისის თხზულებაში—მოქმედებანი აპაშ-ეგვიპტის მეფის დიდარისა და მის მიერ დამტკიცილ მსთავლითს მეფეებისა. ამ უკანასკნელთა შერის უკედაზე ძლიერი და შემძლებელი არის ფარსმანი, მეფე გადუზთა, კოდხთა, საგაბუნითსი, ბრუტისთა. ფარსმანი უფალა გმირებისა, რომელიც შიშის ზარს სცემენ აზის მებრძოლ-გმირებს. 500,000 მეტრით ფარსმანი მიესევა მზის ქალაქს, საცა მფლობელობს დიდარი. მათ შერის ბრძოლა თავდება ფარსმანის დამარცხებით. დამჯენის მეფეს დიდარი სთვლის უკედაზე სახელოვნ ხელმწიფედ მეფეთა შერის და დიდს ბატივს სცემს.

პირველი ცნობა ფარსმანის გალაშქრების შესახებ დიდს დელვას ჰპადებს დილარისა და მის მიერ დაპყრობილ მეფეების ბანაკში. მომყავს ეს აღგილი „დილარიანითვან“:

„აქა მოსვლისათვის განსაკირვებელისა მის გმირისა კადუზიანელთა მეფისა ფარსმანისა და ყმათა მისთა კაცის მჭამელთა ფალავანთა: ლდეს კელმწიფენი და შეფენი იგი ერთმანეთისა ქვერეტითა იშვებდეს და მხიარულობდეს, მას ეამსა მოვიდა კაცი გრძნეულთა მეფისა გარშარაბისა, თაყვანი ჰსუა დილარს, ტახტისა ფერეთა ქვე მიწასა აკოცა და წიგნი თვისისა მეფისა მოართვა. რომელსა შინა ეწერა ესრეთ: დღე გრძელდინ, დილარ მეფეთა ზედა მეფე და კელმწიფე! მომლოცველი სკვითელთა ზედა ძლევისა, შეუდებნ მოხსენებასა ჩემსა ესე ვითარითა სახითა: აწ ეამსა ამას მოვიდა განსაღილებელი ძლიერებითა და გმირთა გმირი დიდი იგი მეფე კადუზიანთა, ფარსმან, უთვალავთა ფალავანთა დასებითა და მრავალთა კელოვნებათა მცოდნეთა რაზმებითა, რომელთაგან გაფრთხილება დიდად სახმარ არს. ახლავან ყმანი თვისნი ბრუტოსის მთისა და მის კერძოთა მთათა მოსახლენი გმირნი ვითარ ხუთასი ათასი, რომელთა საბრძოლოველად უპყრიათ დიდ დიდთა ძელთა მსგავსნი რენანი და თუმცა მთასა ბალბასისათა დაუშინონ, მათცა



ძირითურთ დაპტშვნეტენ, და საზრდელად მათდა არს თგრით კაც ცოვე ხორცი საქმელად. კვალიად ახლავან ყმანი თვისნი კოლნიდისა კერძოსანი და საგაბუნოსანი, რომელთასა ესრეთსა მჰარაობასა იტყვიან, რომე რადცა უნდესთ, დღისით მზისით ესრეთ მოიპარენ, რომე ვერა სადა ვინ სცნასო. სიმრავლე მათი არა შეიგების, ყოველნივე არიან გმირნი და, თუ ჰსტეფა, კაცთა არად შემრაცხნი და იტყვიანცა —ჩვენდა საქმელად მოცემულ არიან ყოველნი კაცნიო. უბნობენ, რომე თვით მეფე მათი იყოს უძლიერესი ყოველთა ნამყოთა და აწმყოთა ხელმწიფოთა და გმირთაგან; ყმა კაცი არს, გულ მყარი და მკლავ მტკიცე და უკეთილესისა სახისა მექონი. მე მონასა კელმწიფებისა თქვენისასა შშეიდობისა სიტყვითა მთხოვა ძლიერმან მეფემან ფარსმან გზად, და ბრძანებისამებრ თქვენისა მივეც ნებად. ესერა გამოვლეს ქვეყანა ჩემი და მას გვირაბისა პირსა მოვიდნენ. ესვენ ღმერთებად რასმე სახელდებულთა არმაზ და ზადენს, გაციმ და გაიმს და ცეცხლსაცა თაყვანის ჸსცემენ” (გვ. 577—578). სხვა ადგილას (გვ. 781) ნათქვამია, რომ ფარსმანი ქართლოსის რჯულის მეფეაო.

სამხედრო საბჭოს გამოუცხადა დილარმა, გავუგზავნი კაცს და ვკითხავ, ნებავს საქმე მეგობრულად გაათაოს და დიდის ჰატივით დაბრუნდეს სამშობლოში, თუ ჰსურს ომი (გვ. 630). აახლა თვისი სპასპეტი მარსი, სიყვარული გამოუცხადა, მიულოცა შშეიდობით მოწევნა „აქამდე“ და იკითხა მიზეზი მისის—გამოლაშქრებისა. ფარსმანმა შეუთვალა, ეს ვრცელი ქვეყანა ჩემთვის უბოძებიათ ღმერთთა ღმერთებს არმაზს და ზადენს, გაიმს და გაციმს და არავის არა აქვს ნება გამოსწიროს ივი მას, და თუ დილარ არ გაეცლება მზის ქალაქს, მიუსევს მას ბრუტოსელთ და დაანგრევინებს.

დილარი მოემზადა საბრძოლად. ფარსმანმა მიუსია ბრუტოსელნი, მერე საგაბუნიოს ბანძელნი, მერე თვით ფარსმან მიუხტა. დილარს გაუჭირდა ბრძოლა, გარნა გაემარჯვა. ფარსმანმა გამოუცხადა ივი მსოფლიოს მეფედ. დილარმა ალიარა გმირი—მეფე თავის უპირველეს მეგობრად და სთხოვა ერწმუ-

ნა ღმერთი ცათა შინა მყოფი. ფარსმანმა გასწყვიტა ცეცხლის მსახური ღვდლები და ორწმუნა ღმერთი დილარისა. კადუზიანთ ეცვათ რკინის ჯაჭვები და მაზედ წითელი კაბა. მის შემდეგ დილარმა შეირთო ანავსია, რომლისაგან მიეცა ვაჟი, სეზოსტრისის ტახტის მემკვიდრე.

ფარსმანს გარდა დილარს ემორჩილებოდნენ მეფენი ინდოეთისა, ბაბილონისა, ჩინეთისა, სკვითისა, მყინვარისა, ცი-კლოპთა, პოლანთა, ბრიტანთა და სხ. და სულ 32 მეფე.

ძნელია სთქვას კაცმა, ვინ იყო დილარი, გარნა ის კი თაგონებელია, რომ „დილარიანში“ უნდა იყოს შემოკრებილი ძველი ლეგენდები ანუ მათი ნაწყვეტები. და რადგან მთელს ამ დიდს წიგნში არსად არ არის ხსენება სომეხთა და მათ სამეფოსი, ამატომ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ დილარისა და ფარსმან მეფის დროს ჯერ არ ყოფილა დაარსებული ჰაოსიანთა სამეფო.

„დილარიანის“ ჩვენებით ცხადდება, რომ კადუზიანნი იყენებს ქართველნი არა თუ მარტო სჯულით, არამედ ტომ-მოდგმითაც. იგინი ნათესავნია კოლხთა, ხოლო ცეკატე, რომელიც სცხოვრობდა 550 წ. ქ. უწინარეს, ამბობს, მოსხნი (=მესხნი) კოლხის ტომისანი არიანო. ცხადია, თუ კადუზიანნი არიან კოლხნი და კოლხნი კი—მესხნი, მაშ ყველა ეს თემნი ქართველნი ყოფილან.

მადუსი ძველის მსოფლიოს უძლიერესი ერი იყო და მის სამშობლოდ ითვლებოდა ჩრდილოეთი მიდია, ე. ი. სამეფო, რომელიც დააარსეს მედეიმ და მიდმა და რომელსაც ერქვა აგრეთვე საგართია. ეს საგართია კიბერტის რუკებით ჩაპყვება არეზის მარჯვენა მხარეს მატიანის ტბის (აწ ურმისის ტბა) გაყოლება თითქმის ინდოეთის ოკეანემდის, ქალაქ ჰარმონია-მდის, რომელიც სპარსეთის სრუტეს ყურეშია და რომლისაგან მის წყალსაქცევს დაერქვა ორმუზის-წყალსაქცევი.

ბ) ბერძენ-რომაელთა მწერლებით

1. ჭირვანია.

ჭირვანია იყო ფრიად შეენიერი და მდიდარი ქვეყანა. ალე-ქსანდრე მაკედონელი რომ ამ მხარეს შევიდა, ნახა აქ ბევრი „ბედნიერი“ ადგილები; მოსავლის სიუხვით, ხილის სიმრავ-ლით მას ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეედრებოდა. თითო ვაზი იძლეოდა 9 თუნგ ღვინოს. თითო ლელვის ხილაშ იკრიბებოდა 30 კოდამდე ლელვი. ნამეავებში დაშთენილი მარტვალი მეო-რე მოსავალს იძლეოდა. აქ იყო ერთნაირი, მუხის მსგავსი, ხე, რომლის ფოთლებიდგან სწვეთდა თაფლი, საყვარელი საჭირელი აქაურ ერისა. აქ იყო ერთნაირი ფუტკარი ანტრედონი; ეს ანტრედონი მთებში ჰპოულობდა უხეს მასალას, ბუდობდა კლდეებში, აკეთებდა ფიჭას, თაფლს და ამ თაფლის გოლი (ტებილი წვენი) სწვეთდა კლდეებიდამ.

საზოგადოდ, ჭირვანია იყო ივერიის მომიჯნავე მხარე, ხოლო მატიანია—მესხეთისა.

პომპონი მელა, რომელიც ცხოვრობდა I ს. ქრ. შ., ამბობს, რომ კასპიის ზღვის ზედეთ მოსახლეობდნენო ხომა-რები, მასსაგეტები, ქაჯინი, ჭირვანი, იბერნი, და მტკვარი და კამბიზი (იორა) ჰყოფდნენ იბერიასა და ჭირვანიასო (განი, 97—98).

ამ ცნობიდგან სჩანს, რომ ერთს ამ სახელმწიფოში, ჭირ-ვანიასა ანუ იბერიაში, შედიოდა საგართია, კალუსია, კასპიანა, გელნი, მარდნი. გარნა რომ კასპიანა დასახლებულ იყო ქარ-თველებით, ამას ცხად ჰყოფს ჩვენება პლუტარხოსი, რომე-ლიც ამბობს, კასპიანიდგან მრავალნი ალბანი და იბერნი შეუ-ერთდნენ ტიგრანსო (იქვე, 127).

თვით საგართიას აქეთი პირი—მატიანია, იყო მომიჯნა-ვე კუთხე მესხეთისა. ჭეკატე (ცხოვრობდა 550 წ. ქრ. წინ.) ამბობს: „მოსხი კოლხიდის რომია და მომიჯნავეა მატიენისა“ (იქვე, 8).

ამას გარდა, ზემო ხსენებულ უჯვების“ სახელით ძველა დგანვე იწყდებოდა ქალაქი წუნდა (მესხეთში), არტანი და ციხის ძირი (გურიაში). ქაჯი რომ ქართული სახელია, ეს სჩანს სიტყვებიდამ: ქაჯვა (გამოწურვა ღვინისა საწნებლით), ქაჯი (ავი სული), ქაჯება (კლდესავით მაგრობა).

ღონისი პერიეგეტის კომენტარიებში ექვთაო ამბობს (გან, 140), აღმოსავლეთი იბერია არას დროს არ ემორჩილებოდა პართველებს და არც სპარსებს, მაკედონელთა უღელსაც გადარჩა. ეს იბერები გადმოსახლდნენ თავიანთ დასავლეთ იბერებისაგანო, რომელიც პირენეის (?) მთებში სცხოვრობდნენ. აქ, რასაკვირველია, ავტორს ქართველთ პერანგის მთა, რომელიც ჰყოფს ქართლსა და იმერეთს, პირენეიდ მოსჩვენებია. თვით ქართლის ცხოვრებაც აღნიშნავს ქართველების (ივერების) გადმოსახლებას, ხოლო არა პირენეიდამ და არც პერანგიდამ, არამედ ტიგრისა და უფრატის (=ფროტოსის) ხეობიდამ, სახელდობრ არარატის ქვეყნიდამ. ეს ცნობა მტკიცდება არა თუ ვანის ლურსმურ წარწერებით, თვით ივერების სახელ წოდებითაც (იხ ქვემო).

რომ პირკანია, საგართია, კალუზია დასახლებული იყო ქართველ ტომ-მოდგმით, ამას ცხადად აჩენს არა თუ მარტო „დილარიანი“ და ოდგილობრივი სახელი, რომელთა შესახებ საუბარი გვექმნება, არამედ თვით ბერძენ-რომაელთა თქმულებანიც.

2. მიდია.

შევნიშნეთ, რომ ცეროდოტეს თქმით მიდიელებს ეს სახელი დაერქვათ კოლხიდის მეფის ასულის მედიასაგანო, რომ წინად მიდიელებს არიები ერქვათო და მედია რომ მოვიდა, წინანდელი სახელი შეეცვალათ (ცეროდოტე, ვII, 62). აღვნიშნეთ აპოლოდორის ნათქვამიც, რომ მედიას ძემ მიღმა დაიპყრა მრავალი ქვეყნები და თავის სამფლობელოს უწოდა მიღმა და თვითონ მოკვდა ინდოეთის ლაშქრობაშით (გან, 53).



სტრაბონი მოწმობს, მედეა (=მედია) ისტორიული მოძღვანელი რიაო და კოლხიდაში ყველას სჯერა, რომ აიეტი ამ ქვეყანა-ში მეფობდაო (2, 39).

აპოლონ როდოსელი გვაცნობებს, მედიამ წამლების მო-სამზადებელი ფაქანი (ლოკოკინას კანი) მოიძია კასპიის ტა-ძარშიო (იქვე, 51).

პრა სჩანს, რომელს ტაძარზეა ლაპარაკი; ალბად ეს ტა-ძარი იყო ჰირკანიის ქალაქს ჰეკატომფილში (Hecatompyle). ჰეკატია იყო თვით დედა მედიასი და ჰეკატის ტაძარი იყო ოგ-რეთვე კოლხიდაში. ამ ტაძრის მოსალოცად ყოველ დღე ღი-დის ამბით მიღიოდა მედია სასახლიდამ.

აქაური ერი შეიძლება მივიჩნიოთ ნაშთად იმ ერისა, რო-მელიც, პოლიბიოს მოწმობით (გან, 52), შუამდინარიდამ გა-დმოვიდა ზუგროსზე მიღიას. მათი ქვეყანა ერთის შერით მო-სამზღვრეობდა პონტს, ფაზისს, მეორე შერით კასპიის ზღვას. აქ ცხოვრობდა მრავალი „ბარბაროსი“ და მათ შორის ყველაზე მეომარი იყო ერი—მხედარი. თუმცა პოლიბიოს ცხადად არ ამბობს, ვინ იყო ეს მეომარი ერი, გარნა, მივიღებთ-რა მხე-დველობაში ყველა ზემორე მოყვანილს ცნობას, უნდა ვიგუ-ლისხმოთ, რომ ეს მხედარი-ერი იყო ქართველთა ერი, რომე-ლიც ძველადგანვე წარმოადგენდა მხედრობას, რომელთა ცხოვ-რებაში სიტყვას მხედარი ღიდი მნიშვნელობა ჰქონდა: (გამ-ზედრება, მხედარი, მხედრობა, სამხედრო, მხედრული (წერა), ხედნა და სხ.). თვით ჯორს, რომელიც, ალბად, ცხნის გაც-ნობამდე იხმარებოდა სამხედროდ, ჩვენში ჰქვიან სახედარი.

3. გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული სახელები.

ჭირკანიის ზღვა.

ძველი მწერლები ამბობენ ამ ზღვას, მტკვრის შესართავ-ამდე ერქვა ჰირკანიის ზღვაო და მის შემდევ კასპიისა. ჰირკველი სახელწოდება დაენათლა ჰირკან ელებისაგანო და მეორე—ერის კასპისაგანო.

ამ ჰირკანის ზღვის ქართლის ცხოვრება უწოდებს გურგანის-ზღვას და, საზოგადოდ, ამ ზღვის ჰყუფს სამ ნაწილად და უპირისპირებს შავის ზღვის ნაწილებს, ასრე: „დაიპყრა (მაგალ; თამარ მეფე) გურგანითგან სპერამდე (შავის ზღვის ჭოროხის მხარემდე), კასპითგან შავ ზღვამდე (ფოთი-ბაქო), ანაკოფითგან (აფხაზეთშია) დარუბანდის ზღვამდე (დარუბანდით ხილხალამდის, მოვაკანი, შარვანი და ზღვის პირი ერთი სამეფო იყო (ქ. ც., 272) და აქაურს კარს ერქვა ზღვის-კარი).“

2. ჰენრის კიბერტის მმბობს (Lehrbuch alteren geographie, გვ. 67) ჰირკანის ერქვაო ძველ ბაკტრიულად ვირკანია, ბერძნ. Βαρχανό, ახალ სპარსულად—გურგან, არაბულად ჯორჯან.

ზემოთ მოყვანილ ცნობებს გარდა ჩვენ კიდევ გვაქვს ბევრი საბუთი, რომ სწორედ ეს ერთ ჩავთვალოდ ქართველ ერად, იმ ერად, რომელსაც ძველადგანვე უწოდებენ: სომხები—ვარქად, არაბი—ჯორჯანად, სპარსი—გურგან=გურჯად.

ბერძნთა მწერლები ამბობენ, ჰირკანის ზღვა რგვალია, მთვარისებურიო. ამგვარი ცრუ აზრი გავრცელდებოდა თვით ერის სახელწოდების გურგანი-ს მსგავსებით ცნებასთან გურგალი (ჰურგალი—გურგვალი—ჰრგვალი).

ჰირკანის სპარსელები სოვლიდნენ „მგელთა ქვეყანადო“ (სპარს. გურგ—მგელი). ასრეთი შეხედულება სპარსელების მხრივ გვირცელდებოდა ამის გამო: ა) აქვე ახლოს ცხოვრობდა ერი, რომელსაც ერქვა გელნი (gelae), ხოლო გელი (in. g.) და გერი (θέρι.). იმავე მგელს ნიშნავს და ამ სიტყვიდანვე წარმომდგარა გვარები გელაძე, გელაშვილი, გელოანი და ბ) ძველად ქართველებს ჩვეულებად ჰქონდათ ფარების კეთება ვიგრის ტყავისა (შეადარე სპარს. ვეგრ), მაგალ., ვახტანგ გორგასალის ჰქონდა ვიგრის ტყავის ფარი (ქ. ც., 118, 138).

ხოლო ნამდვილი, ჰირვანდელი ფორმა სიტყვისა გურგანი უნდა ყოფილიყო ჰურგანი. ამის შემამოწმებელ საბუთად ჩაითვლება თვით ამ სახელის ნაირნაირი გამოთქმა—ჰირკანი—ვირკანი—ვარკანი—გურგანი—ჯურჯანი (ჯორჯანი). და ქარ-



თულის ენის კანონია, რომ ჭ იცვლება გ-დ, გ-დ, ხ-დ, ჭ-დ;
ჰრგვალი—გრგვალი, ჰრკალი—გრკალი, ჰრგოლი—გრგოლი,
ჰ-ყავ=სვ. ხა-ყა, გ-ყავ=სხვ. ჯა-ყა და სხვ.

მაშასადამე ჰურგანი (და ჰირგანი) დაუბრკოლებლივ გა-
დაიქცეოდა გურგანად, გირგანად (და ამის მიერ გიორგიად,
როგორც ბერძნები გვიწოდებენ).

ჰურგანი=გურგანი, ჩვენის აზრით, შემდგარა სიტყვისა-
გან ჭურ და თანდებულისა გან.

თანდებული გან გვიჩვენებს, რომ ამ ქვეყნის (ჰირკანის)
ერი მოსულა ურთებაზე: ჩვენ დღესაც ვამბობთ ჩემგან, მისგან;
ამავე აზრით ინგილონი ამბობენ გორიგან (და არა გორითგან).
ამას გარდა გან=განი გვიჩვენებს ნაშირს, მხარეს, ადგილს:
ერთ-გან, გარე-გან, შინა გან, კიდე-განი; სახლ-განი იგივეა,
რომ ვთქვათ განის (ნაპირის) სახლი).

ამას გარდა ურია=ჰურია სვანურად ითქმის ვირია-დ და
ამიტომაც ურგან=ჰურგან იმავე ვირგან-ვირკანია-დ გვესმის.*)

სად იყო თავდაპირველად ქალაქი ური=ჭური, რომელ-
საც ქართლ. ცხოვრება (138, 144) უწოდებს ურა-დ, ჰურა-დ?

ურ იყო ქალდთა ქვეყანაში და ამ ურ-ქალდიადამ აბრაა-
მი წავიდა (2015 წ. ქრ. წ.) ქანანის ქვეყანას. ამ ურისკენ
უჩვენებს ქართ. ცხოვრება პირველდელ სამშობლოს ქართვე-
ლებისას. ამასვე იმეორებენ დღეს ვანის წარწერების შემსწავ-
ლებლი და დასძენენ, რომ ურარტი, ურარდი, ურასტი, არა-
რდი, ალართდი ერთი და იგივე სახელიათ.

შეცდომა გვვონია, რომ სულხან საბას „ურასტი“ მიაჩნია
სიტყვად, რომელიც, ვითომ, ნიშნავდეს „სიმრავლესავით.“ ეს
სიტყვა და მისი ნაწარმოებნი ჩვენ ასრე გვესმის:

ა) ურ-არი (ურ არის, ურია)

ბ) ურარ-თა (ურების მთა; შეადარე: მოგვ-თა, სხალ-თა
ამირან-თა)

*) აზნაური სვანურად აზნავირ და კრდევ ვარგ. არა გვვონია,
ჰირკანის მეორე სახელი—გარკანი—იყოს იგივე ვარ-განი, ვარგ-ნი,
აზნაური.

- 3) ურას-თა (რადგან ურ=ურა, ნათეს. ურას)
- 4) ურაჲე/ქვეყანა, არე ურებისა
- 5) ურარევდ=ურარი (არიედ=სვ. არდა=მეგრ. ორდუ.
თვით ურვა ძველ ქართულად ნიშნავს (იხ. ლექსიკ.) შრო-
მას, გარჯას, ზრუნვას.
- 6) არნა ურარდ-ს მეორე ნაირი ახსნაც აქვს.

შრარტებს (არარტელებს) დიდიალი საქონელი ჰყანდათ;
მათი ცხენები ძველადგანვე განთქმული იყო მსოფლიოში. ხე-
ოლებბმა პირველად გააცნეს ცხენი ეგვიპტელებს. ამ ცხენე-
ბის გამზრდელს ძველი ქართველები უწოდებდნენ ურასტე=
ურარდე, ასე: ურა—ნიშნავს აზრა ცხენს, ულაყ ცხენს, ხო-
ლო მტე ანუ ტე*) იგივე ძველ-ქართული რდუა=რდა-ა**) (ზრდა): მაშასადამე ურასტე და ურა-რდუ ერთი და იგივეა და
ნიშნავს ცხენის (ურას) მზრდელს).

ამ უკანასკნელს ჩვენს ახსნას ეთანხმება აგრეთვე მეორე
სახელი აქაურივე ერისა—რემენი (=არმენი). რემათა და არ-
ვეთა მწყებსს სხვინაირად ვერ უწოდებდნენ, თუ არა მე-რემე-
ნ-ალ, *** მე-არვენ-ალ.

პრეფიქსი ა (არემენი=არმენი), ჩვენის აზრით, იგივეა,
რაც დღევანდელი აფხაზ. ა (ა-გურა—გურია, ა ლაზ—ლაზი),
მეგრ. ა (ო-ზომალი—საზომელი), სვან. ლა (ლა-ზმა—საზომი)
და ქართ. სა ანუ ა (ა-ყარი=სა ყარი, სხვენი, საცა ჰყარიან
ხორბალს და სხ.; ა-დგილი=სა-დგომი (სიტყვიდგან დგომა).

*) 1035 წელს გადაწერილ და ეფთვიმეს ნათარგმნ დავთონში სწე-
რია („ქართული მწერლობა“, გვ. 281): „უთხრნა მეპურისტეთა შისთა:
შეამელისაგან გამოვიდა ქამადიო“ და სხ.

**) დღეს ჩვენ გამბობთ „შენ გარდა“ და თითქმის არ გვესმის,
რომ აქ რდა ნიშნავს ზრდას. მეგრელები დღესაც ამავე ზმნას ხმარობენ:
რდი-ზარდე, რდით-ზარდეთ, ვრდი-ვზარდე, რდი-ზარდე, რდუ-ზარდა,
რდილი—ზრდილი, მორდუ-მოზარდი, ო-რდალი-სა-ზრდელი, მიირდი-მიი-
ზარდე; შემდეგ რ ისპობა: გადია—გამდელი=გამრდელი=გამზრდელი.

***) „მათ თქვეს: მეტემთეა უხუცენი არიან და თვით მეტემენიო“
(„ამირ.-დარეჯ.“, გვ. 147).



„ადამიადი“ ჩვენ არ მიგვაჩნია „ურარტად“. სვან. ჩატუქ
ნიშნავს საბალახეს, რემა-არვეთა საძოვარს. თვით „ნედლს
თვითს“ ქართულად ჰქვიან „ალექრდი“ (იხ. ლექსიკ) ანუ ალა-
რედი, ე. ი. სალარო (საბალახო) აღგილი და იონჯა-ბალახსაც
უწოდებენ ალავერდ-ად, ალავრდ ად.

მგვარს ჩვენს ახსნას, გვევნია, ემოწმება იმ არმენის
მთების ძევლი სახელიც: სარარად, რომელიც, ალბად, ნიშნავს
სა-ლაროდ-ს, სა-ლარედს (საქონლის საძოვარ აღგილს, საბა-
ლახეს). იმ მთებში ცხოვრობდა ერი—ქართუ=ქარდუ=ქარ-
თუხი=ქარდუხი = კორდუ=კორდიენი=გორდიენი. ეს ერი
ქურთების წინაპრებად მიაჩნიათ. გარნა ქურთთა წინაპარნი
ქართლ. ცხოვრებით გადმოსახლდნენ აქ მე-VII საუკ. ქრ. შემ-
დეგ. და სახელებიც გვიჩვენებენ, რომ ეს ერი თუ ქართუ=ქორ-
თუხი არ არიან, მათს იალაღებზე (კორდზე) მცხოვრებნი უნდა
იყვნენ, მაგრამ ამის შესახებ საუბარი გვექნება მეორე წერილში.

ამას გარდა, თვით მწყემსთა ანუ მგზავრად მყოფთა კარა-
ვი და ავრეთვე ქოხი იწოდება ლარად და ამისთანა ფაცხებს
ამოსწვნენ ხოლმე ანუ ალარტვენ ლარტით (ნედლის წნელით).

ვიმეორებთ, გურგანი=ჰირკანი = ჯურჯანი=ვირკანი=
ვარკანი ჩვენ მიგვაჩნია ჰურგანად, ურის მხარედ, და ამგვარს
ჩვენს აზრს განამტკიცებს არმ თუ მარტო ის, რომ გვქვიან
ვირქ, გურჯი, ჯორჯან, არამედ კიდევ შემდეგი სახელებიც:

ა) ჭური=ური (ასრე ეწოდებოდა ძევლად, როგორც უკვე
ვთქვით, წუნდისა და არტანს).

ბ) გურჯანი (სოფელია კახეთში).

ჰირკანის სხვა აღგილების სახელები:

ა) Zadracarta (სატახტო ქალაქი იყო). ეს ჩვენ მიგვა-
ჩნია ზადურ-ქართა-დ: ქართ (სვ.)=ქართლი, ქართი (მეგრ.)=
ტფილისი. ორთავე სიტყვა შეწებებული კავშირით ა, ვითარ-
ცა ტაბ-ა-ხმელ-ა (ტაბახმელა — ხმელი ტბა). ა-ს აქ იგივე მნი-
შვნელობა აქვს, ვითარცა სიტყვებში: ყვირილ-ა, ჩხერიმელ-ა,
კედელ-ა (მთა), პერანგ-ა (მთა), უნაგირ-ა (მთა), დაბ-ა (და-
ბალი აღგილი; შეად. მდაბიო).

ბ) Elburz (მთა იალბუზი ჰირკანის კავკასიონის მახლიცა ის. ქვემ).
ბ) ზურგანებს გარდა აქ ცხოვრობდნენ კადუსნი, გელნი, მარდნი, კასპინი და მათ ზემო იყო Giratbunda ანუ ორმია- რუპარტია. კიბერტს ჰეონია თართო იგივე ბაკტრიული ერე- განა, მაღალი. (შეადარე ქართული: ერდო, ერედვა) სტრა- ბონი სწერს (გან, 58): ახორციანებ რეის ამაღლაა და მოვიდ- ნენ კოლხიდიდან ანუ ბაკტრიანიდან“. ეს კორუბანტნი ანუ კორიბანტნი და გირატბუნდნი თუ არ არიან გარუბელ- ნი ანუ გარდუბელნი, გარდაბანნი, მაშინ შეიძლება მივიჩ- ნიოთ ორეთის მხრიდან გადმოსახლებულ ქართველებად. ორეთი ქ. ცხოვრებით ითვლებოდა საქართველოს სამხრეთის მიჯნად და მდებარებდა უქურთთა: ქვეყანაში.

დ) Iazoviyon (ქალაქი ჰირკანიაში, მთის კორონის ძირში). იაზონი ერქვა არან-ქართლიდგან მცხეთაში მოსულს მეფესაც და ქმარსაც მედეისა, რომელმაც, როგორც უკვე ვთქვით, დააარსა მიდია. „კორონის“ შეადარე ყორნისს.

ე) ჰირკანის მთების ძირში ცხოვრობდა ერი tapuri და მის გამო ქვეყანას ეწოდებოდა Tapurasthana და შემდეგ Taberistan *). ორთავე ეს სახელი წმინდა ქართული გვევნია და ასრეც უნდა ჩქმეოდა ტბის ნაპირს მცხოვრებ ერს: რაჭულად ცოდნა ნადგომს ლრმა წყალს ჰქვიან; მეგრ. ტობა — ლრმა, ტბა; ქართ. ტბა=ტაბა (ტაბა-ხმელი), ტბორე, ტბოვრება და ტოპა. ტბორეს-თანა (=ტაბურასთანა) ჰირდაპირ გვიჩვენებს, რომ ეს ერი მოსახლე ყოფილია ტბასთან, ე. ი. ზღვის ნაპირზე. (ტაბუ- რი=ტბური). სხვანაირად ამ ერს ერქვა აპირი (გან, 143), ხოლო ა-შარი უნდა ნიშნავდეს ამპირს და ი-შირი იმპირს, ისპირს.

ვ. Parthia, Parthiene. ქართლის ცხოვრების გმირის ბარდოსის ნაწილს ერქვა ბარდავი, პარტავი, ბერდა. ჩვენ გვ- გონია, ეს ორივე სიტყვა ერთ და იმავე ფესვისა უნდა იყოს.

*) ყველა აქ აღნიშნული სახელები მოვცვავს თანახმად ჰ. კაპერტის წიგნისა Lehrbuch der alten geographie და მისივე რუკებისა Atlas antiquus.

პართიაში იყო ადგილები Kumis (შეად. კუმისი), Chōarenē (შეად. ხორენია), Kuhistan (შეად. კუხის-თა. კიბერტიც ან კუხის-თა. კიბერტიც Bergland-ად (მთიან ქვეყნად) თარგმნის).

४. მედიაში იყო ადგილები Buzha,=Budija, Allabur Zikartu ანუ საგართო და Zarkāioν. შეადარე ქართულს:

ა) ხორნა-ბუჯი, ბუდი (ხორნაბუჯი იმავე ბუდს, ბოდბეს ერქვა; მეგრ. ხორუს ნიშნავს დასახლებას, დო-ხორე=სასახ-ლე=ქორი. ამიტომ ხორ-ნაბუჯი=ხორ-ნაბუდი=ქორნაბუდი, ესე იგი სახლი ნაბუდი, სახლი, საცა ბუდობენ, ცხოვრობენ). ბუდრუგანა ინგილ. პატარა სახლი.

ბ) Allabur=აკლაბარი (?)

Gazaka=Ganzaka და აქვე ფრაათა, ფრაასპა, ფრაასპა =სტრაბონის Օბერა=Yera. *) ეს სახელები მოგვაგონებს ჩვენებურებს — ვერა, განძა = განძაკი (ჯავახეთში). ფრაასპა-ს დაბოლოებაში ჩვენ გვესმის ქართული სიტყვა სპა, სპობა. (ხოსპიო, **), ასპინძა, კასპი); აქვე იყო Zπαντა ანუ კაპანთა (შეადარე: კაფავ-თა=მთა, საცა ჰკაფვენ, კაპანი და სხ.).

5. Karmania=Karmana (დღევანდელი ქირმანი). აქვე მოსახლეობდნენ უტნი (utier) და ჰქონდათ ქალაქი Aarmozia (მერმენდელი Ormuz).

რადგან ალაზან-ს ბერძნები ალაზონად სწერენ და არმაზ-ს ჰარმოზი-ად, ჰარმოზიკად, ამიტომ კარმანიის Armozia იგივე არმაზი უნდა იყოს. კარმანია შეიძლება იყოს იგივე გარმანი=გარბანი (შეად. ღმანიი=ღბანიისი). მანი ჩვეულებრივი დაბოლოებაა სახელებისა: კოდმანი, გარმანი, ფლავისმანი, კოტმანი (ბორცი; მალალი, დიდი), ძველმანი და სხ. მეგრ. მძნეა ნიშნავს აგრეთვე წვას, გადარუჯვას. უტი ხევს. ნიშნავს მაგარს, გაუტეხელს, კერძს კაცს (იხ. ზემო: „ხევსური კაცი უტია“).

6. Sagartii=Zikartu=Zakruti=Zikirtu. სვან. ქართ=ქართლი, მეგრ. ქართი—ტფილისი, აფხაზ. აქირთუა—ქართვე.

*) სვან. ვერ, გი ნიშნავს მიწას და რადგან ვ=უ (ვლა=მეგრ. ულა), ამიტომ ვერა მართლაც იგივე უტრაა.

**) ს და ს 3 ისპობა ხშირად: მასპინძელი = მაინძელი, სპილო= ჰილო.

ლი. ამიტომ საქართი=საქირთუა=საქორთუო იმავე ძველს, ზემო აღნიშნულს, სახელებს უნდა უდრიდეს. თუარა-და, სა-გარდა, საგრობა ნიშნავს აგრეთვე მიჯნაზე, სანაპიროზე ლაშქ-რობას, სამეფოს ნაპირების დაცვას.

7. *Bactriane. Bactra.* შეადარე ბაკტრიანი=ბახტრიონი. ტრა=ტრება ნიშნავს ტარებას, „მრავალ სლვას“ (საბას ლექს). ბაკ-ტრა—მოძრავი ბაკი. ფშავ-ხევსურეთში დღესაც ცხვარ-საქონლის ბინებს უწოდებენ ბაკო-ს, ხოლო ბაკება ნიშნავს მოზღუდვას, შემომაგრებას. ბაკოვანი იგივე მობაკული აღი-ლია და ბაკმი იგივე ბაკი (საბას ლექსიკ.). ამ ფესვიდგან წარ-მომდგარა სოფლების სახელები: ბაკულიანი (ბორჯომის ახლოს), ბაკმები (დუშ. მ.), ბაკო (ბათ. ოლქი). შეიძლება ამავე ფეს-ვისა იყოს ბაკო-ც (დღევანდელი ბაქო), მით უმეტეს, რომ ბაკო ნიშნავს აგრეთვე ჭურქელთა და ფიალთა პირსაც (საბას ლექსიკ.), ხოლო ზღვა ხომ იგივე დიდი ჭურქელია და ფია-ლი. საქართველოში ბევრს მეფეს ერქვა ბაკური, ე. ი. ბაკ-ური, კაცი ბაკის პატრონი, მწყემსი *).

8. *Margiane* მდინ. მარგოს-ზედ. შეადარე: მარგიანი (გვარია სვანეთში), მარგვეთი, მარგი და სხ.

ზოგიერთი მთის სახელები.

პლინი ამბობს, ინდოეთის კავკასიონს სხვა და სხვა სახე-ლი ჰქვიანო,—იმაუსი, ემოდუსი, ჰერაპამიზუს, ცირკი, ხამ-ბადის, პარიადრეს, ხოათრას, ორეგეს, ოროანდეს, ნიფატეს, ტივრუს, კავკაზუს, რომელიც ჰირკანის მხარეს ცნობილია ჰირკანის კრვაზად, მერე კასპიისად, პარიადრესად, მოსხისად, კორაქსად და სხ.

1. *Zagrus.* ხოათრასის გაგრძელებას ერქვა ზაგრუს, ზაგ-როს. შეადარე სვან. ზაგარ, რომელიც ნიშნავს მთის ზურგს, დაძაგრულს ქედს.

*) ჰკუანე ახლოა, ლეგენდარული მოვაკან ჩაეთვალოთ მობაკოდ, ვიდრე მოვაკნად, მოვაკედ.

2. Taurus. ჩვენ გვგონია, ქართულის თაური-ს მსაც-
 სებით ძველ მწერლებს ამ მთისათვის დაურქევეიათ ტაურუს
 (ხარი) თაურის შეიძლება იყოს ა) თაური, ესე იგი თავიანი,
 თაური) და ან თა-ურისი, ე. ი. ურის მთა (ინგილ. თამ=სკ.
 თანალ=მთა). იმავე ფესვისა გვგონია თრიალეთი: ინგილ.
 თავის ტყავს ჰქვიან თავრიალი (თავრიალეთი=თრიალეთი).
 თუმცა ეს თრიალეთი თითქო ენაოხეავება სიტყვას თრევა
 (ბოლო-თრია) და მის მიერ ტრიალ-ს (სასთაული=სასტული).

3. ქაგგასია. ქართულად: ქაგგასია და ქაგგასიანი (მთა),
 ქაგგასია (ქვეყანა) და ქაგგაზი (ქალაქი). უსლარი არწმუნებს
 მკითხველებს (Древ. сказ., 486), მე XVIII საუკუნემდე ქარ-
 თველებმა კავკასიის სახელი არ იკოდნენო და ეს სახელი საქა-
 თველის ისტორიასა და გეოგრაფიაში შემოიღეს ვახუშტიმა და
 ვახტანგმაო. ეს დიდი ტყუილი უკვე აღვნიშნეთ ათიოდე წლის
 წინად. შატბერდ. კრებული მე X საუკუნისა ხშირად იხსენი-
 ებს ამ სახელს=ქაგგასიას (იხ. გვ. 29, 73 და სხ.).

ქავკავს ქართველი მთიულები ეძახიან ძაუგ-ს. ამ ძაუგის
 ადგილას აშენდა კავკავი. ბუტკოვი სკდება, როდესაც ამბობს
 (II, 165), კავკავი ზაურის ადგილის აშენდაო; ზაურისაკი არა,
 ძაუგისა. ქაგგაზი გამეორებული ფესვის სიტყვაა: კავ-კავი,
 ვითარება აღმართ-აღმართი, თავ-თავი, შავ-შავი და სხ. ქაგებზ
 ნიშავს მაგრებას, ჭერას, შეყენებას, შეჩერებას. თვით სახლსაც
 აკავებენ, ე. ი. კავებს უმაგრებენ თავხეზე, რომ ორივ მხრივ
 დაქანებული, და არა ბანიანი, სახურავი გადაჭვინონ. მაშასადამე
 ქაგგაზი არის ის, რომელიც აქეთ-იქით სახლის სახურავით
 გადაწოლილა და უკავია გზა-კვალი ან და კავ კავზედ ასვე-
 ნია, აღმართულ მიწოლილა. ნამდვილადაც ეს მთა ხომ სწო-
 რეთ ასრეთია, ე. ი კავ-კავი.

დაბოლოება სი აქ იმავე მნიშვნელობისაა, როგორც მრა-
 ვალ სხვა სახელებში (ეგრი-სი, ქუთაი-სი, მანგლი-სი, ოლთი-
 სი და სხ.), შეადარე:

სახელობ.	კავკავი	რუვი
ნათეს. ა)	კავკავი-სი	რუვი-სი
ბ)	კავკა-სი	რუ-სი
გ)	კავკა-სი	რუ-სი

ოსები დღესაც კავკასს უწოდებენ კაფკაის.

4 იადგმური. ამ მთის სახელი ძველად უნდა ყოფილიყო იალბურისი ანუ ოლბორცი, რაღაც სხვები მის უწოდებენ ელ-ბრუს. ზაგროსის მწვერვალსა და ჰირკანის კავკასიონს ერქვა ოლბორს, ოლბორჯ და ჰირკანიშივე იყო დემავენდი. აგრეთვე მთა ლაბუზი (იხ. კიბერტის რუკა).

პლ. ოსეელიანი შენიშვნავს (Алевская святыня, გვ. 2), რომ ალევი სიმაღლეს ნიშნავს ქართულად. მართლაც გვხვდება სიტყვა აღა, რომელიც ნიშნავს „სიგრძეზედ ამართულს“ (იხ. საბას ლექსიკ.). და სიგრძისავე გაჩვენებელია ალაბი. ბორჯი, ბურჯი, ბურსი, ბორსი ჩვენ გვესმის ქართულ ბორცვად (სიტყვიდამ აბურცება). და ალ[ა]ბორცვი—მალა ამართულ მთას უნდა ნიშნავდეს. შეადარე ბრუკ-საბძელი, ბორცუის-ჯვარი.

ჰირკანის ლაბუზი თუ იგივე [ი]ალბუზი არ არის, შეიძლება ნიშნავდეს „საფუტკრეს“ (მეგრ. ბაზი=სვ. ბუზულ-ფუტკარი; ლა-ბუზი=სა-ბუზე): იმ მთებში მრავალი ფუტკარი იყო, როგორც ზემო ვთქვით.

8. ადმისიანგლეთი

ა) ფირდასის დეგრენდებით და ქართლის-ცხოვრებით.

სპარსთა მითიურ მეფეების შესახებ ჩვენს მემატიანეს ამოულია ცნობები წიგნიდამ „სპარსთა ცხოვრება“. ამ „სპარსთა ცხოვრებაშიო“, დასძნს მემატიანე, „არა ყოველი მართალია, არაა უმრავლესი—ტყუილი“ (ქ. ცხ; გვ. 24).

რა წიგნი იყო ეს „სპარსთა ცხოვრება“?



ჩვენ ვიცით, რომ სპარსთა გმირული თქმულებანი მათი სახურავის
ცხოვრების ნაადრევ ხანას ჯერ არ იყო შეერთებული და
ნაციონალურ ეპოსად გარდაქმნილი. ომის ქარიშხალი და უც-
ხოელთა უღელი უუძველეს დროითვინ ჰმუსრავდა ერანელთა
მოდგმის პოეზიას, ერის ცხოვრების უკეთილშობილესს ქმნი-
ლებას. გარნა სრულად არ შთაინთქა ეს პოეზია. თქმულებანი
გადაეცემოდა მოდგმიდამ მოდგმას ვიდრე არ გამოჩნდა აბულ-
კასიმ-მანსური, ფირდაუსად („სამოთხის მგოსნად“) წოდებული
ტა ეს ზეპირ თქმულება არ შეჰქრიბა ერთ წიგნად, „შაჰნამედ“
(1000 წელს თუ მეXII ს. ქრ. შ.). ვიცით ისიც, რომ ფირდა-
უსაშდეც სპარსთ ჰქონდათ წიგნი „დაბისტანი“, რომელშიაც
აგრეთვე შეტანილია ერანული თქმულებანი. ამას გარდა თვით
ხოსრო ნუშირვანშა (მე-III-ს ქრ. შ.) ერთ წიგნად შეაკრებინა
ძველნი თქმულებანი.

რომელი ამ წიგნთაგან ჰქონია ხელში ჩვენს მემატიანეს,
არა სჩანს. ხოლო ის კი ცხადია, რომ ამ „სპარსთა ცხოვრე-
ბად“ „შაჰნამე“ არ იქნებოდა: რაც ქართლ. ცხოვრებაშია მო-
ყვანილი ბუნთურქთა შესახებ, ის აღნიშნულია აგრეთვე „შატ-
ბერლის ქრონიკაში“, რომელიც შედგენილია VII—VIII საუკუ-
ნეს, ფირდაუსი კი სწერდა 1000 წლის ახლო ეამს ანუ ამა-
ზედაც უგვიანეს დროს.

ამას გარდა, თუ „სპარსთა ცხოვრება“ ყოფილიყო „შაჰნა-
მე“, მაშინ ქართლის ცხოვრებისა და „შაჰნამეს“ მოთხრობა
სავსებით მსგავსი იქნებოდნენ და გმირების სახელებიც—ერთი
და იგივე, ამას გარდა ჩვენი მატიან სადმე მაინც მოიხსენებ-
და „შაჰნამეს“ უმთავრესს გმირს, როსტომს.

ამიტომ „სპარსთა ცხოვრება“, „ნებროთის წიგნის“ მსგავ-
სად, უნდა იყოს ძველი დროის თხზულება, თარგმნილი ქართუ-
ლად რამდენიმე საუკუნით ადრე „სამოთხის მგოსნისა“.

„შაჰნამე“-თა

ქართლ. ცხოვრებით.

1. ძაუმურსი იყო კაცობ-
რიობის წინაპარი და მან პირ-
(ამის შესახებ ჩვენი მატია-
რიობის წინაპარი და მან პირ-
ნე სღუმს).

ველმა დაიღგა თავზე გვირგვინი და სამეფო სარტყელი შემოირტყა. მისი შვილი სიამეები დევებთან ბრძოლაში მოკვდა. ეს დევები ბოროტს არიმანს გამოეგზავნა.

შუშანგ სიამეების ძემ დამარცხა დევები, ცეცხლის დასაკვესებელი ხერხი მოიგონა, ცეცხლს აღუგო საცეცხლე. მის მთადგილე თამურაზმა დააწყნარა დევები, ერს ასწავლა ქსოვა, რთვა, მღერა, ხედნა. გამეფდა ჯიმშედი, რომელმაც უბრძანა ერს მაღმერთო.

2. მრი განუდგა ჯიმშედს და მეფედ გამოაცხადა უცხოელი ზოპაკი, მეკობარი ბელზებულისა. ჯიმშედის შვილი ფერიდუნი მის შიშით დაიმალა ელბორსის მთებში და იქ იგი გამოკვება ძროხამ—ფურმახე-მ.

16 წლის ფერიდუნი ჩამოვიდა მთიდამ, დაამარცხა ზოპაკი (აშლაკი), შეჰქრა იგი და მიაბა მთის დემავენდის გამოქვაბულში. ზოპაკი იმეფა 1000 წელიწადი.

3. ფერიდუნმა იმეფა 500 წ. თავისი სამეფო ჩააბარა სამს შვილს —სელმს, ტურს, ირეჯს.

„ნებროთიანით“ ცეცხლი ციდამ ჩამოიტანა ნებროთგმირმა. ბერძენთა ლეგენდით ეს საქმე შოიმოქმედა პრომეთეოსმა, რომელიც ამის გამო კავკასიონზე მიმსკვალა ღმერთმა.

პფრიდონმა დაიპყრო ერანი და სხვა ქვეყნები და ყველგან თვისნი კელადნი დააყენა. საქართველოში ერისთავად გამოგზავნა არდამი. მან ასწავლა ქართველებს ქვით, კირით შენება. ააშენა „ზღვის კარი“ და დაარქვა დარუბანდი.

პფრიდონმა შეჰქრა ბევრასპი, გველთა უფალი და მიაბა მთასა კაცთა შეუვალს.

თავის შვილს იარედს აფრიდონმა ჩააბარა ერანი და საქართველო.

4. პფრასიაბი (ფრაპარშა), ტურის ჩამომავალი და თურანის შეფე ამარცხებს მოწინააღმდეგეთ და აღმართავს ალამს ჯერ შიდის ტახტზე.

5. გმირი რუსტე, ძე სალისა და რუდაბესი, ამარცხებს აფრასიაბს და ამეფებს კაიკაპადს (კავკავადს), ფერიდუნის ჩამომავალს. რუსტემი გმირულად იცავს ერანს კავაუსისა (კაიკავუს), კავასიავარეშისა (სიავკუშ) და კაიხოსროს უამსაც.

6. პრიმანი ებრძევის გმირს რუსტემს; მის ძეს ზორაბს, რომელიც თურანში დაიბადა, მამის წინააღმდეგ გზავნის. მამა ჰკლავს მას. დიდად სწუხს რუსტემი, რომ ზორაბს თავის შეიღიად. სცნობს.

7. სიავუშს რუსტემი ასწავლის საგმირო საქმეებს. სიავუშის წინააღმდეგია რუდაბე. სიავუში თურანს განივლტის აფრასიაბისას, გარნა ამის მმა ჰკლავს მას. რუსტემი შედის თურანს და ჰკლავს აფრასიაბს.

8. ტახტზე ჯდება ქაიხოსრო, სიავუშ ბედნიერის ძე. იმართება დიდი ბრძოლა ერანსა და თურანს შორის. ამათ შევლიან ბევრი სხვა მეფეები: ქაჯნი, ხაზარნი, ალანნი. ერანელნი სძლევენ თურანელებს და კავკას-

ძლიერდება ქეკაპოსი, ლეკეოს გალაშქრება უნდა, გარნა კინმე გრძნეული, ხოზანის შთამომავალი, აბრმავებს მას. ქეკაპოსი ხარქს ადებს ქართველობას, მაგრამ როდესაც მიღის თურანელების წინააღმდეგ, ქართველები და ყველა თარგამოსიანნი თავისუფლდებიან სპარსთა ულლისაგან. ქეკაპოსი მათ წინააღმდეგ გზავნის ფარშოროტს, გარნა ამარცხებენ.

შეველა ეს უფრო დაწვრილებით, ვიდრე შემნაბეჭდია, ზეპირ გადმოცემით იცის ქართველმა ერმა. უქართლ ცხ. კი ამის შესახებ არას ამბობს.

საქართველოში მოდის ქაიხოსრო, ძე შიოშ ბედნიერისა, თურანს მოკლულისა. იგი ამარცხებს ქართველებს, ათხრებს ბევრ ქალაქებს და დაბრუნებისას აღარბადაგანს აშენებს სალოცავს.

შაიხოსრო ლაშქრით შედის თურანს: ჰსურს მამის სისხლი აიღოს. ქართველები თავისუფლდებიან სპარსთა ულლისაგან.

შმავე დროს გურგანის ზღვის მხრიდგან შემოდიან

თა წინააღმდეგ მიდიან, მიაწევენ კავკასიონის (ყაფის) ძირამდე და ხაზარეთა მადე. ფარემუში აოხ- რებს ალანთა და ღუნძთ ქვეყ- ნებს. თურანთა მეფე უთმობს სპარსებს ბალს, ალანიას, დე- ვისტანს და მთას ყაფისას.

საქართველოში ბუნთურქნი, ლტოლვილნი ქაიხოსროსა- გან სულ 28 სახლი. იგინი ქართველებს აღუთქვამენ შემ- წეობას წინააღმდეგ სპარსთა. ეს თურქნი (თურანელნი) მა გრძებიან სარკინეთს, ურბ- ნისს, უფლისციხეს.

9. მეფება ვაშტაშაბ და ამ დროს შემოდის ახალი სჯული ზარატუსტრისა. აფრისიაბ თუ- რანელის შეილის შეილი აჯაპ ამ სჯულის წინააღმდეგია და შედის ერანში. შპენდიდად ვა- შტაშაბისძე ამარცხებს მას.

შემოდის საქართველოში სპანდიათ—რვალი, ძე ვაშ- ტაშაბისა. ადარბადაგნიდგან ბრუნდება, აცნობებენ-რა თურქნი სპარსეთს შეესივნე- ნო და ჰაპა მოგიყლესო.

სია ამ დეგენდარულ მეფებისა.

შაქნაშე-თი

„როსტომიანით“

ქართლ. ცხოვრ.

კახმორს

სიამეც

ჰუშანგ

თაშმურაზ

ჯიმშედ

ფრიდუნა

სელმ, ტურ, ირეჯ

ჯიმშედ

ფრიდონ

აფრიდონ

ერაჯ

იარედ

მინოჯერ

მანუჩარ

კადკუვად

კადკუვად

ქეკაპოს

კადკაუს

ქეკაოზ

სიავაკუშ

სიოშ

ფარშოროტ

ფრავარშა

შიოშ ბელნიერი
ქაიხოსრო

სიავუშ

ქაიხოსრო

ქაიხოსრო

ლუარსაბ

გუშტაშაბ (ვაშტაშაბ)	გოშტაშაბ	ვაშტაშაბ
შპანდიდატ ჯავშნიანი რუსტემ (გმირი)	სპანდიატ-რვალი რუსტომ	სპანდიატ-რვალი
აფრასიაბ (თურანელი)	ბაამან	ბაამან არდაშირ.

ბ) სხვა წერტოებით.

აწინდელი სპარსეთი ძველად, როგორც ვთქვით, იწოდებოდა მიდიად. არიელთა შემოსევამდე აქ სხვა ერი ცხოვ-რობდა. ჩემით, ეს ერი იყო ქართველთა მოდგმისა და სახლობდა აქ სხვა და სხვა სახელით (ფარიკანი, საგართი, კალუსი, კარმანი, უდი, მარდი, ჰირკანი (გურგანი), კელროსი (ე. ი. ზღვის პირის ხალხი), მარგიანი, ბაკტრიანი, კასპი).

ლენორმანის სიტყვით (არიელნი კელტნი) მოსახლეობ-დნენ მარგიანის მახლობლად, ბაკტრიანას. უპირველეს ყოვლისა დაიძრნენ კელტნი და მოედვნენ მერქას და ჰირკანისა და შემოვიდნენ კავკასიის, იქ, საკა შემდეგ დამკვიდრდნენ იბერნი და ალბანელნი, ე. ი. ერთნის ახალშენი—ქართველნი *) (ლენორ-მან, რუკია, ტ. II, 128), შემდეგ ჰირკანიისა და არიანისკენ დაეშვნენ ერანელნი ბაკტრიიდამ, დაახ-ლოვებით 3000 წელს ქრ. წ. (იქვე, 147). მათ შორის გამოჩნდა ბრძენი ზერდუშტი, რომელმაც შემოიღო ახალი სჯული. მისმა სჯულმა ღმერთი დაუახლოდა კაცს და მით ბუნების ძალთა მაპიროვნებელთ ზენობრივი თვისება მიასაკუთ-რა, ყოველ ღვთაებას თავისი განსაკუთრებული წეს-რიგი მიუ-ჩინა და ყველა იგინი დაუმორჩილდა ორს უმაღლესს ღმერთს— ქეთილს, აჭურა-მაზდა-ს და ბოროტს—ანგრო-მაინიუს-ს. ბუ-ნების მაპიროვნებელი კეთილი ღმერთები დაუქვემდებარა აჭუ-რამაზდას და ბოროტი ღმერთები კი—ანგრომაინიუსს, და ეს

*) თავისს „ასურულ წერილებში“ ლენორმანი პირდაპირ ამბობს, რომ მიდიაში არიელები შემოვიდნენ მხოლოდ მე-IX—VIII ს. ქრ. წ. და მანამდე აქ მოსახლეობდნენ მესხნი, ტიბარენი და თურანელებით.

ღმერთები ზოგი კეთილ და ზოგი ავსულებად იქცნენ. ეს სჯული მან დაამყარა ძველს ცნებებზე და ორც უარჲყო საღმთოს შეწირვის ძველი წესები, გარნა ახალს სჯულში უპირატესობა მიეცა „განწმენდის“ კანონებს და ბოროტ ძალთა წინააღმდეგ საბრძოლველ ცნებებს. უპირატეს საქმედ შეიქმნა სამსახური ბუნების ღმერთებისა. ერი მზის პატივსაცემლად და მისთვის სხვერპლის შესაწირავად ძველებურადვე აღიოდა მზით განათებულს მთის მაღალს მწვერვალებზე და სამსხვერპლოზე ან ჭრევდა „ჰაომის“ წვენს, „განმამაგრებელს“, „უკვდავების მომცემელს“. წინანდებულად ერი თაყვანს სცემდა ცეცხლს, მიწის „მომთმენს“ და „მორჩილს“, წყალს, წმინდა მთებიდებან მომდინარეს, გამანაყოფიერებელს მინდგრისას და საძოვრისას, შეიძარებებულს სეროშს, დღის თანამგზავრს, ღამის მოჩვენებათა განმდევნელს. უკეთეს სახსრად ბოროტ ძალთა დასაძლევად გამოაცხადა ზნეობრივი წმინდა ცხოვრება, შემუშავებით განაყოფიერება მიწისა, დახოცვა მავნებელ ცხოველებისა, ზომების მიღება წინააღმდეგ ზამთრის სისასტიკისა, უდაბურ ადგილებისა და ქარიშხალთა; სიმართლე და პატიოსნება დაევალა კაცს, აგრეთვე დაცვა სულისა ცოდვისაგან და ლოცვითა და განწმენდით სინათლის ღმერთისაგმი მისწრაფება, დაახლოვება.

სახელდობრ რა დროს ცხოვრობდა ზოროასტრი, არ იციან. ზოგი ამბობს 5000 წლით უწინარეს ტრადის აღებისაო, ზოგი 6000 წლ. უწინარეს პლატონისაო, ზოგი 600 წლ. უწ. დარიოს 1-ისაო, ზოგი მე VII საუკუნეშიო, კვიროსის უაშ. ლენორმანი კი ჰუიკრობს XXV—XXVI ს. ქრ. უწინარესო (ტ. II, 150).

მთელი „არიელობა“ მიღისა და აქაური ბინადარი ერი ემორჩილებოდა ბაბილონისა და ქალდეებს, მერე ასურეთს, მხოლოდ 736 წ. ქრ. წ. მიღიამ მოიპოვა თავისუფლება და დაისვა საკუთარი მეფე, დემოკი. ამ დემოკიმა ორონტის საღმთო მთაში ააშენა დიდი ქალაქი ეკატანი (აგბატანი) და აღმართა კერპი ანაპიტა არდვისურის წმ. წყაროზე. გამეფდა მისი ძე ფრაორტი და უფრო განავრცო სამეფოს მიჯნები სპარსთა შემომაგ-



რებით. სპარსენი შესდგებოდნენ შვიდ თემისაგან და ფრანგულები მათ უფროსად დაუდგინა ახემენიდი (ჰაქმანისი). ასურელებმა დაამარცხეს ფრაორტი რაღას ქალაქთან... ყველა ეს ცნობები ლეგენდარულია. ტიგლატ-ფალ-ასარის (745—727 წ.) წარწერებით მიღია რომ დაიბყრა ამ მეფემ, აქ ნახა მრავალი თემი, რომელთა უფროსებად მამასახლისები იყვნენ. შეძლებ ფრაორტისა გამეფდა, ლეგენდითვე, მისი ძე კიაქსარი (633—593 წ.). ამის მეფობაში მიღიას შემოესივნენ სკვითები მადიასის წინამძლოლობით. ეს სკვითები სტოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, ვოლგასა და დონს შორის. დიდხანს იგინი ტრიალებდნენ კავკასიის ლელე-უურეში და 625 წელს მიესივნენ მიღიას და აიკლეს თითქმის მთელი მცირე აზია. იგინი ონაგრობდნენ აქ 18 წლის განმავლობაში და მერე ზოგი მათგან გასწუდა მიღიელებთან ბრძოლაში და ზოგი სამშობლო-შივე დაბრუნდა.

ამ სკვითების შემოსევას „ქართლის ცხოვრება“ ხაზარების შემოსევას ეძახის. უახლოვეს მიზეზად ხაზარების („სკვითების“) შემოსევისა ჩვენი მატიანე სთვლის იმას, რომ ამ შემოსევის წინად ქართველებმა (თარგმოსიანთ) აიკლეს მთელი ჩრდილოეთი კავკასია და ხაზართა საზღვრებზე დასდგეს ციხე-ქალაქი (ქ. ც. 22.). ამას, რასაკვირველია, ვერ მოითმენდნენ იქაური დაქაქსული ველურები. მათ მოახერხეს შეჯგუფება, ამოირჩიეს „ჩინებული“ მეფე, დიდის სიმრავლით გამოვლეს ზღვისკარი (დარუბანდი), შემუსრეს ყოველნი ქალაქნი არარატისანი და მასისისანი, ხოლო ვერ აიღეს ცირე-ქალაქნი თუხარისი, სამშვილდე და მტკვრის ციხე (ხუნანი). ისწავეს არაგვის კარიც (დარიალანი) და მოხარკე ჰყევეს ყოველნი. მეფე მათი რომ დაბრუნდა, თავის ძეს უობოსს მისცა ტყვე სომხითისა და ქართლისა და დაასახლა იგი კავკასის ნაწილში, თერგილგან დასავლეთისკენ ზღვიდე (აზოვისა) და ამ ქვეყანას დაერქვა ოვეთი (ოვეთი უნდა იყოს ივივე უობოს-ეთი: ოვი=მეგრ. ოვის, რომელიც შემოკლებული უობოსი უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ უ ხშირად ისპობა: რუსი=ინგ. ურუს=სვან. მ-ურუს).

სწორედ ეს ხაზარნი უნდა ყოფილიყვნენ ის ბუნთურქნაშვილის და ჰონი, რომელთაც გარდმოვლეს კავკასი კასპიის ზღვის იქიდგან, ე. ი. ჰირკანიდგან, მით უმეტეს, რომ ამ ბუნთურქებს ქართლ. ცხოვრება სოვლის (გვ. 16) სასტიკ წარმართებად და ყივჩაყად, ხოლო ყივჩაყი იგივე ხაზარეთია.

შართლის ცხოვრება ორა სცდება, როდესაც ამბობს ოვ-სეთი წარმოსდგა „სომხეთისა“ და ქართლის ტყევების გადასახლებით ყუბანის ხეობაშით. რომ ოსეთშიაც ორის ქვეყანა ბასიანი და მასისის ძრის არეზისა და ჭოროხის სათავეშიაც, ეს მხოლოდ ამ გადასახლებით უნდა იმსხას, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ოსური ენა სავსეა ქართულ სიტყვებით (ხუცაუ=ღუთა, ქანინ=ქნა ქნა) და სხვ.) და ზოგიერთ გრამატიკულ ფორმებითაც (თაგაურ თა=თაგია-თე) და სომხურსაც ენათე-სავება რაოდენაომე.

606 შეს ციაქსარმა სხვა მეფეების დახმარებით იღონინევია. ციაქსარის სიკვდილის შემდეგ გამეფდა მისი შეილი, ასტრიაგი, რომელიც უზრუნველად ცხოვრობდა ეკბატანას. იგი ჩამოაგდო ტახტიდგან კვიროსმა (558 წ.) და ამან დააარსა სპარ-სეთის სახელმწიფო.

აი როგორ, რა გზით და ვის შემწეობით შეიქმნა კვიროს სპარსთა სამეფოს დამაარსებლად და ამ სამეფოს პირველ ხელმწიფულ.

6. დამასკელი, რომელიც ცხოვრობდა ცესარისა (+44 წ. ქ. წ.) და აგვისტოს (+14 წ. ქ. წ. შ.) ერთს, მოგვითხოობს (გან, 210):

„მაშინ (მიდის მეფის ასტრიაგის, კვიროსის დედის მამის უამს) კადუსიანთ მტრული განწყობილება ჰქონდათ სპარსეთის ხელმწიფესთან. მათ მამფალად იყო ონოფერნი. ამან ულოლატა თავის ერს, მიემხრო სპარსთა მეფეს. მოციქული აახლა ასტრიაგი და სთხოვა, ვინმე სანდო კაცი გამომიგზავნე, მოველაპარაკო, როგორ გადმოვიდე თქვენს მხარესო. და მან გაუგზავნა კვიროსი მის დასახმარებლად. ხოლო კვიროსმა ხელშეკრულობა დასდო ანოფერნთან და კადუსიანები წინააღმდეგ ასტრიაგისა“.

ასტრიაგმა შეპკრიბა დიდი ჯარი, მაგრამ კვიროსმა შემცუს-
რა მისი ძალა და თვით ასტრიაგი დაატყვევა. ასრე დასრულ-
და მიდიელთა თავისი უფალი ცხოვრება 558 წელს ქრ. წ. და
დაარსდა ახალი სამეფო, სპარსთა.*)

დანაშთენი ძლევამოსილობაც კვიროსს ერგო იმავე კადუ-
სიან—ჰირკანელების დახმარებით.

პსენოფონტეს „კიროპედია“-ში ვკითხულობთ:

წიგნი მე 5, 23: გამეფების შემდეგ კვიროსმა მოინდო-
მა გაელაშქრა ასურელთა მეფის წინააღმდეგ. მოიწვია ჰირკა-
ნის მეფე და ჰკიოხა:

„მითხარ, ასურთა მეფე მარტო შენ გთვლის მტრად, თუ
სხვაცა ჰყავს მტერი?“

„შპასუხა: „უამრავი და ვაშკაცი მოდგმა კადუსიანთა უკი-
დურესი მტერია მისი, იგრეთვე ჩვენს მეზობლებს საკებს დიდი
უბედურება დაატეხეს, რადგან მათი დაპყრობაც უნდოდათ.“

„თუ ეგრეა“—ეუბნებოდა კვიროსი—გწამთ, რომ იგინი
ჩვენთან ერთად გაილაშქრებენ წინააღმდეგ ასურთა მეფისა?“

„დიდის სიხარულითო“, მიუგო ჰირკანის მეფემ.

წიგნი იგიგე, მ. 24: მოლაპარაკების შემდეგ ლაშქრო-
ბაში მონაწილეობა მიიღეს კადუსთ, საკთ და ჰირკანელთ. კა-
დუსიანთა ჯარი „პელტასტი“ იყო 20,000 და ცხენოსანი
4000, საკთა ქვეითი ჯარი იმდენი იყო, რამდენიც შეეძლოთ
საომრად გამოეყვანათ.

*) თეიმურაზ ბატონიშვილს დიოდორ სიცილიელიდგან გადმო-
უთახებინია შემცევი საყურადღებო ცნობა (გვ. 100—101): „მიღთა შეფე
იყო არსეი, იგი გადაემტერა პერსითს. ეს 4,000 კაცით განივლტო კადუ-
ზიანთ ქვეყანას, რომელსა ეწოდების ივერია. პერსითის და ცოლად ჰყვან-
და აქაურს მამასახლისს. პერსითმა განამხნო ქართველნი, რათა არ დაე
მორჩილნენ მიდელთ, რომელთაც მათი დაპყრობაც უნდოდათ. ქართველთ
სპასპერად ამოირჩიეს პერსითი. ამან შეკრიბა საქართველოში 200,0000 მეო-
მარი და მიღიას საზღვარს წაიყვანა. არსეი არბავისე 80000 მეომრით
დაუწვდა. შეიქმნა სასტიკი ბრძოლა მიდელნი იძლიერნენ. ქართველებმა
მათ მოუკლეს 50,000 კაცი.



5. 3. 38: ლაშქარი მიღიოდა ამ რიგად: ხრისანტს მიჰყავლდა ჯავშნიანი მეომრები, მას მიჰყვებოდნენ: არტავაზი სპარსთა პელტასტებით და მეისრეებით, ანდამია—მიღიოს ქვეთი ჯარით, ემვა—არმენიის ლაშქრით, არტუხი, — ჰირკანიის ჯარით, თემერადა—საკებით, დათამი—კადუსიებით.

რომ მართლაც კვიროსსა და სომეხთ მეფეს ქართველები დაპირისპირებიან ასტიაგთან ბრძოლაში, ეს სჩანს ქორენელის სიტყვიდამაც (გვ. 67): „სომხის მეფემ შემოკრიბა ლაშქარი კათადუკიდამ, ივერიიდამ და ალბანიდამ და ყოვლის თავის ძალლონით მიესია მიღიოს მეფე აედახს“ (ასტიაგს).

ვიმეორებთ, ამ ლაშქრით კვიროსმა შემუსრა ასურეთი და დიაპურა ბევრი სხვა სამეფო.

8. სომეხთა სამეფოს დაარსება.

ვანის ლურსმულ წარწერების ზედმიწვევნით შესწავლის შედეგ პატკანოვმა გამოაცხადა (Ванскія надписи, გვ. 33): „მე VІІІ-VІІI საუკუნის ქრ. წინანდელ დროის „არმენიის ისტორია“ სრულიად არ ვიცითო,“ და ვანის წარწერების აღმოჩენამდე კი იგივე პატკანოვი ამტკიცებდა (1869 წელს), რომ 3,000 წლის ქრ. წ. და ამაზედაც უფრო ძველ დროს „არმენთა“ ტომმა იწყო გადმოსახლება არარატის ქვეყნებში და განდევნა აქაურობიდან ბინადარი მოსახლე ერი უცნობის მოდგმისა და სემისნიო“ (იხ. Изслѣдов. о діалектахъ арм. языка, გვ. 5).

ზარნა საისი გადაჭრით ამბობს, სომხებს მეექვსე საუკუნ. ნახევარშიაც არ მოეხშიათ ვანის არე-მარემდეო (0 კლინოიბ. надпис., 8-9).

სტრაბონი მოგვითხრობს (მ. ქორენელის „დამატება“, გვ. 348): სომხეთი წინაპირეველად მცირე მაზრა იყოთ და გადიდდა ანტიოქოზ დიდის (224-187 წ. ქრ. წ.) სპასპეტების არტაქსიასისა და ზარიადრიასის უაშს, რომელნიც გახელმწიფ-დნენთ.



მს ცნობა ეწინააღმდეგება კსენოფონტეს ნათქვამს შესრულებული მეტების „არმენიის“ მეფის ტიგრანისა, კვირისის თანამედროვისა. ჩვენ გვგონია, ტიგრანი სწორედ სომხების მოთავე იყო და მეფედ დაადგინა კვირისმა*) და დაუპყრა ქალდთა ის აღვილები, საკა ამ ქალდთ ჰქონდათ რემათა და არვეთა გამოსაზრდელი საძოვრები და ამ მე-რემენ და მე არვენების სახელი დაერქვა თვით ტიგრანის სამეფოს, ჰაიქ-ს, ჰაიასტანს, არმენიას (რემენიებისა და არვენიების სამშობლოს).

საქართველოსა და სპარსეთს შორის მიჯნის გასამაგრებლად ამ მიჯნაზე ახალის სამეფოს დაარსება კვირისის გულითადი საწადელი უნდა ყოფილიყო: ამით იგი დაიცავდა სპარსეთს მეომარ ქართველების შესეყისავან, იმ ქართველებისა, რომელთა შემწეობით სამეფო დაიარსა და მერე, მადლობის მაგიერ, გადაემტერა და ბრძოლა აუტეხა.

ასრეთი დასკვნა ჩვენ გამოგვყავს შემდეგის ცნობიდამ კიროპედია“-სი.

„მიროპედია“, წიგნი 3, თ. I, მ. 34): ქალდნი (ხალდნი) ემტერებოდნენ ტიგრანს. კვირისმა ტიგრანი აიყვანა ერთის მთის მწვერვალზე და ჰკითხა: „როგორია ის მთები, საიდგანაც ქალდნი ჩამოდიან სარბევად?“ — „იმ მთებზე შუდამ არიან ქალდთა გამსტრობნი და მტერს რომ დაინახვენ, ერთ ურთს უყივიან და ატყობინებენ“ (თ. II, მ. 1)

შეორე დღეს ტიგრანმა მოიყვანა 14,000 მეომარი. ვიდრე ტიგრანი მოვიდოდა, კვირისმა უთხრა თავისიანებს: „მეგობრებო! თუ ის მთები, რომელნიც ეკუთვნიან ქალდებს, დავიკირეთ და ერთს მწვერვალზე დავდგით ჩვენი სიმაგრე, მაშინ ჩვენი შიში ექნებათ სომხებსაც (არმენებს) და ქალდებსაც“ (იქვე,

*) Lettres assyriologiques-ში ლენორმანი ამბობს: „სომხებს არ აბადიათ არაეთარი ნაციონალური თქმულება ტიგრან 1-ლამდე, რომელიც კვირისის თანამედროვე იყო. რაც შევხება ამაზე წინა დროს, კველა მოთხოვა სომებთა მწვერლებისა მომღინარეობას მ. ქორენელის წიგნიდან და ეს წიგნი კი დამყარებულია მარაბა-კატინას ისტორიაშე, რომელიც შეიცავს უფრო მეტს ტყილს, ვიდრე სიმართლეს.“

მ. 4). ქალდთ შენიშნეს გრერი. შეიყარნენ და გორილგან გრადული რას თავისიანებს აუხმაურდნენ (მ. 6). ქალდნი შეკურვილიყნენ მსუბუქ ფარებით და შუბებით. იგინი უძლიერეს ერად ითვლებოდნენ ამ მხარეს; ვინც სასყიდელს მისცემდა, მას ემსახურებოდნენ, რადგან იყვნენ მეომარნი, თუმცა და ღარიბნი მათი ქვეყანა იყო მთიანი და მცირე მოსავლიანი (მ. 7).

ძვიროსი და სომეხნი მიესინენ. ქალდნიც ძლიერად ეცნენ. სომხებმა „ჩვეულებისამებრ“ პირი იბრუნეს და მოჰკურცხლეს. ქალდნი გამოეკიდნენ, გარნა კვიროსმა შემოუარა მათ. ქალდნი შეფერხდნენ, ზოგი გაიქცა, ზოგი დახოცეს და ზოგი შეიპრეს (მ. 9-10).

ძვიროსმა იქვე ციხის აგება იწყო. მოჰკვარეს ტყვე-ქალდნი. კვიროსმა უთხრა მათ: „თქვენ დასარბევადა და ასაოხრებლად კი არ მოვსულვარ, არამედ რათა თქვენ შორის და სომეხთა შორის მეგობრული. ზავი დავდო. ამ მწვერვალის დაჭერამდის თქვენ არ გინდოდათ ზავის დადება და სხარცივდით სომხებს. ახლა კი სულ სხვაა. გამითავისუფლებიხართ. წადით შინ და სხვებთან ერთად მოილაპარაკეთ, ომი გსურთ, თუ მშეიღობა. (მ. 12—13).

მალდნი რომ წავიდნენ, ტიგრანმა მოახსენა კვიროსს: „ამათგან მოსვენება არა გვქონდა და ახლა ისე უშიშროდა ვარ, როგორც არასდროს. უფრო მეტ ფულს მოგცემდი, თუ ქალდთ ამ მოებიდამ გარეკავდი“. (მ. 16).

ამასობაში ქალდნი დაბრუნდნენ და სამშეიღობო ამბავი მოუტანეს. კვიროსმა ჰკითხა:

— რად ხართ ღარიბნი, მიწის სიმცირის გამო ხომ არა?
— დიახო, უპასუხეს.

— ხომ არ იკისრებთ გამოილოთ იმდენივე ხარჯი, რამდენსაც ხდილობენ სომხები, თუ მოგეცათ უფლება შეიმუშაოთ სომხის იმდენი მიწა, რამდენიც გსურთ?

— „ძიო“, უპასუხეს, „თუ დავრწმუნდებით, რომ ხელ-შეუხევლად ვიქმნებით მათ მიერ.“



— არ დათანხმდებით, ქალდნო,—რადგან თქვენ გეკუთხა
ნით კარგი მთები, დაუთმოთ იგინი საძოვრად სომხებს და
მათგან მიიღოთ საბალახე (ფასი)?

— ლერს გეფიცებითო, დაუმატეს ქალდთ, თუ იგინი
დაიკერენ ჩვენს მწვერვალებს, მაშინ არა თუ მათს მიწებს,
ჩვენს საკუთარსაც დამშვიდებით ვერ შევიმუშავებთო.

— მაშ კარგი, მწვერვალებს მე თვითონ დავიკერო.

შემდეგ ასრეთი ზავი დასდეს ქალდთა და სომხეთ შორის:
ორივე ერმა დამოუკიდებლად იცხოვროს, გარნა ცოლქმრობა
ერთურთ შორის ჰქონდეთ, აგრეთვე საზიარო მიწები და სა-
ძოვრები და მტრის მოგერება ერთურთის დახმარებით.
(17—13).

„მაშინ დადებული ხელშეკრულობა ქალდთა და არმენთ
მართველს შორის აქნობამდე დარღვეული არ არისო“, დას-
ძენს იქვე კსენოფონტე, რომელიც კვიროსისა და ტიგრანის
აქეთ ასის წლის შემდეგ ცხოვრობდა (450—513 წ.).

ამას დავუმატებთ-რა სტრაბონის სიტყვას, რომ სომხეთის
სამეფოს დაარსების შემდეგ ანტიოქიაზის სპასალართაგან და
მათ მიერ იბერების და სხვა მეზობელ ხალხების ზოგიერთ ადგი-
ლების დაპყრობისა წარმოსდგა ახალი, სომხური ენაო, ისე,
რომ დღეს (სტრაბონის ესმს) იმ ქვეყნის (არმენიის) ყველა
ხალხი ერთს ენაზე ლაპარაკობსო, აგრეთვე მივიღებთ-რა მხედ-
ველობაში თვით მ. ქორენელის სიტყვას, რომ „არამა უბრ-
ძანა იმ ქვეყნის მცხოვრებთ შეისწავლონ სომხური ენაო,“
უნდა დავასკრათ: სომხის ერთ, მეგდ სამართლებელებით, არის
ნარევი ერთ. მათი ენა შედუღებული ენაა, წარმომდგარი, ლბად,
მაღიასთან ერთად გაღმოვარდნილ რომელიმე მოდგმის ენისა და
აქვე დაშთენილ ბინადარ ერის მე-რემენ-ე-მე-არვენეთა ენისაგან.
და რადგან ამ რემენ-არვენთ, რომელთაც თვისი სახელი გადაუ-
ლოცეს ახალს სამეფოს ჰაიკისას, ჩვენ ვთვლით ქართველებად,
ამიტომ ამ არმენ-სომხეთა ენა უნდა სავსე იყოს ქართულ სიტ-
ყვებით და მისი გრამატიკაც ქართულის გრამატიკის ზედ-
გავლენის ქვეშე უნდა შემუშავებულიყო და აგრეთვე თვით

პოლიტიკური წესწყობილობაც. ამის თავდებია მ. ქორენელის სიტყვები: „ჰაიკი რომ შემოვიდა არმენიაში, 300-მდე კაცი ჰყვანდა, მას მიემხრნენ უცხოეთითგან მოსულნი თვის ქონებით. აქ დახვდა მას ბინადარი ერი, რომელიც ამას წინად განიბნა. ჰაიკმა იგინი დაიმორჩილა. არ ვიციო, ამბობს ქორენელი, წინანდელი შთამოება გადაშენდა თუ ამბოხების გამო ამოწყვიტეს და მათ მაგიერ, შეადგინეს რაზმ-დასები სხვათაგან და უწოდეს სასახლის ლაშქრად. უთუოთ წინანდელნი შთამომავლობდნენ ტომისაგან ჩვენთა პირველთა მეფეთა იმის მსგავსად, ვითარცა აწ ივერიაში ჩვენ ვხედავთ სეფეწულებს (ეს უკანასკნელი სიტყვა ქართულადვე მოყვანილი).

ამას გარდა რადგან მიღიაში, საზოგადოდ, არიელების შემოსვლამდე უფლობდნენ ქართველი მოდგმისანი და მათ გაბატონების შემდეგაც აქ დიდხანს იყვნენ ქართველნი და მრავალნი სამუდამოდ დარჩენენ და შეილივნენ არიელებში, ამიტომ სპარს—ქართულ ლექსიკონში მყოფ უამრავ საერთო სიტყვათა შორის გარდა მწერლობით შემოღებულებისა დანაშაული სიტყვები უნდა იყოს წმინდა ქართულის ფესვისა.

დ. კვირისის ცხოვრების დასასრული.

ქვირისმა, აღვიდა-რა ტახტზე და დაიპყრა-რა მრავალი სამეფოები, მალე დაივიწყა სამსახური მის მომხრე სამთავროებისა. ჯერ იყო-და ქალდთა მთებზე განამტკიცა სომხეთ სამეფო და მერე ჩრდილოეთისკენ წავიდა საკებისა და თურქთ დასამორჩილებლად.

მიპერტის რუკაზე Sacaseni აღნიშნულია იქ, საცა ქართველთა რანი იყო, რომელსაც ეჭირა მტკვრის მარჯვენა ნაპირი ბერდუჯითგან (დებედიდგან) ბარდავამდე (განჯამდე). Sacad აღმოსავლეთში იწოდებოდნენ სკვითები. მაშასადამე საკაშენი ყოფილა ქვეყანა საკებისა (შეადარე თამარა-შენი, ხოდა-შენი) (შენი წარმომდგარა ზმიდამ შენება, რომლისაგან გვაქვს

შინ, შინა და სანა „აღშენებული“ (იხ. საბას ლეკსიკ). თვით საჯა შეიძლება იყოს ქართული საკა, საკანი, ესე იგი გამოქვა-ბული: ძველი მწერლები ამბობენ, სკვითები გამოქვაბულებში ცხოვრობდნენო. საკ-ეთი ადვილად შეიცვლებოდა სკვით-ად).

არც ერთ წყაროდგან არა სჩანს, რომ კვიროსს გამოე-ლა შექროს ამ საკების წინააღმდეგ, თუმცა-ლა ვებერი ამბობს, ვითომ კვიროსს თავის სამეფოს საზღვარი მიეტანოს კავკასიონამდე, დაეპყრის ველური (!) მარდები და კადუსიანები და ვი-თომ სახელები ივერთ მდინარეებისა კირ (მტკვარი), კამბიზ (გორი?) გვიჩვენებდენ, რომ სპარსთა მფლობელობა ამ ქვეყნებ-ში აღრევე დამყარებულიყო (ვებერ, III, 389).

მალაქ გორს არასდროს არა რქმევია კამბიზი და თვით „გორს“ არავითარი მსგავსება არა აქვთ „კიროსთან“: ამ ქა-ლაქს ეს სახელი დაენათლა ძველადგანვე მის შუაგულს აბურ-ცებულ გრან-დამ. სად გორა=გორი, სად კირი და კვიროსი!

თვით კირ (Cyrus=მტკვარი) და კამბიზ (იორი) ვებერს და არიელების მოტიფიალე ევროპულ მეცნიერებს აურევიათ: სწორედ ძველ Persis-ის წინ, კარმანისა და მის შორის აგრე-თვე იყო მდინარეები Cyrus და Araxes, რომელნიც იქვე მცირე ტბას ერთოდნენ (იხ. Atlas antiquus).

რომ კვიროსი აწინდელს მტკვარს და არაქსზედ არ გად-მოსულა, ეს მტკიცდება პლუტარხოსის ჩვენებითაც, რომელიც ამბობს: „აღმოსავლეთ ივერიელნი წინად არ ემორჩილებოდნენ არც მიედიელებს და არც სპარსებს. იგინი მაკედონელთა ულელ-საც გადურჩენენ“ (გან, 124).

მართალი უფრო ის უნდა იყოს, რომ კვიროსმა მიიმხრო იგივე კადუსიან — ჰირკანელნი და გაილაშქრა იმ საკებისაკენ, რომელთა სამშობლო იყო თურანი, ოქსუსსა და იაკსარტზე. იქაური საკები იყვნენ ტანით მაღალნი, გრძელ — თმიანი, ცხოვ-რობდნენ ტყეებში, გამოქვაბულებსა და კარვებში. მათ ჰქონ-დათ მხოლოდ ერთად ერთი ქვითკირით აგებული ქაშგა, სა-გაქრო საქონლის საწყობად. (ვებერ, III, 389). აქ კვიროსი მოკლეს საკებმა — მასსაგატებმა. ეს კოშკოვანი მასსაგეტები

ჩვენ ასებად მიგვაჩნია: წინადაც ვთქვით, რომ მასსიგ ასურად კაშეს ნიშავსო, ხოლო მასსაგეთი, ვითარცა ხაზარ (ასურ.—სახლი) — ხაზარ ეთი.

მ. აღექსანდრე მატედონელის დაშქრობა

პეიროსის მოადგილეებმა დაიპყრეს მრავალი ქვეყნები ინდოეთიდგან ხმელთა-შუა ზღვამდე ეგვიპტითურთ და მერე არა ერთხელ შეესივნენ თვით საბერძნეთს და იქიდგან სკვითებს, რომელნიც მოსახლეობდნენ შავიზღვის ჩრდილოთ კერძო, დონისკენ. ამდენის ძლევამოსილობათ სპარსეთის მეფეები გაამაყდნენ, გაყვინიზღდნენ. იმავე დროს მათ მიერ დამონებულნი ერნი, მეტადრე ბერძნენი, დაუჭინებელ მტრად გაუხდნენ სპარსელებს და ელოდნენ მარჯვე დროს, სისხლი აელოთ, მტრარვალნი დაეცათ, შეემუშრათ. ეს დროც დაუდგათ.

მაკედონის მეფის შვილმა ალექსანდრემ შეაერთა დანაწილებული სამთავროები საბერძნეთისა, შეკრიბა დიდი ლაშარი, მცირე-აზიას გადმოვიდა და შეებრძოლა დარიოზს. იგი ზედიზედ დაამარცხა. აღმოსავლეთის სამთავრო-სამეფოები ზოგი ნებით, ზოგი ბრძოლით აიღო, დაიპყრა ეგვიპტეც და გამოეციდა გაქცეულს დარიოზს. ხელოხლა დაამარცხა იგი ობელასა და გავგამელის (1 ოკტ. 331 წ.) და მერე აიღო ბაბილონი, საცა 30 დღე ილენია. შემდეგ აღმოსავლეთისკენ წავიდა. სუზა უომრად დაემორჩილა. აიღო პერსეპოლისი და ცეცხლს მისცა. აქედგან ეკბატანისკენ წავიდა. აქ იმალებოდა დარიოზი. მოუხელოვდა თუ არა ალექსანდრე ეკბატანს, დარიოზი გაიქცა რაღას. ალექსანდრე გამოეკიდა და ჰირკანის ქვემო კასპიის-კარები დაიჭირა. დარიოზი გადავიდა თაფურების ქვეყანაში და ტარას დადგა. აქ შებოჭა მისმა ერისთავმა (სატრაპია) ბესმა და აღმოსავლეთისკენ გაიქცა. ჰეკატომფილის მინდვრებზე უკვე ეწეოდა ალექსანდრე, ბესმა მოჰკლა დარიოზი (3 ოქტ. 330 წ.) და გაიქცა ბაქტრიანისკენ. ალექსანდრე მივიდა ჰირკანის ქალაქ ზადრა კარტას, საცა, შემდეგ ელბურსის ძნელ

გზების გავლისა, მოასვენა ჯარი. აქ გამოეცხადონ შემას წარჩინებული კაცები და მათ შორის არტაბაზი და მისი შეი-ლები არიობარზან და ასამ. ალექსანდრემ ძველივე თანამდე-ბობა დაუმტკიცა მათ. დაიპყრა ჰირკანია, მეომარნი კადუსიან-ნი, შემდეგ წავიდა და დაიპყრა პართია, არიანა, გამოეკიდა ბესს ბაქტრიანაში, ბესმა გადავლო ოქსიანა და ოქსუსს იქით ნავტაჟს გამაგრდა სოგდიანის ციხეების დაიმედებული. მაგრამ შეიპყრეს მარაკანდს (სამარყანდს) და მოპგვარეს ალექსანდრეს. ბესსი ჯვარს აცვეს. აქელეან ალექსანდრემ ჩავლო ინდოეთის-კენ, ინდოთა მეფე ჰიროსი დამარცხა და გედროზით დაბ-რუნდა სუზას, მერე ეკატანს და ისევ კადუზია—საგართიასა და ჰირკანიას და აქ დათვალიერა ნისეის მინდორი, საცა ძველადგანვე ფრიად კარგის ჯიშის ცხენები იზრდებოდნენ. ჰირკანის მთებში დააჭრევინა ხე-ტყე ნავების ასაშენებლად: მას სურდა ინდოეთიდან ევროპას ეზიდა საგაჭრო საქონელი კასპიის ზღვასა, მტკვარსა, რიონსა და შეის ზღვაზედ. იგი მა-ლე ამის შემდეგ გარდიცვალა (11 ივნ. 324 წ.).

ალექსანდრე მაკედონელის შეარედ შემოსვლა საგართიას ფრიად საყურადღებოა იმ მხრით, რომ ამით მართლდება შატ-ბერდის ქრონიკის ნათქვამი: „ალექსანდრემ ვერ იიღო სარკი-ნეთი და წავიდათ (ინდოეთს), ხოლო რამდენიმე წნის შემდეგ მეორედ მოვიდა და მაშინ სძლია ბუნთურქებს და დაიპყრა ქა-ლაქი სარკინეთით“.

აქედგან ცხადად სიანს, რომ ჩვენი მემატიანე საქართვე-ლოდ საქართიას გულისხმობს და არა თვით ივერიას, აწინდელ ქართლს. რომ ალექსანდრე მართლაც ყოფილა საქართველო-ში, ე. ი. საგართიას, ამას მოწმობს იულიოს სოლინიც. იგი ამბობს, ალექსანდრემ დაიპყრა აზია, არმენია, იბერია, ალბა-ნია და გადავიდათ ტავროსსა და კავკასზედ (იგულისხმება ჰირკანის კავკასი). საგულისხმოა აქ ის, რომ მეფე ალექსანდ-რეს ჯერ დაუპყრია აზია (სპარსეთი და ინდოეთი), მერე იბერია (კასპიის მხრისა) და ალბანია (კიპრტის რუკებით—ბაქოს მხარე).

აი თვით ქართულის წყაროების თქმულება აღექსანდრეს გამოლაშქრების შესახებ.

შატბერდის კრებულით:

პირველ ოდეს აღექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ლოოთის შეილთანი წარიქცინა და შეკადნა იგინი კედარსა მას ქუეყნასა, იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი:

ქართლის ცხოვრებით:

აღექსანდრემ დაიპყრნა ყოველნი კიდენი ქუეყანისანი, ესე: გამოვიდა დასავლით და შევიდა სამხრით, შემოვიდა ჩრდილოთ, გარდმოვდა გაგვასნი და მოვიდა ქართლიად და ჰპოვნა ყოველნი ქართველნი (?) უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა: რამეთუ ცოლქმრობისა და სიძვისათვის არა უჩნდათ ნათესაობა, ყოველსა სულსა კამდეს, მკუდარსა შესჭამდეს. იხილა-რაც ესე ნათესავნი, სასტიკნი წარმართნი, რომელთა იგი ჩვენ ბუნთურქად და ყივჩაყად უწოდთ, მსხდომარენი მდინარესა მტკურისასა მიხვევით, დაუკვირდა აღექსანდრეს, რამეთუ არა რომელნი ნათესავნი იქმოდეს ამას.

სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრავე და ციხენი მათნი—ციხედიდი, სარკინისახ, უფლისციხე, კასპისა, ურბნისისა და ოძრახისა.

და უკარდა აღექსანდრეს და ცნა, რომელ იებოსელოთა ნათესავნი იყვნეს ყოველსა კორციელსა ჭამდეს და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შეშვამდეს. და კვრებულდა ბრძოლაში მათი მეფესა და წარვიდა.

და ჰპოვნა ციხე-ქალაქნი ძლიერნი შეა ქართლ: წუნდა, ხერთვისი მტკურისა, ოძრავე მოქიდებული კლდესა ღადოსსა, თუხარისი მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქვიან კორხი, ურბნისი, კასპი და უფლის-ციხე, ქალაქი დიდი მტხეთა და უბანნი მისნი—სარკინე, ციხედიდი და ზანავი უბანი ურიათა, და რუსთავი და დედაციხე, სამშვილდე და მტკურის-ციხე, რომელ არს ხუნანი და კახეთის ქალაქი.

მაშინ მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი, ჰონნი და ითხოვეს ბუნთურქთა ოკულისაგან ქვეყანა ხარჯითა და დასხდეს იგინი ზანავს.

და ეპყრათ იგი. რომელ ხარჯითა აქუნდა, ჰრეკის მას ხარკი. და შემდგომად რაოდენისამე უამისა მოვიდა ალექსანდრე, მეფე ყოვლისა ქვეყანისა და დალეწნა სამნი ესე ქალაქნი და ციხენი და ჰონთა დასტა მახვლი.

ხოლო სარკინესა ქალაქსა ებრძოლა ათერთმეტ თოუტ და დადგა სარკინესა დასავლით კერძო და დასურა ვენახი და რომ გამოიღო ქსნით და დასხნა კაცნი მერჩუენი დასტაგითა რუსეთი და ჰრეკის აღგილსა მას ნასტაგისი.

და მერმე გამოიღო სარკინე: თვით დაყირეს და მეორ იქმნეს.

ამათ ყოველთა ციხეთა და ქალაქთა შინა პოვნა კაცნი სასტრიად მბრძოლნი. და განუყოლა შექარი მისი და ყოველთა ამათ ციხე ქალაქთა გარემოადგინნა და თვით დადგა მცხეთას და დაუდგინნა ლაშქარნი იმიტ და ამიტ, ზემოთ და ქუემოთ და თვით დადგა ქსანსა ზედა, აღგილსა, რომელსა ჰქვიან ნასტაკისი, მტკვრის ციხესა და თუხარისსა არა ბრძოდა, რამეთუ ვერ შეუძლებდა დაპყრობად ხოლო სხუანი ესე ციხენი და ქალაქნი დაიპყრო ექუს თოუტს.

ხოლო სარკინელთა ბუნთურქთა იგინეს მეფესა. განუწყრა ალექსანდრე და არლარა ინება ზავი და ვედრება მათი არა შეიწყნარა და რევა მათ: „ვინათვან მაგინეთ მე, ესე არს ნაწილი თქუტნი, რათა დიგხოუნე ყოველნი“. და მოიცვა ქალაქი სარკინე და ვერა საღით განერა ერთიცა კაცი. ხოლო სარკინელთა შესჭირდა: რამეთუ ბრძოდა თერთმეტ თოუტ. იწყეს ფარულად კლდესა კაფა და განკურიტეს კლდე იგი, რომელი ჩბილ იყო და აღვლად საკურეტელი, და განერნეს ხურელსა მას სარკინელნი ლამე და შეივლორდეს კავკასიდ და დაუტევეს ცალიერადი ქალაქი. დაიპყრნა ალექსანდრე ყოველი ქართლი.

და ამინ ალექსანდრემ მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი და უც-

ხონი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა და დატყვევე ვევნა და დედანი და ყრმანი უცებნი, 15 წლისა უმცირესნი, და დაუტევნა ქართლოსიანნი; და დაუტევა მათ ზედა პატრიკად სახელით აზონ ძე იარედოსისი, ნათესავი მისი, ქუცყანით მაკედონით, და მისცა ასი ათასი კაცი ქუცყანით რომით, რომელსა ჰქვიან ფროტათოს. ესე ფროტათოსელნი იყვნეს კაცნი ძლიერნი და მხნენი, ეკირთებოდეს ქუცყანასა რომისასა. და მოიცვანა ქართლად, მისცა აზონს პატრიკა და დაუტევა ქართლს ერისთავად აზონ პატრიკი და ამის თანა სპანი იგი მპყრობლად ქართლისა.

და უბრძანა ალექსანდრემ აზონს პატრიკსცემდენ მზესა, მთოვარესა და ვარსკულავთა ხუთთა და მსახურებდნენ მღერთსა უხილავსა დამბადებელსა ყოვლისასა. ესე სჯული მოიგონა მან და დაუდვა ყოველსა ქუცყანსა და წარვიდა.

ხოლო ესე აზოა წარვიდა არან ქართლად მამისა თვისისა და წარმოიყვანა რეად სახლი და ათი სახლნი მამამძექეთანი და დაჯდა ძუელ მცხეთას და თანა ჰყუანდეს

ძვალად წარვიდა*) აზონ შა. მისა თვისისა მიმართ არიანესსა და მოიყენა მუნით ათი სახლი ჩინებულთა და ათასი სახლი მდაბიონი და ყოველნი დედაწულითურთ მათით მოვიდეს და

*) ანტონი კათოლიკოზის ვარიანტით (ისტ. თეომურაზისა, გვ. 111).

კერპნი ღუთად გაცი და გაიმ და ესე იყო პირველი მეფე და ეს მათ კერპნი ღუთად. მცხეთას შინა აზოე ძალა არან ქართველთა მეფისად და მოკე- და და შემდგომად მისა დაღვა ფარნავაზ.

1. „ჰონი შეხადნა კედარსა ქვეყანასა“. ეს ონები ანუ ჰუნები კედარიტნი 457 წ. ქრ. შ. ებრძოლენენ პართელებს (გან, II, 68). მელად იგინი კასპელების მეზობელენი იყვნენ. დიონისი პერიეგტელის კომენტარიებში სწერს ევსტათე (გან, 142): უნებს იქით კასპები არიანო. უნი სკვითის მოდგმისა- ნი არიანო და სპარსელებით ურქებად უწოდებენო. მიღიელებს მშვიდობა აღუთქვესო და ამისთვის გამოართვეს 40,000 ოქ- როს ფული და ისე გამდიდრდნენ, რომ აკეთებდნენ ოქროს ლოგინებს (ტახტებს), მაგიდებს, სკამებს, სელებს და სხვ.

2. ალექსანდრე რომ გამოეკიდა ბესს და ზადრაქართას მივიდა, აქ დარჩა სულ ხუთმეტიოდე დღე და ამ ხნის განმავ- ლობაში იგი ვერ შესძლებდა პირკანის გამოვლას და კადუ- ზიანთა, საგართიელთა, მარდებისა, გელებისა და კასპელთ და- პყრობას. თუნდაც ამ მეომარ თემებს არ ებრძოლათ მასთან, მაინც მარტო ზადრაქართითგან აქეთ მოსვლა-წასვლისათვის დასჭირდებოდა უკანასკნელი 3-4 თვე და ალექსანდრე კი მიე- ჩქარებოდა აზის შუაღულისკენ, რომ ხელთ ეგდო ბესი, რო- მელმაც დარიოზი მოჰკელა და სპარსეთის ხელმწიფობა მოინ- დომა. შატრბერდის ქრონიკაც ამბობს, „ვერ ეძლო ქართს ბუნ- თურქებთან და ჰონებთან ბრძოლა და წარვიდაო“. აქ „ვერ ეძლო“ „ვერ ეცალის“ მნიშვნელობით ნათქვამი უნდა იყოს.

3. მეორედ რომ მოვიდა ალექსანდრე, მაშინ შემუსრა ბუნთურქნიო, ამბობს შატბ. ქრონიკა. აქ, აღბად, იგულის- ხმება ალექსანდრეს ბრძოლა კადუსიანთა, გელთა, კასპელთა და პირკანელთ მეზობელ მარდებთან მაშინ, როდესაც სუზა- ეკბატანით შეარედ მოვიდა პირკანისკენ.

დიოდორ სიცილიელი ამბობს (გან, 93): „ალექსანდრეშ მოიარა პირკანია და მისი მეზობლად მყოფი ქვეყნები. კასპიის ზღვის პირ-პირ რომ მიდიოდა, მარდების ქვეყანაში შევიდა. ამ ხალხმა, ჯან-ლონით ძლიერმა, არავითარი ყურადღება არ მიაქცია მეფის განდიდებულს შემძლებლობას და არ დაუხვდა და პატივი არა სცა. პირიქით, მარდებმა შეჰქრიბეს 8000 მეომარი, მთის გზები შეუკრეს და წინ გადაელობნენ მაკედონელებს. მეფე მიესია, უმეტესი მათგან გასწყვიტა და დანაშთენი შერევა მიუვალს ადგილას. როდესაც ცეცხლს მისცა მათი ქვეყანა, ისე მოხდა, რომ მეფის მეჯინიბენი, რომელთაც მეფის ცხენები მიჰყავდათ, უკან ჩამორჩნენ. ბარბაროსი მიესივნენ ამათ და მოსტაცეს ყველაზე უმჯობესი ცხენი. ალექსანდრეს ეჭყინა და მკვიდრთა ენაზე გამოუცხადა მარდებს, თუ ცხენს არ დამიბრუნებთ, გაგიოხრებთ მთელს ქვეყანას და თქვენც ცოცხლად ვერ გადამირჩებითო. ბარბაროსებმა ცხენი დაუბრუნეს, მიართვეს საჩუქარიც და 50 კაცი აახლეს და პატიება ითხოვს. ყველაზე წარჩინებულნი მათგან მეფემ მზევლად*) დაიტოვა.

4. „აზონს მისცა 100000 კაცი ქვეყანით რომით, რომელსაც ჰქვიან ფროტათოს. ესე ფროტათოსელნი იყვნეს კაცნი ძლიერნი და ეკირთებოდეს ქვეყანასა რომისასა“.

ფრიად საგულისხმო ცნობაა. რას მოასწავებს სიტყვა:

„აზონისთვის მიცემული 100000 კაცი ქვეყანით რომით ეკირთებოდეს ქვეყანასა რომისასა“? აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის. „რომ-გვარად“ იწოდებოდა აწინდელი ხევარასანი (ქ. ცხ., 328), ხოლო ფროტათოსად მდ. ევფრატი. მაშასადამე ეს რომ გვარელ-ფროტათოსელნი ყოფილან რომის (საბერძნეთის) მტერნი და იგინი ალბად დაიმორჩილა ალექსანდრემ და მისცა იბერთ მეფეს, რომელმაც თავის შერიც აღუთქვა ერთგული და არა ზევი—მზევლალი.

*) „მზევალი“-ს თავდა პირკანდელი სახე სვანებს დაუცავთ—ზავალ, ე. ი. ის, ვინც ოჩს ეჩს აზავებს, მათ შორის ზავს ჰერაცს. ზავი—მზევალი და არა ზევი—მზევლალი.



ლება და მის ლაშქრობისათვის ხელშეწყობა კავკასიონის ურუკუნული რეგის გამაგრებით. რომ იბერთ მეფეს ალექსანდრესთან მეფობრული განწყობილობა ჰქონდა, ეს ცხადად სჩანს პლინიუსის სიტყვით:

„როდესაც ალექსადრემ ინდოეთისკენ გაიღაშქრა, იბერთ მეფემ უძლვნა ერთი უჩვეულებრივად დიდის ტანის ძალლი. ალექსანდრეს გაუკვირდა ასეთი დიდი ძალლი რომ ნახა და მიუსია მას დათვები, ტახები, მაგრამ ძალლი ფეხზედაც არ წამოდგა. იმპერატორმა ძალლი მოაკვლევინა. ეს ამბავი მიესმა იბერთ მეფეს, რომელმაც სხვა ძალლი გამოუგზავნა და შემოუთვალა: „წვრილ ნადირებს ნუ აბრძოლებ, სპილოს მიუსიეო ანუ ლომს.“ ალექსანდრემ სცადა. ძალლმა ლომიც გაგლიჯა და სპილოც დასცა“ (გან, 111).

იბერიისა და კადუსია-საგართია-ჭირკანიის დამოკიდებულებას ნათელს ჰუკენს შემდეგი საყურადღებო ცნობაც.

„თავად-აზნაურთა სიაში“, რომელიც ძევლ სიგელ - ჯუჯრების თანახმად შეადგინა მეფე ერეკლე II-ემ, სწერია: თავალნი აბაშიძენი გადმოსახლდნენ ინდოეთის ეთიოპიდამ ანუ აბაშეთიდამ (გვ. 12), ხოლო ორბელიანნი (ბარათა შვილნი და გუგუნავანი) დიდის სათაორეთიდამ, ქვეყნიდამ ჩინეთის მხრისა, კირაიდამ. ჯამბაკურ, ბარათა და ბოშ იძულებულ იყვნენ და-ეტოვათ თვისი ქვეყანა; იგინი დიდის ძლიერებით აიყარნენ და მოვიდნენ რანის ქვეყანას, რომელსაც აწ ქვიან ყარაბაღი. ბოში დასახლდა აქვე სიონ-ს, შემდეგ სისიანად *) წოდებულს, და ამისი წილი მოსახლეობა დაიფანტე სპარსეთისა ქერმოთ ცარიელთა აღგილებთა შინა, ხოლო ჯამბაკური და ბარათა ეგედნენ მეფე ფარნაგაზ ქართლთასანს, რათა მიეცა აღგილი საქართველოს შინა დასასახლებლოად. და მან მიუბოძა სომხით-სა აღგილსა შინა, კერძოდ გორისა და თრიალეთისა მხარესა

*) ამ ქვეყანას (ყარაბაღს) უწინ ერეკა სივნიეთი (სომხ. სიუნ) და ფრიად საყურადღებოა, რომ თავდაპირველი მისი სახელი ყოფილა სიონი.

და ოდგილთა შინა მისთა. და ჯამბაკურ და ბარათა 5000-მლენი მეტამურით დაესახლდნენ მუნ. (ივერია, 1884, № I¹).

თვით ბარათა შეილების გუჯრის პირით მათს წინაპარს ჰრქმევია ბირიან აბაში და ეს ბირიან აბაში გადმოსახლებული 768 წელს, მაშინ, როდესაც საქართველოში მეფობად ბაგრატ დაგთავისმე. ამ 768 წელს და შემდეგაც არავითარი ბაგრატ დაგთავისმე არა სჩანს: არჩილ + 718 წ., ითანე არჩილისძე (718—786), აშორ ადარნასესძე (786—826), ბაგრატ აშორისძე (826—876) დავით ბაგრატისძე (876—881), ადარნასე დავითისძე (881—929), სუმბატ ადარნასესძე (923—958), დავით სუმბატისძე (958—994), გურგენ; ბაგრატ გურგენისძე (980—1014) და სხ.

ამას გარდა, 768 წლებში, მის წინათაც მირიდამ მოკიდებული, და შემდეგაც საქართველოსა და საზოგადოდ მოელს სპარსეთ-კავკასიაში ბატონობდნენ არაბნი და იმ დროს გრძელის გზის გამოვლა თითქმის 100000 კაცით (მაშინდელი 5,000 კომლი ამაზედ ნაკლები არ იქნებოდა) და საქართველოში დისახლება ყოვლიდ შეუძლებელი იყო. ამიტომ ბარათიანთ გუჯრის პირის თარიღი ჩვენ შეცდომად მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ ბარათა შეილების გადმოსახლების შესახებ გვაქვს ისეთი ჩვენება, რომელიც თვით მეფე ერეკლეს ამოულია ძველ სიგელ-გუჯრებიდამ. სწორედ ფარნავაზის ფამს მთელი აღმოსავლეთი შეირყია მაკედონელის ლაშქრობამ, თემწი და ერნი გადასხ-გადმოსხა.

ჩვენ ვფიქრობთ, ეს 5000 მეკომური ბარიან-ორბელიან — აბაშთა და ბოშის სახლიკაცობა, რომელიც „გაიბნა სპარსეთსა და სისიანს“, იყო ის მხედრობა, რომელსაც ებრძოდა ალექსანდრე მარგიანა-ბაკტრიანას, ცერიათსა და სამარყანდს. კკუაზე ახლოა, რომ ის ბესი, რომელიც დარიოზის მოკავშირე იყო და რომელსაც გამოეკიდა ალექსანდრე, იყო სწორეთ ჩვენი აბაში ანუ ბოში, მამა ფარნავაზისა და ძმა მამასახლისის სამარასი.

პი ზოგი-რამ წვლილი, ამ აზრის გამამაგრებელი:

პ. ბეს ეგონა დავიძალებით
მთის სიმაგრეთა შემწევიბით აღ-
გილსა ნავტაკს (ვებგრ, III, 207)

ალექსანდრემ ალყა შემო-
არტყა ბუნთურქებს, სარკი-
ნეთს შემალულებს, რც გა-
მოილო ქსნით და ამ აღგილს
დაერქვა ნასტაკი.

ბ. ეს ადგილი ახლო იყო
ოქსიანა—ბაკტრიანადგან.

მსანი და ფშავთა ბაკტრია-
ნი (ბახტრიონი) აქვე იყო.

გ. ბესი შეიპყრა მარაკანდს
(=სამარკანდს)

ვარნაგაზს მოუკლა მამა
(ბოში, აბაში?) და ბიძა სამარ.

დ. ალექსანდრემ იქ ნახა ქა-
ლაქი Kurapolis ანუ Kuraes-
chata ანუ Kurukschaethra.

ალექსანდრემ აიღო თავა-
დი ციხე ცხეთა, ტკურის
ცხეთა.

ე. ალექსანდრემ ააშენა ქა-
ლაქი კავკასიაში (ინდის მხრი-
დამ ჰირკანისკენ მომავალს კავ-
კასიონის ძირში) და დაისახლა
აქ დაბაბუნებულნი მეომარნი
და აგრეთვე კიდევ 7,000 სხვა
მეომარი.

ალექსანდრემ მცხოთაში
დასტოვა ეგ არან ქართლის
მეფისა და მისცა მას 100000
მეომარი ფროტოსელნი.

ვიდრე ბაკტრიას აიღებდა
ალექსანდრე, ბარბაროსნი და-
ცინოდნენ. სოგდიანის ციხე მა-
ღლა ამართულიყო ნავტაკსა და
ბაკტრიას შორის და ვიწრო ბი-
ლიკი უდალს კლდეზე მასში შე-
მავალი კარი იყო. ციხიდგან
დაცინოდნენ მეფეს: შენმა მეო-
მარებმა ფრთები გამოისხან და
ისე შემოვიდნენ ჩვენს სიმაგრე-
შიო.

სარკინეთის მეომარნი და-
სცინოდნენ ალექსანდრეს. მან
შეუთვალა: „ვინათვან მაგი-
ნეთ, ესე არს ნაწილი თქვე-
ნი, რათა დაგხოცნე ყოველ-
ნი“.

ჭ. პირკანიაში მაკედონელთ
ნახეს წყარო, რომელიც კლდი-
დად გამოლიდა და რომელსაც
ერქვა სტიბეტეს.

ალექსანდრემ რუ გამოი-
ლო და დასტაგითა რუსისათა
დასხა შერუვენი და იმ ად-
გილს დაერქვა ნასტაგი (შა-
ტბ. კრებ.). საბას ლექსიკ.
სტაგი—რუს სათავე. ამ ნა-
სტაგის შორიახლო არის აგ-
რეთვე ნოსტე და გოსტიბე,
გოსტიბეთი, რომელიც უახ-
ლოვდება ბერძნების ნახულს
სტიბეტესს.

ხაზოგადოდ, ალექსანდრესი, ფარნავაზ—აზოს ისტორია
ფრიად არეულია. ყველაზე სანდო ძველ მწერლებში, სტრა-
ბონი ამბობს: „ყველის არა სწამს ძველი გადმოცემები, გავრ-
ცელებული ალექსანდრე მაკედონელის სადიდებლად. იგინი,
ვინც მოიგონა ეს გადმოცემანი, ცდილობდნენ უფრო პირფე-
რობით ეამებინათ მეფისთვის, ვიდრე ეთქვათ მართადი. ამ მი-
ზეზით, მაგალ., სახელი კავკასიონისა, რომელიც კლობიდას
და შავზღვის ზემო აღმართულა, გადაანათლეს ინდოეთის მთებს
და მის ახლო ზღვას. უფრო მეტი დიდება იყო ალექსანდრესთვის
დაეპყრა აზია ინდოეთის მთებმდე, ვიდრე მხოლოდ პონტოსი
და კავკასიის ყურემდე! და ამიტომაც დიდება და სახელი ამ
მთისა და მთსაზრება, რომ იაზონმა თავის ლაშქრობაში მია-
ხწია უშორესს კავკასიის ძირამდეო და გადმოცემა, რომ პრო-
მეთეოსი მიჯაჭვულ იყო მსოფლიოს განაპირა კავკასიონზედ
— ყველა ეს შეიქმნა მიზეზიდ, რომ მწერლებმა მეფის სამე-
ბლად ამ მთის (კავკასიონის) სახელი გადაიტანეს ინდოეთს
(გან, 74).

ასეთ ისე, ჩვენ მაინც მტკიცედ გვწიმს, რომ მაშინ
აღმოსავლეთი საქართველო შესდგებოდა ორ სამეფოსაგან—
ცხეთისა (იბერიისა) და საგართიისა (პირკანიისა), საცა მოსა-
ხლეობდნენ კასპიი, გელნი, მარდნი, კადუსნი, გურგანნი, მარ-
გიანნი, ბაკტრიანნი, უტნი, კარმანნი. ამ ორ სამეფოთაგან
პირველი, იბერია, მეგობრულიდ დაუხვდა ალექსანდრეს და

შემწეობა აღუთქვა, მისმა მეფემ საჩუქრებიც მიართვა. ხოლო მეორე იყო დარიოზის მოკავშირე და, მაშასადამე, მტერი აღექანდრესი. ამ კისპის მხრის საქართველოს ერთი მამასახლის-თაგანი, ბესი, იქნება იგივე ბოში (აბაში) და მისი ძმა მამა-სახლისივე სამარ მძვინვარედ ეომნენ მაკედონელს, არ დაინდეს დარიოზ, მოჰკლეს იგი, რომ მის სიკვდილით ძალა შეემატებინათ თავისთვის და მთელის ერანის ძალ-ლონით შებრძოლებოდნენ შემოსეულს მტერს. თუ ესრე არ ყოფილიყო, მაში რად დახოცავდა ალექსანდრე მამასახლისს სამარას და მის ძმას, ფარნავაზის მამას? იგი ხომ მათივე მტრების ბუნთურქების გასაწყვეტად მოდიოდა? სამარა მართლაც ცხეთის მამასახლისი რომ ყოფილიყო, მას როგორ მოჰკლიავდა ალექსანდრე, როდესაც ჯერ ერთი, იგი მტკერის ხეობაში არ შემოსულა და მეორეც, იბერთ ხომ თავის მეფე ჰყავნდათ და ამ მეფემ ძლვენიც მიართვა მაკედონელს და მეგობრობაც გამოუწადა!

იმ დროის ისტორია ჩვენ ასე გვეხატება. ალექსანდრე გარდაიცვალა 11 ივნისს 323 წელს. აღმოსავლეთი აირია, შეირყა. მრავალი მეფე მამთალი გაჩნდა. ვინც მიმაღლულ იყო, წამოკულყელავდა. ამ ხანს ფარნავაზ ქართლოსიანმა, იქნებ იმავე ბესის ძემ, შემოიკრიბნა ბირიან-აბაშ-ორბელიან-ბოში, 100,000-მდე მეომარი, წამოვიდა და დაიჭირა ალგეთისა და ქციის მხარე გორამდე, მიიბირა ცხეთის მეფის კელადი მამასახლისები, მაგალ., ქუჯი, ტახტიდგან ჩამოაგდო ცხეთის მეფე, თვით გახელმწიფდა და ჯავრი ამოიყარა, რომ ამ იბერთა მეფემ შემწეობა არ აღმოუჩინა მაკედონელთან ბრძოლაში.

რაც შეეხება აზოს (=აზონს) და მის მამა არანს, ჩვენ გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ იგინი სწორედ ფარნავაზის წინად მეფეობდნენო. შეიძლება, ჩვენს მემატიანეს აზუ, ძე ირან-ზესი, ვანის მეფისა, რომელიც ჩანს 719—716 წ. ქ. წ., გადმოეყვანოს მე-IV საუკუნეში. ეს კი ცხადია, რომ აზოე (=აზონი) დიდ პატივდებაში ყოფილა ქართლოსიანთა არე-მარეში.

ა. ძველს რუკებზე კიბერტისა ჩანს აზოს სახელის ქალა-
ქები—აზონიუს ჰირკანიაში და აზონიუს კარდუხების ქვეყანა-
ში. (აზონიუსი აღმად იყო აზონისი და ბერძენ-რომაელებმა
აზონიუსად აქციეს).

ბ. ტაციტი (56 — 117 ქრ. შ.): „იაზონი მოვიდა კოლ-
ხიდის თავისუფალ ტახტის დასპერად“.

გ. იუსტინე (130 — 170 ქრ. შ.): „ოთითქმის მოელმა აღმო-
სავლეთმა იაზონს, როგორც თავისს დამფუძნებელს, დაუდგა
ტაძრები და პატივისცა, როგორც ღმერთს“.

დ. პლინიუს (29 — 79 ქრ. შ.): „აღმანელნი, ამბობენ,
იაზონის ჩამომავალნი არიანო“.

ე. სტრაბონი (66 წლ.—გან ქრ. წ.): „იაზონში კოლხი-
დიდგან... შემოიარა იბერია, აღმანია და ნაწილი არმენიისა
და მიდიისა. ამას მოწმობენ მის პატივად აგებულნი ტაძრნი
და სხვა ძეგლნი.“

აქ, ეჭვი არ არის, უცხოელ მწერლებს, რომელთაც იცოდ-
ნენ მხოლოდ ლეგენდარული იაზონი და ისტორიული აზონი,
იქნება, სულაც არ იცოდნენ, საკმაოდ აერეოდათ ცნობები,
გარნა მათი გაღმონაცემი ჩვენის წყაროებითაც მტკიცდება.

ა. სახელი აზონ, იაზონ ფრიად გახშირებულია ჩვენში,
მეტადრე იმერეთს.

ბ. ჩვენი მატიანე მოწმობს, რომ აზონის ლაშქარს აზნა-
ურობა ებოდათ. ეს „აზნაური“ ანუ მატიანის აზრით „აზნა-
ური“ სწორედ ლვთიურობას მოასწავებს. ასრე: აზნაური=სვან.
აზნავირ=მეგრ. ენისქუა. ჟინ (სვან. ერ, ერბავ) უდრის ქარ-
თულს ზენას და ენისქუა (ენინ-სქუა) ნიშნავს ზენას შეილს.
პრეფიქსი ა იგივეა, რაც მეგრული ა და მერმენდელი სა:
ა-ზენაური=სა-ზენაური (შეადარე: ა ყარი=სა-ყარი; ა სული=
ო-სური). რომ მართლაც აზნაური იგივე აენაურია, მტკიც-
დება ამითაც: სინგილოში არის სოფელი (ხეობა), რომელსაც
ჰქვიან აზნაური და აგრეოვე აეინაური.

თვით თქმულება, რომ „აღმანელნი იაზონის ჩამომავალნი
არიანო“, „იაზონშა მოიარა კოლხიდა, იბერია და აღმანიაო“, —

ადვილად გავრცელდებოდა, რადგან აზონის სახელი ისტორიული ცენტრის მიერ უკავშირდებოდა: ალაზანი=ბერძნულად — ალ-აზონი, ტრაპეზონი=ტრაპ-აზონი (1042 წელს გადაწერილს ქართულს წიგნში სწერია მეგრელთა ქალაქები. ხოლო სვანურიად ზან სამეგრელოს ნიშავს, ე. ი. ჭან-ს).

აზონს მამა იყო არანი. მ. ქორენელი მმბობს (გვ. 83—84): „არანი, კაცი ბრძენი, სახელოვანი ინიშნება დადიანად (მეფის მთადგილედ) მტკვრის ხეობისა, რომელიც არის ქვეყანა დიდი, ჩინებული, დასახლებული. იგია ჩამომავლი სისაკისა (იხ. ზემო სისიანი, სიონი=ყარაბაღი). მისგან ჩამომავლობენ უტნი, გარდამანნი (გარდაბანელნი), წოდენი და გარგარნი. ეს გარგარნი მირდატის ჩამომავლობაა. იგინი, ნაბუ-ქუდურ-ასარმა ივერია რომ დაარბია, გადაასახლა პონტოს“.

არან მეფის სახელი დაუცავს დღესაც სოფელს, რომელსაც ჰქვიან არანისი. არან-ად იწოდებოდა მთელი ქვეყანაც, რანი (მტკვრის მარჯვენა მხარე დებედიდგან მოკიდებული განჯისკენ).

3. ქადუსინი ანუ ქახნი.

შატბერდის ქრონიკა და ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ:

ა) მოიწია ქტოეთა, დაბასა, რომელსა ჰქვიან ბოდინი (შატბერდის ქრ., 19)

- ბ) დაბასა ბუდს ქხოეთისასა (21)
 - გ) მიეახლა ქუხეთს, დაბასა ბუდისასა (ქ. ც., 98)
 - დ) მოიწია ქვეყანასა ქხოეთისასა, დაბასა ბუდს (შ. ქ., 83. 1)
 - ე) დაბასა ბოდს ქახეთისა ქვეყანასა (იქვე, 58)
 - ვ) დავმარხეთ (წმ. ნინო) ბოდს, დაბასა ქახეთისასა (გვ. 71).
- ცხადია, კახეთი ყოფილი იგივე ქხოეთი=კტოეთი, კუხეთი და კატეთი, ე. ი. ქვეყანა კახ-თა=კუხ-თა. დღესაც ხმარე-

ბაშია ა) კახი, კახიძე, კახიანი, კახა (კაცის სახელია, ბ) კუხი, კუხიანიძე და გ) კატეხი (სოფელია ძველს ცერეზი, საინგილოს).

რომ კატეხი იგივე კახეთია, სჩანს იქიდგან, რომ ამ ქვეყანაში მცხოვრებთ თავისთვის უნდა ეწოდათ კახი, კუხი, კატი და კადი (ტ=დ: იმტენი=იმთენი=იმდენი, მოხვდა=ინგ. მოხტო და მრ. სხ.), ხოლო თვის ქვეყნისთვის კი

ა) კატეხი—კადეხი

ბ) კატეთი—კადეთი—კახეთი

ვითარება ე-თა არის საცხოვრებელ აღგილის მაჩვენებელი დაბოლოება, ისრევე ე-ხი. შეადარე:

ფარი—ფარეხი

ლეინო—ვენახი (შეგრ. ბინეხი)

ღ ხშირად აკლდება: ღვაუ (სვ., ხევ.)—ვაუ, ღვაჭარი—ვაჭარი. მაშასადამე, ვენახი იგივე ღვენახია, ღვენეთი, ფარეხი იგივე ფარეთი.

ამას გარდა თი, ხა, სა, ჟა, შემოკლებულად აღნიშნავენ მრავლობით რიცხვს (მესამე პირს):

უკეთებია—თ

ჰყავ—თ

(ინგ.) უკეთებია—შ

ჰყავა—შ

(სვან.) ასყა—ხ

ხა-ყა—ხ

არდე-ს=სვან. არდა-ხ; აკეთებე-ნ (შჩადიან)=სვ. ხა-შდბა-ხ და სხ.

აქ თ (=ღ) შ, ხ მიგვაჩნია დასაწყის ხმებად სიმრავლისა და სიდრდის მაჩვენებელ სიტყვებისა:

თ: ინგ. თახ (მთა). დიაღს რასმე ეხლაც ვადარებთ მთას, დევს. ამას გარდა ინგ. დაა=დია=ინგ. დადა=დიადი=სვან. ხოშა (ამაკე ფესვიდგან გვაქვს დიდი).

შ(=ს): ყველა, ყოლა, ყუელა; სუ=სულ=სრუ=სვან. სურუ=მეგრ. შურო.

ხ: სვან. ხვახ=ბევრი (შეადარე: ხვავი=ინგ. ხოვ).



შემოკლება ანუ გაღრძელება პირვანდელ მარცვლისა შესრულებული თული ენის კანონია, ასე:

არის—არს—არი—ა (კაცი-ა)

კადარის—კადარს—კადს—კას (=კა-ა კა-ა); მამისა-კენა
=მამისა-ყენა=მამის-კენ (=ყენ (=მამისა—კ. მოკუდი=მოკ-
ვი=მო—კ.

თუარიჩომ=თუარომ=თუარ=თორე=თორემ=თორ =
თვარ.

შიმეორებთ, კატები კატეთი გვგონია და კადუსი იგივე
კადუხი *), ე. ი. ქვეყანა კადთა. ამ კადუსთ ანუ კატთ თვით
ცკატეც, რომელიც ცხოვრობდა 550 წ. ქ. წ., სოფლის კასპიის
ზღვის პირა მოსახლედ (გან, 8).

ტორეთის ანუ ივრის ხეობის ერთი სახელთაგანი იყო
აგრეთვე სუჯეთი (ქ. ცხ., 239) და ამ სუჯეთში ცხოვრობ-
დნენ სოჯნი=სუჯნი. ეს სოჯნი წმ. ნინომ მოაქცია, კაწარეთს
(პატარძეულის ზემო) რომ მივიდა.

მცხეთა იუდ უჟიგონა ქეყანაში (შატბ. ქრ., გვ. 11). საბას
ლექსიკ: „უზიკეთი.—ბალდალია“, მართლაც სახარებაში (მარტო
ქართულს სახარებაში) ვკითხულობთ (საქმე, 2, 9):

„რომელი ვართ პართი და მიღნი და უჟიგნა და ელამ-
იტელნი და მკვდრნი შუამდინარისანი და ჰურისატანისანი და
კაბადუკისანი, პონტოისანი“.

აქ ერნი ჩამოთვლილნია ჩრდილოეთიდგან (პირვანის ქვე-
მოდგან) სამხრეთისკენ სპარსეთის სრუტემდის (პართი, მიღ-
ნი, უჟიკნი და ელამიტნი) და იქიდგან ჩრდილოეთისკენ შავ
ზღვამდე (შუამდინარისანი, ჰურისატანისანი, კაბადუკისანი და
პონტოისანი). ეჭვი არ არის, უჟიკებად აქ სუზიანელნი იგული-
სხმებიან, ვინაითგან სუზიანას ქვემო იყო ელამთა ქვეყანა.

რომ ჩვენი სუუ (სუჯი) იგივე სუზა-ა, ეჭვს გარეშეა:
ჯერ ერთი, რომ ს ხშირად ისპობა (სულა=მეგრ. ულა=
ვლა) და მეორეც სუზას ერქვა აგრეთვე ჰუზა (Huzha). ჰუზა-

*) კოლხა სრულიად კანონიერად წარმომდგარა სიტყვიდამ კოლა:
სვან. ბალახ=ბალახი, ბალნი=ბალახის. კოლხ-ი, ე. ი. ქვეყანა კოლეთისა

დამ ადვილად წარმოსდგებოდა სუზა, რადგან ჰ=ს: ქრისტე=
ქრისტე, და აგრეთვე უზიკეთი.

ძალდთა ტომი განთქმული იყო მჟედლობით, რეინისა,
ვერცხლისა, ფოლადის შემუშავებით, ოქრომჟედლობით. კა
დუსთა სახელიც, გვგონია, ამავე მჟედლობას მოასწავებს.

აბოს „ცხოვრებაში“ სამჟედლოს მაგიერ სწერია სამჟა-
დური, ხოლო მეგრ. კუადუ და სვან. მ-სკიდ ჰევიან მჟედელს.
ის კიდევ სიტყვები, რომელნიც მჭრელს, ქრის აღნიშნავენ:
სვ. ქადა=ქართ. ქადა (ცული), სვ. (ლი) — კადი=ქართ. კოდვა
(ქრი, პობა), კოდვა (ცხენისა), კოდვა (წისქვილის ქვისა),
კადვა (წისქვილის რუსი), კოტა (შუბი). რომ კედლობა ჩეენ-
ში გავრცელებული ყოფილა, ამის თავმდები სახელები კედ-
ლიძე, კედლიშვილი, კედლეური, კედისი. ეს უკანასკნელი
სიტყვა მეგრულის გამოთქმით იქნება კუადუსი=კუადეში=კუა-
დუში, რომელიც უახლოვდება კადუსაც და ქალდთა ქვეყნის
აკკადსა და კადეშსაც და იმ ური-კატტუებსაც, რომელთა
ღმერთი იყო ზადი ანუ ზადი. (იხ. ქვემო, ქალდთა ისტო-
რიაში).

მ. ჯანაშვილი

უცხოეთის მიმოხილვა

1. ბელგრადის დრამა.—2. გერმანიის საპარლამენტო არჩევ-ნები.—3. კიდევ ოპორტუნისმი.

სერბიის რევოლუციის ამბავი ეძღა ყველას ეცოდინება: მეფე-დედოფალი, კარისკაცი, რამდენიმე მინისტრი და ჯარისკაცი ერთ ღამეს გაელიტეს. ამ საშინელ საქმის სული და გული სერბიის ჯარის აფიცირობა იყო.

როცა დეპეშამ პირველად ეს ამბავი მოიტანა და თან ისიც მოაყოლა, რომ სერბიის ერთ ალტაცებულია ობრენოვიჩების დალუბევითო, მკითხველი უნდებლიერ გაიხსენებდა ობრენოვიჩების მეფობის ხასიათს.

რა იყვნენ უკანასკნელი ობრენოვიჩები სერბიისათვის? ობრენოვიჩების დინასტია იმ თავითვე დიდი უბედურება იყო სერბიისთვის, სწერს ერთი სერბიული გაზეთი. „მილანის და ალექსანდრეს მეფობის დროს ევროპის ყველა ერები დასკინოდნენ სერბიას, რომ ითხენდა დინასტიას, რომელმაც თავის ბოროტმოქმედებითა და გიური მოქმედებით სახელი გაიტება და სამეფოც დალუბა. სახელმწიფოს მთელი ენერგია იხირჯებოდა სამეფო სახლის წევრთა განხეთქილებაზე, რომელიც ჟედეგი იყო მათ გარყვნილებისა, განქორწინებისა და ძალმომრეობისა; ეკონომიკური, ფინანსიური და პოლიტიკური საქმეები კი სრულებით უყურადღებოდ იყო დატოვებული. ვალი ხუთას მილიონ ფრანკამდეა ასული და რა გაკეთდა? მხოლოდ ერთად ერთი რკინის გზა. მილანის გარყვნილი პიროვნება ცნობილია; რა გვარად აწეწ-დაწეწა სახელმწიფო საქმეები აგრეთვე. და

რომ ხალხის ყურადღება სულ სხვა შხრისაკენ მიექცია, ბულგარის იმი გამოუტადა. ეს ომი ასე სამარცხინოდ არ გათავდებოდა სერბიისათვის, რომ სათადარივო ჯარი მოეწვიათ; მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, რადგან შეიარაღებული სათადარივო ჯარი პირველიდ ყოვლისა თვითონ მეფის წინააღმდეგ წავიდოდა, იმდენად ლრმა იყო ხალხის უკმაყოფილება.

ალექსანდრეს მამის მარტო ნაკლულევანებანი ჰქონდა. მეფობა დაიწყო სტუმართ მოყვარეობის კანონის დარღვევით: დაპატიუა მინისტრები სადალად და გამასპინძლების მაგიერ საპატიმროში უკრა თავი. შემდეგ იქამდე დაივიწყა შეილის მოვალეობა მშობლების წინაშე, რომ ბრძანება გასცა დაეხვრიტათ მილანი იმ წუთსავე, რა წუთშიაც სერბიის ტერიტორიაზე ფეხს შემოსდგამდა. ასეთი ბრძანება მისცა ახალგაზდა მეფემ იმ ჯარს, რომელიც მილანის შექმნილი იყო. დედაც უკიდურესობამდე მიიყვანა ალექსანდრემ.

ცამეტის წლის განმავლობაში ალექსანდრე მასხარად იგდებდა თავის ქვეშევრდომებს: ფიცს ფიცჭე სტებდა, ხალხის უფლებას სთელავდა და სასაცილოდ არ ჰყოფნიდა სამართალი, ჰუმანური გრძნობა და რიგიანობა. ამ ცამეტის წლის განმავლობაში ახალგაზდა მეფემ ხუთჯერ შესცვალა სამეფოს წესწყობილება და ოცდა ოთხი სამინისტრო გამოსცვალა! რამდენი დაატუსაღა, თუ სიკვდილით დაასჯვევინა ყოვლიად უკანონობა, ვინ მოსთვლის!.. ბოლოს გადაწყვეტილი ჰქონდა დაელუბა ასორმოცდა ათი საუკეთესო შეილი სერბიისა და შხოლოდ ჯარის საქმეში ჩარევამ ააცილა სერბიას ეს საშინელი უბე-დურება.

დრაგას შერთვა დასასრულის დასაწყისი იყო. ბევრი ემუდარეს მინისტრებმა დედოფლად არ გაეხადნა გარყენილი ქალი, რომელმაც, ვინ იცის, რამდენი ხელი გამოიარა, სანამ მეფის საყვარელი გახდებოდა... დიდათ სამარცხინო წარსული ჰქონდა დრაგას... როცა მინისტრები ვერას გახდნენ, სამსახურიდან გადადგომის მეტი არაფერი დარჩენოდათ და მართლაც ეგრე მოიქცენ. ბევრი ეცადა მეფე ახალი სამინისტრო შეეღვინა,



მაგრამ არც ერთი რიგიანი მოლვაწე არ დასთანხმდა. შეუფექტებელი გადასწყვიტა აფიცრების მიმართვა და მათგან ჩევვისა და მოწონების მიღება. აფიცრები მიიწვიეს სასახლეში, მაგრამ ამათ წინა დღითვე გადასწყვიტეს ერთ-ხმად პროტესტი გამოეცხადებიათ დრაგას გადედოფლების წინააღმდეგ და თუ ვერას განდებოდნენ, იქვე ხმლები მოეხსნათ და ჯარიდან გასულიყვნენ ამასობაში მეფეს უკვე მოენახა ახალი მინისტრები, მაგრამ ისეთები კი, რომელთაც სერბია სრულებით არ იცნობდა. როცა აფიცრები სასახლეში მივიღნენ, ალექსანდრემ, რჩევის მაგიდა, შემდეგის სიტყვებით მიჰმართა: „გავიგე, რომ ზოგი თქვენგანი უკავიყოფილებს აცხადებს და ამიტომ, მოგაგონებთ, რომ ჯარის უფროსი ვარ და თქვენც ფიცი მიგიღიათ ჩემი მორჩილი იყვნეთ“. მეფემ წაუკითხა აფიცრებს ფიცის სიტყვები, აგრეთვე სამხედრო წესდების შესაფერი მუხლი და მისალებ თათხიდან გავიდა.

ასრულა სურვეილი ალექსანდრემ და დრაგაზე ჯვარი დაიწერა. დრაგა რომ თავდაბალი ქალი ყოფილიყო და დაკმაყოფილებულიყო ცოლის როლით, ალექსანდრე ეხლა ცოცხალი იქნებოდა. მაგრამ მან მოინდობა მომავალ მეფის დედობაც. ამ მიზნის მისაღწევად დედოფალმა გადასწყვიტა ერთი გლეხის შვილი ალექსანდრესთ. ნ კავშირის შედეგად გამოეყვანა. ყველაფერი ისე ხერხიანად იყო დაწყობილი, რომ განზრახვა თითქმის განხორციელდა. მაგრამ დრაგას პირველ ქმრის ოჯახმა კარგად იცოდა, რომ მას ავადმყოფობის მიზეზით შვილი არ მიეცემოდა. ეს ავადმყოფობა სხვებმაც გაიკვეს, სხვათა შორის სახელმწიფოების წარმომადგენლებმაც. რუსეთიდან მოწვეული იყო პროფესორი სნეგირევი დედოფლის მდგომარეობის გამისაკვლევად...

პროვინციაში ხალხი საჩუქრებს ამზადებდა მომავალ მემკვიდრისათვის; სასახლის დარაჯებმა წინ და წინვე მიიღეს სანუქრები მოსალოდნელ სასიხარულო ამბის გამო. ტყუილი მემკვიდრე, გლეხის შვილი, სასახლეში იყო დამალული, მაგრამ სნეგირევმა უკელაფერი ახსნა და მემკვიდრის გაჩენის იმედს საბოლოოდ გამოეთხოვენ.



ასეთ სკონდალის შემდეგ იმედი იყო, რომ ოლექსანდრე უკრაინის
გაეყიდვოდა დრაგას და ამით დაამშვიდებდა ოლშტოოფებულ
ხალხს, მაგრამ ეს იმედიც გაცრუვდა: დედოფალს ხელში
ჰყავდა მეფე და რადგან შვილის იმედი არა ჰქონდა, განიზ-
რახა თავის ძმის მემკვიდრედ გამოცხადება. ჯერ პრესას მიჰმარ-
ოებს: ერთი სამხედრო უურნალი ეყადა გაეცრცელებია ეს აზრი
აფიცრებ შორის, მაგრამ ამაღდ: სამხედრო პირებიცა და სა-
მოქალაქენიც უურებში თითებს იცობდნენ.

კონსტიტუციის ძალით, სერბიის სამეფო ტახტი გადადის
მეფის უფროს შვილზე და ხალხის დაუკითხავად შეუძლებე-
ლია ამ წესის შეცვლა.

რამდენიმე კაცი დაიღუპა დრაგას სურვილის წინაღმდეგ
წასვლისათვის...

მეფე-დედოფლისათვის უკან დახევა შეუძლებელი გახდა.
ოლექსანდრე უკანასკნელ ორის წლის განმავლობაში ისე ნა-
ბიჯს არ გადადგამდა, თუ დრაგას სურვილი არ იყო. დრაგას
შეგონებით მეფემ შესცვალა კონსტიტუცია და გადაწყვეტილი
ჰქონდა შეეცვალა ტახტის მემკვიდრეობის კანონიც—უნდა
შეეტანა მუხლი დედოფლის რეგენტობის შესახებ.

ეხლა ცველის ახელია თვალი; აღირავითარი იმედი აღარ
იყო. მაგრამ აფიცრები კიდევ რაღაცას ელოდნენ: შეიკრიბ-
ნენ კაზინოში და მიანდეს პოლკოვნიკ-ნაუმოვიჩს აუდენეცია
მიეღო მეფისაგან და გადაეცა მისთვის შემდეგი: „აფიც-
რების კორპუსი სთხოვს თქვენ დიდებულებას ან გაეყაროს
დრაგას ან და უარი სთქვას ტახტზე:“ ერთ ერთი ლონისძიება
აუცილებელია სერბიის ხალხის კეთილდღეობისათვის. თუ თქ-
ვენი დიდებულება არ დასთანხმდება არც ერთხა და არც მეო-
რეს, აფიცრებს გადაწყვეტილი იქვთ სამსახურიდან გადაღნენ
და არით პროტესტი გამოაცხადონ აუტანელ მდგომარეობის
წინაღმდეგ“.

მთელი ათი დღე ეცადა ნაუმოვიჩი ენახა მეფე სალაპა-
რაკოდ, მაგრამ დრაგა ერთ წუთსაც არ შორდებოდა თავის
ქმარს. ამასობაში მეფემ ახალი არჩევნებიც მოახდინა, მაგრამ
ეს არჩევნები კი არ იყო არამედ პოლიციური ფარსი. ოპო-

ზიცია, რასაკვირველია, მოსპეს, აირჩიეს, შემთხვევით, მხო-
ლოდ ორი დეპუტატი, მაგრამ ამათი საარჩევნო ბიულეტენები
დასწევს და ყალბ ბიულეტენების საშუალებით აქაც მთავრო-
ბის მომხრენი აირჩიეს.

ამასთანავე აამოქმედეს ჯაშუშობის მთელი სისტემა, რო-
მელმაც ხალხი გარეუნა. ვინც კი გამოდავდა რამეს თქმას დრა-
გასა და მის ძმის კანციდატურის წინააღმდეგ, საეჭვოთა სიაში
იყო შეტანილი. საპატიმროები იყებოდა, ოფიციალური და სამსახუ-
რიდან ითხოვდნენ ან მიყრუებულ პროვინციაში გზავნიდნენ.
ლუნევიცის ოჯახი უკვე ისეთ პატივს თხოულობდნენ, რომე-
ლიც გაუგონარი იყო დემოკრატიულ სერბიაში. არავინ დარწმუ-
ნებული არ იყო, რომ ხვალ თავისუფალი და ცოცხალი იქნე-
ბოდა; ხმა დადოოდა, რომ ლიუნევიცის მემკვიდრედ გამო-
ცხადების დღეს 150 შენიშნული პირი სიკვდილით დაისჯება.
ჩვენ გვჯეროდა ეს ხმები, რადგან გასულ წელს მეფე-დედო-
ფალს სურდა ალავანტიჩის ვითომ და შეთქმულების მომიზე-
ზებით დიდი სისხლის ღვრა მოეხდინათ. საბედნიეროდ ერთმა
აფიცერმა იქვე მოჰკლა ეს ალავანტიჩი, რომელიც პოლიციის
აგენტი იყო და მეტი არაფერი. გარდა ამისა ეხლახან თვითონ
მეფემ სთქვა: „მე დავამსხვრევ მთელ ოპოზიციის, მაგრამ სასა-
მართლოს საშუალებით კი არა, როგორც წინად; არა, ეხლა
მოვსპობ ვინც უკმაყოფილოა“.

ჩვენ მართალი გამოვედით: მეფე-დედოფულის სიკვდილის
შემდეგ ნახეს სია იმ 150 კაცისა, რომელნიც უნდა დაეხოცათ;
ეს სია ორი ეკზემპლიარი იყო—ერთი დრაგის ხელით არის
დაწერილი, მეორე პოლიციის ერთ მოხელეს ჯაეწერა.

ბოლოს პოლკოვნიკ ნაუმოვიჩმა მოახერხა შეფესთან პირის-
პირ ლაპარაკი. როცა მეფემ აფიცერების გადაწყვეტილება გაი-
გო, მის გაბრიზებას საზღვარი არ ჰქონდა. „წილი და გა-
დაეცა აფიცერებს, რომ არ გავეყრები დედოფალს, არც ტახ-
ტზე ვიტყვი უარს და საზოგადოდ მამის მაგალითს არ მივბა-
ძავ. გავხდი ნიკოდიმ ლუნევიცს (დრაგის ძმას) ტახტის მემკვიდ-
რედ, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ სერბია არ დაიღუპოს

განხეთქილების მიზნით. ასეთია ჩემი ნება და იყი ასრულებული იქნება. გადაეცით აფიცრებს, რომ თვითონ ისინიცა და სხვებიც, ვინც კი გაბედავს პროტესტის გამოცხადებას, აჯანყებულად იქნებიან აღიარებული და შესაფერ სასჯელსაც მიიღებენ. ვიცი, რომ ბევრია ასეთი, მაგრამ მე მათ არ შევიძრალებ!“ ასეთი იყო მეფის პასუხი. ნაუმოვიჩმა იგი აფიცრებს გადასცა. ბევრი იფიქრებს, თუ როგორ მოქცეულიყვნენ: სკუპ-შჩინის გახსნისათვის რომ მოეცადათ, სერბის საუკეთესო შეილები დაილუპებოდნენ; შემდეგ დაიწყებოდა შინაური ომი, ანობა და ამას მოჰყებოდა საერთა-შორისო დამოკიდებულების არა სასურველი გართულება. ამიტომაც აუცილებელი შეიქნა „უარეს საშინელების თვითან ასაცილებლად ნაკლების ჩადენა.“

ის ის პირობები, რომელთაც გამოიწვიეს ობრენოვიჩების დინასტიის საშინელი ბოლო. ალექსანდრემ საკუთარის ხელით გაითხარა საფლავი და მთელი დინასტიაც დაღუპა.

ეშველება კი რამე ამით თვითონ სერბიას? ამ კითხვაზე რომ სწორი პასუხი მიესცეთ, საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა როლს თამაშობდა თვითონ ხალხი ამ რევოლუციაში, რას აკეთებდა ან რას ჰუიქრობდა?

ადგილობრივ გარემოების კარვი მცოდნე შემდეგ პასუხს გვაძლევს ამ კითხვებზე:

სერბის ხალხს არაფერი გაუკეთებია, არც არაფერი უთქვაშს და არც არაფერი უფიქრია. ხალხს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია რევოლუციაში და არც შეეძლო მონაწილეობის მიღება. ერთად-ერთი რევოლუციონური ძალა, რომელიც სერბიაში არის, ჯარია და სწორედ ამ ჯარით ისარგებლეს შეთქმულებმა მოძულებულ დინასტიის ტახტიდან ჩამოსაგდებად. ხალხი პასიური მაყურებელი იყო.

როგორდა შეხვდა ხალხი რევოლუციას? პირველი დეპეშები გვარწმუნებდნენ, ვითომ მთელი ქალაქი აღტაცებულია, მუსიკა უკრავს და სხვა. ყველა ქს მოჭორებულია: მღსიერა საძხედრო იყო, მხიარულებდნენ ქუჩის პატარა ბაჟები, რომე-

ლნიც ქუჩა-ქუჩა დარბოლნენ სერბიულ ბირალებით და „ში-ვიო“ს გაჰკიოდნენ. თვითონ ხალხი არავითარ სიხარულს არ ატადებდა, მაგრამ ის კი, რომ არც მწუხარება ეტყობოდა. ალექსანდრე და დრაგა არავის ებრძლებოდა.

ერთის სიტყვით ხალხი სამაგალითო გულგრილობით მოე-კიდა რევოლუციას. შეიძლება ესთქვათ, რომ ხალხს არც კი შეუტყვია სამეფო დინასტიის გამოცვლა.

„სასტიკი სასჯელი, რომელიც წილად ხვდა ობრენოვი-ჩების დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელს, არის თუკი-ლებელი ლოლიკური შედევი მეფე-დედოფულის შეცდომებისა და იმ ტრადიციონულ, მეტად საშიშ შეხედულებისა მეფის უფლე-ბაზე, რომელიც შეთვისებული ჰქონდა მეფე ალექსანდრეს.“

მართალია, მაგრამ ზალხს არც კი შეუტყვია სამეფო დი-ნასტიის გამოცვლა!“ და სერბის უბედურებაც ეს არის!

მიუხედავად იმისა, რომ სერბია კარგა ხანია განთავისუფლ-და ოსმალთა უღლისაგან და შეუდგა დამოუკიდებელ ცხოვ-რების, ხალხი აქმდე პოლიტიკურად მეტად განუვითარებე-ლი დარჩენდა. „სერბიაში იყო მეფე მილანისა და დედოფალი ნატალიას პარტია, რეგენტების პარტია, და მეფე ალექსანდ-რეს პარტია, მაგრამ არ ყოფილა ისეთი პარტია, რომელსაც გულწრფელად სურდა სერბის ერის უფლებათა გადიდება თუ შემცირება (ესე იგი არ ყოფილა პარტია ნამდვილ პოლიტი-კურ პროგრამის პატრონი). ამიტომ არის, რომ სერბიის რევო-ლიუციები ყოველთვის ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა. რევო-ლიუცია ხდებოდა ამა თუ იმ პირის სასარგებლოდ და არა პრინ-ციპისათვის. საკმარისია ალვინშინოთ, რომ რევოლიუციის შემ-დეგ შემდგარ დროებით მთაცრობის წევრია სხვათა შორის, გენ-ჩიჩი. ეს ის გენჩიჩია, რომელიც ხელმძღვანელობდა ცნობილ პროცესს რადიკალებისას, ვითომდა მილანის წინააღმდეგ შე თქმულთ. გენჩიჩი, რომელსაც საპატიო ადგილი ეკავა მილა-ნის მტრების ჯალათებ შორის, დღეს მილანის შეილის ჯალა-თი გახდა.“

ვინ ან რა არის იმის თავდები, რომ აფიცრობა და გენ-ჩიჩები არ მოინდობენ ხვალ პეტრე ფარავიორგიევიჩი განაძე-

ვონ ან მოჰკლან და მის მაგიერ სხვა დასვან სერბის ტახტზე? 1888 წლის დემოკრატიული კონსტიტუცია? რა შეუძლია თუნ-და საუკეთესო და სამაგალითო კონსტიტუციას, თუ იგი მარ-ტო ქაღალდზეა დაწერილი და ძვალსა და რბილში არა აქვს ხალხს გამჯდარი? რასაკვირველია არაფერი.

შეგნებული, უფლებისა და კანონიერების ღამიუსებელი ხალხია ერთად-ერთი გარანტია აფ-ცრობისა და გენჩიჩისთანა ავანტიურისტების coup d'etat'-ს წინააღმდეგ.

თუ პეტრე ყარაგიორგიევიჩი მართლა თავისუფალ შვეიცარიის თავისუფალი შვილია, რომელმაც როგორც თვითონ უთქვაშს, ბევრი რამ ისწავლა პატარა რესპუბლიკის თავისუფალი წეს-წყობილების დაკვირვებით, პირველად ყოვლისა იმას უნდა ეცადოს, რომ ხალხში გაავრცელოს იმ თავისუფლების პატივის-ცემა, რომლის ფასიც მას შვეიცარიაში უნდა შეეტყოს. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ პეტრე ყარაგიორგიევიჩი სერბის ტახტზედაც იგივე დარჩეს, რაც შვეიცარიაში იყო. თუ სერ-ბის მეფე პეტრე პირველს შერჩა ის შეხედულება და გრძნო-ბა, რომელიც პეტრე ყარაგიორგიევიჩს ჰქონდა, იშვიათ მოვ-ლენის მომსწრე გავხდებით, რადგან სამეფო გვირგვინი და ტა-ხტი თითქმის ყოველთვის უუდი მრჩეველი ყოფილა.

მოვკეავს სერბის 1888 წლის კონსტიტუციის მოკლე წინაარსი.

საკანონმდებლო უფლება ეკუთვნის მეფესა და ხალხის წარმომადგენლობას ერთად. ინიციატივის უფლება აქვს მეფე-საც და ხალხის წარმომადგენლებსაც. აღმასრულებელი უფლება ეკუთვნის მეფეს, რომელსაც სისრულეში მოჰყავს ეს უფლება პასუხის მგებელ მინისტრების საშუალებით. მინისტრებს ნიშ-ნავს და სცელის მეფე. მეფე ნიშნავს ცველა თანამდებობის პირთ; იგი ჯარის შთავარ სარდალია და სამეფოს წარმომად-გენელი საერთაშორისო დამოკიდებულებაში; მეფე მოვალეა შეატყობინოს ხალხის წარმომადგენელთ, თუ რა შედეგი მოს-დევს ხოლმე მის გარეშე პოლიტიკას; სკუპშჩინის მორიგ თუ საგანგებო კრებას იწვევს მეფე; სკუპშჩინის დამთხოვიც მეფე

არის, მაგრამ იგი მოვალეა ოთხის თვის განმავლობაში დანიშნულის ახალი არჩევნები. მეფის ბრძანებას რომ ძალა ექმნეს, იგი უთუოდ სათანადო მინისტრისაგან უნდა იქმნეს ხელმოწერილი.

სკუპშინა არის ხალხის წარმომადგენლობა. სკუპშინა არის ჩვეულებრივი და დიდი. სკუპშინა შესდგება ხალხისაგან არჩეულ დეპუტატებისაგან; არჩევანი ფარული და პირდაპირია. ჩვეულებრივი საკონენტდებლო ხანა სკუპშინისა უდრის ოთხ წელს. სკუპშინის გადაწყვეტალება რომ კანონიერი იქმნეს, საჭიროა ყველა დეპუტატების ნახევარის და კიდევ ერთის დეპუტატის დასწრება; თუ ხმები შეუაზე გაიყო, წარმოდგენილი წინადადება უარყოფილია დ ითვლება.

კანონ-პროექტის განხილვა იწყება სკუპშინაში მას შემდეგ, რაც სახელმწიფო საბჭომ განიხილა და თავისი აზრი გამოსთვავა; მხოლოდ ხარჯთ-აღრიცხვა და ჩვეულებრივი საფინანსო პროექტები შედის პირდაპირ სკუპშინაში განსახილველად. სკუპშინის ნება-დაურთველად არ შეიძლება არც გამოქვეყნება, არც გამოცვლა. არც განმარტება რომელიმე კანონისა. ყველას აქვს უფლება წარმოადგინოს სკუპშინაში პეტიცია ან საჩივარი. სკუპშინის ნება დაურთველად ვერც ერთ დეპუტატს ვერ მისცემენ პასუხისვებაში, რაც უნდა დანაშაული მიუძღვდეს.

დიდ სკუპშინაში ირჩევენ ორჯელ მეტ დეპუტატებს, ვიდრე ჩვეულებრივში. დიდი სკუპშინა იკრიბება, როცა გადასაწყვეტია ტახტის მემკვიდრეობის კითხვა, დასანიშნია რეგენტები, გამოსაცვლელია კონსტიტუციის რომელიმე მუხლი ან როცა მეფეს საჭიროდ მიაჩნია ითათბიროს დიდ სკუპშინასთან.

— სახელმწიფოს საბჭო შესდგება თექსმეტის წევრისაგან; რვა წევრს ირჩევს მეფე იმ 16 კანდიდატთაგან, რომელთაც სკუპშინა ირჩეს, და რვას — სკუპშინა მეფისაგან წარმოდგენილ 16 კანდიდატთაგან. ამ გვარად არჩეული წევრი რჩება თავის თანამდებობაში სიკვდილამდე.

სახელმწიფო საბჭოს შემდეგი უუნქციები აქვს: მთავრობის წინადადებით, უნდა შეიმუშაოს კანონებისა და საადმინი-

სტრაციო განკარგულებათა პროექტები და გამოსთვევის აზრი
იმ კითხვების შესახებ, რომელსაც მთავრობა წარუდგენს; საბ-
ჭომ უნდა განიხილოს ის კანონ-პროექტები, რომელსაც მთავ
რობა სკუპშინაში შესატანად ამზადებს ან რომელიც სკუპშ-
ინის ინიციატივით არის წარმოდგენილი.

უცხლა სერბი თანამწორია კანონის წინაშე. აკრძალულია
მიცემა და მიღება აზნაურობისა და ტიტულებისა. ინდივიდუ-
ალური თავისუფლება ყოველ მოქალაქისა უზრუნველ-ყოფი-
ლია კონსტიტუციით: თუ სასამართლოს დადგენილებით არა,
ისე ვერც ერთ სერბს ვერ დაატუსალებენ. კერძო სახლი ხელ-
უხლებელია; გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც კანონში არის
აღნიშნული, მთავრობის აგენტებს უფლება არა აქვთ კერძო
სახლში შევიდნენ. სარწმუნოების საქმეში უცხლა სრულებით
თავისუფალია; სწავლების საქმეც აგრეთვე თავისუფალია; სერ-
ბებს უფლება აქვთ შეკრებისა უიარალოთ; ნებადართულია
ასოციაციები, რომელთაც კანონის წინააღმდეგი მიზანი არა
აქვთ; უცხოელ პოლიტიკურ დამნაშავეთა გაცემა აკრძალულია.

უმთავრესი ცვლილება, რომელიც ეხლა შეიტანეს 1888
წლის კონსტიტუციაში, არის მინისტრების პასუხის გების გა-
დიდება; გარდა ამისა შეიტანეს კიდევ ერთი მუხლი, რომელიც
მოხელეებს ეხება: პასუხის გებაში მიეცემა ყოველი მოხელე,
რომელიც აასრულებს რომელიმე უკანონო ბრძანებას, თუნდა
მბრძანებელი თვითონ მეფეც იყოს.

მთელი განათლებული კაცობრიობა დიდისა და ინტენ-
ზიურის ინტერესით ადგვნებდა თვალ-ყურს გერმანიის საპარ-
ლამენტო ორჩევნებს, მიუხედავათ ბალკანეთის ამბებისა, მიუხე-
დავად სერბიის საშინელ დრამისა. და ოც გასაკვირველია ეს
ინტერესი: იმ თავითვე ცხადი იყო უცხლასათვის, რომ უმთავ-
რესად ბრძოლა ერთის მხრივ სოციალ-დემოკრატიისა და მეორე
მხრივ თითქმის უცხლა დანარჩენ პარტიებ შორის მოხდებოდა.

როგორ პირობებში ხდებოდა ეს საპარლამენტო არჩევ-
ნები?

თანამედროვ ცხოვრების ხორც-მეტ ელემენტია თავად-
აზნაურობაში მოინდომა მშრომელ ხალხის გროშებით ჯიბეების

გავსება, რომ უფრო მეტი საშუალება ჰქონებოდა მცონარე და განცხრომით ცხოვრებისათვის. რაღაც რაინდობისა და ყაჩა-ლობის დრო კარგა ხანია წაუკიდა ბრწყინვალე წოდებას, მიზნის მისაღწევად ეხლა სხვა საშუალებას მიჰმართეს: თავად-აზნაურებს დიდალი მამულები უკავიათ და მეურნეობას ეწევიან; მათი ყოფა ცხოვრება მეურნეობაზეც არის დამყარებული; ამიტომ მათი სურვილია, რაც შეიძლება ძვირად გაჰყიდონ მეურნეობის ნაწარმოები, უმთავრესად, რასაკირველია პური. მარტო გერმანიაში რომ მოდიოდეს პური, მიზანი აღვილი მისაღწევი იქნებოდა, მაგრამ აქაურ თავად-აზნაურობის უბედურებაც ის არის, რომ სხვა ქვეყნებიც მისდევენ მეურნეობას. ამ ჭირსაც, როგორც იქნებოდა გაუძლებდნენ, მაგრამ სწორედ ამ სხვა ქვეყნებში მეურნეობის ნაწარმოები უფრო იაფად ღირს და გერმანიის პური კონკურენციას ვერ უძლებს. ამიტომაც რეიხსტაგმა ბაჟი დააღი უცხოეთიდან მოსულ პურს. გერმანელ იუნკრებს მაღა გაეხსნათ, არ იქმარეს ზომიერი ბაჟი და ნამდვილი „მოვახშეთა“ ტარიფი მოითხოვეს.

თავადაზნაურობა სამეფო ტახტის ბურჯად და სვეტად ითვლება (რამდენად სამართლიანია, ეგ სულ სხვა კითხვაა); ამიტომაც ვალქელმ მეორის მინისტრები უყურადღებოდ ვერ დასტოვებდნენ ბრწყინვალე წოდების მოთხოვნას. მიუხედავათ იმისა, რომ იუნკრების მოთხოვნის ასრულება ძირითადად ეწინააღმდეგებოდა გერმანიის ერის დიდ უმრავლესობის ინტერესს, მთავრობა თითქმის საესებით მიემხრო აგრძიებს და ამ გვარიად ხალხის ინტერესი ხორც მეტ წოდების ინტერესს ანაცვალა.

მთავრობას მხარი დაუკირა რეიხსტაგის უდიდესმა პარტიამ ცენტრმა, რომელიც ჯერ მთავრობის პარტიად გადაიქცა და მალე, როგორც სჩანს, მართველ პარტიადაც გახდება. გაცვეთილ, საკუთარ ფიზიონომიას მოკლებული ნაციონალ-ლიბერალებიც, რასაკირველია, მთავრობისაკენ იყვნენ. კონსერვატორებმა, ცენტრმა და ნაციონალ-ლიბერალებმა ერთად უმრავლესობა შეადგინეს და რაც უნდოდათ, იმას ჩადიოდნენ რეიხსტაგში: არ დაიხიეს რეიხსტაგის წესდების შეცვლის წინაშეც კი.

ვინ გამოესარჩილა ხალხს? ვინ იდო თავზე მძიმე ტვირტო ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლისა?

პირველიად ყოვლისა და უმთავრესად სოციალ-დემოკრატიამ. პარტიამ ისეთი ნიჭი, თავდადება, სიმტკიცე და მხნეობა გამოიჩინა, რომ დაიმსახურა ღრმა პატივისცემა ზოგ ბურ-უაზულ წრეებშიაც. სადამოენო ტარიფის განხილვის დროს სოციალ-დემოკრატიის დიდი ზნეობრივი გამარჯვება აშკარა შეიქნა თვით ბრძებისთვისაც კი.

გავიმეორებთ თეოდორ მომზენის სიტყვებს, რომელიც მეოთხე ნომრის ქრონიკაში გვქონდა მოყვანილი: მხოლოდ სოციალ-დემოკრატიამ გამოიჩინა ნიჭი, ძალა და გაბედულება ხალხის უფლება-ინტერესის დაცვის საქმეშიც.

გარდა ამისა არც ერთი პარტია არ ეპყრობა თავის მოვალეობას ისეთის სინიდისიერებით და გულმოდგინედ, როგორც სოციალ-დემოკრატია: იშვიათი მოვლენაა, რომ სერიოზულ დროს ამ პარტიის წევრს მოვალეობის გახსენება დასკირდეს.

საპარტიო დისკიპლინა, მოვალეობის შეგნება, თავდადება სახალხო საქმისათვის და უკანასკნელი დიდი ზნეობრივი გამარჯვება რეიხსტაგში სადამოენო ტარიფის განხილვის დროს — ამ ის ნიადაგი, რომელმაც ასე ბრწყინვალედ გაამარჯვებინა სოციალ-დემოკრატიას. სამ მილიონზე მეტი ხმა მოუვიდა ამ პარტიის კანდიდატებს და რომ ხმები სამართლიანიად იყოს განაწილებული საარჩევნო ოლქებ შორის, პარტიის ეყυლებოდა ას ორმოც დეპუტატი მაინც. როცა საყოველთაო საარჩევნო უფლება შემოიღეს გერმანიაში, სოფლელებ შეადგენდნენ ყველა მცხოვრებლების 65 პროცენტს; ამიტომ სრულიად კანონიერი იყო, რომ ორი მესამედი დეპუტატებისა აერჩია საარჩევნო ოლქებს და დანარჩენი ქალაქებს. მაგრამ ეხლა სოფლელების რიცხვი 45 პროცენტზე მეტი არ არის გერმანიაში და ამიტომ სამართლიანობა მოითხოვს, რომ ქალაქებს მეტი დეპუტატები ჰყავდეს. არსებულ პირობებში კა არიან ისეთი საარჩევნო ოლქები, სადაც სულ 10—12 ათასი ირჩევს ერთ დეპუტატს და ისეთებიც, სადაც 120—140 ათასი ამომრჩეველი მოდის ერთ დეპუტატზე.

გერმანიის უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებიდან საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება: პოლონელებისა და კლერიკალ პარტიის დაშორება. „მთამბის“ მეოთხე ნომერში სხვათ შორის ნათქვამი გვქონდა: აქამდე მთელ სილეზიაში, სადაც ხოლო წმინდა პოლონელია, წარმომადგენლებად რეისტაგში გერმანელ კათოლიკებს ირჩევდნენ; ეხლა პოლონელების დემოკრატიული ნაწილი მოწადინებულია თავისი საკუთარი კანდიდატები გაიყვანოს, რადგან დარწმუნდა, რომ კათოლიკე გერმანელიც გერმანელია და მაინც და მაინც პოლონურ ეროვნებისათვის თავს არ შეიწუხებს.

სოციალ-დემოკრატების არ იყოს, პოლონელებმაც დიდი შხენება და ენერგია გამოიჩინეს: მთელი კათოლიკე სამღვდელოება (მთაგრობა ხომ წინადაც ებრძოდა პოლონელს) წინააღმდეგი იყო პოლონელ კანდიდატებისა და მერე სილეზიაში, სადაც პოლონური გლეხები დიდათ მორწმუნე კათოლიკები არიან. მიუხედავათ ამისა ნაციონალისტებმა ორი მანდატი წაართვეს კლერიკალებს.

დასასრულ ორიოდე სიტყვა ოპორტიუნისმის გამო. კვალელ ლ. წ.-ს თუ დავეკითხებით, ჩვენ წარმოდგენაც არ გვქონია ოპორტიუნიზმზე. ამიტომ მოვიყვანთ თვით ლ. ნ.-ის განმარტებას, ჩვენდა შესარცხვენად, ჩვენის უფიციალის დასამტკიცებლად, რასაკვირველია.

„ის ძირითადი თვისება, რომლითაც ოპორტიუნიზმმა მკაცრი კრიტიკა გამოიწვია „მართლ-მორწმუნების“ მხრივ, არის მისი მეტად მშვიდობადნა ხსნათო (ხაზი ყველგან ჩვენია), მისი მეტის მეტი შიში ენერგიულ ზომებისა. ოპორტიუნისტის აზრით, საბოლოო მიზნის მიღწევა შეიძლება ჩუმი(?) და მშვიდობანი მოქმედებით ქანონიერების მტკიცე ნიადაგზე...“ ოპორტიუნისტის აზრით, „სრულებით საჭირო არ არის უკაფურესი ზომების ხმარება... ერთის სიტყვით მირითადი ცვლილება სოციალურ დეფორმების საშუალებით და არა წესწუბილების სრულის დანგრევით (აქ ხაზი ავტორიისა), აი ის ლოზუნგი, რომელიც ყველა ოპორტიუნისტებს აერთებს“.

იქნება ოპორტუნისმის ღრმად მცოდნე ლ-ნ.-ს გაუკვირდეს, მაგრამ მაინც უნდა გამოტეხით ვსთქვათ, რომ ოპორტუნისმი ჩვენც ეგრე გვესმის და სწორედ იმიტომ ვამბობდით „მოამბის“ მესამე ნომერში, რომ თეორიით მართლ-მორწმუნები პრაკტიკულ ცხოვრებაში („მოლვაწეობაში“ უკეთესი იქნებოდა) ნამდვილი ოპორტუნისტები არიან, რომ ბერნშტაინის ნაწერები მხოლოდ გამოთქმაა უკვე მომხდარ ევოლიუციისა, რომ ბებელიც კი ნამდვილი ოპორტუნისტია თვის პრაკტიკულ მოქმედებაში“.

ოპორტუნისმს მეტად მშვიდობიანი ხასიათი აქვს, ენერგიულ ზომების ეშინიათ, თხოულობს მშვიდობიან მოქმედებას კანონიერ ნიადაგზეო და უარ ჰყოფს უკიდურეს ზომების ხშარებასო, გვამცნევს კვალელი პუბლიკისტი. არ შეიძლება ისიც გვამცნოთ ჩვენ, უვიცთ, თქვენ, მეცნიერმა, თუ რომელი მართლ-მორწმუნე თხოულობს „ენერგიულ, უკიდურეს“ ზოგიების ხშარებას, არა „მშვიდობიან“ მოქმედებას, „კანონიერების“ ნიადაგზე არ დგომას?

მანამდე კი ჩვენის უვიცობით გვგონია, რომ შთელი პარტია, თავის პრაკტიკულ მოლვაწეობაში, წინააღმდეგია „უკიდურეს“ ზომების ხმარებისა და არა „კანონიერ ნიადაგზე“ მოქმედებისა, და თანაც თხოულობს სოციალურ რეფორმებს ოპორტუნისტებთან ერთად.

ის კი არ გავგიგონია, რომ ოპორტუნისტები აგიტაციის თავის დაწესებას თხოულობდნენ, როგორც ლ. წ.-ი ამბობს; „ალბად ეს სულ ახალი ამბავია, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.“

სპეციალის კვალელი პუბლიკისტი, ამბობს: „თეორიით მართლ-მორწმუნეთა და პრაკტიკულ მოქმედებით ოპორტუნისტთა“ რიცხვში ავტორმა (ესე იგი ჩვენ) მოაქცია.... ბებელიც კი (დასკრინის ჩვენ უვიცობას). დამტკიცება ბებელის ოპორტუნისტობისა შემდეგია: „იგი თანახმა გახდა სამხედრო მინისტრისა (ჩვენი სიტყვებია), რომ გერმანიის ჯარისათვის გაუმჯობესებული იარაღი შეეძინათ“. — მეტე ეს არის ოპორტუნისტობა? საზოგადოთ ბებელი, როგორც მთელი მისი მოლვა-

წეობა გვიმტკიცებს, პრინციპიალურად წინააღმდეგია მიღლი-
ტარისმისა (ჩვენ კი ეს არ ვიცოდით!). მაგრამ რადგანაც ომის
გადაგდება შეუძლებელი ჩვენს დროში (არც ეს ვიცოდით!),
უსამართლობა იქნებოდა გერმანელი ჯარი ისე ცუდათ იყოს
მოწყობილი, რომ სხვა სახელმწიფოს ჯარებმა მუსრი გაავლისონ».

ლ. ნ.-ი ჩვენზე ვრცლად თვითონ ამტკიცებს ბებელის
ოპორტიუნისტობას. ჩვენ სილოგისმის მარტო ერთი პრემისა
გვქონდა მოყვანილი, მან კი ორი ზედ-მეტი მოყვანა.

ბებელი პრინციპიალურად წინააღმდეგია მიღლიტრისმისა,
მაგრამ რადგან ჩვენ დროში ომის გადაგდება შეუძლებელია,
ბებელი იძულებულია უღალატოს თავის პრინციპს და თანახმა
გახდეს სამხედრო მინისტრისა, რომ ახალი ხარჯები გასწიოს
სახელმწიფო ჯარის შეიარაღებისათვის.

ეს თუ ოპორტიუნისმი და უკიდურეს ზომების სრული
უარ ყოფა არ არის, არც ოპორტიუნისტობა ყოფილა და არც
უკიდურეს ზომების უარყოფა.

არ შეგვიძლია, ერთი შენიშვნა კიდევ არ მივცეთ ავტორს:
ჩვენი კამათის საგანა ოპორტიუნისმია და არა მოკამათეთა
პიროვნება. ამიტომ ვერ გამიგია, რა შეაშია აქ „ოპორტიუნის-
მის თბილი-კუნკულობა“? თუ კამათის განვირობა სურს ავტორს,
ამისთანაებს ერიდოს, თორემ იძულებული ვიქნებით ეხლავე
გაფათვათ მასთან საუბარი.

რაც შემატებული უფრო ცოდნას და ლ. ნ.-ის მეცნიერებას,
ეს თავის თავის ცრადი და საჭიროსაჩინო იქნება ყველა შეგნე-
ბულ მკითხველის მიერ.



მო ამ ამ

შელიწადი მეათე

გამოღის უოზელ თვე

ფასა კუნძალ „მთამბისა“ გამზაგნია:

		საზღვარ-გარედ:	
რუსეთის და კავკასიის ქალაქებში:			
ერთის წლით	10 მან.	ერთის წლით	13 მან.
ექვსი თვით	6 მან.	ექვსის თვით	7 მან.
საში თვით.	4 მან.	საში თვით	5 მან.

3000 „მოამბეს“ გამოიჭრს, „ცხობის უურცელი“ ქვირაზი
ორის სურათებიანის დამატებით უფასოდ დავთმობა

ფასის განაწილება შეიძლება ასე: პირკედად 5 მან. 1-ლ მარტამ-
დე—3 მან, და 1-ლ აგვისტომდე—2 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტყილისში, კურნალ უმოამბის რედაქციაში,
რომელიც იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27.

ქალაქს გარეშე ხელის-მოწერმა ერთი მანეთი უნდა წარმოადგინოს
დამატებათა გასახურად.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **თიფლის, რედაცია „მამაცე“,**

კურნალში დასახელდად მიღებულ წერელებს, თუ საჭიროება მოითხოვს,
რედაქცია შეასწორებს და შემოკლებს. ხელნაწერები, ოთმლებიც არ
დაბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხოოს ერთის თვის განმავ-
ლობაში,—მერჩ ველარ მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერ-მოწერას
დაუბეჭდავ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

დასახელდად წარმოგზავნილ თარგმანზე აღნიშნული უნდა იყოს უპვე-
ლად ყველა ის წყაროები, საიდანც არის თარგმნილი ხელ-ნაწერი.

რომელ ავტორსაც ან გამოიტემლოს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახებ
კურნალმა თავისი აზრი წარმოსთქვას, ორ-ორი ეგზემპლარი უნდა გა-
მუშავდოს. რედაქციას.

3000სპირ მოლაპარაკება რედაქციისთან შეიძლება ყოველ დღე კირა-
უქებს გარდა, შუადღიდან ნაშუადღევის ორ საათამდინ.

რედაქცია უცორჩილესადა სთხოვს ყველა ხელის მოწეროთ, რომელთაც კი
კურნალის ნომერი არ მიუვათ, განტაცებასთან ერთად რედაქტიას წარმო-
უგნებონ აგრეცვე მოწმიაბა იმ ფოსტის კანტონისა, რომლიდანც იღებენ
ნომრებს, რომ ამ კანტონას ესა და ეს ნომერი არ მიუღია. წინააღმდეგ შემ-
თვევაში ხელ-მეორედ ნომერი არავის გაეგზავნება.

რედაქტორი
ალ. ჭერია.

გამომცემელი
ალ. ჯაბადაშვილი.